

რატუნა და სელოვნება

1522/2
2006

N6
06/2006

ქალბატონი
ქალბატონი
ზაირა
არსენიშვილი

ქალბატონი
ეთერ
თათარაძე

ქალბატონი
ირაკლი ფარჯიანი

ქალბატონი
სოსო სიგუა

ქალბატონი
ოტია პაჭკორია


გიორგი
ლორთქიფანიძე

ქალბატონი
მანანა
ბებეჭკორი

ქალბატონი
მარინა კვიციანიძე



ირაკლი ფარჯიანი



ირაკლი ფარჯიანი

ლიტერატურა და სეროვნება

ISSN 1512-3189

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და ხელმძღვანელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:
ტარიელ ხარხელაური

მთ. რედაქტორის
მოადგილე:
მანანა მიქელაძე

პასუხისმგებელი
მდივანი:
ზურაბ თორია


რედაქტორები:
დავით ტაკიძე
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:
ირაკლი ფარჯიანი

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge

გამოცემის სპონსორია



მ ა გ თ ი ა ო მ ი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წიგნი, სიყვით

- 3 ზაჩია ახენიშვილი - ელდარი მთვახის შექმნა
- 30 ეთეს თათაძე - ლექსები
- 34 მახია ბახათაშვილი - ლექსები
- 36 გუგული კოგონიძე - მოცეკვავე ბაყაყი
- 42 მანანა დანგაძე - ლექსები

სრული

- 44 ოტია ჰაჭუშია - ჰაიმონია

თარგმანი

- 47 იოჰან ბოიეხი - მახტოსელები
/თარგმანა თამაზ კვიციანიძემ/
- 51 მახინა ცვატაევა - ლექსები
/თარგმანა ევეუნა ხაჩიშვილმა/
- ნეხილი ბოიხის პასტეხნაჟს
/თარგმანა ნანა კანდელაკმა/

წარდგენა

- 54 სოფი ხახედაეხი - ლექსები, მინიატურები

წერილები

- 56 სოსო სიგუა - გადაჯტიონი და ტიცინი
- 60 გიორგი დოხოიძე - "...გადაჯტიონის წიგნი მთელ
საუქუნეებს გადასწონდა"
- 63 ჯემალ ჭელიძე - "ფადავანი"

თესწარი

- 65 მანანა ბაგაქოში - ცვილივით დამყოლი მსახიობი

მხატვრობა

- 70 ქეთევან კინუხაშვილი - აბსტრაქცია - დაშლილი სამყაროს
ანყობის ცდა

მუსიკა

- 76 მახინა კვიციანიძე - სიცოცხლეშივე ებედინა
ქვეალი ჯაცი
- 80 ფოტოაქტივიდან

საქონუდუგასით სწავთ:

ქაზუს ამიუჯიბი, ზახანა ზრუვაძე, ნანი ზრუვაძე,
პლან ზრუნიშვილი, მანუა ზრუცუაძე, მუყადას ვინაშვილი,
თეძურ ჩხეიძე, თამაზ ჩხეიძე, ვაგი ქრუციანი



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ზაირა არსენიშვილი

ხოცაფი მთვანის შეჯახა

ხმოანი*

/გაგრძელება/

მოხუცი ქალი წამოდგა ჩალის სავარძლიდან, ძველი, დაფხავებული, სახელურმორღვეული სავარძლიდან, ადვილად რომ შეეძლო აივნიდან ჩამოეთრია და მყუდროზე დაედგა ციხე-ბურჯის ძირში, და მოსულეებისკენ გაემართა. ბებრული სიმჩატი მოფარფატებდა, ხელებგაშლილი, თითქოს გაზაფხულის სიო მოაფარფატებო... ჭიშკრის შემოსავალში ბატონი შალვა და ბიჭია იდგნენ, და ბატონი შალვა ჭიშკრის ძველი ქართული ოთხკუთხედი ბრტყელი აგურით ზიგზაგურად ნაშენ თალსა და კრამიტს აჰყურებდა, ლამაზი

ჭიშკარი იყო, თავისი რკინის დასარტყამით, ძველად ზარის მაგივრობას რომ სწევდა. ბატონ შალვას უნდოდა ამ ხმის გაგონება და მოსვლისას ორჯერ-სამჯერ დაჰკრა კიდეც. რამდენჯერ უფიქრია, რომ ამ ჭიშკარს, როგორც ამბობდნენ, - ალაცაფის კარს, ოდესმე მუზეუმის ფილიალის აღმნიშვნელი ფირნიში ექნებოდა გაკრული. ეს ჭიშკარიც და მოხუცი ელოს კარმიდამო ნამდვილად იმსახურებდნენ ამას. ასე ფიქრობდა და ასე სურდა ბატონ შალვას. აკი უთხრა კიდეც მოხუც ელოს, ფონდიდან ისტორიული სახლებისთვის გამოყოფილი ფული რომ მიუტანა და ხელოსანიც მიუყვანა დაჭიანებული კავების გამოსაცვლელად; „თქვენ დიდხანს იცოცხლეთ, დეიდა ელო, და ქალაქმა ყველაფერი უნდა ილონოს, რომ თქვენი სახლი, როგორც საუკეთესო ნიმუში კახური საერო არქიტექტურისა და ამასთანავე მეთვრამეტე საუკუნიდან შემორჩენილი უიშვიათესი შენობა, მუზეუმის ფილიალად ვაქციოთო. თქვენი ავეჯით, სამზარეულო საციქველით და სიგელ-გუჯრებითო. აქ ყველაფერი, კენჭიც კი, თხოულობს შენახვას და გაფრთხილებასო. თან ბურჯი, პატარა ციხე-სიმაგრე, მტრის შემოსევის დროს რომ შეეძლო ოჯახს შეჭვარებოდა, მართლაც სანიმუშო რამ არისო“.

მოხუცი ელო კი მოფარფატებდა და უკბილო პირით რალაც სიტყვებს აცმაცუნებდა... „ჩიტებსაც მყუდრო ადგილები უყვართ“, გაიფიქრა ბატონმა შალვამ, ბალის სიღრმიდან შაშვის რბილი ჩაჟღურტულება რომ გაიგონა, მერე კი მოხუც ელოს ხელები გაუნოდა, გულზე მიიხუტა და მოიკითხა. კარგა ხანია აღარ ენახა, შარშან ფერისცვალებას შორიდან მოჰკრა თვალი სასაფლაოზე, საფლავებს შორის მიიკვლევდა გზას, შალვა მეორე გასასვლელიდან გამოდიოდა, თან ეჩქარებოდა და ველარ შებრუნდა. მთლად მიხრწნილიყო, გამომშრალიყო და დაღეულიყო, გაფრიალებულ შავ კაბაში ჩაკარგულს ჰგავდა. „Гостей дорогих надо встречать должным образом“, თურმე ამას ჩიფჩიფებდა. „თქვენსას რო არ იშლით, ბებო ელო, იქ არ მოვიდოდით, რატომ შეწუხდით?!“ და ბიჭიამ მოხუც ქალს გაძვალტყავებულ ხელზე აკოცა. „თიკო სადღაა, ისიც ხო უნდა მოსულიყო?“ გაცეცეებული უყურებდა ბიჭიას და შალვას. „მოვა, დეიდა ელო, თქვენთვის ნამცხვარი და შოკოლადი უნდოდა ეყიდა“, „ოჰ, რანაირი გოგოა, ხო აუცილებლად მოვა?“ „ნუ ლელავთ, ბებო ელო, აქვე ანდრენიკას საკონდიტროში შევიდა, აქ არის ყველაზე კარგი ნამცხვარიო.“ ჭიშკრის შესასვლელი გრძელი იყო, წინათ სა-

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 5.

საქართველოს
პარლამენტის
ქრონიკელი
ბიბლიოთეკა

ურმე გზას რომ ეძახდნენ, შალვამ და ბიჭიამ შუაში ჩაიყენეს მოხუცი, ხელები მოხვიეს და ციმციმ მიჰყავდათ, თუმცა ნელა და ტაატით. შესასვლელის ნაპირებზე ჩარიგებული ჟასმინი ყვავდა და გამაბრუნებელი, მოტკბო სურნელით იყო იქაურობა გაჯერებული...

„მეც მოვედი!“ დაიძახა თიკომ, მას გამონვდილ ხელებში ნამცხვრისა და შოკოლადის ყუთები დაელაგებინა, „ბებო ელო, გამარჯობათ!“ მოაძახა მოხუც ქალს, „მე ჩქარა წავალ, ამას დავალაგებ და ელას სუფრის გაშლას ვუშველი, კარგი?“ გაიცინა, მოხუც ქალს ალერსიანად შეხედა, კაცებს გადახედა, ბატონ შალვაზე ერთი წამით შეაჩერა მზერა და გაჩქარებული სახლისკენ წავიდა. ისეც გაკნაჭული შარვალსა და ვინრო კურტკაში წნელივით ელასტიური გეგონებოდათ. „რა იქნებოდა ათი წლით ახალგაზრდა ვყოფილიყავიო...“ სევდიანად გაიფიქრა ბატონმა შალვამ.

„არავინ არ იცოდა ისე თანაგრძნობა, როგორც თიკომ,“ ამბობდა მოხუცი ქალი, „ბავშვი იყო მაშინ, ცხრა-ათი წლისა, მოვიდოდა, შემოცქრიალდებოდა ჩემ ჩაჟამულ სახლში, გეგონებათ სანუკვარ ადგილას მოვიდაო, ბებიამ კორკოტი გამოგიგზავნათ და ძალიანა გთხოვთ მიირთვათ, სანამ გაციებულაო, ყელისწვეთ მეტყოდა, ბებიამაც მითხრა არ წამოხვიდე ისე, ელომ კორკოტს გემო არ გაუსინჯოსო...“ იცოდა თიკომ, ხმელა პურის ნატეხს თუ ჩაიდებდა პირში, გული არ შემიღონდესო, თორემ არც ცეცხლს ანთებდა, არც ცხელ კერძს იკეთებდა, სიცოცხლეც აღარ უნდოდა ვახტანგის შემდეგ. მითუმეტეს, დარწმუნებული იყო, აღარასდროს აღარაფერი მოესურვებოდა ტირილისა და ვაების მეტი, ასე ეგონა ყველა სურვილი ტატოსთან დამარხა, საათობით იჯდა ტატოს ალაგებულ საწოლთან, იჯდა უძრავად, ვაებითა და კაეშნით სავსე, ხან რომ ცრემლებად მოასკდებოდა, ხან კი გათანგავდა, გაასადკლდევებდა, გაარინდებდა, უსიტყვო გლოვაში ჩაძირავდა... სული და გული კი ივსებოდა საგუბარით, ისეც ცრემლებით ივსებოდა... ივსებოდა... რომ კვლავ ნიაღვრად მომსკდარიყო... არაფერი შეეძლო გლოვის გარდა, რატომ არ არის შესაძლებელი გლოვის სვეტად ვქცეულიყავიო, აღვმართულიყავი ჩემი შვილის საფლავზეო. თიკო კი თეფშსა და კოვზსაც თვითონ გამოუღებდა კარადიდან. ჩამოუჯდებოდა გვერდით და ტატოს ბავშვობის ამბებს ამბობინებდა, და თან ისეთი გულისყურით უსმენდა, თითქოს ამაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილიყოს; საიდანა აქვს ასეთი თანაგრძნობის უნა-

რი ათი წლის გოგონასო, ყოველთვის უკვირდა ელოს. ერთხელ ისიც კი უთხრა, ტატოს რომ ეცოცხლა, მე აუცილებლად მეყვარებოდაო, ისე მეყვარებოდა, ისე მეყვარებოდაო... ღმერთო, როგორ გაუხარდა... თქმით კი უთხრა: რას ამბობ, გენაცვალე, ვახტანგი ისეთი ავადმყოფი იყოვო... ჩემთვის მაგას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდაო, პირიქით, ავადმყოფობის გამო კიდევ უფრო მეყვარებოდაო... და მართლაც, ისეთი გზნებით თანაუგრძნობდა, თითქოს მართლა ჰყვარებოდა ვახტანგი. გაკვეთილების ჩატარება, მონაფეების ჟღავი-ჟღუვი აღარ შეეძლო და პატარა თიკომ ნემსი აალებინა ხელში, ცხოვრებას დაუბრუნა, ვაიმე, ბებო ელო, როგორ მომწონს ეს კანვით ნაკერი ბალიში, რა იქნება, პატარა ჯეჯიმი მომიქარგოთო, იმდენი გარუსის ძაფები გვაქვს, დღესვე გადმოგიტანთო და მართლაც, ნაირნაირი ძაფები მოუტანა. მთელი შემოდგომა ქარგა, ქარგავდა და იცრემლებოდა, ქარგავდა და თან ტატოს ელაპარაკებოდა, უამბობდა ამ პატარა გოგოს ამბავს. ჯეჯიმი რომ გაასრულა და აჩუქა, თიკომ გულში ჩაიკრა: ბებო ელო, ამ ჯეჯიმს ფასი არა აქვსო, იმიტომ კი არა, რომ ულამაზესიაო, თქვენი ცრემლებით არის მორწყული და ამიტომო, ყოველ ყულფში და ყოველ თვალში თქვენი ცრემლია ჩანვეთებული და ცრემლი ხომ შეუფასებელიაო... „მერე ხომ მეუფე დავითმა, შემდეგ ჩვენმა ეპისკოპოსმა დაფარნაც შემიკვეთა, თინათინს ერგვენებინა ის ჯეჯიმი საგანგებოდ და ძალიან მოსწონებოდა...“ და ის ზამთარი ელო შემითაც უბრუნველი იყო და თავისი შრომით მოპოვებული საზრდელიც ჰქონდა. არც გასაკვირია, ყველა ესენი ხომ მთელი სიცოცხლე იცნობდნენ ერთმანეთს, დედაბუდიანად და მამაპაპეულად, როგორც პატარა ქალაქის ძირძველი მაცხოვრებლები იცნობენ ხოლმე. და ბევრად ახლოსაც, რადგან მოხუცი ელო, შალვას დედა თეკლე და ნიკოს დედა თინათინი ერთად სწავლობდნენ და მერეც მეგობრობდნენ, ვახტანგის ავადმყოფობის დროს, როცა ის აბასთუმანში არ იყო, შალვა და ლელიკო მას ხშირად ნახულობდნენ, ვახტანგი, სანამ შეეძლო, შალვას ჭადრაკს ეთამაშებოდა, ლელიკო და ვახტანგი კი უკრავდნენ ხოლმე მანდოლინაზე და ფორტეპიანოზე პაგანინისა და ვივალდის ოპუსებს, ვახტანგი ლამის ვირტუოზულად უკრავდა მანდოლინაზე... ზოგჯერ მათ ვახტანგის მეგობარი ოთო კიკვიძეც შემოუერთდებოდა, გიტარისტი და შესანიშნავი ტრიო გამოსდიოდათ. აკი რამდენჯერმე კონცერტიც გამართეს დიდი წარმატებითა და ტაშის გრიალით. მაგრამ ეს ჩვიდმეტი წელია ვახტანგი აღარ

იყო და ელო, სანამ ჯანი მოსდგამდა, ყოველ-წლიურად აღნიშნავდა ვახტანგის დაბადების დღეს. მერე და მერე კი, სიბერემ ხელი რომ დარია და მოიღვენთა, საქმეს ველარ აბამდა თავს, წანდილს თუ მოხარშავდა და სანთელს დაანთებდა, ეგ იყო.

„მე სადლა რა შემიძლია,.. ღმერთი უშველის, ზაურმა რო გაიგო ჩემი ვახტანგის დაბადების დღის ამბავი, ავღნიშნოთ აუცილებლადო, მითხრა. თან, ხომ გწერდი კიდეც, პატარა საქმეცა გვაქვს, ჩემო შალვა.“

ბატონ შალვას გულმა რეჩხი უყო, უსიამოვნოდ შეიჭმუნხა შუბლი და ვითომ გულისგარეთ იკითხა: „დიდი ხანია თქვენთან ცხოვრობენ?“

„შარშანდლიდან, მაგრამ ასე მგონია მთელი სიცოცხლე ვიცნობდით და ვმახლობდით, ღმერთმა მომივლინა ამათი თავი. მინდა შენ ეს იცოდე, ჩემო შალვა.“

„საერთოდ ორ წელიწადზე ცოტა მეტია, რაც თელავში არიან, მაგრამ ქვევით ცხოვრობდნენ, საერთო ბინებში. იქამდე კი გურჯაანში თუ ლაგოდეხში უმუშავნია ცოტა ხანი,“ თქვა ბიჭიამ, „კარგი ვინმეა, აქ რო გამოდოდა, თურმე მთელი უბანი მოსტიროდა“, „ჩემი ვატატუნა... ნევს ისე, უქვოდ... მაშინ მე რა შემეძლო, ყველაფერი საგზურებმა და წამლებმა შთანთქა... როგორც იყო „აგრადა“ გავუკეთე, ისიც შენი შემწეობით, ჩემო შალვა, მუზეუმისთვის ერეკლეს სურათი რომ შეიძინე,.. ახლა კი ზაური დამპირდა, დეიდა ელოვო, თქვენ გული შიგნითა გქონდეთო, ისეთი ქვა დავადო, თქვენი მონონებულო, თქვენც, სანამ ცოცხალი ხართ, გაგიკეთებთ საფლავსო, რომ არხეინად იყოთ და გულდამშვიდებით წახვიდეთო... აი, ამისთანა კარგ სიტყვას მეუბნება... და მეც მინდა რალაცაში წავადგე, ჩემო შალვა...“ „ძალიან ზაური შეგიძენიათ...“ თქვა ბატონმა შალვამ და ცალყბად გაიცინა. „ყოჩალი, ყოჩალი, ქვისა და ხის დამდნობი, ხომ გაგიგონია, КТО СМЕЛ ТОТ ДВА СЕЛ, აი, ეგეთია,“ და მოხუცმა შალვას ხელზე ხელი მოუცაცუნა, „თორემ მე რალა შემიძლია, არც არაფერი...“ „ეგ არ იფიქროთ, დეიდა ელო,“ და შალვამ მოხუც ქალს შეუპოვრად შეხედა, „ძალიანაც კარგად შეგიძლიათ, კავები ხომ გამოვცვალეთ, წვიმა ხომ აღარ ჩამოგდით“... შალვამ თავი აიღო და სახლს გახედა, „მიყვარს თქვენი სახლის შეხედვა, როგორ ააშენა იმ თქვენმა წინაპარმა ასე მკვიდრად და ასე მშვენივრად... აი, აქედან ძალიან კარგი რაკურსია, სვეტებიც, ფილაქანიც, მთელი აივანი, აი ეს, აღმოსავლეთის კედელი, რა სანიშნურო წყობაა აგურისა“, „ბაღსაც გახედეთ, ბატონო შალვა, სცნობთ აქაურო-

ბას? სადლაა ის გაბარდული ჯაგნარი და ხეების ჯღრდე? ზოგი გამხმარი და ზოგი უშნოდ ნაზარდი!“ და ბიჭიამ ბალისკენ გაიშვირა ხელი, „აგერ, იმ კაცის დამსახურებაა...“

შორს, ბალის სიღრმეში ვილაც მუშაობდა, „ზაურის სიმაძრია, იგნატი, ნამდვილი მებაღე, აყვავა აქაურობა.“ თქვა მოხუცმა და ჩალის სავარძელში ჩაჯდა. თიკოს აივნიდან სკამები ჩამოჰქონდა და ბურჯთან დგამდა: „დაბრძანდით ცოტა ხანს, ახლა ზაურმა დარეკა, თხუთმეტ წუთში იქნება ხინკალიც და მწვადიცო... ჩვენ სუფრას ვშლით და თქვენც ჰაერი ჩაყლაპეთ...“ „ბიჭს არ გაუღვიძია?“ იკითხა ელომ. „არა, მაგრამ ელამ თქვა კარგა ხანია სძინავს და მალე გაიღვიძებსო.“ „ისეთი ბიჭანჭურია, თვალეები მომცა და მაყურებინაო, — იტყვიო, ჩემი ვახტანგისგან ვერ ველირსე და აი, ახლა ღმერთმა გამომიგზავნა პატარა ვატუნა.“

მართლაც ასე ეგონა, რომ განგების ხელი ერია ამ ოჯახის აქ მოსვლაში, აქ დაბინავებაში. რაც სიბერე მოეძალა, სხვაგვარი ფიქრები აეკვიატა, მითუმეტეს ამ ოჯახის აქ მოსვლის შემდეგ... სიცოცხლეზე ფიქრობდა გამუდმებით, სიცოცხლეზე და თავის უდროოდ გარდაცვლილ შვილზე. უნდა გარჯილიყო მისი სახელისთვის, მისი ხსოვნისთვის, მისი მოგონებისთვის... წუთიერი მოგონებისთვის კი არა,.. ხანგრძლივი... ჟამიერი... მრავალჟამიერი... დღეს არის, ხვალ აღარ იქნება, ცას ღილად ხომ არ გამოეკერება, მათუსალად ხომ არ გადაიქცევა, ჰოდა, წაიშლება მათი სახელი, მათი განაგისი, ამოიძირკება მათი გვარი... ბოლო იყო ვახტანგი, ბოლო, დედა მოუკვდეს და დედა გაუთავდეს! უბედური ვამეხი, უღმრთოდ ჩაკლული ოცდაოთხში გიგოსგორაზე, სულ იმას ეუბნებოდა, ელო, ჩვენი გვარი ჩვენზე დაიწრიტება, თუ რამდენიმე ბიჭს არ ვიყოლიებთო, რომ გამრავლდნენო... კარგად გამრავლდნენ... ისე იყო მოცული საკუთართა და საქვეყნო უბედურებით, ვამეხის დახვრეტის შემდეგ ვერ უპატრონა ექვსი თვის გუგუნას, ავად გაუხდა და სამი დღის ავადმყოფობით მოუკვდა კიდეც, სანყალ ბავშვს, ქორფას, თავზე ღინღლები აშლილი ჰქონდა. ვატატო, შვიდი წლისა, გულში იკრავდა და სულს უბერავდა, უნდა გავაცოცხოხლოვო და თვითონაც, წავიდა ისე, უშვილძიროდ გადაეგო. რგოლუციაა და ომებმა დაღუპეს და დაანელეს სანყალი ელოს ოჯახი... ვახტანგი ჯერ ფინეთის ომში იყო, მერე სამამულოში, და იმ სამამულოს შემდეგ ღრმა ავადმყოფი დაბრუნდა. ფილტვები ჰქონდა დახვრეტილი, გამოკეთდებოდა ხოლმე, ხანგრძლივი აბასთუმანის

შემდეგ მომჯობინდებოდა, მაგრამ დედას ყოველთვის სასტიკ უარს ეუბნებოდა დაქორწინებაზე, ოჯახის მოკიდებაზე, უფლება არა მაქვსო, ეგ რა კაცობაა, ცოლი მოსავლელად შევირთოვო, ვერა ხედავ, ნახველის პარკებითა მაქვს გამოტენილი ჯიბეებიო. მითუმეტეს აბასთუმანში, სადაც უმეტეს დროს ატარებდა, თანამგრძობელი და მოყვარული ქალები არ აკლდა, თავისნაირი ავადმყოფების წრეში, მაგრამ რა გამოვიდა, უშვილძიროდ კი გადავეგო და... დაეტოვებინა მაინც თავისი სახისა, ამ სახლკარის პატრონი, გვარის გამგრძელებელი, ოო, რამდენი ტანჯვა-წვალება ნახა... თუმცა არ იყო გაუხარელი, პირიქით, სიხარულით იყო ხოლმე სავსე, რაღაცნაირი, ჩუმი სიხარულით, თან რა შესანიშნავად უკრავდა მანდოლინაზე, კლასიკურსაც და თავის შეთხზულ ვარიაციებსაც, ყურს ვერ მოაშორებდით. აქაც ხომ ჰქონდა მანდოლინა და ომის შემდეგ ვენიდანაც ჩამოიტანა. სიკვდილის წინ, რამდენიმე დღით ადრე, უცებ თითქოს რომ მომჯობინდა, მოვიდა ოთო თავის გიტარით და დაუკრეს... ღმერთო, რა ნეტარებით უკრავდა, რა სიყვარულით, თვალბეჭეში კი ცრემლი უკრთოდა, მერე ხელი დაუსვა სიმებს, გეგონებათ ეთხოვებო და დედას გადასცა: შემინახე, დედაჩემო, ჩემს მეორედ მოსვლამდეო, და გაიცინა... მედიატორები კი ბოლომდე არ მოუშორებია, გამოიღებდა ბალიშის ქვეშიდან და ტურჩებზე გაისვამდა... ძალიან უნდა სთხოვოს ელასა და ზაურს, ბიჭი რომ წამოიზრდება, ასწავლონ მანდოლინაზე დაკვრა, ყიდვა არ დაჭირდებათ ინსტრუმენტისა, და არაფერი, ერთი მანდოლინა თუ თან გაატანა თავის დაუვიწყარ ტატოს, მეორე ხომ აქ არის, აგერ დარბაზში, ტატოს სურათის გვერდით ჰკიდია,.. ამ ეზო-ყურეში რომ კვლავ გაისმას ის წკრიალა ხმები...

შარშან იყო, მაისის ბოლოს, ადრეულა, მსხვილი ალუბალი მნიფდა, ბურჯის ძირში იჯდა და ალუბალს ჩურჩავდა, სოსლანმა ჩამოუკრიფა, მეზობლის ბიჭმა, „ბებო ელო, მოდით, ჩამოგიკრეფავთ, თორემ ჩამოგიღებათ და ჩამოგიხმებათო, დედაც მოხარშავს მურაბას და თქვენც მოგიხარშავთო.“ კერკი უყვარდა ალუბლისა ვახტანგს, და ალუბლის შეჭამანდი, იმის სახელზე აკეთებდა ხოლმე ელო, იმის მოსაგონებლად და მისაგებებლად,.. ჰოდა, ალუბალს ჩურჩავდა საკერკედ, ვილაც კი ალაყაფის კართან გაბმით აპიპინებდა მანქანას, არც ეგონა, რომ მასთან იყვნენ, მერე რკინის დასარტყამის ხმაც გაიგონა და დაინახა კიდეც შემოსულები შორს, კართან. მაშინ არ იცოდა ვინ იყვნენ, არც სახელები იცოდა მათი, ახალგაზრდა, მა-

ღალი, ჩასხმული კაცი წინ მოდიოდა ბავშვით ხელში, უკან კი ქალი და ქარმაგი კაცი მოსდევენენ, თურმე ზაური იყო თავის ცოლშვილითა და სიმამრით. რომ მიუახლოვდნენ და მიესალმნენ, დასვა პატარა ბიჭი, და ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, როგორ მიაღმსგავსა თავის ვატატოს, როცა ის აი, ამ ბავშვის ასაკისა იყო, ასეთი გაზიდული თვალები ჰქონდა და ასეთივე ხვეული, ხვეული კულულები ეყარა კოხტა, ბურთივით მრგვალ თავზე, მზერაც სულ მთლად ვატატუნასი, მიმზიდველი და გულში ჩამწვდომი. მიდი ბებიასთანო, ახალგაზრდა კაცმა უთხრა და ელომაც ხელი გაუწოდდა, არკი ჰქონდა იმედი, რომ მივიდოდა, ბავშვებს ხომ უცხო მოხუცები არ უყვართ. ბავშვებსაც ახალგაზრდები და ლამაზები მოსწონთ, მაგრამ არა, მივიდა, ახლადფეხადგმული იყო და გაუმართავი ნაბიჯით გაემართა მოხუცი ქალისკენ, თან ხელებს უწვდიდა. ღმერთმანი, გულისხმა რომ ჰქონოდა, ეგონებოდა დაარიგესო. მივიდა, მიფაცფაცდა, და, კიდეც უფრო საოცარი და საკვირველი, კალთაში თავი ჩაუდო. „ეგეთი მოსიყვარულეა... უყვარს ადამიანი.“ თქვა ახალგაზრდა კაცმა. „Да, ნабуля, я вижу, он очень вас полюбит!“ ახალგაზრდა ქალმა გაუღიმა ელოს, შავ-ყვითელი სახე თითქოს გაუნათდა, უცხო შესახედი იყო, რუსს არ ჰგავდა, როგორც მერე გამოირკვა, ჩუვაში იყო თურმე. ქარმაგი კაცი კი, თვალმოუშორებლად ბალს გაჰყურებდა, რა ლამაზი ბალია და რა მოსავლელიო, ნებას თუ მომცემთ მე მივხედავო. „თქვენ ოღონდ მიგვიშვით და ედემად გიქცევთ სახლკარსო“, აი, ეგეთი სიტყვა უთხრა ზაურიმაც, მიავლო მოავლო თუ არა აქაურობას თვალი, თვალი კი მეტად დაკვირვებული ჰქონდა, შეუმჩნევი და აღუნუსხავი არაფერი დარჩებოდა იმის, ერთი შეხედვით თითქოს სასხვათაშორისო მზერას. და სხეულიც მძლავრი ჰქონდა, შეხედავდით და იქნებ შემკრთალიყავით კიდეც ამ ახალგაზრდა კაცის ძვალმსხვილი, კუნთმაგარი, ლურჯ, ნაქსოვ ბლუზაში ამომჯდარი მხარმკლავისა და ნავივით გვერდების დანახვაზე.

ორ ოთახს მოგაქირავებთო, უთხრა, ხუთ თუმნადო, თუ გეძვირებათ, მითხარით, მაგრამ მეც რა ვქნა, მე კი არა, ამ სახლს ჭირდებაო, ადამიანივით უნდა მოვლაო, ყოველწლიურად შველას საჭიროებსო. ენა არ დაუსველებიათ, ისე დათანხმდნენ, ხუთი თუმანი რასა ჰქვია, ეგ თქვენ კაკა-კუკებში დახარჯეთ და სახლს ჩვენ მივხედავთო. თავისთვისაც ორი ოთახი დაიტოვა, დარბაზი და სანოლი ოთახი, მაგრამო, როცა სტუმარი გეყოლებათ, ან რაიმესთვის დაგჭირდებათ,

დარბაზიც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

მაგრამ ზაურს დიდი გეგმები ჰქონდა ამ სახლთანა და მოხუც ელოსთან დაკავშირებით, ანუ თავის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მას ბლომად ემოვნა ფული და ბატონკაცური გვარი და ბატონკაცური ცხოვრება უნდოდა, ქალაქის შუაგულში. ვითომ აღარაფერია გვარიშვილობა არაა!? გეგონოთ! ვერ იტანდა თავის გვარს, ტეტიურად სთვლიდა და ალბათ, მართალიც იყო, და რომ უნდა გამოეცვალა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა,.. აბა, რა იყო პარნიკანაშვილი, ყურსა სჭრიდა, ზედმეტი სახელის გაქილიკებით ავსებდა, ვილაც იყო ეტყობა მათ ჩამომავლობაში ხუმარა და დაღლარა, და იმას შეარქვეს ეს სახელი, პარნიკანა, ჰოდა, ზაურმა რატომ უნდა ზღოს იმ ვილაც პამპულას გამო, რატომ და რისთვის, იმისი სახელისაგან შეითხზინილი გვარი? დედა მანაც რო კაი გვარისა ჰყოლოდა, აუცილებლად დედის გვარზე გადავიდოდა, მაგრამ დედა კიდევ ჭოტორლიშვილი იყო, ჭოტორი, სარზე შესული ლობიო, აი, რა არის ჭოტორი, და არც კეთილხმოვანია! მერე ბებისკენ წავიდა და ბების ქალობის გვარი თავდორაშვილი გახლდათ. ბების ძმისწული რო გათხოვდა, ესმა, ცოცხალი თავით გვარს არ გამოვიცვლიო, ამბობდა, ეტყობა, არ იცით თავდორაშვილები ვინ იყვნენო, რა სახელგანთქმული მებრძოლები ერეკლეს მხარდამხარო, ისე რომ ერეკლემ ძალიან დაუფასა ბრძოლებში გარჯაო, და თქვენ გინდათ ხელი ავიღო ამ ჩემ გვარზედაო, არასდიდებით არაო! ეს ყველაფერი თურმე მართალი იყო, მაგრამ ყოველ ჯერზე ერეკლეს ამბით ხომ არ დაინწყებდა თავისი გვარის ამბავს!? გული კი სწყდებოდა, ნამდვილად სწყდებოდა იმის გამო, რომ თავისი ჯიშისა და ჯილაგის არა გვარი არ გამოადგა, ვერა გვარი ვერ შეიტკობო, ვერც მეორე ბებისა, რადგან ის კიდევ უხურგუნაშვილი იყო. მოხუცი ქალის გვარი კი, რომელიც ადრევე გაიგო და ისიც გაიგო, რომ აღარავინ იყო ამ გვარისა, ყურში საამოდ ჩაესმა და გულამდეც უნია, აი, სწორედ ამ გვარზე და ამ კარმიდამოზე უნდა შეჩერებულიყო, ქალაქის შუაგულში, გაებოძიძგებინა ფეხი და აქაურობას ჩაზრდოდა. და ერთ დღესაც, როცა უკვე კარგად იყვნენ გაშინაურებულიები მოხუც ქალთან, ზაურმა სთხოვა: მინდა ჩემი ბიჭი მოვნათლოთ და თქვენ იყოთ ნათლიაო. დიდი სიამოვნებითო, ნათლიობაზე უარის თქმა არც შეიძლებაო, მაგრამ მე ხომ დიდი დღე აღარ მიწერია და ბავშვი რატომ უნდა დარჩეს ნათლიის გარემო, ზაურმა კი, ერთი იმიტომ, რომ თქვენც გიყვართ და ბავშვსაც უყვარხართო და თანაც მინდა

თქვენი გვარი დაანათლოთო, ამ მშვენიერ ბავშვს, თანაც ბიჭს, რად უნდა ჰქონდეს სასხვათაშორისო გვარიო!? თქვენი გვარისა ამ არემარეზე აღარავინ დაიარება და ჩემი ბიჭი კი აალორძინებს გვარსაო, აფსუსია ეგეთი გვარი ამოიფხვნასო. მოხუც ელოს გულში ჩასწვდა ზაურის სიტყვები და ისე ჩასწვდა, ერთხანს გაყურებული მისჩერებოდა, თითქოს რაღაცას ვარაუდობსო, მერე კი ხელზე დაადო ხელი და, რა იქნება ჩემი გარდაცვლილი შვილის სახელიც დაარქვათო, ჰგავს კიდევო, ბავშვობაში ტატო სწორედ ამისთანა იყოო. სიხარულით დათანხმდა ზაური, დღეიდანვე როლანდს კი არა, ტატოს დაუძახებო. მაშინ იფიქრა ელომ, რომ განგების ხელი ერია მათ აქ მოსვლასა და დასახლებაში.

„ჩემო შალვა, ნეტავ იცოდე, ვახტანგსაც როგორ გაუხარდა, დედა, დედა, ასე მგონია ხელმეორედ დავიბადეო!“

„ვახტანგს?“ და შალვამ ელოს დაეჭვებით შეხედა.

„ჰოო, ჩემო შალვა, ჩემს ვატატოს, მთვარიან ლამით გამომეცხადება ხოლმე, ენაცვალოს დედა, მოდგება ფილაქანთან, ჩრდილივით მომადგება, აი, როგორც ლექსშია, „Он тихо входит внутрь, глубокой ночи тени, стоят таинственно, сгустившись по углам.““

„ჰოოო...“ გააგრძელა ბატონმა შალვამ, „ეგ ვისი სტროფია?“

„ნადსონისა, ჩემო შალვა, ჩემს ახალგაზრდობაში ძალიან იყო მოდაში, ჰოდა, იმას გეუბნებოდი, დედაო, ვითომ მე ვყოფილვარო, ან თუნდაც ჩემი შვილიო, ჩემი მოსახელეო და მოგვარეო, ოჰ, რა მშვიდად დავხუჭავ მეც თვალებს, ამ ეზო-ყურეში პატარა ტატოს რო დავიგულებ... ძალიან ფხიზელი ბავშვია, თორემ შენ თვითონ ნახავ, და ასე მგონია მოეცხობა აქაურობისა, ამ მიდამოსი, აქედან წასული ადამიანებისა,.. ფუძე მოითხოვსო და აქაური ფუძე განათლებულ და ღირსეულ ადამიანებს მოითხოვდა, მე კი, რაც ეს ბიჭუნა ჩემს გვერდით არის, გათენება მიხარია, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა...“

„მიდიდა ელაპარაკე!“ თავისგუნებაში შესძახა ბატონმა შალვამ და ბიჭიასა და თიკოს გადახედა, „თან სკლეროზიც შეჰპარვია, ეტყობა მუზეუმის ფილიალს რომ ვეუბნებოდი, სულ დაავინყა ამ ბავშვმა...“ პირმოკუმულმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. „სიცოცხლეს ხომ ათასგვარი გამოვლენა აქვს,“ თქვა თიკომ, რომელიც გულხელდაკრეფილი ფეხზე იდგა, ჩამოიტანა თუ არა სკამები, მაშინვე აპირებდა სახლში აბრუნებას და მოხუცის ამბავმა გააჩერა, „ბებო ელოს კი ახლა ასეთი სიცოცხლე იზიდავს, ხომ ასეა, ბებო ელო?“

„ცოცხალი სიცოცხლე...“ ლამის დაიკვნესა მოხუცმა და თითქოს მობოდიშებით გადახედა შალვას, „გახედე აივანს, როგორ დაამარმარეს აქაურობა, ძველი აგური ჩაყანგებული რომ იყო, აივნის ბოლოს კიდევე გამჭვარტლული, ან ფილაქანი რასა ჰგავდა, ყველაფერი გამობრწყინდა, სხვანაირად განათდა...“

„ოო, ეს სახლი სიყვარულით არის აშენებული...“, თქვა თიკომ და მის ხმაშიც გამოსჭვიოდა სითბო და სიყვარული. „რა თქმა უნდა, შეხედეთ, როგორი ემოციური მუხტი აქვს“ ჩაურთო ბატონმა შალვამ, „ბატონი გიორგი ქართულ ამპირს უწოდებს ასეთ ძველ სახლებს“. „ხომ გახსოვთ, ბატონო შალვა? ხომ გახსოვს ბიჭი?“ „Учи ученого...“ ბებრულად ჩაიქირქილა მოხუცმა ელომ. ბატონმა შალვამ კი მწუხარედ შეხედა თიკოს და გაიფიქრა „აღბათ, მზისავარიც თიკოსნაირი იყოვო...“ „მზისავარი, ქსნის ერისთავის ნორჩი ასული“, მღელვარედ დაიწყო თიკომ მოყოლა „იოთამ ორბელიანმა რომ ითხოვა, კაცმა ჭარმაგმა და ქვრივმა, შეძლებულმა და მეფესთანაც და შაჰთანაც დაახლოებულმა, მაგრამ პირქუშმა, წარბებშეყრილმა და ბოხხმიანმა, გაგზავნა ამაღლა, თუ მაყრიონი საცოლის ჩამოსაყვანად, და აგრეთვე საკუთარი ძმისშვილი, სიჩაუქით და სიმამაცით განთქმული ბესპაზ ორბელიანი. და თუმცა მშვენიერ მზისავარსა და ბესპაზს სიყვარულის სამსალა არ დაუღლევიათ ტრისტანისა და იზოლდასავით, მაშინვე დაადგეს ერთმანეთს თვალი, მაშინვე აუჩქროლდათ გულიც, სისხლიც და ასო-ტანიც. ჩემო გულპანწურაო, ჩემო სულისდგმაო, ჩემო სიყვარულოვო, ეჩურჩულებოდა ბესპაზი მზისავარს. მწყაზარმა მზისავარმა თავისი საქმრო რომ ნახა, თურმე შიშის ქარმა დაუარა, ვაიმე, რა ვქნა, უნდომართან დაწოლას ლეკებში წასვლა მირჩევნიაო, და ისე დაიზაფრა, ისე, ისე, რომ ქორწილის ღამეს ხურვება დაანწყებინა, ჩავარდა ლოგინად... არ გამობდა მცირე ხანი და სანამ მზისავარი ლოგინიდან თავს წამოსწევდა, იოთამი შაჰ თახმასჰმა დაიბარა ისპაჰანში. იმისი წასვლა იყო, მზისავარის გამომთელეობა და სიყვარულის გაჩაღება. მაგრამ იოთამს მოსვლის დრო რომ დაუდგა და შემოთვალა კიდეც, დამხვდითო, შესხდნენ ცხენებზე ბესპაზი და მზისავარი და კახეთისკენ, ნაზარალი-ხანისკენ გამოქუსლეს. მოვიდნენ და მუხლი მოუდრიკეს, თავისი ამბავი უთხრეს, თავშესაფარი სთხოვეს, ნაზარალი ხანი სიყვარულში დიდად განაფული და განსწავლული გახლდათ, რუსეთის კარზე რამდენი ხანი ბრძანდებოდა, მეფე-დედოფალთან დაახ-

ლოებული, პეტრე პირველის მამობასაც კი აბრალებდნენ, გაუგო ლტოლვილებს და თანაგრძნობითაც განიმსჭვალა, მაგრამ უთხრა: დაგასახლებთ თელავში, ადგილ-მამულსაც გიბოძებთ, სახნავ-სათესსაც, ნაშენსაცა და უშენსაც, ოღონდ თქვენც მსხვერპლი უნდა გაილოთ თქვენი სიყვარულისთვისო: დიდგვაროვანი, მეფესთან და შაჰთან დაახლოებული ჭარმაგი კაცის მოლორებისთვის, აზნაურებად უნდა ჩამოქვეითდეთ და ორბელიშვილები გახდეთო... ჰოდა, ეს სახლი სწორედ ბესპაზის აშენებულია თავისი საყვარელი მზისავარისთვის.“

„ჩემო გოგო,“ თქვა მოხუცმა ელომ და თიკოს ორივე ხელი გაუწოდა თხოვნის ნიშნად, „ასე კარგად გვიამბე ჩვენი წინაპრების სიყვარულის ამბავი, რა იქნება შენც კეთილი თვალთ შეხედო ოთარს?! მერე, რა კარგი ყმანვილი დადგა...“

„რას ამბობთ, ბებო ელო, ვინ ოთარს!“ შეიცხადა თიკომ, ბიჭიამ კი გულიანად გაიცინა: „ვინ ოთარს და ჩემ ამხანაგ ოთარს, ქალაქის მთავარ არქიტექტორს...“ „თიკო, გენაცვა, შენ ხომ ბავშვობიდან იცნობ ოთარს, მამამშენის ექთანის მაროს შვილს...“ „მერე მე მისთვის ბოროტი თვალთ არასდროს არ შემიხედავს, ან რა შუაშია ახლა ოთარი?! მე მინდა, თუ ნებას მომცემთ, ნაზარალიხანის წყალობის სიგელი ჩამოვიტანო და ნავიკითხოთ, ძალიან მეცინება, იცით, რაზე? ღმერთს, ქრისტეს და წმინდანებს ისეთი წარმოუდგენელი რაოდენობის ეპიტეტებით ამკობს, ისე ეშინია არავინ გამორჩეს უხსენებელი, რომ ეტყობა თვითონაც აწუხებდა რუსთ ხელმწიფის მოლორება...“ თიკო გაიქცა და დარბაზიდან, სადაც წყალობის სიგელის ფოტო-პირი ეკიდა კედელზე, ოდესღაც ვამეხის მიერ გადაღებული და ჩარჩოში ჩასმული, — ჩამოიტანა. „ნახეთ, 1702 წელს არის ბოძებული, როცა ბესპაზსა და მზისავარს უკვე შვილებიც ჰყავდათ...“ „თუ ღმერთი გწამს, მთელი არ წაიკითხო, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ეგ სიგელი... მეც რაღაც მოსალაპარაკებელი მაქვს ბატონ შალვასთან.“ თქვა ბიჭიამ. თიკომ ხელი აუქნია ბიჭიას და დაიწყო კითხვა: „სახელითა სახიერისა დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ძალგანუზომელისა, უნივთოსა, უსხეულოსა, უსაზღვროსა, გარე-შემოუწერელისა, მიუწვდომელისა, გამოუკვლეველისა, უხილავისა, თუით მყოფისა და ყოველთა მამყოფისა, ყოველთა დამაარსებელისა ღუითისა მამისა, ძისა და წმიდისა სულისა, თავსმდებობითა და მეოხებითა უბინოსა და შეუხებელის დედოფლისა ჩვენისა, ღვთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, პატიოსნისა

და ცხოველის ჯვარისათა, რომელსა ზედან განიპყრან ქრისტემან ღმერთმან ჩვენმან მკლავნი თავისნი ცხოვრებისა ჩვენისათვის, ამისითა თავსმდებობითა და შუამდგომლობითა წმიდისა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქელ-გაბრიელისათა და წინანარმეტყველისა, წინამორბედის ნათლის-მცემელის იოვანესათა და იოვანე ქალწულ მახარობლისთა, წმიდათა ოთხთა თავთა მახარობელთა, ათორმეტთა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, ღმრთით მოძღვართა, მონაშეთთა, ქალწულთა, მამათა, მამა-მთავართა, მესვეტეთა, მეუდაბნოველთა, სათნო-ყოფელსა მღთისათა, თავდებობითა, მინდობითა, შუამდგომლობითა, ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალელებელი მამულისა, სახელოების წყალობის საფიცარი სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ღვთივ აღმატებულმან და ღვთივ დამყარებულმან და ღვთივ ზეცით აღმაღლებულმან იესიან, დავითიან, სოლომონიან, პაკრატიანმან, მეფეთა მეფემან და ხემწიფემან, პატრონმან ნაზარალიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან ანამ და შვილთა ჩვენთა, სასურველმან პატრონმან იმან-ყული და პატრონმან კოსტანდილემ და თეიმურაზმან, თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულთა ქვეშევრდომთა ორბელიშვილს ბესპაზს და შვილთა შენტა ვამეხსა, ვახტანგსა და გუგუნასა, მომავალთა სახლისა შენისათა, ასრე რო მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და გვეაჯენით, რათამცა ერთგულად ნამსახურეობისა თქვენისათვის წყალობა მოგველო, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულეთ, ვიგულისმოდგინეთ სამსახურისა და გარჯა ჩვენის მართებულად ნამსახურეობისათვის, სხუას ჩვენს საფიცარში გინერია და ყმა და სახელო ხელახლა ამით დაგიმტკიცეთ, გაგიახლეთ. შეგინყალეთ და გიბოძეთ ყმა და მამული ჩვენი სახასო: ქორეთი, ნანავისევი, ზემო ხოდაშენი თავისის საქონელებლითა სახელოდ, სამოურაოდ, თელავის გასადევარზე აჩინებული...“ „კარგი გეყოფა,“ შესძახა ბიჭიამ. „კი, ბატონო, კი ბატონო, ბევრი მომივიდა, თვითონ ნაზარალიხანს მოუვიდა მეტისმეტი... ისე ყველგან „ხარებია“ ხ-ს მაგივრად...“ სიცილით თქვა თიკომ და სიგელი წაიღო.

ბიჭია აქამდე, რაც მოვიდნენ, დიდ ფიქრსა და ყოყმანში იყო, ახლა ეთქვა თავისი სათქმელი, თუ ოთარისა და ზაურისთვის მოეცადა და სამივეს ერთად ეთხოვა თავისი საჭოჭმანო სათხოვარი, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა დაწინაურებულიყო და თავისი წილი სათქმელი წინასწარ ეთქვა, ამაზე ხომ ბიჭიასთვის

ბევრი რამ იყო დამოკიდებული...

„ძია შალვა,“ ბიჭია ხან ბატონობით მიმართავდა შალვას, ხან კი, მეტი სიახლოვისა და შინაურობის აღსანიშნავად „ძიას“ ეტყოდა ხოლმე, „მობრძანდით რაა აქეთ, ბურჯი მინდა შიგნიდანა ნახოთ...“

„ბიჭი, შენ დაბადებული არ იყავი, აქაურობა ნახულიც რომ მქონდა და ზეპირადაც ვიცოდი... რაო, მაინც რა გინდა მაჩვენო?“ და ბატონი შალვა ფეხათრევით წამოდგა. „არა, როგორი თელავი გიკიდიათ, ძია შალვა, ჰა, იქნებ ვინმეს ჩამოუვარდება?! ვტყუივარ? კისერს მოვიჭრი, თუ ვინმეს ეგრე დაეხატნა! აკოპნიავებენ! თვით ელიჩკასიც კი, ზამთრის გარდა, რალაცნაირად კოხტაა! არადა, კოხტა კი არა, ნაღდი უნდა იყოს, ნაღდი!“ და ბიჭია მეორე მხარეს, ბურჯის შესასვლელისკენ წავიდა. ბურჯის ძირი წმინდად იყო შემოგვილი და მეორე მხარეს გაიცინტის კვლები იყო ჩარიგებული, იისფერი და თეთრი გაიცინტები საამო სურნელს აფრქევდნენ. აქედან ბალი მთლიანად იშლებოდა... ბატონი შალვა მონუსხულივით გაჩერდა, მოხუცი ელოს გაბარდული ბალი, აჩოყილი მყრალა ბალახითა და ჭინჭარგადავლილი, წალკოტად ქცეულიყო, შვების მომგვრელი იყო ხალიჩასავით დაფენილი, ხასხასა მწვანე ბალახი, სანიმუშოდ განლაგებული, ერთმანეთს გარკვეული მანძილით დაშორებული ხეები, ისე რომ მთელი ბალი ბოლომდე ჩანდა, ყოველ ხეს ხედავდით, ახლად გაფოთლილ, კოხტად გასხლულ ხეებს, და გეგონებოდათ თვითეულ მათგანს ცალცალკე უვლიდა მზეც და სიოც, უვლიდა და ელამუნებოდა, და ბატონი შალვაც იდგა და შვებით ივსებოდა...

„Дядя Игнат!“ დაუძახა ბიჭიამ მოშორებით, მარჯვნივ, მზის გულზე, ხეივანთან მოფუსფუსე კაცს, „Вы просто молодец!“

კაცი მობრუნდა და მათკენ წამოვიდა. მას გახეხილი, ძველი გალიფე ეცვა, ფეხშიშველა ფეხზე კი კალოშები, სახე ჰქონდა უცნაური, მონითალო-მოყავისფრო და გეგონებოდათ კანის მაგივრად ტყავი აქვს სახეზე გადაკრულიო... „აღბათ მეკობრეებს ჰქონდათ ასეთი კანიო,“ გაიფიქრა ბატონმა შალვამ, „მარილიანი ქარიშხლებისაგან გამოყვანილი და გამოქარული.“ თითქმის ასეც გამოდგა, თუმცა ოკეანის ნაცვლად თურმე ციმბირის პურგა და მწერების ლაშქარი თრიმლავდნენ მის კანს.

გაცნობისა და მოკითხვის შემდეგ, ბატონი შალვასაგან ბალის ქება რომ მოისმინა, კაცმა დაბალი, მოგუდული ხმით, მაგრამ ხალისიანად, ამბის თქმა დაიწყო: „ჩვენთან ზონაში იყო ერთი პატიმარი, ბალებისა და პარკების

სპეციალისტი, პავლოვის იმ ცნობილ პარკში მუშაობდა თურმე აგრონომ-დეკორატორად, ის გვიამბობდა ხოლმე ხეების ამბავს, და ისე გვიამბობდა, ჩვენ სულგანაბული ვუსმენდით, დიდი ფანტაზიური იყო ამასთანავე, ბალი ისე უნდა გაშენდესო, რომ იგრძნობოდეს ხეების მეგობრული ერთსულოვნება და ზრდილობაო, ამისთვის კი აუცილებლად გარკვეული დისტანციაა საჭიროვო, რომ ერთმანეთს ხელს კი არ კრავდნენ, ერთმანეთის დანახვა და სიყვარული შეეძლოთ... რა უნდა გეკითხათ ხისა და მცენარისა, იმას ამომწურავი პასუხი არ გაეცა,.. თან რა გატაცებით... ზოგჯერ რა უსამართლოა ბუნება, ხის ქრახე ვიყავით და დიდმა ნაძვმა იმსხვერპლა... ჰოდა, ამ ბაღს რომ ვუვლიდი, სულ ის ჩვენი პატიმარი მახსენდებოდა, მეც იმისი შეგირდი ვარ.“ „ყამირი იყო, ქვა და რკინა, ნეტავ როგორ გაუტარა ბარი,“ თქვა ბიჭიამ და ბატონ შალვას გადახედა, „ააყვავა აქაურობა... მთელი დღე ბაღში ტრიალებს, მაგრამ ყველაზე ძალიან რამ გამაკვირვა და ხეივანმა, სად ისწავლა ასე ვაზის მოვლა, მთლად განაახლა ძველი ხეივანი და ახალი უწამლიც ჩაყარა...“ „Не в Шампани, а в Китаани, Бичи, в Китаани!“ გაიცინა კაცმა. „ააა!“ აღმოხდა უცებ ბატონ შალვას და შეხედა, „Вы тесть Заури?“

„დიახ, დიახ, სწორედ ზაურის სიმამრი ვარ,“ თქვა კაცმა თავმომწონედ, „სწორედ მისი წყალობით შევიძინე მეორე სამშობლო, ზაური ოქროა, ისეთი გაგებულია, ისეთი გაგებული, იცის ჩემი მეუღლე ჩემთვის რა იყო და ახლა, რაკი მე აქ დავმკვიდრდი, ისიც აქ უნდა გადმოვასვენოთ, აქ მინდა საფლავი მქონდეს და მეც აქვე დავიმარხები.“

„რომ იცოდეთ, ძია შალვა, რა საოცარი ამბავი უნდა გითხრათ,“ თქვა ბიჭიამ და კაცს ღიმილით შეხედა, „წლები გაატარა ზონაში და რომ გაიგო ჩვენს სასაფლაოზე ბესო ჯუღაშვილია დასაფლავებული, გადირია, სწორედ მის საფლავთან ახლოს მინდა ჩვენი საფლავები იყოსო, ხომ ასეა ძია იგნატ?!“

„მაშ როგორ? ასეთი ბუმბერაზის მამა, არც კი მჯეროდა, გთხოვთ მითხრათ, თუ რამ იცით, ან სად ცხოვრობდა, ან აქ როგორ მოხვდა?“

„ოჰ, ღმერთო ჩემო!“ შესძახა ბატონმა შალვამ და გულიანად გაიცინა, „წარმოიდგინეთ იმ ლოთ მეფლანგზე არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ თურმე ამქარმა დამარხა, ბოგანო და უპოვარი.“ „ჰოდა, მე ვუპატრონებ მის საფლავს!“ „აბა, თქვენ იცით!“ და ბატონი შალვა და ბიჭია ბურჯისკენ გამობრუნდნენ. „სტალინის ჰიპნოზური დიდება ამას ჰქვია,“ ჩაილაპარაკა ბატონმა შალვამ, „საკვირვე-

ლია პირდაპირ...“

„აბა, აბა!“ დაემონმა ბიჭია, „რა გგონიათ, უკვე ააღებინა ზაურის საფლავების ადგილი სწორედ ზევით, ეკლესიასთან, და სანამ ცოცხალი ვარ სწორედაც მე უნდა მივხედო იმ დიდი ადამიანის მამის მიტოვებულ საფლავსო...“

„რაც შეეხება ზაურის, ახლა მივხვდი, ვინც არის ზაური, ჯერ ზონა და მერე ყიტაანი რომ ახსენა ამ კაცმა... ასე ათი წლის წინ დიდი პროცესი რომ იყო წვენების გამყალბებლებისა, მაშინ ამბობდნენ ყიტაანელი ზაურია ერთერთი მოთავეო, ასეა არა?“

„ხომ იცით ჩვენი კანონები როგორიც არის, ყოველგვარ ინიციატივასა და კერძო წარმოებას რომ კრძალავს...“ „მახსოვს იმასაც ამბობდნენ, ამდენი ასკილი, ქაცვი და მოცვი მთელ საქართველოში არ არის, რამდენ წვენსაც ეგენი აქ ამზადებდნენ; მერე ხომ ციმბირში ამ წვენებით იმდენი ხალხი მოინამლა და სწორედ ციმბირის გზასაც გაუყენეს ეს შენი ზაური.“ „კარგით რაა, ძია შალვა, ხომ არ შეიძლება ერთი ცოდვისთვის, თანაც ციხეები რო ლესა, და მოიხადა სასჯელი, ყელში ამოვუყვანოთ და თავი ვაგლევიოთ?! აბა, ჰკითხეთ ქვევით უბნელებს როგორი რამეები გაუკეთა...“ „ახლა სად მოღვანეობს?“ „მატყლისდამზადების უფროსია...“ „მერე შენ რაო, რასა გპირდება?“

„აი, ეს ბურჯი, ძია შალვა, აბა, რას წარმოადგენს, არც არაფერს!“ ამბობდა ბიჭია და ბურჯის კედლებისკენ ხელებს შლიდა, „ქვალორლით ნაშენი ჩაშავებული კედლები, ზაურს უნდა აქ მარანი გააკეთოს, მართალია არცთუ ისეთი დიდი მარანი იქნება, სულ ოცი კვადრატული მეტრია, მაგრამ სამაგიეროდ ვისა აქვს ბურჯში მარანი?! ოთხი-ხუთი ქვევრიც თავისუფლად ჩაიგდება და კარგი ტაბლაც გაენყობა, ჰოდა, უნდა კედლები მე მომახატინოს, თემატურად, რა თქმა უნდა, ღამე ძილს მიკრთობს, ძია შალვა, ამაზე ფიქრი და ოცნება, ვენახისა და რთვლის მოტივებით აბდღვრიალებული კედლები... ფერები ფერები... თვალს რო ვერ უნდა სწყვეტავდეთ... მთელი ოცი კვადრატული მეტრია, ძია შალვა, მოსახატი, აბა, წარმოიდგინეთ, ჰონორარსაც რამდენს ავიღებ, ადამიანად ვიგრძნობ თავსა... აქეთ-იქით თავაღერილი რო დავდივარ, დავეთრევი, კიდევ კარგი, რუსმა მხატვრებმა შემამხანაგეს და ზაფხულობით, თქვენც კარგად იცით, თვეობით მივდივარ ხან მოსკოვში, ხან კოქტებელში, ვხატავთ და ხან ტურისტებზე ვყიდით, ხან ისინი საზღვარგარეთ გზავნიან და მეც რაღაცას ვიღებ... აქ კიდევ ხელში მივარდება ეგეთი



სამუშაო... მეც ჩემ სახელოსნოს გავიკეთებ ჩემ ბაღში, ამოვიტყუებ, მერე იქნებ სხვა გზაც გამეხსნას, სხვებმაც მოინადინონ ეგეთი რამეების გაკეთება... ფულსა ჰქაფავენ, ძია შალვა, მერე რამოდენა ფულსა, მშრალი ოპერაციებით და ბანკიდან პირდაპირ ამისთანა ხალხისკენ მოედინება ფული, და უნდათ კარგ სახლკარში დააბანდონ, აბა, მაშ, ჩვენ ფულს კაცი ენდობა? ხან იცვლება, ხან რაა და ხან რაა, სახლკარი კიდევ რჩება, თან ამბობს ადგილობრივ შემოქმედებს ხელი უნდა შევუწყოთო, უნდა ავალორძინოთ ჩვენს ქალაქში ჩამკვდარი სანარმოებით, ჯეჯიმიების ქსოვა იქნება, ლამაზი თექების მოთელვა, - სხვათაშორის ეს ტრაფარეტებიც მე უნდა შემიკვეთონ, - თუ ქაშანურის ნაირნაირი სურებისა და ჯამჭურჭლის კეთება, აი, ეგეთი გეგმები აქვს! მთავარია ამათ შევუწყოთ ხელი, მხარში ამოვუდგეთ, ფულის მკეთებელ ხალხს, რო ან ეს გაკეთდეს, ან ისა, უფულოდ აბა, რა იქნება? ლარიბები რო ვიყავით, იმიტომა ჰქონდა სანყალ ერეკლეს ეგეთი ვითომ სასახლე, არცერთი რაიკომის მდივანი რო არ იკადრებს ესლა..."

„მამა უცხოვნდათ, არ იკადრებს! ჰოდა, ვისაც რა აქვს, იმას უნდა გაუფრთხილდეს, რა ვუყოთ, რომ ჩვენ ისეთი სრა-სასახლეები არა გეჭონია?! ჩვენ სანყალ წინაპრებს ხმაღზე და ხანჯალზე ედოთ ხელი, მადლობა იმათ, რაც შემოგვინახეს, რაც აშენეს და აკეთეს, დიდი მადლობა!“ შეუპოვრად წარმოთქვა ბატონმა შალვამ. ბურჯში თიკომ შემოირბინა: „აბა, ჩქარა წამობრძანდით, სუფრა გაშლილია და ისინიც მოვიდნენ!“ „ოო, ხინკლის გაციება არ იქნება, და არც მწვადისა!“ გაიცინა ბიჭიამ და ბატონ შალვას გამოსდო ხელი.

„თუ მარტო ამაშია საქმე, შენ რასაც ამბობ,“ დანყებული ლაპარაკი განაგრძო ბატონმა შალვამ, „ფრესკები არაფერს ხელს არ შეუშლიდა, პირიქით, ძალიანაც გამიხარდებოდა, თუ ხელი მოგემართებოდა, კარგ მარანს და შენს ფრესკებს რა აჯობებდა?! მაგრამ მითხარი ერთი, ზაური მთლიანად დაეპატრონა აქაურობას?“

„მე იმასა გთხოვთ თქვენ მე გამომინდოთ ხელი, ძია შალვა, ძალიანა გთხოვთ...“ და ბიჭიამ ქვევით გაიხედა, შემოსასვლელისკენ, ჭიშკართან ვოლგა იდგა და კაცები გადმოდიოდნენ, მძლოლი კი საბარგულიდან კალათებს ალაგებდა.

„აბა, ერთი, ვინ არის ეს ზაურიო,“ გაიფიქრა ბატონმა შალვამ და მომავლებს გახედა, ერთი ოთარი იყო, საგანგებოდ გამოპრანჭული, გალსტუკიც კი ეკეთა, „დეიდა ელო ხომ არ ურიგებს ნეტა თიკოსო...“ გაუელვა

ბატონ შალვას, ზაური კი ეცნო, ქუჩაში რამდენჯერმეც შეხვედროდა, მაგრამ ახლა, როცა მითუმეტეს ზაური და ოთარი რალაცას ერთმანეთში გამალებით ლაპარაკობდნენ, დაკვირვებით დაუნყო ყურება, ერთი თალია თვალეზიც კი მონკურა... და დაასკვნა თავის გუნებაში: „წამდვილად ცუდი ამერიკული ფილმის განგსტერს ჰგავსო.“

რომ მოუახლოვდნენ, ოთარი დანინაურდა, ყველას ხმაურით მიესალმა, თიკოს კი ხელი მოხვია და გადაკოცნა. თიკო შეცბა და უკან გადაინია, „Прошу любить и жаловать!“ მოუნოდა მოხუცმა ელომ თიკოს. ზაური ბატონ შალვასთან მივიდა, მაგრად ჩამოართვა ხელი და თავის დაკვრით უთხრა: „მიხარია, ბატონო შალვა, თქვენი მობრძანება.“ მოსული კაცი იყო, სახეც მსხვილი ჰქონდა, მაგრამ ლამაზი, და ღიმილიც ძალიან შვენოდა, „ბებო ელო, მიცვალებულის დღეიოო, რომ მითხარით, კარგი ყვავილები ვაყიდინე ბორიას და სასაფლაოზე გავატანე... აბა, ახლა კი წამობრძანდით, თორემ გაცივდება ყველაფერი.“ და როგორც მასპინძელი და ოჯახის უფროსი, ისე გაუძღვა ხალხს სახლისკენ. „მადლობთ, ჩემო ზაურ, დიდი მადლობა,“ თქვა მოხუცმა ელომ, „მე მუხლებმა მიმტყუნა, ჩემო შალვა, ზაური თუ წამიყვანს მანქანით, თორემ აღმართი სულ აღარ შემიძლია, აი, ესლა ძალმიძს, ჩემი ექვსი საფეხურის ავლა-ჩამოვლა.“ სახლი მაღალი ბელეტაჟი იყო, ქვეშ სარდაფები ჰქონდა, დაბალ, მრგვლად ნაშენ, გოდორა სვეტებზე იდგა სარდაფის სართული. „ამ სახლს ყველაფერი შვენისო,“ გაიფიქრა ბატონმა შალვამ, მოხუც ელოს მოჰკიდა ხელი და კიბეზე ასვლაში მიეხმარა. „მადლობთ, ჩემო შალვა, მაგრამ აქ ამოსვლა ჯერ კიდევ შემიძლია, ოლონდ, „Пора мой друг, пора покоя сердцу просить...“

„არა, დეიდა ელო, მე დღეს სულ სხვა თვალზე გიყურებთ...“ გაიცინა ბატონმა შალვამ, თუმცა ამ სახლის თაობაზე, განსაკუთრებით ბიჭიასთან ლაპარაკის შემდეგ, ეჭვებით იყო მოცული, და არც ტყუილად.

აივანზე ზაურის ცოლი, ელა, შემოეგებათ, ბოდიში მოიხადა, მეშინოდა ბავშვს არ გაეღვიძა და ვდარაჯობდიო, არ მინდოდა სუფრასთან შეენუხებინეთო. ახალგაზრდა ქალი იყო, ალბათ, ერთი ათი წლით უმცროსი თავის ქმარზე. წვრილი, წვრილი ხმა ჰქონდა და განზე გაზიდულ, ძალიან შავ თვალებს სასიამოვნოდ ნაბავდა... დარბაზში ლამაზად იყო სუფრა გაშლილი, ძველებური, სალათისფერ გრეხილებიანი წმინდა ფაიფურით, და საერთოდ, ამ დარბაზში, ძველი სახლის მყუდრო, მზიან დარბაზში, ბატონ შალვას,

მშვენიერების, და განსაკუთრებით კი გარდასული მშვენიერების, მოტრფიალეს, ყველაფერი ესალბუნებოდა, თალიანი კარ-ფანჯარაცა და გასანთლული, გრძელი, გრძელი თელის ფიცრების იატაკი, კედელზე დიდი, ლურჯი შირვანული ხალიჩა, ტახტზე კი კანვით ნაკერი შალის ბალიშები და მუთაქები, ძველებური ფოჩიანი სავარძლები შინდისფერი ხავერდისა, ფანჯარასთან, კუთხეში კი, სამფეხა, მაღალ დასადგერზე ტატოს ფერწერული პორტრეტი, დიდი გზნებით დახატული აბასთუმანში ვილაც ავადმყოფი მხატვრის მიერ, და გვერდით კედელზე ჩამოკიდებული მანდოლინა, მაგრამ რა იზიდავდა აქ ყველაზე მეტად, ყოველ მოსვლაზე, თითქოს პირველად ნახაო, ისე რომ შეაჩერებდა ხოლმე მზერას, ეს, მაგიდის გადაღმა, ტაძარივით აღმართული კაკლის ხის კარადა იყო; კარადას აუურულ-ჩუქურთმიანი გვირგვინით კარნიზი ედგა, ზედა ნაწილის კარებებს მაქმანივით ჩუქურთმა ჰქონდა შემოვლებული, ქვედა ნაწილის კარებებზე კი, ერთმანეთისკენ ნისკარტგანვდილი წეროები სხვადასხვა ჯიშის ხის მასალით იყო ენკრუსტირებული და მათი ოდნავ გაშლილი ფრთები ბზისა, ნამივით მიმოზნეული სადაფებით, და სადაფისავე თვალები, გადასული მზის გამობაბულ სხივებზე ოქროსფრად კიაფობდა.

მძლოლი ბორია კალათებიდან სათითაოდ იღებდა ღვინის და ბორჯომის ბოთლებს, შოთის პურებს, ყველს, ელა და თიკო მაგიდაზე ანაწილებდნენ სანოვაგეს...

მოხუცი ელო ერთბაშად გაფაცვიცდა, ხუს-ხუსით წავიდა კარადისკენ, გამოალო ქვედა კარი და შეიხედა, მერე გამოტრიალდა, ტახტთან მივიდა, ბალიშები ასწია სათითაოდ, ზაურიმ გააყოლა თვალი და გაეღიმა: „ელა! Помоги бануле!“

ელამ სუფრას თავი ანება, მოხუცთან მივიდა და მეორე ოთახში გაიყვანა. „სულ ავიწყდება, რომ კბილებს ტუმბორკაში ჩასდებს ხოლმე, აი, ასე იწყებს სანყალი ბორი-ალსა და ძებნას.“ თავის გადაქნევით თქვა ზაურმა.

„თიკო, შენ დაბრძანდი, ბორიას მე და ბიჭია ვუშველით...“ ოთარმა ტკბილად გაუღიმა თიკოს, ხელი მოხვია და სკამზე დასვა. „მე იქით მინდა დაჯდომა!“ თიკო მყისვე წამოდგა და ბატონი შალვასკენ გადმოვიდა.

ბიჭებმა ქვაბებს დაავლეს ხელი. „იცოდეთ, ბიჭებო, აქ სხვადასხვა ხინკალია, ხორცისა, ხაჭოსი და სოკოსი, და ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ,“ თქვა მძლოლმა. ხინკალს ორთქლი ასდიოდა, ბიჭები დიდ სინებზე ჰყრიდნენ.

„ბებო ელოც ეხლავე მოვა, ჩვენ დავსხდეთ, ბატონო შალვა, თქვენ თქვენი მონონებული კარადის პირდაპირ დაბრძანდით, თან სუფრის თავშიც იქნებით.“ შესთავაზა ზაურმა. „კი მაგრამ საიდან იცით, რომ მე ეს კარადა მომწონს?“ გაიოცა შალვამ. „თუმც არ არის ძნელი მისახვედრი... შესანიშნავი კარადაა.“ „შემოსვლისთანავე ისე შეხედეთ, რომ მივხვდი, მე კი სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც თვალში არ მომდის... მწვადი სადღაა, ბორია? მეტისმეტად დიდია ეს ბუფეტი“.

„ვითომ არ გაცივდეს მეთქი, თბილად იყოს.“

„წამოყარე, წამოყარე, ზოგს იქნებ მწვადით უნდა დაიწყოს, ხახვი ხომ აქვს დაჭრილი?“ „კანემნა.“ ბორიამ მწვადით გაავსო მეოთხე სინი, და ქვაბებიანი კალათები გარეთ გაიტანა. მოხუცი ქალი და ელაც შემოვიდნენ, ელო თავს ატოკებდა და მორცხვად იღიმებოდა, პირზე ხელს იფარებდა.

ყველანი სუფრას შემოუსხდნენ, ზაური, ოთარი და ბორია ერთ მხარეს, ბიჭია, თიკო და მოხუცი ელო მეორე მხარეს, ბატონი შალვა და ელა კი სუფრის თავსა და ბოლოში. „ძია იგნატი გაზეთებზე წავიდა და შემოგიერთდებითო,“ ბორიამა თქვა, „რა კაცია ეს ჩვენი იგნატი, რა კაცი, ბიბლიოთეკისა და გაზეთების გარეშე ერთი დღე არ შეუძლია გაძლება.“

„აბა, ბებო ელოს მთავარი ხინკალი, ბიჭი, ბატონო შალვა, რომელი მოგართვათ?“ „რამდენი ხანია, ჩემო შალვა, ამ სახლში სუფრა არ გაშლილა, სტუმარი არა ყოფილა... მე ხაჭოსი, ბიჭი, და ცოტა ერბოც დამისხი.“

„ოჰოჰოჰო, რა ხინკალია, ტყუილია, გიგოს ხინკალს ხინკალი არ შეედრება, თუშები გარეულ ქონდარს რო უკეთებენ, იმათგან გადმოიღო და როგორ უხდება... თიკო, რაღა სოკოსი აიღე, ჯერ ხორცისა ნახე, ხორცისას არცერთი არ შეედრება.“ ოთარმა თიკოს სინი მიანოდა. „კარგი რაა, ოთარ, მე რაც მინდა, ის უნდა ავიღო.“ რა უხეშად ვიქცევო, გაიფიქრა თიკომ, მაგრამ ვერ ვიტან ვერავითარ გარიგებასო. „ბებო ელო,“ და ოთარმა მოხუც ქალს თვალი ჩაუკრა, „მოდით და ამისთანას პატივი ეცით...“ თან გაიცინა. „თიკო, იცოდეთ ოთარი არ გამიბრაზო!“ ელომ თითი დაუქნია თიკოს. „სტუმარი არ უნდა მოგაკლოთ, ბებო ელო, თქვენ ოღონდ თქვით და, სტუმარი და ხინკალი ჩემზე იყოს, არა, სხვა რამეც, რა თქმა უნდა, რასაც დაგპირდით, წყალი არ გაუვა, ეხლა კი, ხომ იცით, ხინკალი მისავალია, თან უდროოდ წასული ვახტანგის მოგონებაა დღეს, თან მიცვალებულის დღე ყოფილა და

ბებო ელოს შვილის მოსაგონარი დავლით, ისეთი ღვინოა, ეჭვი არ მეპარება, დასცლით, ასეთმა ღვინომ გადაატიანა ჩვენ ქვეყანას თათრობა და კოლექტივიზაცია, მიაგებოს იმ კარგ კაცს, წინ დახვდეს!“ და ზაურმა სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა.

ღვინო მართლაც დიდებული იყო, საფერავი გრძელი მინდვრისა, ენას სასიამოვნოდ ეკიდებოდა. „ჩემი შვილის სადღეგრძელო მინდა დავლიო,“ მოხუცმა ელომ ჭიქას ხელი მოჰკიდა, ნელა აიღო და ხინკალს დაანვეთა, „ბოლო დროს ერთი მთვარიანი ღამე არ გაუშვა, რომ არ გამომცხადებოდა, ამას წინათაც, მთლად რომ გაივსო მთვარე, რაღაცა უზარმაზარი გახდა, თან შუქურასავით ლაპლაპებდა, ჩემი სანოლი ოთახი გაჩირაღდნებული იყო, აივნის ფილაქანზე გეგონებათ ნიავმა გაიშრიალაო და ფანჯარას ჩრდილი მოადგა, ტატო იყო, ჩემი ბიჭი. რა კარგიაო, რომ მარტო აღარა ხარო, ასეთი ხალხი შემოვიდა ჩვენს სახლშიო. ჰოო, მეთქი, ჩემო ბიჭო, მეც ვეუბნებოდი.“ „მადლობთ, ბებო ელო, მადლობთ, იცოდეთ, ეგ ერთი პატარა ჭიქა უნდა დაცალოთ“. „ღვინო კი სანიმუშოა, ჩემო ზაურ, ჩვენმა კარგმა ნევროპათოლოგმა, ქალბატონმა ნინომ, მირჩია, უებარიაო, აუცილებლად ყოველდღე დალიეთ თითო ჭიქაო, სავსეა ვიტამინებით და ძალას შეგმატებთო...“ ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა, ბორიამაც, რომელიც კი არ ჭამდა, სანსლავდა ხინკალს, იმანაც კი შეაჩერა ყბების თქარათქური. სიჩუმე ბიჭიამ დაარღვია: „ძია შალვა, საქმე რო იყოს, აი, ძაან თუ გშიათ, რამდენ ხინკალს მიირთმევდით? გიგოს ხინკალს, ცხადია“. „ათს... შეიძლება თორმეტამდე ავიდე, თუ მთელი დღის მშიერი ვარ“, „კარგით რაა, ათი და თორმეტი რა არის? ჩემთვის ნორმალა ოცდახუთი, აი, ეს ვაუბატონი კი“, ზაურმა ბორიას გადახედა, „ორმოცდაათს ერთს არ დააკლებს, თან ისე გადაუშვებს, ნაოჭს არ გაუფუჭებს.“

„რაც მართალია, მართალია, ხინკალზე ძლომას ვერ ვიგებ და რა ვქნა...“ თქვა ამ ბორიამ. „ეს სინები არ მომწონს, ქალებო,“ თქვა მოხუცმა ქალმა, „აბა, რა არის ამ მშვენიერ ჭურჭელთან სპილენძის სინები?!“ „სერვიზის ფაიფურის სინები, დიდი ჯამები და სანვნეები ძალიან ღრმად იყო შელაგებული, ლამის შეძრომა იყო საჭირო კარადაში და მე და ელამ ასე გადავწყვიტეთ, რას ერჩით, ბებო ელო, მშვენიერი სინებია...“ „ჩემთვის უნდა გეთქვათ, თიკო, ჩემთვის და სინებს კი არა, არ ვიცი რას ვიზამდი, „მთას ბარად ჩამოგიტანდი!“ ხუმრობის კილოთი, ღიმილით თქვა

ოთარმა. „ოჰ, რა ჩაშაქრულად მიღიმისო...“ უსიამოვნოდ გაიფიქრა თიკომ. „ამას ვგულისხმობდი, ბატონო შალვა, წელან კარადაზე რომ გეუბნებოდით, მეტისმეტად დიდია მეთქი, მართლა შიგ შეძრომაა საჭირო, შეძრომა ან აფოფხება, ისეთი განიერი და მაღალია, შეადარეთ ჩეხურ ახალ ავეჯს, რა მოსახერხებელია.“ ამბობდა ზაური. „არც შევადარებ, დაპრესილი ნახერხის ავეჯს ამ შესანიშნავ კარადას, ეს, დიდებული ოსტატის, იყალთოელი კოტე ბოტკოველის ნამუშევარია, მას ჰქონდა მასალაში ნვდომის ასეთი უნარი, შეხედეთ, რა სინატიფით არის გამოყვანილი ჩუქურთმის ყოველი ნაკვთი, და როგორი მრავალფეროვანი, თუ მრავალსახოვანია ეს ჩუქურთმა, ამიტომ იყო სათავადაზნაურო ბანკის კარ-ფანჯრის მოჩუქურთმება სწორედ კოტე ბოტკოველს დაავალეს, ბანკის, ანუ ახლანდელი ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკის, შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ნახოთ...“ და ბატონ შალვას თვალწინ დაუდგა ადრე ახალგაზრდობაში ნანახი თვითონ კოტე ბოტკოველი, „კეთილალნაგი“, თავმომწონე კაცი, ბუნკა თმებითა და მოგრძო, ჩამოქნილი სახით.

„ო, როგორ მიყვარს... როგორ მიყვარს...“ ისეთი გზნებით წარმოთქვა თიკომ თავის გუნებაში, ლამის შეეშინდა, სიტყვები თვითონ არ გამომიფრინდეს პირიდანო, ტუჩებზე ხელი მიიფარა და თავი ჩალუნა. რად არის, რომ ვინც გაღელვებს, ის ყოველთვის ლამაზიაო... ყოველთვის, ყოველთვის მშვენიერიაო... და ვინც არ გაღელვებს, როგორც მაგალითად, აი, ეს ოთარი, ის არც კი იცი როგორიაო, უშნო თუ მოსაწონიო, ე.ი. ყველა შეიძლება იყოს მშვენიერი და იგივე ყველა შეიძლება არც კი იცოდეს როგორიაო, ამიტომაც ყოველთვის... ყველგან... და ყველაფერში მთავარი სიყვარულიაო... და მაშინ, მას ვისაც ოთარი ააღელვებს, ეს ყვითლად გამოწყლული პრიალა გალსტუკი, რის გამოც მე ის ლამის პამპულა მგონია, შეიძლება ძალიანაც მოენონოსო... მაგრამ მე რა ვქნა, რა მოვუხერხო ამ ჩემს მღელვარებასო? აი, ასეთ ფიქრებს მოეცვა გრძელი მინდვრის ღვინითა და სიყვარულით აფეთქებული ჩვენი თიკო, და ის ამ ფიქრებიდან სწორედ ბატონი შალვას სიტყვებმა გამოარკვია: „ბიჭიამ მითხრა თქვენი განზრახვის შესახებ, ბურჯში მარანი გამართოთ, მეც მქონდა სურვილი, მებრძოლა და ამ სახლში მუზეუმის ფილიალი გაგვეხსნა, ქალაქს შეესყიდა, დეიდა ელოს ყველა უფლების დაცვით, მაგრამ...“ „არა, ჩემო შალვა, არა, არა, არა!“ აღელდა მოხუცი ქალი, „შენ არ იცი, რა არის უძღური ადამია-

ნის მარტოობა, წყლის მომწოდებელი და ხმის გამცემი რომ არავინ გყავს, ეს ხალხი კი... ეს ვითომ უცხო ქალი... უცხო კი არა, ისეთი ახლობელი გახდა, მეტი რომ არ შეიძლება, შვილივით მეპყრობა, ბავშვივით ჩამსვამს აბაზანაში, დამბანს, გამაკრიალებს, დაუზარებლად, ტკბილად... ბიჭუნაზე ხომ აღარაფერს ვამბობ, ამ ბავშვით მიდგას სული...“

„ნუ ღელავთ, დეიდა ელო, ჯერჯერობით ეს ისე ძნელია, სწორედ ეს მინდოდა მეთქვა, და კიდევ უფრო გაძნელება, რადგან ჩვენ ახლა მთელი ერეკლეს ბალი და დიდი ფლიგელი მივიღეთ, ინსტიტუტის გადასვლის შემდეგ და სახელმწიფომ ისეც დიდი თანხა უნდა გამოგვიყოს სარესტავრაციოდ.“

„ძალიან კარგი, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ,“ თქვა ზაურმა და ბატონ შალვასა და ქალებს ღვინო ჩამოუსხა, „ჩვენი საქმე კი ისეა, ბატონო შალვა, როგორც თვითონვე ბრძანა, ბებო ელომ თავისადა გვცნო, მე სახლსაც მივხედავ, კარსაც, ბებო ელოსაც, არაფერს არ მოვაკლებ, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ყველაფერს გაუუკეთებ, სახლის ფულსაც გადავუხდი, როგორც შეაფასებენ, ამ ფულით გინდ ჩიტებს აბაზიანები ესროლოს და გინდ საქველმოქმედოდ გამოიყენოს, უპატრონო ბავშვების დახმარება იქნება, თუ ძეგლების რესტავრაცია, როგორც თვითონ ინებებს, მეე მუქთად კი არ მინდა, მუქთი და არამი ეშმაკისაა. რაც შეეხება მარანს და ბიჭიას ფრესკებს, ეს უკვე თქვენზე დამოკიდებული.“

„ვაიმე, ვაიმე, ვაიმე ახლა დაიწყება რაც დაიწყება.“ გაიფიქრა თიკომ.

„ჩემზე?“ ბატონმა შალვამ წარბები აწკიპა, „რატომ ჩემზე? ქვევრების ჩაყრაც შეგიძლიათ და მოხატვაც, ამით ბურჯს არაფერი არ დააკლდება, პირიქით...“

„თქვენი ხელის მოწერაა საჭირო, ბატონო შალვა, სხვა არაფერი.“ გულლიად, თითქოს რაღაც უბრალო და უმნიშვნელო რაღაცას ეუბნებო.

„ძალიან მომინდა მწვადი, მგონი გაცივდა კიდევ ამასობაში, ხბოსია?“ ბატონმა შალვამ თეფში ზაურს მიაწოდა მწვადის გადმოსალეზად. „და რა ხელისმოწერაზეა ლაპარაკი?“ ზაურმა მწვადის ნაჭრები დაულაგა თეფშზე ბატონ შალვას. „ოჰოჰო, რა სურნელოვანია, შესანიშნავი მწვადია, ცვრიანი და რბილი.“ ამბობდა ბატონი შალვა ხაზგასმით.

„ო, როგორ მიყვარს,“ გაიფიქრა ისევ თიკომ, „ვითომ ვერ მიხვდა რა ხელისმოწერაზეა ლაპარაკი და შაყრობს... ღმერთო, რა სისულელეა ჩემი ასეთი მღელვარება, რა კაი რამეა, უნდა აგრძნობინოს, რომ მწვად-

სა და ხელის მოწერას არავითარი კავშირი ერთმანეთთან არა აქვს... იცოდეთო... რომ მწვადი მწვადია და ხელისმოწერა ხელისმოწერააო...“

„რაა, ბატონო შალვა, და მინდა აქაურობა ჩემებურად მოვნათლო, ამაზეა ლაპარაკი, და თქვენც დასტური მოგვცეთ, მხარში ამოგვიდგეთ, მეცა და ბიჭიასაც... და ოთარსაც...“

ბატონმა შალვამ ერთბაშად შუბლი შეიკრა და ჩანგალი დადო: „რა მინდა იცით, გითხრათ, კარგად დამიგდეთ ყური, მეთვრამეტე საუკუნის ეს ერთადერთი სახლია დარჩენილი, თან რა შესანიშნავი სახლი, რა კარგად შენახული, და ამ სახლის ხელის ხლება, გარდა რესტავრაციისა, არაფრით არ შეიძლება!“

„კარგით რაა, ძია შალვა, თქვენ ხომ არ იცით ჩვენ რა გეგმა გვაქვს!“ ბიჭიამ ხელსანმენდით გაიწმინდა გაქონილი ტუჩები და შალვას საყვედურით შეხედდა: „მამაპაპეულად აქაურები ვართ მე და ოთარი, აქა გვაქვს ჭიპი მოჭრილი და ჩვენი ქალაქისთვის ცუდს რად მოვიწოდებთ?!“

„შეგვეკითხეთ მაინც რა ჩანაფიქრი გვაქვს,“ თავი წამოყო ახლა ოთარმა, „რა და როგორ გვინდა, რას ვაპირებთ, ხო არ შეიძლება ეგრე, ბოდიში და ყალყზე რო დგებით!“

ოთარმა გაბუტულივით გამობუშტა თავისი წითელი, ხორციანი ტუჩები.

„მაშ, იცოდეთ,“ მიუბრუნდა ბატონი შალვა ზაურს, „თქვენი ჩანაფიქრები სხვაგან განახორციელეთ, ან არადა, გაუკეთეთ რესტავრაცია ამ მშვენიერ სახლსა და იცხოვრეთ, მე რა დამშლელი ვარ, თქვენთვისაც კარგი იქნება და დეიდა ელოსთვისაც...“

მოხუცი ელო ჩაჩუმებული დასცქეროდა თავის თეფშსა და ნახევარ ხინკალს, შალვას სიტყვებზე გაუგემურდა, ლუკმა პირში გაუჩერდა, აღარ მოუნდა ჭამა, თითქოს კარგად ვერ გაიგონებდა მათ ნათქვამს, არადა, უნდა ყველაფერი კარგად გაეგონა და როცა საჭირო იქნებოდა, ჩარეულიყო კიდევ.

„არა, არა, ბატონო შალვა, მარტო რესტავრაცია კი არა,“ დაიწყო ისევ ოთარმა, „ეს ხომ თავისთავად გაუკეთდება, ჩვენ რა გვინდა, იცით, სახლს ძალიან ღრმა საძირკველი აქვს და ძალიან მაღალი სხვენი, ქვევით ჩაითხრება და შესანიშნავი გარაჟი გაკეთდება, ზევით კიდევ აიწევა და შესანიშნავი ორსართულიანი სახლი გამოვა, მაღლაც ასეთივე სვეტებით, როგორც დაბლა, თანაც კოხტა რიკულებიანი, ბურჯთან პატარა ხიდი გაიდება, ბურჯზე ტერასა გაკეთდება თავის ხეივანით, მარანიც დაცული იქნება და თან რა ხედი გაიშლება, ირგვლივი, კავკასიონის-

კენაც და ცივისკენაც, ხომ იცით, ხედითა ფასობს სახლი, თუ არადა, ნახავთ და ძალიანაც მოგეწონებათ! ყოჩაღ ბიჭებოვო, შეგვაქებთ კიდეც!”

„ვერაფერსაც ვერა ვნახავთ!“ შეუპოვრად დაიწყო ბატონმა შალვამ, „იმითომ რომ, რაც თქვენ განგიზრახავთ, შეუძლებელია, არა მაქვს უფლება! არავითარ შემთხვევაში! განა არ კმარა, რაც დაინგრა, განადგურდა, რასაც მიაშენეს, მოაშენეს, დააშენეს, ჩააშენეს, ეს ერთერთი უიშვიათესი სახლია, თან ქალაქის ცენტრში, ასე მთლიანად დარჩენილი და ესეც გინდათ იავარპყოთ და გაანადგუროთ? და თან ჩემი ხელშეწყობით?! სადაური ამბავია, როგორ მოანერეს სხვებმა ხელი, როგორ!!!“ და ბატონმა შალვამ ჯიქურ შეხედა მის მოპირდაპირედ მჯდომ ოთარს.

„გავიწყდებათ, ბატონო შალვა,“ წამოენთო ოთარიც, „რომ მე ქალაქის მთავარი არქიტექტორი ვარ და გაფუჭებას და განადგურებას არ დავუშვებ, იგივე იქნება, ოღონდ სართული დაემატება, ხალხმა ხალვათად იცხოვროს, ეგ არის და ეგა, ახალი კრამიტი დაეხურება, სვეტები გაენმინდება, დაფუტურავებული კარფანჯარა განახლდება, სახლი ფუნქციით თანამედროვე სახლს დაემსგავსება, ბოლოს-ბოლოს დანგრევას ხომ არ ვამბობთ, აშენებას ვამბობთ!“ „და სიტყვაზე, ძია შალვა,“ ჩაერთო ბიჭია, „დანგრევაც რო იყოს, ამისთანა სახლი კი არა, რალა არ დანგრეულა, ბაბილონის გოდოლი დაინგრა, ტროა დაინგრა, დრეზდენი დაინგრა... რომელი ერთი ვთქვა, რომელი ერთი!“ „ბატონმა შალვამ კი,“ წამოიძახა თიკომ, „ხომ გახსოვს ბიჭი, არაფრით რომ არ დაანგრევიანა გასპაროვების შესანიშნავი სახლი. ტრაქტორი მოიყვანეს, უკვე მეოთხედი სახურავი იყო მოხდილი, რამდენი იარა რაიკომსა და ძეგლთა დაცვაში, არ დაანგრევიანა და სახურავიც აღადგენინა. ისე რომ ფრთხილად!“ ბიჭია თავს იქნევდა და ხელებსა შლიდა, ზაურსაც გადახედავდა ხოლმე, ხომ კარგად ვუტევთო, ზაური კი ხმის ამოუღებლად ადევნებდა თვალს და მიუპყრობდა ყურს ამ პაექრობას და სახეზე ნატამალს ემოციისას, ან რაიმე აზრისას ვერ შეატყობდით, ბატონ შალვას გაუელვა კიდეც აზრმა, ეტყობა ზონაში დაიყენა ასეთი ნილაბიო...

„ჯერ ჩაიხედეთ ჩვენს პროექტში, ცალი თვალთ მანც დახედეთ, სტილი დაცულია თუ არა, ყველას მოენონა, ყველამ მოანერა ხელი, ყველამ და თქვენ უნდა შეგვაფერხოთ, თქვენაა, თქვენაა?!“ ოთარმა მებრძოლი მამალივით წინ წამოსწია თავი და თვალელებიც ბრაზით აენთო.

„აი, სწორედ მე!“ შესძახა ბატონმა შალვამ, „დაგავიწყდა, ეს შენ გავიწყდება, რომ ქალაქის მთავარი არქიტექტორი ხარ და ასეთ გარიგებებზე არ უნდა მიდიოდე, არა! ლამის ვინანო, აკადემიაში რომ აბარებდი და ლეოსა და ლონგოს ვთხოვე, ნიჭიერი ბიჭია და ყურადღება მიაქციეთ მეთქი! ძალზე გამიხარდა მთავარ არქიტექტორად რომ დავნიშნეს, ქომაგად მოეგლინება ჩვენს ქალაქს და რაც გადარჩა, იმას მაინც სათანადოდ მოუვლის მეთქი, აბა, წარმოიდგინეთ, როგორ ერთბაშად გალარობდება ჩვენი ცხოვრება, რომ არ იყოს ეს ბურჯები, და ეს გადარჩენილი ღერაღერა სახლები, ისე არ ჩავივლი ბატონის წყლისკენ, გული არ დამწყდეს და ბოლმით არ ავივსო, აღარ ინახვება იქაურობა, ბევრი ვიბრძოლე მე მაშინ, მაგრამ ე.წ. გენერალურ გეგმასთანა და ჩინოვნიკებთან ვერაფერს გავხდდი, და ის მყუდრო, ინტიმური კუთხე, ხევის ჩუხჩუხით, დიდებული ალვისხით, ბურჭულაძეების, რუსიშვილებისა და ჯორჯაძეების ისტორიული სახლებით შეენირა იმ იდიოტურ გენერალურ გეგმასა და მოლიავებულ, ქარახინა და უშნო მოედანს, ყოველი სახლი ნუსხაში იყო შეტანილი, მაგრამ ასე დასრულდა ეს ამბავი. „შეიძლება წარსულს ხაზი გადავუსვათ? წარსული ხომ ამთლიანებს ჩვენს ყოფას?!“

„მაგ შემთხვევაში თქვენ სრულიად მართალი ხართ, საშინელია ის მოედანი და რომ იცოდეთ იმ უზარმაზარ ალვის ხეს რომ ჭრიდნენ, მე იქ ვიყავი და ვტიროდი, ასე მეგონა გმინავდა და ოხრავდა... მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია, ძია შალვა, იქ დაინგრა და აქ კიდეც ამავე სტილით უნდა უკეთესად გაკეთდეს...“

„ოჰ, ბიჭი, ბიჭი,“ ლამის ღალადისივით აღმოხდა ბატონ შალვას, „თქვენ ეტყობა გგონიათ, რომ განცდები... გულისთქმა... სულისკვეთება მიდის და ქრებაა?! ეგ არ იფიქროთ, არა, ამ სახლებში რჩება, ამ მშვენიერ ძველ სახლებში, და როცა ჩვენ ვარღვევთ, ვასხვაფერებთ, ჩვენ ხელგყოფთ გარდასული თაობების სულისკვეთებასაც, მათ გრძნობას მშვენიერებისას, რომელიც მათ ჩააქსოვეს და განახორციელეს ამ მშობლიურ კედლებში და თქვენ გინდათ წაშალოთ იმ ადამიანების კვალი?!“

„ღმერთო, რა დონკიხოტია და რა საყვარელია,“ გაიფიქრა თიკომ, „და როგორ უხდება ეს ნაცრისფერი პიჯაკიც და ლურჯი პერანგიც...“

„მესმის, მესმის თქვენი გულისთქმა, ბატონო შალვა!“ ბიჭია უკვე ძალიან იყო აღელვებული და ამიტომ მიმართა ბატონობით, „მაგრამ თუ ვიცი ძველზე უკეთესი ახალი

შეიქმნება, რატომ უნდა ჩამოვეკიდო ძველს და დახვასებულს და რატომ არ უნდა ავალორდინო ახლებურად, ტყუილუბრალოდ ხომ არ მინდა, ხომ უნდა გავასწორო დღე და ღამე, ხომ უნდა ჩავინყვიტო გვერდები, ხომ უნდა ჩავინყალო თვალები, დავიბუჟო ხელები, ხომ უნდა ვივინო ოფლი, ხომ უნდა გავიძრო ცხრაპირი ტყავი, იმათი გულისთქმა გულისთქმაა და ჩემი არაა?! რას წარმოადგენს ეს ბურჯი, გამაგებინეთ, რაას, შეადარეთ ყორის აშენება და ფრესკების ხატვა, შეადარეთ!“

„რას წარმოადგენს და ჩვენ საცოდავები ყორეებს რომ ვაშენებდით დღენიადაგ, როგორმე შევეფარებოდით და თავი გადაგვერჩინა, ამას წარმოადგენს, ამას ნიშნავს! ჩვენს მუდმივ ბრძოლას ნიშნავს გადარჩენისთვის, ახლა რო ზიხარ და ხინკალს მიირთმევ, ამას ნიშნავს! შენ კიდევ ვინ გიშლის ხატვას, ადექი და დახატე ფრესკები, თუ ასე გერჩის გული, ვინ გიშლის!“ „ვინ მიშლის და თქვენ მიშლით და დიდი მადლობა, სახლი თუ თავის გემოზე არ გააკეთა ზაურმა, ეს ბურჯი რილას მაქნისია, მე მოხალისე ჯარისკაცი კი არა ვარ! დამკვეთია ეს ადამიანი, დამკვეთებს გუნდრუკი უნდა ვუკმიოთ, ერთი არ შეეკვეთა პაპს მიქელ-ანჯელოსთვის სიქსტეს კაპელა და ვნახავდი რას დახატავდა! მაპატიეთ და თქვენ რა გენაღვლებათ?! თქვენი ელიზბარი ცოლშვილით ალჟირშია და სერთიფიკატებში ბანაობს, ფორტეპიანოზე კიდევ ვინ აღარა სწავლობს და ყველას დეიდა ლელიკოსთან უნდა და ვინც არა სწავლობს, ზის და ტირის! მე რაღა ვქნა... მე რაღა ვქნა...“ ბიჭიას ხმა გაეზარა, სავსე ჭიქას დასწვდა და გამოცალა. „ბიჭი! ბიჭი! რა არის ეს!“ შესძახა თიკომ, „ელიზბარი ექიმი და შენ ხომ, შენ თვითონ თავისუფალი პროფესია აირჩიე! რაა, შენი ბედია დამოკიდებული ამ ბურჯზე და ფრესკებზე თუ რაა! რატომ გაიგიჟე ასე თავი, შენ ხომ ერთი ვილაც გაუგებელი არა ხარ! ახლა კი სმენა იყოს და გაგონება, ბატონო ზაურ, თუ შეიძლება ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლება მომეცით.“ „ერთი კი არა, ორი ბრძანეთ.“ და ზაურმა თავი დაუკრა. თიკომ ჭიქა აიღო ხელში, წამოდგა, „ამ ჭიქით აქედან წასული ადამიანების სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთო“, და სადღეგრძელოს თქმა დაიწყო, „მე რაღაცას ვნერ, არ ვიცი ნამდვილად, რა გამოვა, მაგრამ შეიძლება ასეც დამთავრდეს: ერეკლეს მეჯინებეთუხუცესი სოსიპატრე ორბელიშვილი, მისი ვაჟები ხიმშია, ღვინია, ვამეხი, გუგუნა, შიოში და ქალ-სიძე, მზევინარი და გიუნა ვახვახიშვილი, ასე უსხედან მაგიდას 1803 წლის შემოდგომაზე და სადი-

ლობენ, ეს გამოსათხოვარი სადილია, ვაჟები, ერთ დროს ბატონის ციხეში, ერეკლეს კარზე დანინაურებულები, ახლა კი ჩამოქვეითებულები, ბატონის ციხიდან რუსების მიერ გამოდევნილები, ბატონიშვილებს მიჰყვებიან რუსეთს... ცხენები შეკაზმულია, ურმები შებმულია, საგზალი გამზადებულია. სოსიპატრეს პირში ნერწყვი გაუშრა, ლუკმა ვერ გაღეჭა, ვაჟების დედა, მაკრინე, ელდანაკრავი ურბენდა მაგიდას გარშემო, და ხან თავის შვილებს ეხვეოდა, ხან დაზაფრულ ქმარს ამხნევებდა. ამბავი გადანყვეტილი იყო, მაგრამ სუფრიდან რომ წამოიშალნენ, სოსიპატრეს გული ამოუფუფედა და შებლავლა შვილებს: სად მიდიხართ რო მიდიხართ, რა პასუხს აძლევთ ან ჩვენს მიწაწყალს, ან თქვენს სახლკარსაო. ბატონის ციხეში რუსების პარპაშის ყურებას გადახვენა გვირჩევენიაო, ჩვენ აქ აღარ გვედგომებაო, ჩაესვენა ჩვენი მზეო, იქიდან მივადევნებთ თვალს აქაურ ამბებს და როცა ჟამი დაჰკრავს, ყველანი დავბრუნდებითო. მაგრამ მათთვის ჟამმა აღარ დაჰკრა, ერთი დარჩა მამასთან, შიოში, დანარჩენებმა კი იქ ჩაყარეს თავისი ძვლები. შიოშიც, მამაცთა შორის უმამაცესი, კახეთის აჯანყებას შეენირა. დარჩა სანყალი სოსიპატრე, მოხუცი და ჯანგატეხილი, დარდითა და ვაებით გულგამოჭმული, ერთი შვილიშვილისა, პატარა ვახტანგისა და შიოშის ქვრივის ამარა, და დარჩა თელავი, და ჩვენი თელავი, სამეფო ქალაქი, დიდი იმპერიის შორეული გარეუბნის სამაზრო ქალაქად იქცა, ანუ ღრმა პროვინციად. გთხოვთ დავლიოთ სოსიპატრეს განიავებული ოჯახის სადღეგრძელო.“ თიკომ ღვინო მოსვა და დაჯდა. სადღეგრძელო აიტაცეს, ვახსენოთ, ვახსენოთო. ოთარმა კი, აფსუსი არ არის თიკოს უკვე შვილები არა ჰყავდეს, და ზღვაპრებს არ უამბობდესო?! „ჰოდა, ძია შალვა, სოსიპატრე გალმიდან მოგვინოდებს, რომ ალორძინდეს ეს ოჯახი, ბებო ელომ წასვლისას შვინდის ჯოხით არ გამოიჯაროს კარი და საფეხური არ აბალახდეს, დაე, დამკვიდრდეს ამ სახლში ახალი სიცოცხლე!“

ოთარმა განსხვავებული სასმისი მოითხოვა და ქაშანურის პანია სურით ჩაარაკრა-კა გრძელი მინდვრის ღვინო, „ჰოო და ჰოო, ბატონო შალვა, გაბედეთ, მოაწერეთ ხელი და მერე თქვენც კმაყოფილი დარჩებით და ჩვენც ყველანი!“ მაგიდის გადალმიდან ხელი გამოუნოდა ჩამოსართმევად, ბატონი შალვა კი სიბრაზისგან წამოენთო და ოთარს ხელი აუქნია, უსინდისოები, ვერ მიართმევს, ვერა, ვერავითარ შემთხვევაში, მოლალატიეები, მართლა რომ ნამდვილი გამყიდველები,




აქაოდა ამ ყიტაანელ სქელკისერა მოზვერს მამალიც კვერცხს უდებს, ოთხი ოთახი არ აკმაყოფილებს, სასახლეში უნდა ცხოვრება. ნურას უკაცრავად, ჯიბრზე ყველაფერს გაუსინჯავს გემოს, ყველაფერს, დაე, იცოდნენ, რომ ხელის მოწერას მწვადებთანა და ხინკალთან არავითარი საერთო არა აქვს და მხოლოდ ასეთმა ბრიყვებმა შეიძლება იფიქრონ ასე ვულგარულად და ეგონოთ, რომ კაცი კაცია და ქრთამი კიდეც ჯოჯოხეთს ანათებს, და ბატონმა შალვამ გაგულისებით შესძახა: „რას გადაეკიდეთ ამ სახლს, აიღეთ სამოსახლო ნაკვეთი და როგორიც გინდათ, ისეთი აიშენეთ თქვენს გემოზე, ქალაქის ცენტრში რომ არ დასახლდეთ, არ შეიძლება არაა?! როგორც ჩანს, თქვენ უფლებაზე წარმოდგენა არა გაქვთ, რისი უფლება შეიძლება ჰქონდეს კაცს და რისი არა! მაპატიეთ, დეიდა ელო, მე წავედი...“ მაგრამ წამოინია თუ არა, მოხუცი ელო გადმოიხარა და შალვას ხელზე ჩააფრინდა თავისი გაძვალტყავებული, მარილებით მიღრეცილ-მოღრეცილი თითებით: „არა, ჩემო შალვა, არა, გენაცვალე... ესენი უკვე ჩემიანები არიან, ზაური უკვე ჩვენი გვარისაა, მოსანათლი იყო, მოინათლა და სახელიც ჩვენი წინაპრისა აიღო, ხიმშია მომწონსო, ეს სახელები გადაშენდაო და ხიმშია გახდა, აქ უნდა იყვნენ ესენი, აქა, ჩემო შალვა!“ და მარწუხებით უჭერდა თითებს. „მერე მე ვუშლი აქ ცხოვრებას! რას ამბობთ, დეიდა ელო, ვერ იცხოვრებენ ამ მშვენიერ სახლში, ვერაა? მთელი თქვენი საუკეთესო წინაპრები ცხოვრობდნენ! ერთი მაინტერესებს, ყიტაანში რა სახლი ჰქონდათ!“

მაგრამ ზაურს წარბი არ ასტოკებია და ნირი არ შეუცვლია, გარინდებული უყურებდა შალვასა და მოხუც ელოს, და მერე სერიოზული და ჩაღრმავებული კილოთი, თან მცირე პაუზებით, ისე რომ გეგონებოდათ ყოველი სიტყვა დიდი ფიქრის შედეგიაო, წარმოთქვა: „ბებია ელო, ცამდე მართალია ბატონი შალვა, ჩემთვის ეს ნამდვილი გაკვეთილი იყო პრინციპულობისა, მადლობთ, ბატონო შალვა, რაც მართალია მართალია, მე ჯერ არ შემხვედრია თქვენისთანა ადამიანი... დეიდა ელო, გადავცეთ სახლი ქალაქს, იბრძოლოს ბატონმა შალვამ, გახსნას ამ სახლში მუზეუმის ფილიალი კახური ქალაქური სახლისა, ამ კარადით, ამ ავეჯით, ამ სურათებით, ამ ყველაფრით... მე კი მართლა ავიღებ სამოსახლოს და განახლებული ორბელიშვილები ახალ სახლში დავსახლდებით, რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად, თქვენ მე, იმდენი რამე მასწავლეთ ბებო ელო, ჩვენ თქვენ არ-

სად და არასდროს არ მიგატოვებთ. თქვენი დღეგრძელობისა იყოს ბატონო შალვა, და გთხოვთ ნუ გაგალიზიანებთ ჩემი ყიტაანელობა და ის რომ მსურდა ქალაქის ცენტრში გამოვჭიმულიყავი, Рыба ищет где глубже а человек где лучше, ხომ ასეა?! ვისაც ჰგონია, რომ აქ ხესავით ამოიზარდა, ვინ იცის, იმ ხის თესლიც რომელმა ქარმა მოიტანა, რომელმა წყალმა, რომელმა ფრინველმა, საიდან დაროგორ... დამიჯერეთ, ბატონო შალვა, ჩემი შვილიშვილი უკვე თქვენისთანა ძირძველი თელაველი გახდება! მაშ, მოდით, ბატონი შალვას გამარჯვებისა იყოს!“ და ზაურმა ჭიქა გამოცალა. სანყალი მოხუცი ელო კი, რომელმაც ზაურის ყოველი სიტყვა ნაღდ უზალთუნად მიიღო, მთლად გადაირია, საკვირველიც კია, ასეთ გამომშრალსა და გამოფიტულს, მიმქრალი თვალებიდან ცრემლები მოსწანწკარებდა. საცოდავი იყო, მაგრამ ისეთი რამ თქვა, შეწუხებასთან ერთად კინალამ გაეცინათ კიდეც: „აქ უნდა მოვკვდე... აქედან წასვლა არ იქნება... ახალ სახლში როგორ მომავნებს ჩემი ვახტანგი, როგორ მომძებნის... როგორღა მეტყვის დედაო, შენმა დარდმა წამომავდო სამარიდანო... ვერ გავანვალე, ვერა...“

ზაურის ცოლი ელა სწრაფად ადგა, მოვიდა მოხუც ელოსთან, უკანიდან მხრებზე ხელები შემოხვია და წვრილი, წვრილი ხმით, თითქოს ეჭიკჭიკებო, ისე უთხრა: „Бабуля, милая, мы вас никогда не оставим, никогда! Успокойтесь дорогая...“ ლოყაზე აკოცა და მერე ჩქარი ნაბიჯით დარბაზიდან გავიდა. „აგერ რა გითხრათ ელამ, ბებო ელო,“ დაყვავებით უთხრა ზაურმაც და ელოსკენ გადმოიხარა, „ჯერ ხომ არსადაც არ მივდივართ, და კიდევაც რომ იყოს წასვლა, ვერ შევატყობინებთ?! გაუგზავნით ახალ მისამართს და ეცოდინება... ახლა კი, რომ ამბობდით შალვა მომენატრაო, სადღეგრძელო უნდა დალიოთ ამ დიდებული ადამიანისა...“ ელო უცებ დამშვიდდა, ათრთოლებული ხელი ჭიქისკენ წაიღო, „შალვა, იცოდე, შენ დღეს ძალიან მანყენინე,“ თავის რაცრაცით ეუბნებოდა ბატონ შალვას, „მე და დედაშენი თეკლე ოცდახუთი წელი ერთად ვმუშაობდით სკოლაში და იქამდეც ხომ ერთად ვსწავლობდით, ერთადაც დავჭერივდით ოცდაოთხში, მაშ, იცოდე, ძალიან ეწყინებოდა იმასაც, არ მოგინონებდა, არა, ჩემს ეგრე გაუგემურებას... მაგრამ ხომ იცი, ცხვირი პირიდან არ მოიჭრება, ბევრი სიკეთეც მახსოვს შენგან და გაგიმარჯოს...“ ჭიქას მეორე ხელი მიაშველა, ისიც ოდნავ უთრთოდა, მაგრამ მაინც გაიმაგრა ხელებში, თავი გადასწია და ღვინო მოსვა. ბატონმა

24375



შალვამ თვალი მიადევნა მოხუცი ქალის გაძვალტყავებულ, მარილებისაგან მიღრეცილ, ათრთოლებულ ხელებს, ასე ეგონა სწორედ ამ ხელებით, ხელებით კი არა, გახრიოკებული კლანჭებით, არყევდა ეს გაფარფატებული ბერი-ქალი იმ ცხრაკლიტულს, სადაც შალვას ჩაემწყვდია თავისი დათრგუნული, გაუმხელელი, იდუმალი განცდები, არყევდა და ჩასძახოდა, რომ მთავარი განახლებაა, მთავარი მჩქეფარე სიცოცხლე... ო, ღმერთო ჩემო, რატომ არ არის ვითომ გარდაცვლილ შვილზე სევდა და დარდი ცხოვრება? შენს საკუთარ მყუდრო სახლში, ძველებურ ბურჯთან, ქსოვა, თუ წიგნის კითხვა, თუ ალუბლის ჩურჩვა, თუ სოსლანის რუსულში მეცადინეობა... აყვავებულ ნუშთან, გიაცინტებთან, ვარდებთანა და სიმწვანეში. სადაც ყველაფერი შენი შვილის მოგონებით სუნთქვას... ამ ნუშზე ადიოდა ხოლმე... ბერტყავდა ისე ყოჩაღად... მენლეთურია ნუში, მაგრამ როცა ისხამს, იმდენს ისხამს, ისე გაიგიუებს ხოლმე თავსა, ორს კი არა, სამ წელსაც გადააჭარბებს მოსავალი. თანაც თხელნაჭუჭა... ტატოს უყვარდა ნუშის გოზინაყი, თეთრი, თეთრი, ქათქათა... გააკეთებს და დაარიგებს საახალწლოდ, ტატოს მოსაგონებლად... და რატომ უნდა მიელტვოდეს ეს მოხუცი ქალი, ცალი ფეხი სამარეში რომ უდგას და წესით უკვე უნდა ესმოდეს მეკუბოვე იოსებას შალამინის შრიალი და მთავარანგელოზების ფრთების ფრაშუნი, სხვა ცხოვრებას, სავსეს ფუსფუსითა და ხმაურით, ბავშვების ჭყვივით, მანქანების პიპინით, ფულების თვლით, ჯამჭურჭლისა და დანა-ჩანგლის გაუთავებელი რაკუნით, შეზარხოშებული სტუმრების ხორხოცით, შამფურებისა და ყანწების ტრიალით და განსხვავებული სასმისების თრანქვით... რატომ უნდა სურდეს ამ ორჭოფი კაცის ხელში დალიოს თავისი წუთისოფელი?! თუ მაინც დამაინც სახლის ახმინება უნდა, ეტყვის ლელიკოს და სამუსიკო სასწავლებლიდან კარგ სტუდენტ გოგოებს უშოვის, როგორც სხვა დროსაც დაუყენებია, აგერ ძველი ფორტეპიანო სამეცადინოდ ექნებათ და ყბების თქარათქურს კი აჯობებს შოპენის მახურკებისა და ვალსების მოსმენა, თუნდაც გაუნაფავი ხელით! მაგრამ არა, არა, ამ გადახრწნილ მოხუცს ახალი ცხოვრების დაწყება უნდა ოჯახთან ერთად... განახლება სწყურია...

ბატონი შალვა ფიქრებიდან ბიჭიას ხმამ გამოარკვია, ის თურმე სწორედ სადღეგრძელოს სვამდა, უკვე გადაევლო მისთვის წელანდელ მღელვარებას და ბატონ შალვას პატიებას სთხოვდა და დღეგრძელობას უსურვებდა,

და, ჩვეული სილალითა და სიხალისით.

სწორედ ამ დროს გვერდითი ოთახის კარი შემოფრიალდა და დარბაზში პატარა ბიჭი შემოვარდა, უკან დედა მოსდევდა, ბიჭი გამალებული ურბენდა მაგიდას, ყველა სკამს ხელს ადებდა და „გამარძობათ, გამარძობათ, გამარძობათო...“ იძახდა; „ჩემი ბიჭი... ჩემი ვატატუნა... მოდი ჩემთან, მოდი გენაცვალე, მოდი...“ ამბობდა ელო და თან სკამს უკან სწევდა... ბიჭუნამ მოირბინა, მოხუც ელოს მუხლებზე ააფოფხდა და კოხტად დასკუბდა. ძალიან ლამაზი ბავშვი იყო, და მართლაც ჰგავს ტატოსო, გაიფიქრა ბატონმა შალვამ. მოხუც ელოს სახე გაუნათდა, ჩამქრალი თვალები სიცოცხლით და სიხარულით აევსო, თვალდათვალ შეიცვალა...

„ვაიმე, რა გულში ჩამწვდომად ლამაზია, ბებო ელო!“ აღტაცებით შესძახა თიკომ. ბიჭუნა გემრიელად მიირთმევდა ხინკალს. „ტატო, ბიჭო, შეჭამე ხინკალი და ლექსი გვითხარი, თორემ ამათ ჰგონიათ რომ ლექსები არ იცი.“

ბიჭუნა მყისვე ჩამოხტა ელოს მუხლებიდან, მაგიდას შემოურბინა, კარადის გვერდით მიდგმული სკამი გამოსწია, თავის მამას ხელი გაუნოდა, მიშველეო, ყოჩაღად ახტა სკამზე, თავი ასწია და რიხიანად წარმოთქვა: „ეს ცვენი მეფე ერეკლე ერთი პატარა კახია, ძანვის პერანგი ცააცვეს, გაჰკრა ხელი და გახია!“ სკამიდან ჩამოხტა, აივნის კარისკენ გაიქცა, საიდანაც ელას მამა იგნატი შემოდიოდა. იგნატმა გაზეთები ფანჯრის რაფაზე დაყარა, ბავშვს ხელი დასტაცა და ზევით აისროლა. „გაფრენილი მიმინოა, ეს მამაძალი...“ თქვა ღიმილით ზაურმა, „ჩემობით არ ვამბობ, მაგრამ ძალიან გონიერი ბავშვია, ჯერ რა დროს ლაპარაკი ჰქონდა, ექვსი-შვიდი თვისა იყო და სუ ჭყლოპინებდა, გეგონებათ რაღაცა უნდა შეგატყობინოს და ენას ებრძვისო.“

იგნატი ბიჭს ზევით-ქვევით აფრენდა, დარბაზში ბიჭის კისკისი ისმოდა. ბიჭუნას კულულები უფრიალებდა, ჩანიკნიკებულ კბილებს კრეჭდა, ფლანელის უჯრისანი ლამაზი ხალათი ეცვა და ძალზე შვენოდა.

მოხუცი ელო თვალმოუცილებლად უყურებდა ბიჭუნას ფრენას... „ეს ხომ სიყვარულიაო“ ფიქრობდა ბატონი შალვა, „და სწორედ სიყვარულის გამო სურს განახლება და ახალი ცხოვრებო... სიყვარულს ხომ ერთადერთი გზა აქვსო, ერთმანეთისკენ სავალი გზაო, სხვა გზა ხომ არ არსებობსო... არა... არა... არ არსებობსო...“

და იგნატიმ ბავშვი კალთაში რომ ჩაისვა

და მაგიდას მიუჯდა, კუთხეში, ელოს გვერდით, მოხუცმა ქალმა ბავშვს ხელზე მოჰკიდა ხელი: „ნახეთ ახლა როგორ გაუხარდება ლექსს რომ ვეტყვიო,“ თქვა და მშვენიერი კილოთი დაიწყო; თან იღიმებოდა, ბავშვს სიყვარულით ხელზე ხელს უთათუნებდა: „Пускай скудеет в жилах кровь. Но в сердце не скудеет нежность. О ты, последняя любовь, ты и блаженство, и безнадежность...“

ყველა მოხუც ელოს მისჩერებოდა, თიკო ხომ სასოებით მიუბყრობდა ყურს... ოჰ, ღმერთო ჩემო, რა შეიძლება შეედაროს ნამსვლელი მოხუცის გულისთქმასო... რამ შეიძლება გააქარწყლოს მოახლოებული სიკვდილის ძალმოსილებაო... სიყვარულმაო... მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულმაო... და უცებ მიხვდა, რაც უნდა მოიმოქმედოს... საკვირველია, აქამდე რომ ვერ მოიფიქრა... პირდაპირ თქმა: მიყვარხართო, მაინც ვერ წარმოუდგენია, არადა სწორედ თქმაა საჭირო, იმიტომ რომ შალვა თვითონ ვერასდროს ვერაფერს ვერ გაბედავს, ასეა დარწმუნებული... საჭიროა თქმა. მაგრამ პირდაპირ ვერ ეტყვის... ლექსი! აი რა, სერიოზული კი არა, სახუმარო! ხუმრობით ნათქვამი მაინც სხვაა... აუცილებლად... ახლავე... მოცდა აღარ შეუძლია... უნდა ნავიდეს... ნადიკვარზე... ცაცხვის ქვეშ დაჯდება, დანერს და ხვალვე მისცემს... წამოდგა, გვერდით ოთახისკენ წავიდა, ვითომ რალაცის გამო, და რომ მიდიოდა, მოხუცი ელოს სიტყვები ესმოდა: „თან როგორ უყვარს მუსიკა, გაიგონებს თუ არა, ან გაისუსება და ყურს მიუგდებს, ან ცეკვას იწყებს... მპირდება ზაური, მუსიკა ვასწავლოთო, სოსლანს უნდა ვთხოვო ვიოლინოზე ამეცადინოს, მერე მანდოლინაზეც ისწავლის დაკვრას, ამ არემარეზე კვლავ გაისმას მანდოლინის ხმა, ვითომ ჩემი ტატო გაცოცხლებულა...“

ნიკო საავადმყოფოდან გამოვიდა და კარებთანვე შეჩერდა, თიკო დაინახა, გაჩქარებული აქეთკენ მოდიოდა, აღელვებული ჩანდა, და ისე დანთქმული თავის ფიქრებში, ნიკოს მკლავზე ხელი რომ არ ეტაცა, იქნებ ვერცკი შეემჩნია:

„გიყურებდი და ასე მეგონა ცეცხლი გეკიდა... საით გარბიხარ ამ დროს?“

„მე უკვე ვისადილე, მამა, ვისადილე კი არა, ვიქეიფეთ, ბებო ელოსთან ვიყავით და ერთი-ორი ჭიქა ღვინოც დავლიე, და მინდა ნადიკვარზე გავიარო, ჰაერი ჩავყლაპო...“ „ოოჰ, სახლში დაისვენებდი და იმეცადინებდი მერე, ხომ დამპირდი რომ ჩააბარებ იმ დარჩენილ საგანს, დრო გენურება, ხომ იცი...“

„ოჰ, მამა, დრო ენურება მეფე ერეკლეს, და დრო ენურება ზოგიერთ შენს ავადმყოფს და რა კარგი იქნებოდა, დიალექტიკურ მატერიალიზმსაც ამოსწუროდა დრო! მაგრამ ხომ დაგპირდი არაა?! სხვა რა ვქნა?!“

„ოო, რა გიჟმაჟი ხარ...“ თავი გაიქნია ნიკომ, „კარგი ჰოო, ნადი იმ შენს ნადიკვარზე და მალე მოდი.“ განგებ არაფერი ჰკითხა მოხუც ელოზე, სიტყვას სიტყვა მოჰყვება და რამეს არ მიხვდესო. არადა, ამ რამდენიმე დღის წინ ელომ დაურეკა და სთხოვა: შენი ნახვა მინდა, რეცეპტსაც განმიახლებ და რაღაც სათქმელიც მაქვსო. და უთხრა, თქვენი საოპერაციოს ექთანი რომაა მარო, ამ ცოტა ხნის წინ ნემსებს მიკეთებდა და სულ თავის ოთარის დაოჯახებაზე მელაპარაკებოდა, ჩემზე ბედნიერი ქალი არ იქნებოდა, თიკო ჩემი რძალი რომ გამხდარიყო, ჩვენი ექიმი თუ არ დაგვიწუნებდაო... ამის თქმას ვერ გაგიბედავდი, ჩემო ნიკო, განაგრძობდა მოხუცი ელო, თიკოსთვის გული რომ არ შემტკიოდეს და ოთარს არ ვიცნობდეთ, ბოლო დროს ხშირად მოჰყავს ზაურის ჩვენთან სახლის რეკონსტრუქციის თაობაზე და ისეთი ზრდილობიანი, სერიოზული, თავისი საქმის მცოდნე ახალგაზრდაა, ნამდვილი დადებითი პიროვნებაო. ნიკოს გულიანად გაეცინა, მაგრამ თან მწარედაც ამ ყბადალებულ „დადებით პიროვნებაზე“ დეიდა ელო, მე ერთადერთი დადებითი პიროვნება ვიცი, ვინც თიკოს უყვარდაო, და ეს ჟურარ ფილიპი იყოო... კარგი ახლა, მე ტყუილად კი არ გეუბნებიო, ჩვენთან მინდა მოვიდნენ და გავუკრა სიტყვა თიკოს, თუ არაო. ოთარს უკვე გაუკართო? ჰკითხა სიცილით ნიკომ. უჰ, ოთარი მგონი უკვე შეყვარებულიც არისო. ახლა თუ თიკოსაც შეუყვარდება, მე რა დამშლელი ვარო, მხრები აიჩეჩა ნიკომ, მაგრამ ეჭვი მეპარებოდა. როგორ, მამის რჩევაც ხომ არსებობსო, ღირს რომ ურჩიოვო, შეუძახა გაბზარული ხმით მოხუცმა ელომ, ხომ იცი, მე თიკო როგორ მიყვარსო, ჩემი ტატოს სულს გეფიცები, კარგი მინდა თიკოსთვის და შენც ხომ უნდა რალაცას მოესწროვო... ნიკომ მხოლოდ ღრმად ამოიოხრა, მოაგონდა რა თიკოს სრულიად შეუსაბამო გატაცებები ვიღაც იდიოტებით. მაგრამ, ცხადია, მოხუცი ელოსთვის არ უთქვამს, ან რა სათქმელი იყო. ის ნამდვილი „ხულიგანი ბიჭი“ რომ ვითომ უყვარდა, ზედმეტ სახელად „ლამაზო“. ნიკოს კი ბევრჯერ ღამეც ათენებინა და კბილებიც აკრაჭუნებინა. ის კი არა, რომ ცუდი ოჯახისშვილი იყო, არა, მაგრამ მამა ავარიში დაეღუპა და დედინაცვლის ამარა დარჩენილმა თავი აიშვა, სწავლას თავი

დაანება, ვითომ ოჯახის სარჩენად, მართლა კი ჰყავდა პატარა დაც, მშენებლობის მანქანაზე დაჯდა, ძველბიჭობა დაიწყო და როგორღაც ავად გადიდგულდა, ან ჩხუბისთავი იყო, ან ჩხუბის გამრჩევი. იძალა თიკომ, ვინ იყო მისი შემჩერებელი და დაბადების დღეზედაც დაჰპატიჟა, რა გგონიათ, რა გააკეთა, ცეკვების დროს მაგიდასთან დარჩა და მათ მასიურ, კაკლის ხის მშვენიერ მაგიდაზე ჯიბის დანით თ+ა ამოჭრა. „ა“ ანუ ანზორი. ნიკოს უხაროდა კიდევ, ჯანდაბას მაგიდა, თიკო განიხიბლებო, მაგრამ სრულებითაც არა, მისი საქციელი დაჰგმო კი არა, გაბრწყინებული ამბობდა. ვუყვარვარ და მაგიდა რასა ჰქვიაო. მითუმეტეს, მერე გიტარა მოითხოვა და ჩახრინწულად დაყენებული ხმით და დიდი გულისტემით „სასიმამრომ დამინუნა“ იმღერა. როგორ გადარჩენ მამინ, თიკო არ გავარდა და არ გაეკიდა იმ თავზეხელაღებულს, ნიკოს ახლაც უკვირს, მაგრამ შალვამა და ლელიკომაც თოფიარალი აისხეს, გვერდში დაუდგნენ ნიკოსა და მარიკოს, განსაკუთრებით მამინ შემოირტყა თავში ხელი ნიკომ, როცა უთხრეს მოტაცებას უპირებს თიკოსაო. როგორ არა, ნიკომ თავისი სოფლელი პაციენტების ბულაილა მუტრუკებიც ჩართო და ბედზე თბილისში წასვლის დროც დაუდგა თიკოს... ლამაზომ კი ერთერთი ქეიფის შემდეგ მშვენიერი მარწყვივით გოგო, სულ პატარა და ნორჩი, ცამეტი თუ თოთხმეტი წლისა, მოიტაცა და ცოლად დაისვა. ასე დამთავრდა ლამაზოს ამბავი, მაგრამ თიკოს გატაცებებისას რა დამთავრებდა, და შემდგომმა გულისხეთქვის ობიექტმაც არ დაახანა, მალე გამოჩნდა. თიკო თავის მამიდასთან, ნიკოს ნახევარდასთან ცხოვრობდა საბურთალოზე, მათი მეზობელი ქალი ციხის სკოლაში ასწავლიდა თურმე რუსულს, სამი კვირით ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში მიდიოდა თურმე და თიკოს სთხოვა ხომ ვერ შემცვლიდიო, მაინც სალამოს ცვლავა და შენ ხომ ლექციები დილით გაქვსო, ციხის ადმინისტრაციას მოველაპარაკები შენს შესახებ და ეჭვი არ მეპარება, დათანხმდებიანო, თან დიდი დატვირთვა კი არ არის, ერთ კვირას ორჯერა აქვთ რუსული, მეორე კვირას სამჯერო. თიკოს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, წარმოგიდგენიათ? ციხეში, პატიმრებს, დამნაშავეებს უნდა ჩაუტაროს გაკვეთილები! ნუთუ ერთორს მაინც ვერ ჩაუნერგავს ჰუმანურ იდეებს, ნუთუ ერთორს მაინც ვერ დააყენებს სწორ გზაზე!

ჰოდა, ის „მალალ-მალალი, ლამაზ-ლამაზი,“ ვითომ შემთხვევით, მილიციელის დამსახურებული ცემისთვის მოხვედრილი ციხე-

ში, რუსული ლიტერატურის დიდად მოყვარული, იქ გაიცნო, იქ დაედო საფუძველი მათ შორით კვდომა, შორით დაგვას, მათ საიდუმლო ბარათებს, ამანათებს და ნახვის დღის შეხვედრებს. თურმე ნუ იტყვით, ამ რუსულის გაკვეთილებზე, თიკოს გულის გასახარად, დიდი განცდით რომ წარმოთქვამდა გორკის „ბურვესტნიკს“ და „პესნ ო სოკოლე“-ს, ლამით თავის ამხანაგ ტუსალებთან ერთად გვირაბს თხრიდა; თხარეს, თხარეს და ათი პატიმარი გაძვრა კიდევ და გაიქცა... თიკომ ტელეგრამა მიიღო, რომელშიც იმ დაუფინყარი „სოკოლის“ სიტყვები ეწერა: „ბეზუმსტვე ხრაბრის პაიომ მი სლაგუ.“ ცხადია, თიკოს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ მისი წასწავლი გორკი ამ მშვენიერმა ნოდარმა ასე მარჯვედ გამოიყენა. მაგრამ ნაადრევი გამოდგა ეს სიხარული, რადგან გაქცეული პატიმრები სათითაოდ დაიჭირეს და პირდაპირ ნორილსკში უკრეს თავი, და თიკოსი და ამ ნოდარის შორით დაგვამ ისეთ პიკს მიღწია, რომ ზაფხულის არდადეგების დროს თავისიანებს გამოუცხადა: მე ნორილსკში უნდა წავიდეო! არა, არა, თიკო იმისთვის იყო მოვლენილი ამ ქვეყნად, რომ ნიკოსთვის გული ეხეთქა! ნორილსკი! ეს საშინელი სიტყვა! გადასახლების ადგილი! სადაც შალვას ძმამ, მშვენიერმამამუკამ, 37-ში გადასახლებულმა, თავისი ძვლები ჩაყარა... და კიდევ რამდენმა ათასმა, ვინ მოთვლის, ნორილსკი ხომ პატიმრების ძვლებზე დგას, რა ნორილსკი და რა ბუხენვალდი! „მამა, სად წავიდნენ დეკაბრისტის ცოლები, სადა! იმათზე კარგად გიჩუყდებოდა გული?!“ მლალადებელივით წარმოთქვამდა თიკო. „შვილო, შენ კი არა, მე უნდა წავიდე ნორილსკში!“ ყვიროდა ნიკო, „ავილო თოფი და იმ ოხერ-მუდრეგს, იმ თხუნელას! შენ რომ ასე უსინდისოდ გიბნევს თავგზას, სული გავაფრთხოვინო! და იქვე დავრჩე პატიმრად! შენ ეს გინდა, ამას მიელტვი!“ იყო ერთი გაზიდულობა მათ აივანზე, როგორც სხვა დროსაც ყოფილა... ნორილსკის ამ სულელური ახირებით თუ დამთავრდებოდა მათი განევ გამოწევა, კიდევ არა უშავს, და არა! არა და არა! თიკოც იქნებოდა და თავის მგზნებარებას ვინმე „არა დადებითს“ და „არა წესიერს“, გამოსასწორებელს და საშველს არ გადააფრქვევდა თავზე!? და მგონი ყველაზე საშიში სწორედ ეს იყო... რომელიც „ყოფნა-არყოფნას“ ყრუ და ჩაღრმავებული კილოთი ინგლისურად ეუბნებოდა თიკოს და „ტყის მეფეს“ კი გერმანულად, თან თვალელებში ჩასცქეროდა თავისი მართლაც შესანიშნავი თვალელებით, შთაგონებით, ტკივილითა და სევდით სავსე

მუქი, თაფლისფერი თვალებით. თურმე უზნეობის „ფუჭება“ ჰქონდა მოდებული და მისი სურნელი, პოეზიის უზადო სიყვარულთანა და დიდად ნიჭიერი და კულტურული ადამიანის თავდაჭერასთან ერთად, წარმოუდგენელ მომხიბლაობას სძენდა. თიკოს ამისი მსგავსი არავინ ენახა. თან ჩვიდმეტი წლით უფროსი იყო თიკოზე, ცხოვრებაგამოვლილი და ამის გამო კიდევ უფრო მიმზიდველი და სანუკვარი თიკოსთვის. დოდი კარგარეთელი... დოდი კარგარეთელი... დოდი კარგარეთელი... სულ ეს სახელი და გვარი ისმოდა თიკოს პირიდან.

დოდი კარგარეთელი კი თუ არ სვამდა, მთელ ღამეებს კარტის თამაშში ატარებდა, მსხვილად თამაშობდა... და თუ სვამდა, ხომ სვამდა, და სვამდა, და სვამდა... თეთრ ცხელებამდე... მამიდამ დაჰკრა ბუკსა და ნალარას სწორედ იმ დროს, როცა თიკო, ლექციების შემდეგ, დასვენების მაგივრად და მერე კი საჯაროში ჩაჯდომამდე, საავადმყოფოში დადიოდა ბულიონისა და კისელის ქილებით. ერთი ეგ არის, სწავლისთვის არ უღალატია არასოდეს, ვერც წარმოედგინა არსებობა ღრმა და სერიოზული მეცადინეობის გარეშე. ნიკომ რომ გაიგო ყველაფერი, თმებს იგლეჯდა და როდემდე! ოჰ, როდემდეო, მოთქვამდა. მაგრამ ძალიან დიდხანსაც არ გაგრძელებულა მათი ვაივიში, რადგან ბოლო ცხელების შემდეგ, ათკეცი ფიცის მიუხედავად, რომ აღარ დაღევდა, სწორედ სასმელის მოსაპოვებლად სადღაც გადაძვრა, მორყული მოაჯირი მაღალი აივნისა მოწყდა, თან გადაიყოლა და ამ მშვენიერმა კაცმა სულიც განუტევა. ჰოდა, მოხუცმა ელომ ოთარზე რომ უთხრა „დადებითი პიროვნებაო“, იცოცხლეთ, არავის არ ენატრებოდა მგონი ეს ყბადაღებული „დადებითი პიროვნება“ ისე, როგორც ნიკოს, მაგრამ რამდენიც არ გამოჩნდა ასეთი დადებითი პიროვნება, ოთარი პირველი სრულებითაც არ ყოფილა, იმდენი თიკომ ხელები გაასაესავა, არ გაბედოთ ასეთ რამეებზე ლაპარაკიო, ხომ იცით, რომ ასეთი დადებითი პიროვნებები მე სრულიად... სრულიად... სრულიად არ მაღელვებინო!! უკუღმართი! არ აღელვებენ, არც „დადებითი პიროვნებები“ და არც დიალექტიკური მატერიალიზმი! მივიდე სახლში?! მივიდეს და შეამონმოს მართლა მეცადინეობს და ადგენს კონსპექტს თუ არა?! ძალიან კარგი რომ ნადიკვარზე წავიდა და სახლში არ იქნება, ყველაფერი კარგად უნდა ნახოს და კარგად შეამონმოს... დაპირდა, როგორ არა, ვეცდები შენი გულისთვისო, არ განყენინო და ჩავაბარო ეს ოხერი დიალექტიკური მატერიალიზ-

მიო, ამ ერთი კვირის წინ დაპირდა და ნიკომ მარქსიზმის კლასიკოსების რამდენიმე შრომა დაულაგა კიდეც საწერ მაგიდაზე, თან შეაგულიანა: შენ ისეთი ყოჩალი ხარ, ერთი თვალის გადაკვრა დაგჭირდება, ჩააბარებ და ეს ეტაპი გავლილი გექნებაო.

დროც საკმაოდ დარჩა სანახავად და შესამონმებლად; სახელდახელოდ ისადილეს, სტუმარი არ ჰყავდათ და თიკო სახლში არ იყო, თანაც თინათინი დაღლილი იყო, შეუძლოდ გრძნობდა თავს და წამოწოლა უნდოდა, მართლაც სადილშემდეგ მაშინვე თავის ოთახში განმარტოვდა, მარიკომ კიდევ ხვალისთვის გაკვეთილი მაქვს მოსამზადებელიო, ვულკანებო, და ამასწინად შენ რომ მონოგრაფია მიყიდე სწორედ ვულკანებზე, იმას უნდა ჩაუფუძეო, და ჩაუფუძა კიდეც, საწოლი ოთახის გვერდით, პატარა მყუდრო ოთახში, სადაც მარიკოს სეკრეტერი და სავარძლები ედგა, კედლებზე კონტინენტების რუქები ჰქონდა გაკრული, კუთხეში კი — ოდესღაც, მათი ურთიერთობის გარიჟრაჟზე, ნიკოს ნაჩუქარი დიდი გლობუსი; ამ გლობუსით შეაყვარა მარიკომ თიკოს მთელი დედამიწა, რომ შეეკითხებოდა: აბა, როგორ უნდა წავიდეთ თელავიდან ცეცხლოვან მიწაზეო, ან დიდი ანტილის კუნძულებზეო, ან ტიბეტშიო, ან სიამის ყურეშიო, ან... ვინ იცის სად აღარ, საქართველოში ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, პატარა თიკო მაშინვე საჩვენებელ ჯოხს წამოავლებდა ხელს და ისე გაუდგებოდა გზას, ამ დიდ გლობუსზე, ერთი არ შეუშლებოდა... მარიკო განსაკუთრებით ციმბირს მიაბტკივნებდა გულს, სადაც არა მხოლოდ მისმა მამამ და ძმამ ჩაყარეს ძვლები, არამედ ახლობელმა და შორეულმა ნათესავებმაც, ამიტომ კოლიმა და ინდიგირკა, ტაიმირი და ხატანგა, ნორილსკი და იაკუტსკი, და კიდევ მრავალი სხვა, საკონცენტრაციო ბანაკების გავრცელებული თუ სავარაუდო ადგილები, და აგრეთვე იქ მისასვლელი გზები და ბილიკები სულ ზეპირად ასწავლა თიკოსაც. ამ ათიოდე წლის წინ, ხრუშჩოვის დროს, ხანმოკლე დათბობისას, წავიდა კიდეც ციმბირში რუსულ საექსკურსიო ჯგუფთან ერთად, ძალიან ბევრი წმინდა სანთელი წაიღო და ტაიგაში ექსკურსიებისას ლამის ყველა ხისქვეშ ანთებდა სანთელს...

ახლა მარიკოს სეკრეტერის დაფაზე გადაეშალა წიგნი და ვულკანებს ჩაჰკირკიტებდა... ნიკომ კი მცირე ხანს თავის კაბინეტში იტრიალა, შინ კერძო ავადმყოფების მიღებამდე დრო საკმარისი ჰქონდა, ერთი წუთით დედას დახედა, მერე კი თიკოს ოთახისკენ გასწია. ისედაც ზრუნვითა და პასუხისმგებ-

ლობით სავსე, თავის ქალებს თავს დასტრიალებდა და ცივ ნიავს არ აკარებდა. ბედმა თუ ცხოვრების მდინარებამ ისე იჩინა, რომ ოჯახშიც და სანათესაოშიც ნიკო უმთავრესად ქალებით იყო გარშემორტყმული, და ყოველთვის ცდილობდა არავისთვის მოეკლო ყურადღება. ხოლო თიკოს მიმართ ეს ყურადღება ხშირ შემთხვევაში ისეთ მასშტაბებს აღწევდა, რომ გეკითხათ, სიყვარულის მიუხედავად, თიკო გეტყვოდათ მეტის მეტი რეტის რეტით. მითუმეტეს, თუ დაინახავდა აი, ახლა, როგორ შევიდა ნიკო მის ოთახში, დაჯდა მის საწერ მაგიდასთან და ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გადაშალა, სადაც ქალაღდის თაბახები იყო ჩადებული, თიკოს ხელით წვრილად ნაწერი. გაუხარდა, შემისრულა თხოვნაო, უყურე რა კარგად დაუკონსპექტებიაო, როგორ თავდადებით უმუშავებიაო, ენაცვალოს მამა, თავის დაზოგვა არაფერში რომ არ იცისო... უახლოეს დროში ორი პრობლემა აქვს ნიკოს გადასაჭრელი, თიკოს დისერტაცია და თიკოს გათხოვება... და მადლობა ღმერთს, ჯვარი დასწერა და დაარწმუნა, რომ საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა, გათხოვებაზეც ასე უნდა დაარწმუნოს, შვილიშვილები უნდა, შვილიშვილები, შეხვდებიან ქუჩაში დამწკრივებული საბავშვო ბაღის პანები და ნაბიჯს შეანელებს და სურვილითა და ნატვრით გაადევნებს თვალს, რომ მათ სახლშიც აჟრიათ უღდენ ბავშვები...

ნიკომ გულის ჯიბიდან სათვალე ამოიღო და ნაწერს ჩახედა... ჩახედა და სახტად დარჩა, არავითარი ლენინ-სტალინი და არავითარი მარქს-ენგელსი, „ერეკლე მეფე კრწანისის შემდეგ თელავის ბატონის ციხეში.“ აი, ეს სათაური ამოიკითხა ნიკომ, შედარებით მსხვილი ასოებით ნაწერი თაბახის თავში და ღრმად ამოიხრა, ისეთ გატრიზავებას გრძნობდა, ისეთ გაცრუებას, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ჩანიკნიკებული კონსპექტის ნაცვლადაი, ეს „თხზულება“ დახვდა, დიახ, ვითომ თხზულება, რომ კინალამ შეხტა და შემოტრიალდა. მან დღენიადაგ წითელი კვერცხები უნდა უგოროს თავის შვილს, თავისი დღე და მოსწრება სულ მისი სურვილების ამოცნობაში უნდა იყოს, და შვილმა კი, თავისივე სასიკეთოდ, მამის თხოვნა არ შეასრულოს! კრიტიკული პათოსით აივსო ნიკო და თავის ქნევითა და კბილების კრაჭუნით შეუდგა კითხვას... და კითხვისას კიდევ უფრო აღშფოთდა და აფორიაქდა... არა, მაინც რა გაბედულია ეს მისი შვილი, საიდანა აქვს ასეთი გაბედულება, ნეტავ ერთი იცოდეს ნიკომ, წერო ერეკლეზე, ვითომ მოთხრობა, თუ რო-

მანი, თუ ვინ იცის რა, და როგორც მოგეპრინება ისე წერო!? ვინ გაიგონა ასეთი ერეკლე, ვინა?! თუ ისტორიულ პირზე წწერ, თანაც ისეთ მეფეზე, რომლის მიმართ სიყვარული და პოპულარობა დავით აღმაშენებლისას თუ შეედრება, განა შეიძლება, რაც მთავარია იმაზე არ დაწერო და ერთ რაღაც მონუნუნე ჩაწერად დასახო!? რა არის ეს, რა ლექსია, ჩემს ტახტს და გვირგვინს შეეპარა სამარის ჭიანჭველი... რას გავს ეს, რასა! ეგეთი განწყობა ერეკლესი და ეგეთი ჩამოყამება?! თუხთუხებდა კითხვის დროს ნიკო, და მაინც ჩასაფრებული ინტერესით განაგრძობდა კითხვას...

„მამლები ყიოდნენ... შეჯიბრი ჰქონდათ გამართული... შუალამე დიდი ხნის გადასული იყო, ის კი იჯდა და ქალაღდებს ჩასჩერებოდა... მთელ ღამეებს მუშაობაში ატარებდა... მძიმე იყო ეს ქალაღდები და მამლების ყივილი თითქოს კიდევ უფრო ამძიმებდა... ნეტავ ტფილისშიც თუ ყივიან მამლები?! მოქალაქეების არზეები იყო, დღეს რომ მოართვეს სალამოხანზე. „ჩვენ ესრეთ დალონებული და შენუხებული გახლავართ, რომ რადგან ქრისტიანები გახლავართ, ერთი ღმერთი არის ჩვენი სასოება და ერთი თქვენი უმაღლესობა, რომ ყოვლითურთ ჩვენს ნუგემს და მოვლას თქვენის უმაღლესობის მიერ ვსასოებთ... ძალიან დიდად დაცემულნი და წამხდარნი გახლავართ, და ჩვენი წახდენილობის ვითარება რომ თვითეულად მოგვეხსენებინა, დიდად განვრცელდებოდა და უმაღლესობის თავს წყენას დავერიდებით და მოკლედ მოხსენება ეს არის, არც თქვენის უმაღლესობის წინაშე, არც ქართლზე და არც კახეთზე დანაშაულობა არა გვაქვს რა, მაშასადამე, თქვენის უმაღლესობისგანაც და ქართლისა და კახეთისგანაც, რომელიც ჩვენს ამ გვარად წარხდენილობას შეეფერებოდეს, იმ გვარად შეწევნა მოგვაცენოთ, რომ ეგების, ღვთით და თქვენის ბედნიერებით ეს ქვეყანა კიდევ დამტკიცდეს. აღინერა ქალაქ ტფილისის მოქალაქენი, აკლებულნი ხოჯას მიერ.“

ამას ერთვოდა „მათ მონათ მოქალაქეთაგან მოხსენებული აზრები, თუ როგორ უნდა დაემაგრებინათ ქალაქი.“ და რაც მთავარია, სთხოვდნენ, სთხოვდნენ, სთხოვდნენ... „წულარ დაყოვნებთ, რომ კვალად განახლების მოიმედე შევიქმნათ...“

ამალამვე უნდოდა ვარაუდით მაინც სია შეედგინა, ხვალ სოლომონიც ამოვიდოდა კონდოლიდან, სასახლის კაცებიც შეიკრიბებოდნენ და იმსჯელებდნენ ერთად. უპირველესად კი ივანეს, ივანეს უნდა მოეთათბიროს, აი, ვინ იცის ყველა დაბა-სოფელი ზეპი-

რად, სად რამდენი მოსახლეა, ვინ რა შეძლები-საა... ბატონი მამისა და ლეონ ბატონიშვილის შემდეგ, საკუთარ ოჯახში, ამდენ შვილებსა და შვილიშვილებში აღარავინ გამოჩნდა, ვისაც გულდამშვიდებით შეიძლება ანდო ქვეყანა. ივანეა გონიერი და გამჭრიახი, მამაცი და უდრეკი... და რატომ არ შეიძლება, რატომ? ვინც სამეფო კარზე უკეთესია, იმას ჩააბარო ქვეყანა!? ჰოდა, ერთად იმსჯელებენ საიდან ვის რა მოაკლონ, ვის რა შეაწერონ, ხორბალია, პირუტყვია, ქერი თუ ჭვავია... ცხენები... რამდენნი დაეცნენ ბრძოლის დროს... ქერი და შვრია გადარჩენილი ცხენებისთვის... მძიმე დრო ჩამოგდა, ყველას უჭირს, არავის ულხინს... მაგრამ აკლებულ ხალხს უნუგეშოდ ვერ დატოვებ... ლუკმა უნდა გაუყო... მამლები კი ყიოდნენ... სცნობდა ხმაზე ამ მამლებს... ყველაზე ახლოს, გეგონებათ აქვე ფანჯარასთან ყვიროს, ხელაანთ დიდი, წითელი მამალი იყო, .. თუ მოხდებოდა და ჩრდილოეთის დაბალი გალავნიდან ქვევით გადაიხედავდა, დაინახავდა როგორ დააბოტებდა ეზოში თავის დედლებთან ერთად... ხმაც მჭექარე ჰქონდა, უხრინო, და ყვირილიც მოუღლეელი იყო, .. ხაზაზებისა და ესიტანთ მამლებიც ყოჩალები იყვნენ, მაშინვე აჰყვებოდნენ და ჰქონდათ ერთი გადაძახილი და გაპასუხება... მას კი უფრო და უფრო ეჭმუხნებოდა შუბლი. რამდენი სოფელი ჩამოიარეს... რამდენი... გაუდაბურებული და გაუჰაცრიელებული სოფელი... დადუმებული და უტყვი... ვინ იცის, იქ როდისღა იყივლებდნენ მამლები... როდის გაავლებს კვალს გუთანი და როდის აყვავდება ვაზი... ყველაფერი შეფერხდა და მოიშალა... რამდენი ხოდაბუნი ჩაინვა... რამდენი ვაზი აიკაფა... რამდენი გამრჯე მარჯვენა მოისპო და განადგურდა... მუშახელი ჭირს, დიდი რაოდენობით მასალის დამზადებაა საჭირო, მადლობა ღმერთს, ტყის ნაკლებობას არ განიცდიან, .. არცერთი დღე არ უნდა გაცდეს... ყველაფერს დროულად მოუყარონ თავი... უპირველესად კი პური და ღვინო საკითხავი და გასაგზავნი...

ქართლშიც უნდა შეუთვალოს ხვალვე, არზების პირები გაუგზავნოს ბატონიშვილებსა და დიამბეგებს, გააცნონ მოურაეებს, და როგორც შესძლებენ, გაიჭირონ, მოიკლონ და მოიძხონ, გაგზავნონ თფილისში! გული ენურება... ქალაქი აოხრებული და გადამწვარი... აურაცხელი ტყვე და აურაცხელი უსახლკარო... გზებზე ყაჩაღობა და ლეკთა თარეში... ხაზინა კი ცარიელი, .. რომელ ერთს მისცეს და ვის რა გაუნანილოს?! მეფეა ვითომ, მაგრამ თვითონაც მათი დასისაა, ღარიბი და

უპოვარი. უყვარდა ყოველთვის თელავში ყოფნა, აქ იყო დაბადებული, აი, სწორედ ამ ოთახში, სადაც ახლა ზის და თავს იმტვრევს, როგორ დაეხმაროს ტფილისს, რა ქნას და რა იღონოს, და აქ იყო გაზრდილი, მაგრამ, ალაცაფის კარი რომ გაიღო აღმოსავლეთის შესასვლელიდან და გამოეგებნენ, საწინააღმდეგო გრძნობებმა მოიცვა, ერთის მხრივ თუ შვებით ამოისუნთქა, — ამდენი ცხენზე ჯდომისა და მგზავრობის შემდეგ, ცხელი წყლისა და აბანოს მოლოდინში, — ამასთანავე განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნო, რომ აქ კი არ უნდა ყოფილიყო, — გაახსენდა კახთ ბატონს რომ ეძახდნენ ერთ დროს და აკი დაუთხანი ტახტსაც ედავებოდა, — არა, აქ არა, არამედ იქ, სადაც წესით და რიგით ეკუთვნოდა ყოფნა, სატახტო ქალაქში, როსტომისეულ სასახლეში! მაგრამ არ იყო აღარც სასახლე, აღარც ტახტი და აღარც გვირგვინი... ტახტსა და გვირგვინს არ დაეძებდა, სულ არა, მაგრამ ჭერი ხომ უნდა ჰქონოდა მეფეს, ჭერის გარეშე ხომ ვერ იქნებოდა...

და როცა თიანეთიდან დაბრუნების შემდეგ დაიხურა დიდი ალაცაფის კარი და გაიგონა რკინის ანჯამების გარახუნება, როცა ვრცელი ბალის შორეულ კუთხეში, მაღალ გალავანთან ვიღაც მოელანდა, აჩრდილი თუ ლანდი, საღამოს ბინდებუნდში რომ ქრებოდა და ჩნდებოდა, ხან ადამიანის სახეს იღებდა, ხან რაღაც უცნაური არსებისა, გაიფიქრა: სიკვდილი ხომ არ მომელანდაო, და იგრძნო, რომ ბატონის ციხის ტყვეობაში მოექცა.

ფიქრობდა... ფიქრობდა... ფიქრობდა... იმ უბედურებაზე, რაც მასა და მის ქვეყანას დაატყდა თავს... როგორ... რანაირად... წინ წამოსული ქვეყანა, ლამის აღორძინების გზაზე დამდგარი, ხუთმეტოდე წელში თანდათან უკან წავიდა...

როგორც კი გაურიგდა რუსებს, აიშალნენ მტრები... და ისე აიშალნენ აქამდე მივიდა საქმე. ოჰ, რა სიმწარე აგემეს, .. რა სამსალა შეასვეს, .. მწუხარებისა და წყრომის ცეცხლით იყო მოცული, ახლავდა გაიგო, თურმე ხოჯა გუდოვიჩს ძვირფასი საჩუქრებით ქრთამავდა... თან მსტოვრებს მსტოვრებზე გზავნიდა, აბა, მოდიოდნენ რუსები საშველად თუ რა. მექრთამეები! არ მოდიოდნენ, არა! არც რუსები და არც ისინი, ვისაც ეკუთვნოდა მოსვლა და ხელის გაქნევა, და იმერლებიც, მოქალაქეთა შველის მაგივრად, ცარცვავენდნენ ქალაქს, .. თავისად არ მიაჩნდათ თავისი მოძმეები და მთავარი ქალაქი.

მუდმივი ჯარი რომ ჰყოლოდა, ორი პოლკი მაინც, სათანადოდ აღჭურვილი, ჩაცმულ-და-

ხურული და შეიარაღებული... ჯერ კიდევ როდის სწერდა, თან როგორი მოკრძალებული თხოვნით, ავსტრიის იმპერატორს. რუსებსაც ხომ ამიტომ გაურიგდა, მფარველობისთვის და შველისთვის... უთვლიდა და უთვლიდა გარსევანის პირით ჯარის მოშვლებას... ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი! თავისი საგზლით, თავისი თოფიარალით, თავისი ცხენით, ჩამოგლეჯილ-ჩამონენილები... აკი ამბობდა კიდევ სპარსი უამთა აღმწერელი ერთი, მოვიდა თეიმურაზი და თან ბოგანოები მოსდევდნენო. ბოგანოები? ბოგანოები კი არა, მებრძოლები, თავგანწირვით მებრძოლები! მუდამ ერთობას გრძნობდა თავის მებრძოლებთან, თავის ხალხთან, .. თუმცა ღმერთისა და განგების ძალით მათ წინამძღოლად იყო განწესებული, თავისი თავი ერთ იმათაგანად მიაჩნდა. „ჩვენი განაგისი აღარ იქნებოდა, ჩემო მებრძოლებო, დიდი ხანია საყვავყორნედ გავხდებოდით, განქარდებოდა ჩვენი სახელი, აღარ შეარხვედა ჰაერს ჩვენი ხმა, ჩვენი ქართული, ვეღარ ვიმღერებდით ჩვენს კარგ სიმღერას, .. ასეთი სიმხნევე და შეუპოვრობა რომ არ გქონდეთ, ბრძოლაში სიჩაუქე და თავგანწირვის უნარი, .. სწორედ თქვენმა თავგანწირვამ მოიყვანა აქამდე ჩვენი ქვეყანა, ჩემო მებრძოლებო!“ გოროზად გადახედავდა, ჩამოუვლიდა რიგებს და ცდილობდა არავინ გამორჩენოდა, ყველასათვის თვალეში ჩაეხედა, ბრძოლის წინ მედგარი სული შთაენერგა. სიტყვითაც ხომ უნერგავდა, მაგრამ საქმით, .. რაც მთავარია, თავისი მართლაც გამირული ქმედებით ალაგზნებდა და ერთს ათად აქცევდა. მის შიგნით თითქოს გრიგალი ამოვარდებოდა, რომლის მოთოკვა და აშვება თავადვე შეეძლო, და ბრძოლის დროს მის დამნახავს ეგონებოდა ზეშთაგონებას მოუცავსო... მაგრამ ბრძოლის წინ რომ გადახედავდა მებრძოლთა რიგებს და დაინახავდა, ძირითადად, მათ გამხდარ, თვალეზდაყვლეფილ სახეებს, ვინ იცის მშივრებიც არიანო, ჯავრიანად გაიფიქრებდა, .. აგეერ, მარცხნივ, უკან, ვილაც იღმურძლებოდა, თან ხელს იფარებდა პირზე; იცნო, ღვინია იყო, ვარდისუბნელი: „შემინდეთ, დიდო ბატონო, ნუხელაც უვახშმოდ დავენეი და ამ დილასაც, არ დამავვიანდეს მეთქი, ვერ მოვასწარი ლუკმის გატეხა...“ „რას მიირთმევ მერე, ღვინიავ?“ „პური იყოს დიდო ბატონო, და პურს რა შეტანება უნდა, დედაკაცმა კარგად გამომატანა მთელი პური და ნახევარი, მათარით წყალიც მააქვს და იმას ვაყოლებ... იგეთი გემრიელია, თქვენი მონონებული...“

დაეცა ბრძოლის ველზე ღვინია, ალაზან-

თან, ნახევარი პური შეუჭმელი დარჩა. რამდენნი დაეცნენ, რამდენნი, რამდენნი ჩავიდნენ მინაში... განახევრდა ქვეყანა. ეჭვები... დარღვეული ბუდიდან აშლილი კელებივით შემოსეოდნენ... და სდევნიდა... სდევნიდა... სდევნიდა... რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, იმიტომ რომ სხვა გზა არ იყო, ეს იყო ერთადერთი გზა. არა! სპარსელებთან გარიგების გზა გზად აღარ მიაჩნდა, აკი უარით გაისტუმრა ზიათ-ხანი ხოელი, ალა მაჰმად ხანის გამოგზავნილი: ნადირ-შაჰის ნაქონი ძვირფასი თვალი მოგვეციო, რუსებს უარი უთხარი, მფარველად სპარსეთი აღიარე და მძევლები გამოგზავნეო... თუ არა, ავიკლებთ შენს ქვეყანასო.

„ირაკლი-ხან, რაც დაუახლოვდით რუსთა, თქვენ მათგან სათანადო დახმარება არ მიგიღიათ, .. რომ მიგელოთ, განა უმახანი, თქვენი მთავარი მტერი, ასე დაგამარცხებდათ? ასეთ ჯამაგირს მოგთხოვდათ? რად გინდათ, ირაკლი-ხან, საუკეთესო დოსტოვის განყვეტა და რუსების მეგობრობა? ერთმორწმუნეობას ვინ დაუცავს, რომ თქვენ დაგიცვათ?! განა ქრისტიანები არ არიან ფრანგნიც, ინგლისელებიც და გერმანელებიც, .. ამიტომ აღარ იმობენ? ჩვენ და თურქები თუ მაჰმადის რჯულისა ვართ, ცოტა ომები გარდგვიხდია?“

„გავინყდება, ზიათ-ხან, რომ ჩვენ მფარველობის ტრაქტატი გვაქვს დადებული, და ინგლისელებს, ფრანგებს და გერმანელებს ტრაქტატი არ დაუდვიათ, და არც თქვენა და თურქებს.“

„რაც დაუახლოვდით რუსთა, ჩვენი გამორკვევით, განყალდა თქვენი ქვეყანა, უმახანმა დიდი ზარალი მოგაყენათ, ლეკთა თარეშმა მოშალა ვაჭრობა, ტყვეთა გამოსყიდვამ დაგიცარიელათ ხაზინა, ალა გპირდებათ ლეკიანობის ალაგმვას, დიდ დახმარებას.“

„მრავალჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავლად მათგან ტანჯული.“

„შენ რაინდი ბრძანდები, ირაკლი-ხან, მაგრამ რაინდობას ნუ შესწირავ შენს ქვეყანას, ალა მაჰმად-ხანი დიდი ხანია, ხვალ-ზეგ შაჰი გახდება და შაჰაბაზის შემდეგ ასეთი ძლიერი ბატონი სპარსეთს არ ჰყოლია.“

„მით უარესი თუ ძლიერია, ძლიერებისაგან სჭირდათ, რაც სჭირდათ...“

მაშინ შაჰაბაზმა ჩაშალა ალექსანდრეს დაწყობილი საქმე... რა მისვლა-მოსვლა ჰქონდათ რუსეთისა და საქართველოს წარგზავნილთა. ჩაშალა და თან კახეთში ხეს ფოთოლი არ შეარჩინა... ძირიანად მოთხარა კაციც და ვაზიც... ახლა კიდევ ამ საჭურისმა, ცეცხლი-

თა და მახვილით რო შეიერთა მხარეები სპარსეთისა, ხოცა და ასახიჩრა იმოდენა ხალხი, (არადა მას ყოველთვის სძულდა ასეთი სისასტიკე, სძულდა და ეზიზღებოდა,) ჩორთი უნდა ჩამოაგდოს ჩვენსა და რუსებს შორის, დათაფლული დაპირებებით, და თან ჩვეულების თანახმად, მძევალთა მოთხოვნით... დაუნდობლები! ვისგან იყო აკლებული ქვეყანა, თუ არ მათგან! რამდენი მძევალი, რამდენი ქალ-ვაჟი, რამდენი ტყვე და რაოდენი ხარკი! რამდენ ქართველს უთხევია სისხლი მათ ომებში... თექვსმეტი წლისა იყო მაშინ, მეჩვიდმეტეში, 37 წლის იანვარში, ბარათი რომ მიიღო სპარსეთიდან ბატონი მამისა: „სასურველო ძეო ჩემო,.. მეცა იძულებითა მოგინერესრეთ, რომე შაჰსა ჰსურს ჩემი განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა და თანა წარმოიყვანო ასულიცა ჩემი და დაი შენი ქეთევან, მხოლოდ მოსვლა შენი აქა სპარსეთად მომანიჭებს მე განთავისუფლებასა ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა. მეფე თეიმურაზ.“ რის ფასად განთავისუფლდა მაშინ ბატონი მამა, ქეთევანის ცრემლებისა, სპარსეთში გადახვევისა და ერეკლესი და ქართველთა ინდოსტანის ლაშქობაში მონაწილეობისა... თუ სცხელოდა შაჰსა და ქართველებსაც თავში სიცხე უნდა ავარდნოდათ... რამდენი ოფლი და სისხლი ღვარეს ინდოსტანისა და ავღანისტანის გზებზე... სად აღარ, სად აღარ... ნახევარი ქართველობა იქ არის, გათათრებული და გაპარტახებული... აქაც რამდენნი გაამაჰმადიანეს, იძულებით, რა თქმა უნდა, მეფეცა და თავადიც... ის კი არ უღალატებს ქრისტეს, არა, არც ქრისტეს და არც ერთმორწმუნე ქვეყანასთან დადებულ ფიცს გატეხს! და სანამ კიდევ ჭიატობს ჩვენს თავადაზნაურობაში, ჩვენს მეომრებში, ჩვენს ხალხში რაინდული სული, ის უნდა გადარჩეს, უნდა გადარჩეს, რათა გადაეცეს და იხაროს ჩვენს მომავლებშიც!

„ერეკლე-ხან, მოიგონეთ სულმნათი პაპათქვენი, სჯულმდებელი ვახტანგი რუსეთის გზებზე ამოხდა სული, და რა მიიღო... მე დედა მყავდა ქართველი, ვახტანგის ლექსები ზეპირად იცოდა, ცრემლმორეული ამბობდა ხოლმე „რანი და მოვაკანი და სახლი და კარი ბანი და...“ მე გული შემტკივა თქვენთვის, რად გინდათ ალა მაჰმად-ხანის გადაკიდება, შენ დიდი სახელი გაქვს, ერეკლე-ხან, და რად გინდა კავკასიაში ყველამ გული აიცრუოს შენზე, თუ ბევრმა უკვე არ აიცრუა კიდევ... განა რა სიკეთეს მოუტანს შენს ქვეყანას და-რიალის კარის გახსნა.“

„პაპაჩიქოვი ვახტანგი, სანამ რუსეთს ნავიდოდა, ქირმანში იყო დატყვევებული რამდენი წელი, ხოლო პაპაჩიქოვის პაპის დედა, ქეთევანი, ბერი ქალი, ანამა, ცეცხლით დასწვა შაჰაბაზმა. შეგვისწავლია მათი ზნე საუკუნეების მანძილზე,.. მფარველს და მეგობარს კი კარი უნდა გაუხსნა, ასეთია ჩვენი წესი...“

მაგრამ მეფე იყო და ფიქრობდა, ბჭობდა კარისკაცებთან, ტახტის მემკვიდრესთან, ვინ რას ურჩევდა, ვინ რას, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მტკიცე იყო, და რაც ზიან-ხანს საბოლოოდ უთხრა, აი, ის თავისი სიტყვები აგონდებოდა მწარედ: „სანამ ხოჯა ერევნიდან აქამდე მოვა, რუსები მოასწრებენ და უკვე აქ იქნებიანო.“ აი, ეს სიტყვები გაუმტყუნდა, ეს მთავარი სიტყვები, უნდა მოსულიყვნენ და არ მოვიდნენ!! და თუმცა არ მოვიდნენ, თუმცა ვერ მოიქცნენ ისე, როგორც მფარველობასა და მეგობრობას მოეთხოვებოდა, თუმცა ვერ გაუწიეს სათანადო ნივთიერი შემწეობაც, ახლა, მამლების ყვილში, გატეხილი ღამის შემოჯარულ ფიქრებსა და თავის მტკრევაში, როგორ დახმარებოდა ახრებულ ტფილისს, არცერთი წუთით არ ეპარებოდა ეჭვი, აღარ ეპარებოდა, რომ ისეთ მტარვალთან გარიგება, როგორც ხოჯა იყო, იქნებოდა შეცდომა და შეცდომა დამაკნინებელი... თავისი ქვეყნისთვისა და თავისი ხალხისთვის დამღუპველი...

„რა თქმა უნდა, ბატონო პაპა,“ ეუბნებოდა ივანე, „სამასი წლის ალყა სპარსთა და თურქთა უნდა მოიხსნას და მოიშალოს! ერთხელ და სამუდამოდ! და საქართველო დაუბრუნდეს ევროპის გზას... ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, ბატონო პაპა, ფრინველებად ვერ ვიქცევით და თურქეთის თავზე მიმოფრენას ვერ დავინწყებთ... ეს საშინელებაც გაქარწყლდება, რაიცა ბედმა გვარგუნა, კონსტანტინეპოლი რომ დაეცა და თურქებმა მიიტაცეს ჩვენი მიწები და ჩავგვიხერგეს ევროპის გზა... რა ვუყოთ, გუდოვიჩი რომ ასეთი მექრთამე გამოდგა, საშინელი მექრთამე, ხოჯასაგან ძვირფას საჩუქრებს იღებდა და მოშველებაზეც თავი შეიკავა... იცით თქვენ, მსხვერპლის გარეშე არც როდის, არც არავის, არაფრისთვის არ მიუღწევია, და მაინც მხოლოდ რუსები შესძლებენ ჩვენთა მტერთა დაოკებას და თქვენი გადაწყვეტილების სისწორეში არცერთი წუთით ეჭვის შეტანა არ შეიძლება, ბატონო პაპა! ჯერ კიდევ როდის გამოგიტყვეს ხევსურებმა „ბატონიშვილი ერეკლე ღვთისგან ას დავლათიანიო...“ ივანეს ფართე, სანდომიანი სახე გაუნათდა. „შენც დავლათიანი ხარ, ჩემო ივანე,“ გაელიმა ერეკლეს და შვილიშვილს

ხელი გაუწოდა, „გონიერი ადამიანისაგან კარგი სიტყვა საამო მოსასმენია... მტერი თუ აილაგმა და დაკარგული მხარეები დავიბრუნეთ, მაშინ დავხუჭავ მშვიდად თვალებს...“ „არა, ბატონო პაპა, თქვენი სიკვდილი არ ეგების, ჯერ დიდხანს უნდა იცოცხლოთ, ქვეყანა განაახლოთ და ააღორძინოთ... არა გაქვთ სიკვდილის უფლება!“ შეუპოვრად უყურებდა პაპას და გამხდარ ხელზე ხელს უჭერდა... მამაცი იყო ივანე და თავის განირვაც შეეძლო, დედას ჰგავდა, იმ სულმნათ ქეთევანს, სამასი მხლებლით ხუთასი ლეკი რომ გააბრუნა ღართის კართან და კუდიტ ქვა ასროლინა. ივანემაც როგორ იბრძოლა, როგორ, იმ საბედისწერო დღეს, მტერმა ზურგიდან რომ მოუარა მეფის ჯარს და სანგარს ალყა შემოარტყა. თავი გასწირა ივანემ თავის რაზმთან ერთად, ყველა დაჭრილი იყო, ყველას თავპირზე სისხლი ჩამოსდიოდა, მოიკლეს თავი და მეფე ალყიდან გამოიყვანეს, და უკან შეტრიალებისა და ისევე ბრძოლის მოსურნეს, ხაფი ხმით შეუძახა ივანემ „რას სჩადითო!“ და ეს შეძახება იგივე იყო, რაც „უფლება არა გაქვთ სიკვდილისაო!“ ოო, მაშინ, ყარყუთას შემდეგ... ერთი წამით... ერთი გაელვებით განწირულებამ მოიცვა... ასეთი რამ მანამდე არც როდის არ დამართნია, მაგრამ არა, სიკვდილი კი არ უნდოდა, თავი კი არ უნდა მოეკლა, უნდა კვლავ შებმოდა ყიზილბაშებს, შებმოდა უკანასკნელამოსუნთქვამდე, სულისამოხდომამდე, ექნია ხმალი და თავი შეეკლა! ხედავდა: სისხლი გასდიოდა ივანეს, თავპირი ჰქონდა ნითლად განუწული და ხაფი ხმით ყვიროდა! ოო, რა საბედისწერო დღე იყო! როგორ გამოქუსლეს, როგორ გამოაქცუნეს! და როგორ არ დაევისო თვალი ახრჩოლებული ტფილისის დანახვაზე...

„მე ახლა, ბატონო პაპა, დღედაღამ ქვეყნის მოწყობაზე ვფიქრობ, სულ ეს მიტრიალებს თავში, შევადგინე კიდეც მონახაზი, რა უნდა გაკეთდეს, როგორი კანონები უნდა გატარდეს... სჯულდებაზე ვფიქრობ სულ... და თქვენი სიცოცხლე აუცილებელია, თქვენს გარეშე ამას ვერავინ შესძლებს... სამწუხაროდ, ჩვენს დიდ ოჯახში არავინ მოიპოვება მიახლოებით მაინც თქვენისთანა საქვეყნო ჭკუით აღჭურვილი, მამაცი და გამჭრიახი მხედართმთავარი...“ ერეკლემ შუბლი შეიკრა, მწუხარედ ჩაჰკიდა თავი, რადგან ვერ იტყოდა იმას, რასაც ხშირად ფიქრობდა და რაც გულით-ენადა: „ჩემზე რომ იყოს, შენ ჩაგაბარებდი ტახტსა და ქვეყანასო...“ მაგრამ ეს არც მასზე იყო და არც არავისზე... იქნებ ოდესმე... ოდესმე დადგებოდა ისეთი დრო

და არჩევითობა იქნებოდა, და ქვეყნის მესვეურს მთელი ქვეყანა აირჩევდა... მაგრამ ახლა... ვერ გადაახტებოდა ვერც შვილებს, ვერც შვილიშვილს, დავითს... და თვითონ ივანესთვისაც ეს უთუოდ მიუღებელიც იქნებოდა და წარმოუდგენელიც.....

საწოლი ოთახიდან ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოისმა, თავი აიღო, ღია კარში თედო გამოჩნდა, თანშეზრდილი მსახური, ცალ მკლავზე გადაკიდებული ჰქონდა რალაც ნაცრისფერი ნაქსოვი, ჩამოგრძელებული, ლამის იატაკამდე უწევდა, მეორე ხელში კი ვერცხლის სურა ეჭირა: „რაო, თედო?“ „დიდო ბატონო, ჩაუკეთებ ბუხარს, თუ ინებებთ მოსვენებას?! ქვეშაგები გაგისწორეთ.“ „ჩაუკეთე, ჯერ მაქვს კიდეც სამუშაო“.

თედომ სურა ფანჯრის რაფაზე დადგა: „ბატონმა დედოფალმა ყურძნის წვენი მიირთვას აუცილებლადო, ყუათიანიც არის და ძილისთვისაც კარგია, დიდო ბატონო.“

ეტყობა კისერი დაელალა, თავი გადასწია, გამოუჩნდა დაბერებული, ჩამოტყლარჭული ყელი, კისრის მალეების ტკაცუნიც მოისმა... „ღმერთო, გადმოხედე, რა დარდიანია... ასეთი არც როდის არ უნახავს... დღეს და გუშინ ხომ არ ემსახურება... ერთად ჩამობერდნენ... რა გამხდარია... მთლად ჩამომდნარა, რაც არ უნახავს, ზაფხულს შემდეგ...“

„ჩამომისხი აბა ფიალში, პირს გავისველებ...“

თედომ იქვე ბუხრის თავზე პანია თახჩიდან ვერცხლის ფიალა ჩამოიღო, და მაგიდის ნაპირას დადგა. „დიდო ბატონო, ნება მომეცით ეს შალი მოგახვიოთ მხრებზე, ციურიმ მოგიქსოვათ, დიდო ბატონო, თქვენმა ნათლულმა, აი, ნახეთ, რა ფუმფულაა“. „წელან რომ ნახვედი მცირე ხნით, ამის მოსატანად ნახვედი?“

„დიახ, დიდო ბატონო, დღე და ღამე ქსოვდა, ჩემი დიდი ნათლია ღამლამობით მუშაობს და იქნებ ეს იამოვნოსო, სწორედაც ამაღამ უნდა დავამთავროვო.“

„მართლა მშვენიერი შალია, უყურე შენ ციურის, როგორი სანიშნო ქსოვა სცოდნია?!“

„საერთოდ ძალიან ყოჩალი გახლავთ, ისეთი ხელგამომავალია, თვითონვე დაართა კრაველის მატყლი, ათწვერად მოქსოვა, სქელი იყოს და თბილიო, დიდო ბატონო.“

გამხდარ, ჩამოქნილ სახეზე ერთბაშად უსიამოვნო ჩრდილმა გადაუარა: „დიდო ბატონო, რაღა დიდო ბატონო, თედო, რომ დავმარცხდით, და ვმარცხდით ტფილისი დანგრეულია და გადამწვარი, და მე აქ თბილად უნდა ვიყო!“ გამუდმებით თვალწინ ედგნენ

ბრძოლაში დაღუპული თავისი მეზობლები... რამდენნი... რამდენნი... არტილგრისტიებიც... გაბრიელ მაიორი... გიორგი გურამიშვილი... ალალუა... სამეფო ხაზინა წაღებული... კვერთხი... გვირგვინი... დროშა... წიგნსაცავები გადამწვარი... ახტალა აოხრებული, მემადნე ბერძნები მოკლული... გამუდმებით ხედავდა დაუმარხავ გვამებს და შიმშილით მოცულ დანგრეულ ქალაქს.

ერთნუთს სიჩუმე ჩამოვარდა, მამლებიც აღარ ყიოდნენ. თედომ სურა აიღო, ფიალაში ყურძნის წვენი ჩამოასხა და მიანოდა, მოსვა ორიოდე ყლუპი და მაგიდაზე დადგა ფიალა: „მადლობა გადაეცი ჩემს ნათლულს, მართლა კარგი შალია, გვერდები გამითბა. წადი, თედო, მოისვენე, ნულარ იფხიზლებ...“

„ვერა, დიდო ბატონო, სანამ თქვენ ფხიზლობთ, ვერ დავნებები, უთუოდ უნდა დაგიზილოთ მხრები და მუხლები, გორჯასპიმ ხო გირჩიათ, თურმანიძემ, დასაზელი საცხიცი მოგართვათ...“

„კარგი აბა, სადაც არის ირიჟრაჟებს კიდევ...“ სამელნეს სახურავი დახურა, კალამს წვერი გაუნმინდა ჯვალოს პანია ბალიშზე, სათვალე მოიხსნა, ბუდეში ჩადო და წამოდგა. თედომ ორსანთლიანი შანდალი აანთო საწოლ ოთახში, ბუხარს ჩაუკეთა, ლეონისეულ ღვთისმშობლის ხატთან კანდელს პატრუქი გაუნმინდა და შემოვიდა თუ არა დიდი ბატონი და ტახტზე დაგებულ ქვეშაგებზე ჩამოჯდა, გახდა დაუნყო, შალის ხალათი და პერანგი გახადა, „ოჰოჰოჰო, რა გამხდარი იყო... გამხდარი? გაძვალტყავებული... ღმერთო დიდებულო, ამ გალეული მაჯებით ხმალს როგორ იქნევდა, როგორ?! რა ძალა აქვს მაინც სულისა, რა შეუპოვარი! ეს ღრმულები ლავინის ძვლებთან, თითოში მუშტი ჩავა, ეს ამოყრილი მხრები... საცხი გაისვა ხელზე და ნელა დაუნყო ზელა... როგორ უნდა, როგორ სურს გაახალისოს, რაც აქ არის, პირზე ღიმი არ მოსვლია, და თვალეებშიც რა ვარამი აქვს ჩაგუბებული...“

„აბა, უყურეთ, დიდო ბატონო, აი, ეს ნაჭდევი მხართან კიდევ გეტყობათ, მე რომ უდასტუროდ წამოვედი და გზაში დაგენიეთ... შაჰ-ჯანაბადთან რო დიდი ბრძოლა იყო დილიდან საღამომდე, მახსოვს მაშინ დაიჭერით მხარში, ნადირშამ კარგი მალამო გამოგიგზავნათ, ჭრილობამ მალე შეიკრა პირი...“

„რო დავბრუნდით, თედო, და ალავერდში შევიყარენით... ბატონი მამა, ბატონი დედა ყველანი იქ იყვნენ... რა სიხარული იყო...“ სიტბომ გაულხო ხმა.

„მამინაც დიდი სიხარული იყო, დიდო ბა-

ტონო, ყვარლის ციხე რო ავიღეთ... ძალიან ხო არა გზელავთ? მთელი ზურგი მოფენილი გააქვთ ნაჭრილობევეებით და იქნებ არ გიამებათ, დიდო ბატონო...“

„კარგი ხელი გააქვს თედო, მამა შენი დაზელა...“ „ჰოდა, იმას მოგახსენებდით, დიდო ბატონო, მუცალი-აჯი-ჩელების შვილი სულთანი და ჭარელნი იმოდენა ჯარებით ყვარლის ციხეს რო შემოეხვივნენ. ციხეში დავით ვაჩნაძე იდგა, მელქისედექ და ბესპაზ ჭავჭავაძეები, ხასი გავაზი და ყვარელნი, ოცდასამი დღე იბრძოლეს თურმე ლომსავით, მაგრამ დაცემის პირას იყო უკვე ციხე, თქვენ რო მიეშველეთ ორასის კაცით, მახსოვს ჩვენი მდივნის შვილი იყო, სოლომონისა, პაპა შალიკაშვილი, საპატიო კაცის შვილებიც, გლეხებიც, მრავლის ტყვია-წამლით გავემართეთ. დიდად შემოსაფრული იყო ის ციხე და თქვენ გაარღვიეთ ალყა, დიდო ბატონო, თქვენა და პაპა შალიკაშვილმა, თქვენ გაგვიძეხით და ჩვენც მოგყევით, აი, ეს ჭრილობა, დიდო ბატონო, ბეჭის ქვევით, როგორი კორძი გააქვთ დარჩენილი, მაშინდელია...“ „ეგ მგონი იქიდან რო წამოვედით, ჩასაფრებულები ყოფილიყვნენ შაქრიანთან, იძულებული შევიქენით პირდაპირ შეეცვივნელიყავით ალაზანში, ერთს უფონო ადგილას... შიგ წყალში შვიდი-რვა კაცი შემოგყვია და ჩვენს ცხენს და ჩვენ მოგვეჭიდა... ღმერთს გარდა იმ დღეს პაპა შალიკაშვილმა მიხსნა სიკვდილისგან, და დაჭრითაც მაშინ დამჭრეს...“ „მახსოვს თქვენა ბრძანებდით: სამისა შალიკაშვილითა ხუთას კაცს მტერს არ შეეუშინდებო.“

„და იესე მღვდლითა, მაჭავარიანითა, რა მედგარი და შეუპოვარი იყო, სულ თან გვახლდა, მთასა და ბარში, თუშეთს, ფშავს, ქართლსა და კახეთში, ბრძოლაში და მშვიდობაში მოუშორებლად გვახლდა...“ თედომ გაიღიმა, რა კარგია რომ გამოცოცხლდაო, „ხელის მტევნები მიბოძეთ, დიდო ბატონო,“ მორჩილად გაუნოდა ხელები, დაკოჟრილი ხელები, ხელის გულები კი განსაკუთრებით მარჯვენა მტევნისა, სულმთლად გარქოვანებული ჰქონდა, „ნეტავი როგორ გაუძლო, დიდო ბატონო, ამ ხელებმა ამოდენა ხმლის ქნევას, მთელი სიცოცხლე... უნდა კარგად დაგიზილოთ ხოლმე, იქნებ ცოტათი მაინც დაგიზილოთ ხელის გულები.“ „მეგონა იესე მღვდელს მოიგონებდი, შენ კიდევ ხელის გულებიო!“ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი.

„თქვენ კარგადა ბრძანებოდეთ, დიდო ბატონო, და იესე მღვდელს რამდენსაც გნებავთ იმდენს მოვიგონებ და საგანგებოდ კი იმასა, ქისიყს რო დაღესტნელნი და სრული-

ად ქარელნი მოგვიხდნენ, სძლეთ და სრვით მიჰყევით ყარალაჯამდე, ალაზნისა და ივრის შესაყარში არხი დაგვიხვდა ღრმა, კაცისა და ცხენისაგან ძნელად გასავლელი, ჩვენ შევდრკით, იესემ კი, თან რა მუღერი ხმა ჰქონდა, რიტორულეზრ შემოგვძახა: „მეფენო, ღვთივ გაძლიერებულნო, რასათვის არა უტევთ მხედართა ჭურვილთა სრვად ქრისტეს მტერთა ზედანო?“ აიკეცა ანაფორის კალთები, გაიქცა, მოიტანა ბარი და იწყო ფიცხლად კვეთა მიწისა, განავაკა ის გზა, გაუძღვა ლაშქართა, ვენიენით და მოვსრეთ ურცხვი ლეკი... აზათ-ხანთან დიდს ომშიც ხომ თან გახლდათ... სად აღარ, სად აღარ... თან სამღვდლო მსახურებითაც გვმსახურებდა და იარაღის მოხმარებითაც... გარეთ მყოფობაში აღსარებასაც მასთან ბრძანებდით... თქვენც მეფურად დაუფასეთ, დიდო ბატონო, ამოწყვეტილის თავადის სვიმონიშვილის ნაქონი მამული რომ უბოძეთ, „რისაც მქონებელი სვიმონიშვილი ყოფილიყოს, ყოველივე შენთვის გვიბოძებიაო, მახსოვს ასე ეწერა წყალობის წიგნში.“

„ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ მის შვილებსა და შვილიშვილებს... ორნი კიი, უმცროსები, ბაქარი და მათე კრწანისში დაეცნენ... კარგი, თედო, მეყოფა დაზელა,“ ღრმად ამოიოხრა, „მუხლებს ნუ დამიზელავ, სამუხლები მიკეთია და მეკეთოს.“ თედომ პერანგი ჩააცვა, და ფეხები რომ აუწია, ვაიმე, ჯოხებია თუ ფეხებო, გაიფიქრა მწუხარედ, საბანი გაუსწორა, მხრებთან შალი ჩაუკეცა: „დაზელის შემდეგ სითბოა საჭირო და ჩაიყოლეთ ეს შალი, დიდო ბატონო, ოჰოჰოჰო, ციურის რომ ვეცყვი, დაისხავს სიხარულით...“

„ეს შალის ქსოვა კარგი, მაგრამ წიგნი რომ უყვარდა ციურის, უყვარს კიდეც? ესიტანთ ქალები წიგნის სიყვარულით არიან ცნობილები.“

„უყვარს რომელია, დიდო ბატონო, თოთხმეტისაა და რალა არა აქვს ნაკითხული, დებსაც, ძმებსაც ყველას გადაასწრო წერა-კითხვით...“ თან ხილბანდი მოახვია თავზე და ცდილობდა უკან გამოენასკვა, „ვისი ნათლულია როო, თქვენი წყალობით, დიდო ბატონო, „კიტაიის სიბრძნეც“ ნაიკითხა და „აპოვთეგმატაც.“

„ოჰ... ოოოჰ...“ კენესით აღმოხდა, „ველურები... ველურები... ეგ წიგნები მაინც არ წამელო აქედან...“

შენუხდა თედო და როგორ შენუხდა, რა ღმერთი გამიწყრაო, რალა ეგ წიგნები ვახსენეო, ხომ ვიცოდი, რომ მთელი წიგნსაცავები დანვეს იმ ურჯულოებმაო, სტამბაც კი გაანადგურესო... სასახლის წიგნებიც... ანტონ კათალიკოსის ის უძვირფასესი შვიდი ათასი

წიგნიო... აღარ იცოდა როგორ გამოენსორებინა თავისი უნებლიე შეცდომა, დარდით აღმოდებულს როგორ დავასხი ცეცხლზე ნავთიო, რამდენს მაკითხებდა იმ წიგნებსაო... დატრიალდა თედო, ფეხებთან ნაბღურა დაადო, პანია კოკურით წყალი დაუდგა მომცრო ტაბლაზე სასთუმალთან, ზოგჯერ ჩირით უყვარს პირის გასველებაო და ერთ-ორ ატმის ჩირსაც დაგუდებო, გაიფიქრა და განჯინისკენ რომ წავიდა, ხალიჩის კიდეც წამოჰკრა ფეხი და ნაიფორხილა, კედელს მიანყდა, თორემ ნაიქცეოდა...

„ჩემო თედო, ძალიან კი გატეხინე ღამე, მაგრამ სანამ წახვალ, იქნებ ერთი-ორი გვერდი იერემიას გოდება წამიკითხო...“

„წაგიკითხავთ მაშ! მაგრამა, ჩირს ხო არ ინებებთ, ატმისასა, ბადაგში ამოვლებულს...“

„არა, არ მინდა, პირის გასასველებლად წყალი მაქვსო...“

თედომ თავჩიდან დიდი წიგნი ჩამოიღო, სამფეხა დაბალი სკამი დაიდგა საწოლთან და სანამ გადაშლიდა, გაიფიქრა: იქნებ ერთი კარგი ამბავი მოვაგონო, ამასობაში ძილიც მოერიოს და ეს მწუხარე გოდება აღარ წამაკითხოსო, „დიდო ბატონო, ნებას თუ დამრთავთ, ერთი კარგი ამბავი გამახსენდა და მინდა ვითხრათ... საგარეჯოსთან რო იყო დიდი ბრძოლა, მეც გახლდით, გამარჯვებულებს ჭედილები დაგვიკლეს, კარგი მანავური ღვინოც მოგვართვეს, თქვენ ხო მაშინაც მკლავში იყავით მაგრად დაჭრილი, სისხლი წყალივით გაგდიოდათ, კობიაშვილი გახლდათ მაშინ და თავისი წამალი დაგადოთ ჭრილობაზე და არტაშნით შეგიკრათ... ჰოდა, ვსხედვართ ბრძოლის შემდეგ დალილები, პურობაზე და ვარდისუბნელი მეღექსე რო იყო, თავისთავს „აღსოზვარდს“ ეძახდა, ალექსი, სოზაშვილი, ვარდისუბნელი, პირველი მარცვლებით შეიდგინა სახელი, ჰოდა, ლექსის თქმა რო გთხოვათ, გამოგიგონეთო და თუ შეიძლება, მათქმევინეთო...“

„მერე, თედო, გახსოვს ის ლექსი, რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ და...“ „რა დამავიწყებს, ჩაბეჭდილი მააქვს... ბატონიშვილ ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვანია, წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზე უძოვანია, საჩალეში გადუგდიათ, მონადირეს უპოვანია!“ ერეკლეს გაეცინა: „მე აღარც მახსოვდა, უყურე შენ აღსოზვარდს, ეტყობა რალაც ნაუკითხავს თუ გაუგია... შენ კი გადაშალე ეხლა იერემიაზე, ჩემო თედო...“ და როცა თედომ ნახა გოდებანი იერემიასი და დაიწყო კითხვა, და წარმოთქვა „ალეფ. ვითარ დაჯდა მარტოი ქალაქი განმრავლებული ერითა? იქმნა, ვითარცა ქურივი განმრავლებული ნათესავთა შორის... ბეთ. მტირალი ტიროდა ღამე და

ცრემლნი მისნი ზედა სიკეთეთა, და არა იყო ნუგეშისმცემელ მისსა ყოველთაგან მოყუარეთა მისსა. ყოველნი შემყვარებელნი მისნი განცრუვნეს მისდამი, იქმნნეს მისსა მტერებ...”

ერეკლემ კედლისკენ მიიბრუნა თავი, რომ არ დაენახა თედოს, როგორ ჩამოსდიოდა ბოლმითა და ჯავრით სავსე ბერიკაცს დაღარულ, ჩაცვივნილ ლოყებზე ცრემლები...

საშინელი სიზმარი ნახა, არც იცის, სიზმარი იყო თუ მოჩვენება, ვითომ სადღაც იყო, სადღაც, დიდ მარანში... ჩარიგებული, ჩარიგებული უთვალავი ქვევრებით... ვერ სცნობდა რა მარანი იყო, არც უნახავს ასეთი უზარმაზარი მარანი, ქვევრებს ზოგს მოხდილი ჰქონდა თავი, ზოგი კი სარქველით იყო... კედლები არ ჰქონდა მარანს და ქარი უბერავდა... უბერავდა... ღვინოებს ალიცლიცებდა... და რატომღაც აფორიაქებული იყო, აქეთ-იქით იყურებოდა... და მართლაც გამოჩნდა ვიღაც გაბანჯგლული, მთლად შიშველი კაცი, ხიდან ჩამომხტარ მაიმუნს ჰგავდა, ერთბაშად ხელი სტაცა თავის წარმოუდგენელი ზომის ასოს და ქვევრებში ჩაფსმა დაიწყო, დადიოდა და აფსავდა... რომელ ქვევრსაც სარქველი ეფარა, გაჰკრავდა შიშველ ფეხსა და ვითომც აქ არაფერიო, ზრიალ-ზრიალით გაისროდა მარანს იქით... სანყალი ბერიკაცი დგას სასონარკვეთილი, უნდა ხმალი იშოშვლოს და ვერაფერი მოუხერხებია, არ ამოდის ვადიდან ხმალი... ღმერთო, ან სადა აქვს ამდენი შარდი, აფსავს ისევ და თან ბურტყუნებს რაღაც ენაზე, მაგრამ რატომღაც ესმის რასაც ბურტყუნებს, „უნდა მთელ მარანს ვამყოფინოო... ვამყოფინოო... ვამყოფინოო...“ „რას სჩადი, ველურო!“ ყვირის, ყვირის, ყელის ძარღვები ლამის დაანყდეს... ის ხიდან ჩამომხტარი კი ისევ ბურტყუნებს და სიმღერასავით უქცევს; და ისევ რაღაც ქაჯურ ენაზე „სულ სხვა არის ფსლიანი ღვინოო, სულ სხვა გემოო აქვსოო... გემოო წმინადა აარიის...“ და ისევ აფსავს და აფსავს...

გაეღვიძა, ოფლი ხვითქივით გადასდიოდა... სასახლეში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ჯერ ისევ ეძინათ... მოჟამული ადგა... ბუხარში კუნძი ინავლებოდა, მივიდა და ცეცხლს უთხრა თავისი სიზმარი... მიიარ-მოიარა, პირი დაიბანა, ლეონ ბატონიშვილისეულ ღვთისმშობლის ხატთან პირჯვარი გადაიხსა და გარეთ გავიდა, კარის ეკლესიისკენ გაემართა სალოცავად. ბაღში მეზალე ტრიალებდა, მაშინვე გამოემართა მისკენ, თავი დაუკრა, მიესალმა, შორიახლოს გაჩერდა: „დილამშვიდობისა, თევდორე.“ „ნახეთ, დიდო ბატონო, შემოდგომურებმა როგორ გაიგიჟეს თავი, სადამდე ყვავიან, შემხმარ ფოთლებს

ვაცლიდი, უშნოდ ნაყარი შტოებისაგან ვანთავისუფლებდი, რო გამობრძანდებოდი, თვალი გაგეხარებინათ...“ უნდობლად გახედა შემოდგომურებს, წითლად და იისფრად დაღანებდნენ... უფრო იმიტომ, თევდორე არ გაენბილებინა. „თვალი გაგეხარებინა?“ ველარ ახარებს თვალს... ველარ... ასე ჰგონია საბოლოოდ დაიხურა მისთვის ამა ქვეყნის სილამაზე და მშვენიერება... აგეერ კავკასიონი და ალაზნის ველი... როგორ უყვარდა ბავშვობიდან აიმ ფანჩანტურში ჯდომა და მთებისა და ველის ყურება, ყოველწუთიერად რო იცვლიან სახეს. მზის სხივებით... ნისლით... ღრუბლებით... ჩრდილებით... მარადიულობისა და ცვალებადობის უწყვეტი შერწყმა... და ასე წარმოედგინა ბავშვობაში, რომ იდგა ამ დიდებულად მოჩითულ ველზე და ამ მთების მარადიულ სიმძლავრეს და მშვენიერებას ეყრდნობოდა... ახლა კი რა?! აღარ უნდა გაიხედოს მთებისკენ, არა, რადგან მთის უბეებში მღვრიე ნაკადს ხედავს დაუძინებელი მტრებისა, ქვეყანა რომ აიკლეს ცარცვა-გლეჯით... სავსეა ეს მთები, სავსე მტრითა და დუშმანით, ნიაღვარივით რომ მოსკდებიან და ლამის წალეკონ ქვეყანა... ღმერთო დიდებულო, სადღაა მშვენიერება... სად“ — და მე, მუზეუმის თანამშრომელმა თიკომ, რომელსაც დიდ მონინებასთან ერთად, საკუთარი პაპასავით მიყვარს ირაკლი მეფე, ლექსად ასე წარმოვიდგინე მისი ჩივილი, — მაღალი შტილით რომ ვთქვა: „მშვენიერების გაქარწყლებისა გამო.“

„სამდურავს გეტყვი, მაღალო ღმერთო, და მიიღე ეს სამდურავი:

ჩვენი სვე-ბედის ურვით და ჭმუნვით, ჩვენი მთა-ბარის ოხვრით და სულთქმით, მოსისხარ მტერთა გუნდით და გუნდით, „ურჩ, უძღებ შვილთა ამაო მდურვით, ავივსე დარდით, და გამიქარწყლდა მშვენიერება...“

ალაზნის ველი გადამექცა საომარ ველად, სისხლით დატბორილ, და მოფენილ მებრძოლთ გვამებით... კავკასიონი აღმემართა არა თუ მცველად, მტერთა ბუდედ და შურის აღმძვრელად, ვით ნიშანსვეტი დასაპყრობი და დასათრგუნნი. ო, გევედრები, ერმა ჩემმა ან აღარასდროს, აღარ იხილოს მტრის მხედრიონი! მშვიდობის მწუხრს და მშვიდობის ცისკარს გუგუნებდეს ზარი სიონის მეც მოგიყარო მუხლი, უფალო, და ძალმიძდეს უბრალოდ გითხრა მაღლი შენს ძალას! უთვალავ ფერით მოგიჩითავს ალაზნის ველი, მეფურ დიდებით აღგიმართავს კავკასიონი.“

/გაგრძელება იქნება/



ფიქრი
დასასრული

შენ დაშობულ წინდა'ებს,
ფერბინდ კაბის საგულეს,
კუჭურა'ის მანდილსად
ვერცხლის მძიმე საყურეს,
ძირსიბუქა' ჩითებსად
ნახელჩქარალ არშიებს,
შენ სკივრ-კიდობანთ ნაწყობ
ფერად ფარდავთ არშინებს
ფერ შესცვლიად სუ ყველა'თ
სიკვდილმოსვლა აშინებს.

ალა-ბულა მე'ძალავ, — შჩივ
ერთ დროს ნაღლევ ყანებსავ,
საქონის ჩლიქ დაღნატვრიავ
ერთ დროს მდიდარ ქავეებსავ;
ყორე მიწისუ ჩამოღვრიავ
ერთ დროს მტრის ვერ მკარებსავ,
ქარ ნა'ჭრიალებსავ
ღირკლედ დამრჩალ კარებსავ.

რამდენ ვერცხლის ხანჯარიდ
რამდენ ლეგა ქათიბ,
რამდენ აზატად ნაზარდ,
რამდენ ჯაფა ნაზიდ,
რამდენ უბე-ფარაგა'
რამდენ წარბებ ნაზიდ,
რამდენ ჩიხტიკოპიან,
რამდენ ბედის ნალირლნ
ერთფერად ჩი' კრ მიწამად
შავ კმილებით განინკნ.

მამისახლ მიწიზდ ნაფარებ,
მიწას ჩასულ ქმარის სახლიც,
გადაგვალულ ბალი-დ ყანა,
ჯანგის შეჭმულ საკვეთ-სახნის.
გარეშემო ნამტვრევაებ
მიქელ გაბრიელის სახრის,
წინ-სამარე, პირ ანალებ,
ამოღელილ ცრემლის ნანვდის...
დანაღველფარ ბერდედა დგებ,
შავ სამარეს ხელებს აწვდის.

დანახავსარს — დანანავლს,
მინასვენებს კარებს
დანაცალარ შარისაკ
მინაკემს ხქონდ თვალებ.
უკვე განაზდა'ვაით
დანამძიმარ ტარებ
გვერდს ეყარად ღრიჭოში
მიძვრებოდეს ქარებ.
დანამჭნარალ პირს ეფინ
სევდის ფარა-ფარებ.

სუცამ ნუ დამეხოცნიდით
ჩემ უბნის ბებო-პაპებო...

ქურდ ქისტსავით ჩასაფრებულ სიბერეო,
ცქრიატსავით მომსვლელაო ჩქარო,
თმაში თვირთვილ-ჭირხლის უხვად
დამთოვა'ო,
ლონე წართმის, ულონობის ჩქამო.



ბელვა'ის ჩამოშლილ კალთა'ზე,
ჩაობ-ჩაჯანგებულ ყათარზე,
ხიდ-ყავრე ჩამომპალ სახლ-კარზე
დარდზე თავისზეად ცხვათაზე
სულთქმევდ, ცრემლს იგუბებდ კალთა'ზე.

„ხენ იდგენაოდ' — მწარენივ,
კარ მლე იდგესავ ყუნნამდ!“...
უძმო ბერდედა ბობოქრობდ,
სასუდრეთ ბოხჩას შჭუჭკავდ...
„გვარების ჭამა — თავებით
ვერ გაზძლივ!“ — სოფელს სტუქსავდ.

ჩამოდიან მოხრილებ,
კალო განალენარებ,
სახენაკეცნ, თვალნაჭუტნ,
სოფლის განანენარებ,
ხელჯოხიანნ, მუხლნახოცნ,
ბილიკთ განაჯენჯარებ.

ბაკურიანთ ბერდედა
კარებში ზის დანავლულ,
მაინც თვალეზს ამზევებს,
სიტყვა მოზდის დათაფლულ.
მომოალზე ილოცებ,
თავის დღეებ დანაცრულ,
ხანთხან რა'იმ ნალაღებ,
ბევრჯელ ტკივილ წანაპკურ...
ბაკურიანთ ბერდედა
ზის ეგ სიკვდილ დანატრულ

დამენყვ თავსმანდილნახურთ,
თუშურ ქუდა'თ ჩვენებან...

ალარსი გძელ აივან,
ცივ-ცივ მარნის ღვინით,
ალარც წელში გადრეკილ
ოსე პაპის ღიმოლ.

რა'ივ, დედო, მძიმდება
ი'სრეც ნაჯაფ მუხლებ,
ბაბე გარეც გმინავსა:
„სოფელს აღარ ვუხდებ“.
ანად თებროს ეზოში
ბილიკ ხო არ უქმდებ,
საბედა'ის ძაგ-ძუგით
რომა ხო არ დუნდებ,
სერო ჩამოდისალა,
გზას მეტ დროს ან უნდებ,
მათიკო-დათიკოთა
ხსოვნა ხო არ ხუნდებ...
რა'ი, დედო, ნალალ გულ
ხო არ წყლულდებ-ფუვდებ.

ვისზეად ვთქვა, ჩათავდნეს
წელხანჯრიან მიმინონ,
ვისზეად ვთქვა, ჩანავლდნეს
თვალთაფლიან სირინოზნ,
ვისზე გიამბვ, ჩი'ფურცლნეს
კა ყმა — მზექალთ ბილილონ...

ფიჭეხობასავ გარმუნმ გალისავ გულივ,
სანთლით ასარჩევ ქალ-ყმან ყარისავ ხატმავ,
ჩოქმოგდებულეზ ვეხვენნიითავ ქალნივ,
ბურაყურიალით დასტურგვევიანავ კაცთავ.
დაჯიგრულ ფერის ფარაგა'იან ქალნი-დ
თეთრ-ლევა ჩოხა ჩაცმულ ყმან გვლოცის
ჯვარმავ.

სანთლისდრად დამდნარ ამოჩინდის
სოფლისძირ ბებო
თავს კუჭურა'ით, ხელს წინდა'ით,
მკლავს ტყავის ბადით,
შინ მოიდისად წამ არ დახკარგის
უსაქმოდ დამჯდარმ,
ხან ქსოის, ქარგის, გავის, რეცხის,
ფეხსამოს ბანდის.
სუ ცრემლის შამან გარს მბრუნავ მყვანდ
ცოდვილა' ბებო,
ჩვენ, ბაგეს ღიმოლ, შვილიშვილებს
ცხვა არა გვანდვის.
სანთლისდრად დამდნარ დადიოდის
დარდნალენ ბებო,
სეტყვადაცემელ, ფოთოლნაყრილ,
ნათელ ბალს ღვანდის.

ცრემლისყრით ჩამოგხედვენთ
წვიმა ლებით ყვავილებ
ჩამ-ჩუმ ნაფენ სამარეთ...

ღამე ბერდედას ღვანდა-დ
ბერდედა ღვანდ ღამეს.

ხელჯოხა'ო ხელში ქერას გალეულო
წახრილ მუხლში სიბერკაცის ქარო,
მილულულო, ათას მიზეზატეხილო,
უკვე ნათელგამოძალულ თვალო.
სიკეკლუცე შუ'ბრალეზღად ჩანავლულო,
ნაოჭებად სახენაკეც ქალო,
წელში ორად მოკეცილო, სულდუ'მდგარო,
ახლ ნიავოდ, წინავ ნიავექარო.
სამზეოზე ყოფის შუბისტარზე მსხდომნო
დღეებ თითზე დათვლილ ცოლოდ-ქმარო,
ამ ქვეყნისა პატაადა' ღია' მრჩალოდ
იმ ქვეყნისა დიდად გახსნილ კარო.

თორელის პერანგთ ნაბლღეძნიო-დ' ძვლებ
მე'ლოვ, — ამბობ, — ჩემ და თუთისავ.
არვინ არ მინდავ, აქ მყავავ სულივ, —
თორელის ძვალნივ. ასრ სუ-სუ თქვისავ.
— აღარას გათხოვდ, დაჭკნ
პირსმთვარემფენ,
თუთისფერ თვალებ ჩაჭკნ ქალ თუთისა,
სამარეში ჩი'ღვ პერანგის ნაბლღეძნ,
სულ თორელისიდ' ძვალ-მალ თუჯისა.

პატარზლობის ნაფრიალ
ბილიკს მიზდევ ხანხალით.
უკვენ მოგდევის განალმექ
თუბჟორიკა' ხახანით
შენ ვერ ხედავ, ისვენებ,
შუბლს ოფლს ინმედ კანკალით
მემრ გარევ გზას აგძელებ
ტანცხროება, ქავ-ქავით...
გზა გაგიცვდავ! — ცერთ იცვეთს
ბოღმა მაცილ ხარხარით.

რა'გვერ ვართავ, რუსუდანმ
ან შაოსან ატომ,
ჯოყო ძიომ, ავეტომ
ან ჩდილნაცემ პლატომ,
ანად დართლოს ღიმცემით
ჩემ მამიდა' კატომ,
ან ფარსმისკ წამოალა'
ფროსემ, ეპრომ, ფატომ...
„კარგ ვარივ,“ გაგიცინა
ბილიკს ნაფანტ ქატომ.

წუხრიც მეად ბერდედა
მწვანე ყანას მოვღვლიდეთ,
პატარზალა'ის სამხლეს,
სიაც შეგვხედის, მოვშჭრიდეთ.
ყანის ძირში ნამალა
მტრედთად კაკაბთ მოვშლიდეთ,
ნათამამარ ხარნუყა'ს
ფოთოლს ვხყრიდეთ-მოვხფცქენიდეთ.
ენძელა'ის გვირგვინებს
ხელკანკალით მოვსწნიდეთ,
წუხრ მეად ჩემ ბერდედა
ნაზურმუხტალ ყანაში
მზის ბურჯღუმებს მოვსცრიდეთ.

ბუნდრად მახსონს ბერდედა,
მომდინარა' შაოსან,
სიბრძნ-სიკეთის მქადაგველ,
რა'გვერც ვეფხისტყაოსან.

ჩაჩუმდ ერთ დროს ნალალარა' შინა
რა'გვერითი ცხორება,
ცხენის ჯოგ რო მოყარიან თქარა-თქურით,
მთა-ველმ დი'წყის ცხროება.
ცხვრის ფარა რო აშალიან თეოს ნადგომ,
გორ-გურმ გულ-მკერდთ ჭროლება,
ჭიხვინია' ედგის ქალ-ზალს ემაგ ჭერქვემ
ჩეჩვა — ზღვაი-დ — თხორება...
კერა'ნაღვივ ტკაცუნა' ცეცხლსავით ჩანაცრდ
ემაგ შინის ცხორება.

ყორე დამრჩებაავ ნაშალა'ივ,
ცხელ კერა' ჩაქვრებაავ,
ქმარ დამიქვრივდებაავ,
წვრილ-შვილ დამრჩებაავ,
ყანა დამრჩებაავ შემოსაბარგებივ,
საქონ ბელვა'ის კარ დამრჩებაავ?
ქსელ დამრჩებაავ გასაჭრელივ,
ჩქეფით ჩამოღვრილ ხევ დაშრებაავ
რა'იმ გატირებსთავ, ჩემ სულ ცხონებამავ,
რა'იმ გაკვენებსთავდ გამქვრენსთავ?

რამდენხანი თქვენ დამქვნარ
ღანვებს ველარ ვმსთხვევივარ,
რამდენხანი თქვენ გამხდარ
ბეჭებს ვერ მოვხვევივარ.
რამდენხანი თქვენ გამცვდარ
მუხლთ ვერ ჩამოვმხოზივარ,
რამდენხანი თქვენ დაღლილ
თვალთ ვერ ჩამოვზდნოზივარ.

გაბაღლებულიდ თავცდას აყოლილ
ფხამ-ფხალით დაზღვეს ბერდი'აც ქალა'ს,
ვერ ეწვევისად გულამოფრენილ
მუხლ ველარ შჭრისავ, ხელთ ისხამს ქალას.
— ბერდედო, გაჯობ, ხო ვერ დამიჭირ,
მუხლთ ეხვევ ბებოს სკივსავით ქალა',
— გამეზარდებიმც სასახელოივ, ბერდედის
გულოვ,
ბებო ყვეჯგვს ქალა'ს.

ტყეში ნავიდისავ ბებოივ
შვილის ტირილადავ, გულის კანებადავ—
არავინ მნახოსავ, ყურ არვინ მიგდოსავ
თვალ — გულ მწარებასავ...
შვილივ წყალმ დუ'ხრჩოოდ თავად
ცრემლით დი'ხრჩოვ დარდის ბანებასავ.

ჯურა-ჯურის საჯიჯგნელმ
გაგიქანცათ სულ,
გლიმდუ'ძვრელა'ნ მეფშენიტენთ
მიწას — მიწან კრულნ.

ჩემ ბერდედო, მიამბელ
წინანდულა' ყოფისა,
წითელ მოვის პერანგის,
ლეგა, ქისტურ ჩოხისა,
ერთმანეთის უცნობლად
ჯარზე დასმულ ცოლ-ქმრისა,
ნანა, თორღვისა ქალის,
გზა-გზა ჩაშლილ ძონისა,
ან ხარ იდუაიძის
სოფლით ვერ გაძღომისა,
მტრიან გულუხა'იძიზდ
გვარის გამორჩომისა,
ზეზვა გაფრინდაულის
ცხენის განაფრომისა,
კოჭაურიძის მზისა,
ჩადენისა, ცხიომისა.
კახოს თინას-თავნაწირ
ხატის კარზე ომისა...
კიდევ დუ'თვლელ საგმირო
ამბის ფეხის ფლოქვისა,
არც როს გულდედლობისა,
არც როს მუხლის ჩოქვისა...

შარებში სხედან დას-მოსიცხულვებ,
დამქვნარ ხელებით შჩვეტავენ წინდა'თ,
ახასუნებენ ოხრ-ოხროობით,
ერთკვადს გა'ნდობენ, რა' დრო იყვ წინავ.
მთებისკ გახედვენ ჩაყრილ თვალებით, —
ცრემლის ნარჩომებ დე'დინებ ლოყებს,
რა' გვერემ ვძღლებთაქ ი'მ უმთო-უნყლოდ,
რამდენს ჩავდივართ ჩვენ თავთად ცოდვებს,
შარებში სხედან სულატაცებულნ,
ერთკვადს ახედვენ ძველ ჯაფის დოყვებს,
სწადის სიკვდილის წინ 'იქ შეჩენა,
'იქით სამარიზდ ამბობენ ლოცვებს.

მელანქარის ღილიან, სისვფერ კაბა გცმიყვ,
ზურმუხტების ღილიან წვრილა'
ქამარ გრტყმიყვ,
ქანდაქის აფე მანდილ დაღალეზზე გშლიყვ,
ლაჟვერდისფერ ქინძისთავ თავსაბურავს
გსმიყვ,
ვაკისყანას ათასფერ ბუბუნა'ებ გდგმიყვ,
საჯარა'ის სუსტ ფოთლებ გზა-ბილიკზე
გშლიყვ,
თავსნიერ კა ყმებისა სანარჩეო გქნიყვ,
თავადა' ჩამომჯდარ რა' საფიქრელს სწიკვ?...
თავადა' ჩამომჯდარ რა' საფიქრელს სწიკვ?...



კინოფილმ „ჭრიჭინას“ გმირებთან ერთად. 7 აპრილი, 2006 წ.

მარცხ მარათაშვილი

ჩემი ალვის-ხე

ახალწლის ღამეს, — (ოცნებებმა რომ დაგასიზმრეს), —
თვალმიუწვდენი იდგა სადღაც
შენი ალვის ხე.
სიცარიელე ირგვლივ,
მხოლოდ ხე ერთადერთი,
როგორც სიმბოლო-ოცნების და
სიზმრის ნაერთი.

მიუყვებოდი ცოცხით იმ ხეს
საით? — არ იცი,
არც ბოლო ჩანდა იმ სიმაღლის,
არც დასაწყისი.
სიცოცხლის მაგვარს ქვემოთ, სადღაც
ლანდებს ლანდავდი.
მოუყვებოდი ხეს-საოცარს
საით? — სადამდე?
მიუყვებოდი... თანაც შიში
არ გასვენებდა
მცდარი ნაბიჯის-ხელს ხომ ვერვინ
ნაგაშველებდა!
...იქ კი, — თავს ზემოთ სივრცე იყო
ისე ზღაპრული:
ცა ოქროს სირმით ერთიანად
გადაქარგული...
ბოლო არ უჩნდა ალვის სურვილს,

მის მისწრაფებას...
საით მიცოცავ? — არც კი ცდილობ
ამის გაგებას.
...შეპყრობილი ხარ სიხარულით,
მართლაც, სიზმრულით:
რომ აღარა ხარ მძიმე ჯაჭვით
მინას მიკრული...

...ხარ მადლობელი სულო ჩემო,
ახალი წლის ღამის,
რომ დაგანახა ცის მშვენება,
სიმაღლე ალვის,
დაგაძლევია სიზანტე და
მელანქოლია,
არმად ნაშოვნიც, უფლის
ჯილდო აღარ გგონია...

...თუ ვერ იხილე ერთხელ მაინც
ზეცის ბაღები,
ვერ აფრიალე სულში
ლალი ბაირალები,
თუ ვერ აივსე გული რწმენის
სიმხურვალეთი,
ვერ მოიცილე სულისაგან
ყოფის ნალექი,
რაა სიცოცხლე!!!

31/1-2006წ.

ბურთი

რამდენი ბურთია ქვეყნად
და რამდენი,
ბურთის სიყვარულში
ღამეს რომ ვათენებთ...
ხელბურთი, ფრენბურთი
ან თუნდაც ფეხბურთი...

ოსტატებს შექება
უთუოდ ეკუთვნით.
გვიტაცებს ილეთის
ნაირსახეობა...
განა თამაშია? —
ზეობა, მზეობა!!!

...მაგრამ მობურთალი
გვინახავს სხვაგვარიც...
ჰო, სულ სხვა ილეთით
გოლების გამტანი.
კარიც სხვაგვარია,
ბურთიც სხვაგვარია
და ზოგჯერ სიცოცხლეც
ერთ გოლს აბარია.
მერე რა მწარეა,
მერე რა მკაცრია,
ყოველი მათგანი —
გულზე გვაკანრია!

...ბოლოს, დაღლილები
დღეების სესხებით,
ვნანობთ, დავარღვიეთ
თამაშის წესები...

23/XII-2005წ

ჭრიჭინოებელა

როს სატკივარის — მიჭირს მოცეღვა,
ვფიქრობ, ამ სარკმელს შემოვრჩი მარტოდ,
სადღაც გაჩნდება ჭრიჭინოებელა
და თავისებურ საუბრით მართობს.

ჭრიჭინობს ისე სულმოუთქმელად,
თითქოს შეება უმძიმეს საქმეს
და ისიც ტოვებს მოსაგონებლად
სიმღერას, მშობელ ქვეყნისთვის სათქმელს.
12/1-2006წ

კვლავ ვეძებ...

...და კვლავ ვცდილობ და კვლავ ვწვალობ
და კვლავ ახალ გზებს დავეძებ,
გაცრეცილი ჩემი ჯვალო,
რომ გავფინო განედებზე...

ავყოლილვარ გულის ნებას
და ოცნების დანაპირებს...

ვიღაც მკითხავს: „ვის სჭირდება,
შვილიშვილებს? შვილთაშვილებს?“

ეგებ?...
და მე კვლავაც ვეძებ
საკერებლებს, ვკემსავ ჯვალოს...
ეგებ, ვინმე გავახარო,
ან ტკივილი დაფუამო...

25/XI-2005წ.

ირმის ნახტომს ვნატრობთ

საირმეზე ვსხედვართ
და ვმასპინძლობთ ლექსებს —
მოგვითხრობენ ამბავს
ზღაპრულ სიცოცხლეზე.

აქ კი მთებს და ხევებს
ზამთრის ბადე მოსავს...
და ვთხოვთ, ოქროს დღეებს,
ზეცის გვირგვინოსანს.

ლიდა უხმობს, ალბათ,
თეთრ, დარახტულ ცხენებს,
მე მიმალულს სადღაც,
კვიმატ საპოვნელებს.

...ზამთრის საირმეზე
მოლოდინი გვათბობს
ცისკენ ვგზავნით ლექსებს —
ირმის ნახტომს ვნატრობთ...

9/1-2006წ.

მას ფრთები მიეცით!

როცა სატკივარი
ასე გვებევრება,
ვის აღარ გვჭირდება
ზრუნვა, მოფერება.
მით უფრო თუ ვცხოვრობთ
საომარ გემბანზე
და ვთრთით ქარიშხლის
ყოველ შეტევაზე.
და რარიგ ძნელია
ბედი ხელოვანის,
გემბანზე მიკრული
ჯაჭვებით რომ არის.
ბორკილის სიმკაცრემ
დათრგუნა სრულიად —
მას ფრთები მიეცით,
მას ფრენა სწყურია!!!

25/XII-2005წ.



გუგუნო
სოკონიძე

მოსახვევი ბაყაყი

ერთხელ დუმფარას ფოთოლზე პანანა, თვალეჭყეტელა ბაყაყმა ბარათი იპოვა... უფრო სწორად რომ ვთქვათ, ლამაზად დაკეცილი სიფრიფანა ქალაღდი დაინახა.

ნეტავ რა არისო, — გაიფიქრა.

აბა საიდან ეცოდინებოდა, ან როგორ მიხვდებოდა, ბაყაყები ხომ ერთმანეთს არასოდეს უგზავნიან წერილებს?

სწორედ ამ დროს, ფოთოლზე თავმიდებულმა დუმფარას ყვავილმა გაიღვიძა, ყელი მოიღერა და ქალაღდი რომ შეამჩნია, სიხარულისგან ატიტიინდა:

— ო, როგორ ველოდი, ვინ მოიტანა?

— აბა რა ვიცი? — მიუგო პანანა ბაყაყმა და მხრები აიჩეჩა. თან ცნობისმოყვარეობამ აიტანა, ასე რამ გაახარა დუმფარაო, და კითხვით სავსე თვალეჭი შეანათა.

— პეპლებმა მოსანვევი ბარათი გამომიგზავნეს, შროშანების ველზე მეჯლისს ვმარ-

თავთო, მაგრამ როდის, რომ არ წერია?! — ატირდა ყვავილი.

პანანკინტელა ბაყაყს შეეცოდა ყვავილი და გადანყვიტა დახმარებოდა. ოლონდ ჯერ თვითონ უნდა გაეგო, რა იყო ეს მეჯლისი.

— კარგად ვერ გავიგე, სად მიგინვიეს პეპლებმა?

— საცეკვაოდ.

— ყვავილები და პეპლები ერთად იცეკვებენ? ო, რა ლამაზი სანახაობა იქნება?! — თქვა ოცნებაში წასულმა პანანა ბაყაყმა და ჩაფიქრდა, — მერე უცებ წამოიძახა:

— ახლა არა თქვი, შროშანების ველზეო...

— ჰო, მაგრამ, — ისევ აცრემლდა ყვავილი, — შროშანები ბევრგანაა. ალბათ პეპლები იღუმალებით მოცულ ადგილს მონახავენ და იქ გამართავენ მეჯლისს. დაწყების ნიშნად ყვავილები ზანზალაკებს აანკრიალებენ.

— ოჰო, ეგ კარგია, — გაიხარა პანანა ბაყაყმა, — თუ მივაყურადებთ, უსათუოდ გავიგონებთ ზარების ხმას. მერე იმ ხმას მივყვით და დანიშნულ ადგილას მიგვიყვანს.

— რომ გამოიმეპაროს? — ვაითუ იმ დროს ჩამთვლიმოს?

— გიშველი. შენ რომ დაიძინებ, მე ვიქნები ფხიზლად მე რომ ჩამეძინება — შენ იდარაჯე. ყვავილმა მადლიერებით სავსე თვალეჭი შეანათა.

პანანა ბაყაყი დუმფარას ფოთოლზე დასკუბდა, ლოყებბუტყუჭა და თვალეჭყეტელა, განნიკული და წრიპა. ხან მზეში ჩაყურდებოდა, ხანაც მთვარით შევერცხლილ ბინდბუნდში გაინაბებოდა... რაღაცნაირად უცხოვდ, ლამაზად თავს ოდნავ გადახრიდა და გალურსული ერთთავად ტბის გაღმა მხარეს გაჰყურებდა.

იქ შროშანებით გადათეთრებული ველი ეგულებოდა, მოფარფატე პეპლებით სავსე, იღუმალებით მოცული ადგილი... სულ იმის ფიქრსა და ცდაში იყო, კალიების კრუალსა, ბაყაყების ყიყივიში და წყლის დგლაფადგლუფში ზანზალაკების წკარუნი არ გამოიმეპაროსო.

მთლად ლოდინად და სმენად გადაქცეულიყო. იჯდა დუმფარას ვებერთელა ფოთოლზე გაუნძრევლად, ხანდახან მეგობრის ძახილზე თუ შეირხეოდა: გეყოფა, დაისვენე, ახლა მე დავუდარაჯდებიო! — სთხოვდა ყვავილი. ბაყაყი ადგილს არ იცვლიდა, ჯერ ერთი — სიტყვა მისცა დაგეხმარებო. მეორე, თვითონაც გულისფანცქალით ელოდა ზანზალაკების ხმას. ფიქრით ოცნების ცაში გამოეკიდებოდა და იმ საიდუმლო დღეს ყვავილებთან და პეპლებთან თავადაც ცეკვავდა. ამ სურვილს დუმფარასაც კი არ უმხეღდა. რცხვენოდა. თანაც შიშობდა, ყური არავინ მოჰკრას და არ დამცინონ, უშნოდ გატყაპულ



და გაჩაჩხულ ბაყაყუნას რა უნდა სიფრიფანა ყვავილებთან და პეპლებთანო.

ვინც კი ტბაში ცხოვრობდა, აზრად არავის მოუვიდოდა, პანანკინტელა ბაყაყს ასეთი მოყრმიზებული ოცნება თუ ჰქონდა. ის კი არა და მისთვის ერთხელაც არ უკითხავთ, ერთთავად მაგ ფოთოლზე მონყენილი რად ზიხარ, ჩამოხტი წყალში, გაგრილდიო. თვითონ მხიარულად, უდარდელად დახტოდნენ, მალაყებს გადადიოდნენ და ყივყივებდნენ.

პანანა ბაყაყი კი რალაცნაირად ლამაზი, ლოყებბუტყუჭა და თვალეზ ბდღვრიალა, ფოთოლზე ნახატვიით მდგარი, თითქოს გასაფრენად შენკიპული, დიდის მოთმინებით და ერთგულებით ასრულებდა თავის მიცემულ სიტყვას.

და აი, ერთ დღეს...
 ღამემ ვერცხლისფრად რომ შევერცხლა არე-მარე... და მერე, ყველაფერი რომ მიყუჩდა და ყველამ მიიძინა... სიოც რო გაიღურსა... პანანა ბაყაყს ზანზალაკების წკრიალი შემოესმა...

თვალეზი ჭყიტა...
 — ძინ, ძინ, დონ! — ისმოდა შორიდან შროშანების ციდა ზარების ხმა.

— გესმის?! — ჩურჩულით ჩაეკითხა დუმფარას ყვავილს.

ყვავილი იმაზე ფიქრში იყო გართული, მეჯლისზე დედოფლად ვის აირჩევდნენ, ან პეპლებთან ყველაზე კარგად ვინ იცეკვებსო; მაჩიტები სათითურებით დილის ცვარ-ნამს მიაართმევდნენ თუ საღამოსას.

— მეჯლისზე წასვლის დრო დადგა, ვიხმობენ... — შეეხმინა ისევე პანანა ბაყაყი და მალულად თვალზე ცრემლი მოიწმინდა: „მე ვინ მალირსებს მოცეკვავე პეპლების ნახვას“.

— მიხმობენ?! — გამოერკვა ზმანებიდან ყვავილი.

— ისწრაფე, სანამ ზანზალაკები წკრიალებენ, მათ ხმას გაჰყევი და მიგიყვანს... — ააჩქარა მეგობარი მეგობარი და თან აცახცახებული, იმის შიშითარ დააგვიანდესო, სულს ძლივს ითქვამდა.

ის-ის იყო ყვავილი უნდა აფრენილიყო, რომ პანანა ბაყაყის ცრემლიან თვალეზს ნაანყდა... და ერთბაშად ყველაფერს მიხვდა:

— გატყობ, ძალიან გინდა წამოსვლა. ნავიდეთ ერთად, მე იქ ყველასაგან მალულად შეგიყვან.

სანამ პანანა გონს მოეგებოდა, ყვავილმა სასწრაფოდ კაბის კალთაზე დაისვა ისე, თითქოს ხელისგულზე მწვანე ფოთოლი უდევსო. ჩიტის ფრთასავით მსუბუქად აინია, აინია ჰაერში აფრინდა. მერე მათ გაღურსულ ტბას გადაუარეს და ღამის ბინდ-ბუნდში გაუჩინარდნენ...

არავინ იცის, მეჯლისზე ყვავილმა მეგობარ

რი როგორ შეიყვანა. არც ის, თუ როდის დაბრუნდნენ...

არც მათი წასვლა გაუგია ვისმეს და არც მოსვლა. ძილით გულგადაღებული ბაყაყები, წყლის მცენარეებით დაბურულ ფოთლებს შორის მყუდროდ მოკალათებულიყვნენ და გულარხინად, უდარდელად თვლემდნენ.

მხოლოდ პანანა ბაყაყი ფუთფუთებდა, მის თვალეზს არა და არ ეკარებოდა ძილი. ჩამოჯდებოდა დუმფარას ფოთოლზე და შორს, ტბის გაღმა იყურებოდა, თითქოს რალაცას შეფრფინვით შესცქეროდა. თვალეზიც სხივიანი, იდუმალი, ფიქრიანი გაუხდა.

ის დღე გულში ჩარჩა... მეჯლისიდან ყვავილების სურნელით გაბრუნებული დაბრუნდა... ამოვიდოდა წყლიდან, ერთ ადგილზე გაირინდებოდა, იდგა გაუნძრევლად და იგონებდა: ყვავილების სიფრიფანა კაბებს...

მოცეკვავე პეპლებს...
 კიდეც იმას, რაც ჩვენ არ ვიცით...

და აი, ერთხელ, ოცნებისას, პეპლებმა ფრთები რომ დაკეცეს და თვალს მიეფარნენ, პანანინა ბაყაყმა რალაც მოისაზრა... სიხარულისაგან დუმფარას ფოთოლზე ყირა გაჭიმა და წამოიძახა:

მეც მინდა... ცეკვა ვისწავლო!

სწორედ ამ დროს, მის ახლოს, წყლიდან გომბეშომ ამოჰყო თავი. ნათქვამს ყური მოჰკრა და ისე ახითხითდა, კინალამ ჩაბჭირდა.

პანანა ბაყაყი თავისმა აზრმა იმდენად გაამხიარულა, დაცინვა არც გაუგია. მხოლოდ იმასა ცდილობდა, ჩანაფიქრი როგორმე სისრულეში მოეყვანა. იმ წუთსავე მოინდომა ცეკვა... აიყლარნა... უკანა ფეხებზე დადგა... შემობზრიალებაც სცადა, აბანცალდა, ფეხი დაუსხლტდა და — დგლუმფ! — წყალში ტყაპანი მოადინა.

წყლიდან დაზაფრული და შემცბარი ამოვიდა, ჩამოჯდა დუმფარას ფოთოლზე, ყვავილს თავი მიადო და გულდათუთქული აქვითინდა.

მზის გულზე მეოცნებე ყვავილები საკუთარ ზღაპრებს უამბობენ ხოლმე თავიანთ თავს. თუ ახლოს არ მიხვედი და არ შეეხმინე, ისე ვერაფერს გაიგებენ და მოისმენენ.

— რა გატირებს? — გამოერკვა ზმანებიდან ყვავილი.

პანანას რცხვენოდა გაემხილა გულში ნადები, მაგრამ უთქმელობაც არ იქნებოდა: ჰოდა, როგორც იქნა ამოილულულა.

ცეკვა მინდა ვისწავლო... „მეც მინდა ღამაზი ვიყო“. ეს ფიქრად დაიტოვა, თავი მორცხვად ჩალუნა და იმედგადაწურულს, ცეკვას ვერასოდეს ვისწავლიო, თვალეზში ტკივილი ჩაუდგა.

— მოდი, იცი, რა, — მოიფიქრა ყვავილმა, — ჯერ ფეხუცები გაივარჯიშე, მერე ხელები, კი-

სერი, წელი და ასე თანდათანობით ისწავლი!
— ჰო, ეგრე ვიზამ! — გაიხარა ცეროდენამ და იმ დღიდან ძილი და მოსვენება დაკარგა, დუმფარას განიერ ფოთოლზე ბუქნავდა, ხტოდა.

— ერთი, ორი! ერთი, ორი! — ითვლიდა თავისთვის ჩუმად. ცალ ფეხზე დგებოდა, ირწეოდა, ქანაობდა. მერე მეორე ფეხზე დადგებოდა. ასე ხელიდან ხელზე, ფეხიდან ფეხზე ინაცვლებდა. წელში იმართებოდა, ისევ იღუნებოდა. მალლა ხტებოდა. მერე დალილი, ფეხარეული, ფეხაბორძიკებული, ფეხაბანცალებული და ილაჯგამოცლილი დასაძინებლად ნაფლატუნდებოდა.

ძალას მოიკრებდა და მერე ისევ მთელი საათობით ვარჯიშს მოჰყვებოდა. მუხლებს ითქვიფავდა. ფეხის წვერებზე დგებოდა.

— კიდეც ცოტა, კიდეც და... — შეუძახებდა თავის თავს. ამასობაში ტანფეხი გაუსწორდა, წელში გაინკიპა.

კისერს რალაცნაირად, ლამაზად გვერდზე გადახრიდა... ოკრო-ბოკრო ტანის რხევით გაივლიდა, ერთად თავმოყრილ ფოთლებზე ისე გაირბენდა, თითქოს მიფრინავსო.

ყეყეჩა, ყრუჩუნა ბაყაყებსაც კი თვალში ეცათ მისი გადასხვაფერება და თვალეზად-მოკარკლულები რალაცნაირად შემფოთებულები შესცქეროდნენ; ნეტავი რა დაემართაო, — ფიქრობდნენ. მაგრამ დიდხანს ფიქრით თავს არ ინუხებდნენ, ისევ ბუყბუყით ჩაყურყუმელავდებოდნენ წყალში და ისევ მხიარულად, უდარდელად ყივყივებდნენ. ოღონდ გომბემომ ვერ მოისვენა და ზოგ-ზოგებს ნაუპუტუნა:

— შეხედეთ ერთი ამ წრიპას, პეპელასავით ცეკვა მოისურვა...

— ცეკვაო?! — გაიკვირვეს ნათქვამი და წამში ეს ამბავი მთელ ტბას მოედო, ყველანი შეთქმულებივით ატუტუნდნენ.

— უყურეთ, რა მოუსურვებია?!

— ხო, ხო, ხო!... — ხარხარებდნენ და სიცილით სულ მუცლები ასკდებოდათ.

— ყვავ-ყვივ-ყვავ! — ხითხითისაგან ფართხალებდა გომბემოც და ლოყები მეზურნესავით ბებრებოდა.

დაცინვამ გული ჩასწყვიტა პანანას...

ფიქრსა და ოცნებაში ყველაფერი სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. რა მოხდა, თუკი უნდოდა ლამაზი ყოფილიყო... თავისი დაღვრანჭული ფეხები არ მოსწონდა. ის მეჯლისისი და მოცეკვავე პეპლები ვერა და ვერ დაიფიქრა... იმის გაფიქრებაზე, იქნებ ცეკვა ვისწავლოო, თვალეზი აუციაგდებოდა ხოლმე.

— თავისიანების დაცინვაზე კი ისედაც ერთი ციდა, სულ დაპატარავდა... ვარჯიშს

თავი მიანება და დადარდიანდა. ძლივს გამოერკვა, ყვავილმა რომ დაუძახა:

ცეროდენა ყვავილთან მიჩორდა და ჩაილულულა:

ახლოს მოინიე, ჩემკენ. დალონებული მეჩვენები. თუ დაილაღე?

— დამცინიან, ცეკვა მოინდომაო; მატრაკეცა, ნამხედურა ხარო...

— ნამხედურო? სულაც არ არის ცუდი მიმბაძველობა, თუ ამით მშვენიერი გახდები. ყვავილთ დედოფალმა ჩვენ გვასწავლა: მიმბაძველობა კარგია, როცა მშვენიერს დაემსგავსებიო...

— ოჰ!... წამოიძახა გახარებულმა პანანამ და ფეხზე წამოხტა.

ცალ ფეხზე შედგა და ანაზდად ჩიკორით შემობზრიალდა. თავადაც გაუკვირდა, რა კარგად გამომივიდაო. გამეორება სცადა... ისევ გამოუვიდა და მხიარული ყივყივი ატეხა.

... რა საუცხოოდ დგები ფეხის წვერებზე?! — გაიხარა ყვავილმაც.

წრიპას შეძახილზე წყლიდან ბაყაყები ამოცვივდნენ და დუმფარას ფოთლისკენ გაიხედეს... იქ ციციქნა ბაყაყი ფეხის წვერებზე იდგა და თავს ილამაზებდა. ერთმა ბაყაყმა ფაცხაფუცხით ტბაში ჩაყვინთა და თავიანთი მეფე-გომბემო ამოიყვანა... გომბემო მოშორებით, ერთ მოტივტივე ფოთოლზე დაყუნცდა. უშნოდ გაიჩაჩხა, თვალების ლაპლაპითა და პირის ტყლაშუნით წრიპას შეამტერდა.

ლამაზად გვერდზე კისერგადახრილი იდგა პანია ბაყაყი, წელწერილი, ცერებზე შემდგარი გასაფრენად ინევდა თითქოს.

— რა მშვენიერი ხარ! — ჩაესმა ცეროდენას ყვავილის ხმა და სხეულში სითბომ დაუარა. უცებ ისეთი სიმსუბუქით აივსო, რომ ქარისაგან აფრიალებულ ფოთოლს დაემგვანა... როგორღაც უცხოოდ, ნარნარად გაშალა მკლავები... და ერთბაშად ცეკვა დაიწყო.

მზემ თვალი მოჰკრა მოცეკვავე ბაყაყს და წამით შეჩერდა. გაიღიმა.

კალიებმა კრუალი შესწყვიტეს.

ბაყაყებმა — ფუთფუთი.

წყლის ყვავილებმა კისრები დაიგრძელეს, აბა, ერთი კარგად დავინახოთო.

ნიავი სადღაც გარბოდა და უცებ შედგა, მოხიბლული მოცეკვავე ბაყაყს გაეთამაშა.

ცეროდენა ოქროსფერში ცურავდა, გრძელი კისერი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და შუშპრობდა...

საოცრებისაგან ტბაც კი გალურსულიყო... ილიმებოდნენ ვარდისფერი ღრუბლები.

„თუ მოინდომებ, ყველაფერს შესძლებ“ — ჩურჩულებდა დუმფარას ყვავილი.

ფახშიშვილი ხასი

— მიდი, მიდი... დაარტყი ბურთს! აქეთ, აქეთ!...

ბოხი, ოდნავ ჩახლენილი ხმით გაჰყვიროდა ასე ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცი და ფეხშიშველი, სახელოებ-შარვლისტოტებაკაპინებული პატარა ბავშვებთან ერთად მოედანზე დარბოდა.

— უჰ, შენი... არ ააცილა?! — შეიკურთხა ბიჭმა.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს, ხომ იცი, გინება არ მიყვარს! — დაიბუხუნა კაცმა. წუთით შედგა, შუაგულ მოედანზე გაილაჯა, გაოფლილ შუბლზე ხელი გადაისვა, ხალათის ღილები შეიხსნა და მერე ჩვეული სიცქაფით ბურთს აედევნა. მოედანს ირგვლივ კორპუსები შემოჯარვოდა. შენობებიდან სერიის მოყვარულები იყურებოდნენ.

— გასკდა თავი ამ ბურთის ბათქაბუთქით. არ ადევნებია ამხელა კაცი ღლაპებს?!

— გიჟია, უბედური! — დაიძახა ახლა ფანჯარაზე გადმომდგარმა მეორე ქალმა:

— ბედოვლათია...

— ოფოფები ჰყავს თავში...

— მწყერები... — გაისმა აქეთ-იქიდან.

— იცი რა? — წაეპოტინა ხალათზე ფეხშიშველ კაცს პატარა ბიჭუნა და ცრემლნარევი ხმით წასჩურჩულა:

— შენზე თქვეს... აი, იმათ, — და აივნებისკენ გაიხედა. კაცი შეჩერდა, ბიჭს თვალებში ჩახედა და უსიტყვოდ ჰკითხა:

— რა, გიჟიაო, ხომ?! — ღიმილი აემღვრა. ხელი ჩაიქნია და ამაყი ნაბიჯებით მოედანს გაეცალა.

მაგრამ სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ყოველ ნაშუადღევს შემოდდიოდნენ მოედანზე, ყოველ ნაშუადღევს მოდიოდა ფეხშიშველი კაციც და იწყებდნენ ფეხბურთის თამაშს.

ამ კაცზე ბევრ უცნაურ ამბავს ჰყვებოდნენ... თურმე ერთ დილას, ალიონზე, მოედანის გარშემო მცხოვრებლები ხმაურმა გამოაღვიძა. ფანჯრები გამოაღეს, ძირს გადაიხედეს და ფეხშიშველი კაცი დაინახეს. ფერადი ფიცრები მოეტანა და ლურსმნებით ერთმანეთს აჭედებდა.

— კაცო, რატომ არ გვაძინებ, რას აკეთებ? — გადმოსძახეს.

— სამტრედეს.

— რა დროს ეგაა?... გიჟია ოხერი?!

მტრედები რომ არსად არიან?! — გაიკვირვეს.

ფეხშიშველმა კაცმა ყური არავის ათხოვა, თავის საქმეს განაგრძობდა. მერე საიდანღაც კიბე მოათრია, სახლის კედელს მიაყუდა, კე-

დელზე ლურსმანი მიაჭედა და ზედ ფერადი სამტრედე ჩამოჰკიდა.

უეცრად ჰაერში ფრთების ფათქუნი გაისმა.

— მტრედები! — თვალები მოიფშენიტეს გაცემულმა მცხოვრებლებმა.

ბავშვებს ძილში ჩაესმათ მათი ლულუნი, წამოიჭრნენ და ფანჯრებს მოაწყდნენ. ეზოში ფეხშიშველი კაცი დაინახეს, მხრებზე ნაცარა, თეთრი ფრინველები შემოსხდომოდნენ.

პატარებს სახე ღიმილმა გაუბადრა, დედებს ხელიდან დაუსხლტდნენ და გარეთ გაცივდნენ. შეხედეს სამტრედეს, ზედ შემომსხდარ ლუნულა მტრედებს და აყიჟინდნენ.

— რა ლამაზია! — შეფრთხივით შესცქეროდა ფერად სამტრედეს ყველაზე პატარა ბიჭუნა.

იმ დღეს სახლში აღარ შესულან ბავშვები, არც ფეხშიშველი კაცი წასულა სადმე. პატარებს ეთამაშებოდა, ართობდა, მტრედებს აპურებდა, თვითონაც ელულუნებოდა.

განყრნენ დედები...

— შინ ვერ შეგვიყვანია შვილები... საიდან მოვიდა! ვინაა?!

— გიჟია, ოხერი! აღარ მიდის?...

— იქნებ საფასურს ითხოვს?...

სახე დაენისლა ფეხშიშველ კაცს. წელანდელი აღტაცება უცებ ჩაეფერფლა. თვალი მოავლო ჩანაცრისფერებულ, ტყუპისცალივით ერთმანეთის მსგავს კორპუსებს და აივნებიდან გადმომდგარ ხალხს, ყველანი უცხონი იყვნენ, თითქოს სხვა პლანეტიდან მოსულანო.

მერე მუხასავით დაღარული ხელი აღმართა და ნალვლიანად, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გიჟები თქვენა ხართ!... ერთი ლამაზი ხე ვერ დაგირგავთ, ბავშვებს ლამაზი ოცნებები და ლამაზი სიზმრები რომ ჰქონდეთ. ნაცრისფერი დასდებია ყველაფერს. თქვენც განაცრისფერებულხართ და ბავშვებსაც ანაცრისფერებთ... — ამაყი მზერა მოავლო შემოჯარულ კორპუსებს და მხრებგამილი იქაურობას გაეცალა.

— შემოდით შინ! — ხელი ჩაავლეს დედებმა ბავშვებს. მხოლოდ ერთი ქუდკუნჭულიანი პატარა ბიჭი გაუძალიანდა დედას. იდგა ეზოში და ხან ფერად სამტრედეს უყურებდა, ხან ფეხშიშველ, მიმავალ კაცს.

მხატვრის სახელოსნოში შესულს უცნაური სიცივე დახვდა მასპინძლად. იქვე, კედელზე, კიდევასწილი თითბრის ჩარჩო იყო მიყუდებული. ფეხშიშველი კაცი მძიმედ, ფეხათრევით შევიდა შიგ, უცებ მორზე ჩამოჯდა და გახევედა... ნახატ-სურათად იქცა.

... აღარც ახსოვდა, როდის დაასახლა ტი-

ლოზე მხატვარმა... ერთ დროს ქვით მოკირ-
წყლულ ქუჩაზე ცხოვრობდა. ქუჩის ორსავე
მხარეს ღიმილით იცქირებოდნენ პირღალა-
ნა, ორსართულიანი ოდა-სახლები. ეზოებში
ვარდის სურნელი იფრქვეოდა და მეზობლე-
ბის გულგამთბარი გადაძახილ-გადმოძახილი
ისმოდა... სიზმარივით ახსოვდა წინათ ნანახი
და განცდილი.

... იმ დილით ძმაკაცებს ნაჰყვა კოჯრის
ველზე საქეიფოდ. მწვადის შესანვავად
ცეცხლი დაანთეს... იქვე, ერთ ნაბიჯზე, შეში-
ნებული ზაფრანა ცახცახებდა: ვაი, თუ ალი
მომწვდეს და დავინვაო.

ახსოვს... ცეცხლი შორს გასწია, კინალამ
თითები დაინვა... ჩაიშხლა, აკანკალებულ
ყვავილს ჭუჭყიანი ქალღდეები შემოაცალა
და მიეფერა.

— გიჟია, ე... ე! — შემოესმა ზურგს უკან
ძმაკაცების ხმა.

მაგრად გამოთვრა, მერე, რომ გამოფხიზ-
ლდა, ჰოი, საკვირველებავ, ამ ჩარჩოში აღ-
მოჩნდა, ნახატად ქცეულიყო.

ხელ-ფეხი გაშეშებოდა. მორზე ჩამომ-
ჯდარმა ტანი ვერ ასწია. მზად იყო ეყვირა,
მაგრამ შეჩერდა. უშიგლიძირო, ოჯახმოშლი-
ლისათვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა.
ამ აზრმა თითქოს ყველაფერი გაიყოლა. ერ-
თბაშად გულგრილობამ მოიცვა და იქიდან
წასვლის სურვილი უცებ გაუფერმკრთალდა.
ეგ იყო მხოლოდ, ფანჯრის იქით ჩამწკრივე-
ბული, ჩანაცრისფერებული კორპუსები მის
თვალს კარგად ვერ ხვდებოდა და გუნებას
უმღვრევდა. თავისი ფიქრის ფსკერზე ყვავი-
ლებივით გაშლილიყო მოგონებები: ქვით
მოკირწყლული ქუჩისა და რიკულებიანი აივ-
ნების, ოქროსფერში განაბული უბნის... მე-
ზობლების გულიანი საღმის...

ერთხელ სახელოსნოში ღიად დარჩენილი
სარკმლიდან პეპელა შეფრინდა. კაცს მის და-
ნახვაზე გუნება აუვარდისფრდა. წამოიწია,
მაგრამ ვერ წამოდგა.

„მე ტყვე ვარ“, — კრაზანასავით უკბინა
განაფიქრმა, თავისმა უილაჯობამ დაზაფრა
და ნაღველი გაუდიდა... პეპელა გაფრინდა,
სახელოსნოში ნაცრისფერი, უკიდევანო სევ-
და ჩამოწვა. სევდამ სულის ყოველი სიმი შე-
ურხია და კაცი აატირა.

ცრემლი თითბრის ჩარჩოს დაეცა და უცებ
ერთგან ჩაიხსნა. დაიმსხვრა შუშა. მოულოდ-
ნელობისაგან კაცს თავგზა აებნა. მერე გონს
მოეგო და სახე მზესავით გაუნათდა:

„ახლა მე თავისუფალი ვარ“, — ამ ფიქ-
რმა ჩვეულებრივზე მეტად გაამხიარულა...
სიმარტოვით გამოწვეული სასონარკვეთი-
ლება ჩაიფერფლა და სახელოსნოში ფეხად-
გმულმა ნაცრისფერმა სევდამ ვარდისფერი
კაბა ჩაიცვა. კაცმა შვებით ამოისუნთქა და

შიშველი ფეხი ძირს, იატაკზე ჩამოდგა. ღია
სარკმელთან მივიდა, ფეხისწვერებზე აიწია
და იქიდან გადაძვრა.

მთვარეულივით მიდიოდა ქუჩაში, ფეხ-
შიშველს, სახელოები და შარვლის ტოტებიუ
აეკაპინებინა. გამვლელები გაკვირვებით
აყოლებდნენ თვალს და ქირქილებდნენ:

— გიჟია, ვიღაცაა!

კაცი წამოძახილებს ყურადღებას არ აქ-
ცევდა, თითქოს-და მშვიდად მიდიოდა, დრო-
დადრო შეჩერდებოდა. ხან აყვავებულ ხეს
შეხედავდა, ხან გაზონებზე მოკეკლუცი ყვა-
ვილებს დააცქერდებოდა.

— შენ, ეი! — შემოესმა ხმა. შედგა. სასადი-
ლოს კარებში ქლესალიმილიანი მამაკაცი ჩამ-
დგარიყო და თავისთან იხმობდა.

— რა გნებავთ?

— ამ ქვეყნისა არ უნდა იყო, თორემ ფეხ-
შიშველი რა გატარებს?

კაცმა ახლალა შეათვალა იერა თავისი თავი.
გაახსენდა, რომ აუცილებლად ფეხსაცმელი
უნდა ჩაეცვა, მაგრამ რომ არა ჰქონდა?

ან რითი ეყიდა?

ჩაფიქრდა.

— შემოდი, მუშა გამიხდა ავად და მო-
მეხმარე!

— კარგიო, — დაეთანხმა და სასადილოში
შეჰყვა ქლესალიმილიანს.

დიდი არაფერი საქმე იყო. ფუნთუშები უნ-
და გაეყიდა. დღის ბოლოს იანგარიშეს და
ფეხშიშველ კაცს ფული დააკლდა.

— სად წაიღე?

— ღმერთსა ვფიცავარ, კაპიკიც არ ამი-
ღია, — ჯიბეები ამოიტრიალა დაბნეულმა.

— მაშ, რა იქნა?

— რა ვიცი?

— რომ გაძღვედნენ, იქნებ არც ითვლი-
დი?!

— ჰო, ხანდახან გამოწვდილ ხელს კი არა,
მყიდველის სახეს შევცქეროდი. მაინტერე-
სებდა, გამიღიმებდა თუ არა... დროგამოშვე-
ბით სარკმელს გავცქეროდი... ბაბუანვერა
მიფრინავდა. გარეთაც გავედი ჩიტებს საკენ-
კი დავუყარე.

— ჩემი ფუნთუშები, კი...

— ჰო...

— გიჟია ოხერი!... აღარ დაგინახოს ჩემმა
თვალებმა, გაეთრიე, შე ბედოვლათო, შენა!

ფეხშიშველი კაცი უხმოდ წამოიმართა, და
მხრებგაშლილი, ამაყი ნაბიჯით კარისკენ გაე-
მართა, ქუჩა გადაჭრა და გაუჩინარდა.

ჩუმად შეაღო სახელოსნოს კარი. ფეხაკ-
რებით გაიარა. ჩარჩოში შევიდა. იქ ჩამოჯდა
და გაირინდა. გულში ჩაგუბებულ ტკივილს
არ იმჩნევდა. მთვლემარე სიჩუმეში ისევ ბავ-
შვობისდროინდელ მოგონებებს უბრუნებო-
და, თავის სულს შვებას აძღვედა და, სიზმრი-

სეულ სამყაროში შესულს, ნელ-ნელა ძილი ერეოდა.

დილით ზეაფრენილი ფრინველის მსგავსად ისევ გარეთ გაიჭრა. ქუჩაში მიმავალს ისევ დაცინვით აყოლებდნენ თვალს.

ისევ მიიხმო ვილაცამ... ფოსტალიონად დანიშნეს. ერთხელ ვილაც მოქალაქეს კარზე მიუკაკუნა და სასიხარულო დეპეშა მიართვა. მოქალაქეს სტუმრები ჰყავდა და ღიმილით შეიპატიჟა.

გაჩახჩახებული იყო ოთახი, სუფრასთან ქალებიც ისხდნენ. შემოსულისათვის არც შეუხედავთ, ტელევიზორს მისჩერებოდნენ: ყვავილებით აფერადებულ ეკრანზე პეპელა ცეკვავდა... ფეხშიშველ კაცს სიხარულმა გაუნათა სახე. თვალებად იქცა. იქვე ცარიელი სკამი იდგა, თავისკენ მისწია და ჩამოჯდა. შეფრინვით შესცქეროდა ეკრანს. ხელში ჩამოსარიგებელი დეპეშები ჩაებლუჯა და აღარც კი ახსოვდა, სად იყო. უცებ ხითხითი ჩაესმა. გვერდით მიიხედა. იგრძნო, მასზე იცინოდნენ...

იცინოდნენ ქალები.

ამას კი ველარ გაუძლო, დაცინვამ გაამწარა, სახე აელენა. ზენამოიჭრა და კიბეზე დაეშვა... მირბოდა სულმოუთქმელად. გზა თითქოს ეკალბარდებით იყო მოფენილი და მარტო სხეულს კი არა, სულსაც უკანრავდა.

... ერთხელ კიდეც სცადა ბედი... ერთ მაღალ შენობაში მოეწყო. იჯდა კარდახურულ ოთახში და გამომთვლელი მანქანიდან გამოცურებულ ფურცლებს ნომრავდა.

... ზღაპრულად მოცეკვავე ცოცხალი, ნამდვილი პეპელა... მხოლოდ შუადღისას შეგიძლიათ ნახოთ სკვერში, — ამოიკითხა ერთ-ერთ ფურცელზე. ფეხშიშველი კაცი შუადღისას ვერც ერთხელ ვერ გავიდა შენობიდან. უფლება არ ჰქონდა სამუშაო საათები გაეცდინა. არადა, საოცრად სურდა მოცეკვავე პეპელა ენახა.

„ვერასოდეს ვერ უნდა ვნახო!...“ — აეკვირებოდა ფიქრი. ვერა და ვერ დაიოკა მღელვარე სული. უცებ ზღვასავით მოასკდა მის გულს შენობიდან გასვლის სურვილი. ამ სურვილმა ზენამოაგდო, დამქანცველი ყოყმანისაგან თავის დაღწევის სიხარული დაეუფლა, გამომთვლელი მანქანა მიატოვა და გარეთ გაიქცა.

— სად წახვედი გუშინ? — შეეკითხნენ მეორე დღეს.

— პეპელას სანახავად!...

— გიჟია! — თქვეს მასზე და ამ მაღალი შენობიდანაც გააგდეს.

ყველაფერზე ხელჩაქნეული დროგამოშვებით თუ გამოვიდოდა ქუჩაში გამვლელებს გაურბოდა, პირს არიდებდა. თუ ვინმე შეე-

ჩებოდა და გამოელაპარაკებოდა, ენა ებმოდა, სათქმელი ავიწყდებოდა, რადგან სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

თუ რამეს იტყოდა, ეს შეკითხვის პასუხი კი არა, უფრო თავისი ნაფიქრის პასუხი იყო.

— ურევს, სანყალი, — აფრინდებოდა ჩურჩული. ზოგჯერ შეიცოდებდნენ კიდეც. ის კი, ალერსმონყურებული, ხანდახან თავსაც მოიგიჟიანებდა. არაფრად აგდებდა სხვების ქირქილს. ვითომდა უდარდელად პასუხობდა. ისინიც ჩაიცინებდნენ, გულგრილად გაცლებდნენ და მიჭიანჭველობდნენ.

მისი სული თავშესაფარს ეძებდა, მზესავით მოელოდა რაღაცას... სჯეროდა სასწაულების და ეს თითქოს ცოტა სხვანაირს ხდიდა მას, ამხნევებდა. და აი, ერთ დღეს, სახელოსნოში რომ ბრუნდებოდა, ბავშვების თავშეკავებული სიცილი შემოესმა. ღიმილით, ალაღად, ალერსიანად შემოსცქეროდნენ, კეთილად იცინოდნენ. მერე უცბად გაჩუმდნენ, ბურთს ფეხი ჰკრეს და თამაში დაიწყეს. ფეხშიშველი კაცი ჯერ თვალს ადევნებდა ბავშვებს, მერე, თავადაც არ ახსოვს რანაირად, თამაშში ჩაება. იქიდან გულგამთბარი, ბედნიერი ღიმილით დაბრუნდა სახელოსნოში.

მის მერე ყოველ ნაშუადღევს სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები მოედანზე შეიყრებოდნენ. ყოველ ნაშუადღევს მოდიოდა ფეხშიშველი კაციც და იწყებდნენ ფეხბურთის თამაშს...

... ფიქრებსა და მოგონებებში წასულს ნაბიჯების ხმა შემოესმა. კარისკენ გაიხედა. სახელოსნოში მხატვარს პატარა ბიჭი შემოეყვანა და ესაუბრებოდა:

— ხეს რომ შეხედავ, უნდა იგრძნო. ნახატი უნდა მღეროდეს. მუსიკად უნდა იღვრებოდეს შენში...

მოუახლოვდნენ თუ არა, ბიჭი ხელნაკრავით შედგა. გაოცებული დააცქერდა სურათს. შეკრთა ფეხშიშველი კაციც. ქუდკუნჭულიანი პატარა ბიჭი იცნო და გული შეუქანდა.

— რა იყო, მოგწონს ეგ ცისმაცქერალი, ცისფიქრიანი კაცი? — ჩაეკითხა ბიჭს მხატვარი. — მაგას ჩარჩო აქვს გატეხილი. აქეთ მოდექი, სხვას გაჩუქებ.

— არა, ეს მინდა! — ფეხი არ მოიცვალა ბიჭმა და სურათს ხელი დაავლო. უცებ, მათდა გასაოცრად, ჩარჩო გამთელდა.

გაოცებულმა მხატვარმა სურათს დახედა, რაღაც ესხვაფერა ნახატი, შიგ შეუქით ავსებულიყო ყველაფერი. ფეხშიშველ კაცს უცნაური, მხატვრისთვის უცხო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ეს ღიმილი ნახატის უკვდავება იყო.



პარნას ღანკაძე

პარნასს ამშვენებ მუზადა,
 ვისთვის ხარ ნატვრისთვალი,
 გაჩნდი ასეთი უზადო
 მარგალიტი და ლალი.
 ვისთვის სიმღერის მუზა ხარ,
 ამღერებული ქნარი,
 ბჭობენ თარაშ და მურზაყან
 ვით დაგაშორონ ქმარი.
 მზე — მნათობს უწევ ტოლობას
 აბნელებ ვარსკვლავთ, მთვარეს,
 არ ვურჩევ შენსა ცოლობას
 შენსკენ მომზირალ თვალებს.
 შენ ზეცად უნდა ბრწყინავდე,
 ღმერთი გადგამდეს გვირგვინს,
 ლხენა გაგრძელდეს დილამდე,
 გედგას მლოცველთა რიგი.

მოვა!

აფეთქებულა სულში აპრილი,
 კვირტი გაშალეს ლალად რტოებმა,
 ნაადრევია, შვებააყრილი
 მნირის სენაკში განმარტოება.

არც სინანული, არც გამართლება,
 გადაიდარებს ქარი და თოვა,
 დღე მოსარკული რომ გასანთლდება,
 ალბათ შენს ნაცვლად სხვა ვინმე მოვა.

ღმერთის განგებით!

გამივარდისე გზა დაისრული
 უფლის ნებით და ძალით სამების,
 აისს კვლავ მოჰყვეს ცა დაისური —
 შენი ხიბლით და შენი ზმანებით.

ამიყვავილე ჩემი ედემი,
 შემოაცნებე შენი ლანდები,
 ტყუილუბრალოდ კი არ გეძებდი,
 მე შენ გეკუთვნი ღმერთის განგებით.

შენთან და უშენოდ

ასე მგონია ელვა-ქუხილად
 ჩამოვიბადეთ, საცრემლოდ ვიშვით...
 და ჩვენი სული ჩაიმწუხრება,
 დაგვაშორებენ, როდესაც შიშით.

როცა ჩემთან ხარ — სავსე მთვარე ვარ,
 ანდა ტაძარი, თეთრი და მშვიდი,
 ან ამბიონი წმინდა სანთლებით,
 რომ არ ჩაგიქრე ვლოცულობ შიშით.

ზოგჯერ კი ისევ ნახევარი ვარ
 და ვემსგავსები ფირუზის ნატეხს,
 გვერდს ჩამიარე შენი დიდებით
 ვერ შემამჩნიე, ვერ დამინახე...

ზოგჯერ კი ისე ბედნიერი ვარ,
 რომ ველარა ვგრძნობ ღრუბლამდე მანძილს.
 მინდა გავწვიმდე, ვით ცის მანანა
 და საზრდოდ ვიქცე პატარა მარცვლის.

ჩემი არჩივი და ჩემი არადანი —
 სულში ქაოსი და გულში ბალაგანი.

მოთმინებით მივუყვები სავალ ბილიკს,
შენი სული კვლავ ჩემს გულში ბინადრობს,
გიხმობ დღისით, გიხმობ ღამით,
გიხმობ დილით,
სხვანაირად კიდევ როგორ გინატრო?

სცენას აყრუებს ვირების ყროყინი,
ყვავმაც შეასრულა არია.
მე იმის კეთილის... ვარ უარმყოფელი,
ვინაც ეს ქვეყანა არია.

ნღები წუთებივით ჩაიღია,
ვწუხვარ და შეცდომებს ვნანობ!
ნეტავ კიდევ ერთხელ გამაგონა —
„დედა შემოგველოს მანო“.

ქველი თბილისის გახსენება

დანანლაობს მტკვრის ნაპირთან თბილისი
და გვირისტი გაატარა ღამემ,
რა საარი შემოისმა დილის ხმის
„ტურფავ, ტურფავ“ — მიმღერეო რამე.

სატივეზე მოხსნეს ტივებს საბელი,
და არღანმა გააყრუა არე,
ფიროსმანმა მიმოხატა რა ფერით
ორთაჭალის — ძველი უბნის მხარე.

შეუკაზმავთ ფაეტონში ცხენები,
გლეხი ყიდის მის მარჩენალ ხარებს,
დულს თბილისი ციებით და ცხელებით,
კინტოები თავს უკრავენ ქალებს.

ყვავილების მიწას ჰყიდის ვილაცა,
იეთიმ-გურჯი ჩამორითმავს ბნკარებს,
აქ სიმღერა დაუნყია თიხასაც,
მეთარენი აკვნესებენ თარებს...

ისმის ზარი, ზარი ცისკრის ლოცვებად,
გალობის ხმა ეკლესიას ავსებს.
მაცხოვარი ისევ დაილოცება
და მირონი ჩაელვრება თასებს.

გულს მანვება დარდებად და იარად,
ისევ ისე იმ ძველ თბილისს ვნატრობ,

როცა მთლიან საქართველოს კი არა,
ყვავილების მიწას ჰყიდდნენ მარტო.

აპრილმა გამიტყუა გარეთ!

ტანს შემოვიფლით დარდების სუდარა,
ტყე-ველი გავიხადე არედ,
შენ კი არ დაგეძებ — სულს არა უნდა რა
აპრილმა გამიტყუა გარეთ.

გავწყვიტე საბელი — ოცნება ნაგები,
გუგუნი ავუტეხე ზარებს, —
ნეტავი სად გაქრა კვესი და აბედი,
რა ვუყო მოურჩენელ ბზარებს.


მზეს სხივი მოვწყვიტე, მწველსა და ალიანს,
ნალველი გავატანე ქარებს,
არც ჩემი ბრალია, არც შენი ბრალია —
აპრილმა გამიტყუა გარეთ.

მოთმინებით მივუყვები სავალ ბილიკს,
შენი სული კვლავაც ჩემში ბინადრობს,
გიხმობ დღისით, გიხმობ ღამით, გიხმობ
დილით,
სხვანაირად კიდევ როგორ გინატრო?

არ დავიშუროთ კეთილი სიტყვა,
სიკეთე ღმრთისგან — ჩვენი ვალია,
რადგან ცხოვრება დედამიწაზე —
სიცოცხლის მხოლოდ შესავალია.

ეს საღამო შეისუდრა მწუხარის ფერით,
სიმფონია ისმის ისევ ბეთჰოვენის
სული მძიმობს — აღარა სურს არაფერი —
მეთხოვები?!...

...აჰა! მდუმარებით მიჰყევი დროს,
რასაც უდროობის ხიბლი ადევს —
არის გამარჯვების სიმდაბლე და
არის დამარცხების სიდიადე.



ოქოი
საქორიო

ჰაიბონია

(ჭაბუა და ბრუნო)

ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის სახურავი მკრთალად ჩანდა, ზედ სქლად ეფინა ყავისფერი თოვლი. ოთახის ფანჯრებს ყინულის ჩუქურთმა მოსდებოდა და სინათლეს აკავებდა. ოთახში შეხუთული ჰაერი და ნამლების მოტკბო სუნი იდგა.

აქ, ამ დახშულ ბინაში მიხეილ სვეტლოვის ნათელმხილველი და ირონიული სული ტრიალებდა.

აქ ჭაბუა ამირეჯიბი ცხოვრობდა. იმ ზამთარს იგი ავად იყო, მძიმედ იყო ავად, ხმა წართმეოდა, ჩუმი შრიალივით ისმოდა მისი დაოკებული, ფრთხილი საუბარი.

მაშინ პირველად წამაკითხა თავისი რომანის რამდენიმე თავი — „ბუდარა და ბუდარიხა“, ჯერ დაუმთავრებელი, რემინგტონზე გადაუბეჭდავი ეპილოგი, სხვა ფრაგმენტები...

პირველად გავიგონე დათა თუთაშხიას სახელიც; პირველად მოვისმინე მისი სტილიზებული მეტყველების ლბილი მელოდია და ჩემს თვალთა წინაშე უცებ გამოიკვეთა ნათელი, პლასტიკური ხატი — ავტორის ფარული იდეალის უკუფენა.

... ჭაბუამ ხელნაწერის ფურცლები ნერგული მოძრაობით შეაქუჩა და ჩაილაპარაკა — ვინ იცის, რა გამოვა!

ეს არ იყო, მაინცდამაინც, სხვათა აზრის შეტყობის სურვილი ან პოზა, ეს იყო გულწრფელი ეჭვი.

მე არასოდეს მქონია ლიტერატურული წინასწარმეტყველების უნარი და არც ფუტუროლოგიით ვყოფილვარ გატაცებული, მაგრამ რაც წავიკითხე, მნიშვნელოვანი გახლდათ, თუმცა ერთს კი ვხვდებოდი — ამ მრავალნაცად, ჭირნახს კაცს არ ჭირდებოდა ჩვეულებრივი, უსაგნო გამხნეება, არ ჭირდებოდა სიტყვები... მის წინ ბურუსი განოლილიყო. არ იცოდა, დღეგრძელი იქნებოდა თუ ტკივილთან, სენტან ბრძოლაში გაივლიდა ცხოვრების დასასრულს, მით უმეტეს, არაფერი იცოდა თავისი წიგნის ხვედრის გამო.

ახლა ყველაფერი იოლი ჩანს, დღეს ყველამ იცის — მას განკურნების სიხარულიც არგუნა ბედმა და სახელიც... ეს ახლა... მაშინ კი, ყინულით მოზარნიშებული სარკმლიდან გაცრეცილი სხივი გამოკრთოდა; მრავალმეტყველ კაცს ხმის ამოღება უმძიმდა; ეჭვი, უნდობლობა, უიმედობა ღრღნიდა. და მაინც, ჯიუტი რწმენა იყო იმ დღეებში მისი საყრდენი და წლებით, ცხოვრებით, ბედუკულმართობით გამოწრთობილი შინაგანი სიმტკიცე, შესაძლოა ისიც, ერთი კაცის თავზე ხომ არ უნდა მოიქცეს ყოველი მოსაქციელი... იქნებ თაობიდან თაობაზე გადმოცემული, ძველთაგანვე სისხლში გამჯდარი ავანტურიზმიც, ის ავანტურიზმი, ყოველთვის რომ ახლავს მხედართმთავარს, მოგზაურისა და მწერლის ცხოვრებას.

მე იმ პირველი წაკითხვიდან უფრო თვალხილული სურათები შემომჩნა:

„ხე მეხვივით გაიღებს ტკაცანს, თითქოს ხერხემალში გადატყდაო. ზეზეა ჯერ კიდევ, ერთს შეტრიალდება ადგილზე და მერე გადაქანდება დასაწოლად. მიდის და ლენავს ყველაფერს, რაც დახვდება გზაზე. ფოთოლი ქშინავს, ტოტებს ლინინ-ლინინი გააქვს — იმტვრევა ტოტები და იმიტომ. ისეთი ხმა გამოდის, ამირანი რომ კვდებოდეს და სიკვდილის წინ ამოიხხროს. დაასკდება მინას — შეინძრევა ნიადაგი, დაიზანზარებს ყველაფერი. თვითონ ბუყუნს გამოიღებს — კაი მაგარ ვაჟკაცს მუშტი რომ შემოუკრავს მკერდში,

იმისთანა ბუყუნს, ოღონდ ათასჯერ უფრო დიდს, და მიჩუმდება ყველაფერი — დავყრუვდი, იფიქრებ. გდია ხე საცოდავად, იმნამსვე ჩაკიდებს თავს ფოთლები. სიჩუმეა ისეთი, წყვილიაღვი გეგონება თავი. დიდი სიჩუმეა ძალიან!

ამის ყურება უყვარდა დათას... რადგან თვით იყო დათა წასაქცევად შეტრიალებულ ხე.

* * *

მერე მოვიდნენ მაღალი, ლამაზი ქალი და ბრუნო. ბრუნო, „ჩემპიონივით რომ თამაშობდა ჩოგბურთს“, — წერს სეგრე თავის წიგნში ენრიკო ფერმიზე.

არის ბრუნოს საუბარსა და ქცევაში რაღაც სპონტანური, მოულოდნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მწერლური... ბრუნო ემოციური კაცია, ირონიული, შინაგანი ღირსებითა და სერიოზულობით აღსავსე, რაც ამ მოძრავ, სხარტ იტალიელს რალაცნაირ სიღარბაისლეს, სიმშვიდესა და სიდიადეს ანიჭებს.

ჩვენ დაბალ ტაბლასთან ვსხედვართ, ბრუნო კონიაკით მიმასპინძლდება. იქვე, ოთახის კუთხეში სევდიან ქიმერასავით ჩამომჯდარა ჭაბუა.

ბრუნო ჩემთვის ლეგენდიდან მოსული კაცია. მე მახსოვს სახელები: ფერმი, ამალდი, რაზეტი, სეგრე და ბრუნო პონტეკორვო. იტალიელ ატომისტთა სახელგანთქმული ჯგუფი. მე ფიზიკის არაფერი მესმის, მაგრამ ერთი კი ვიცი, ჩემთვის მიმზიდველია სამყაროს საიდუმლოებათა წვდომის დაუოკებელი ყინი, თანამედროვე ფიზიკის სათავესთან მდგომთა უცნაური რომანტიზმი. მიმზიდველია, რომ მათი აზროვნების სტილი არ უარყოფს ინტუიციას, გუმანს, ხილვებს... როგორც აინშტაინი წერდა — „მეცნიერულ აზროვნებაში ყოველთვის არსებობს პოეზიის ელემენტი. ჭეშმარიტ მუსიკას ერთგვაროვანი აზროვნების პროცესი ახასიათებს“.

ფიზიკოსთა ამ თაობისათვის ზნეობრივი კულტურისაკენ, სულიერი განმეხდისა და აბსოლუტისკენ სწრაფვა ისევე ორგანული იყო, როგორც მწერალთა და მოძღვართათვის.

„არსებობს მეცნიერების ტაძრის ქურუმთა ერთი კატეგორია, ეს გახლავთ ხალხი, რომელიც იმის გამო მოდის მეცნიერებაში (როგორც ხელოვნებაში), რომ ყოველდღიურობას გაურბის. მათ თრგუნავს უხეშობა და უიმედობა ყოველდღიური ყოფისა; იზიდავს პირადი არსებობის ბურუსიდან ობიექტუ-

რის ქვრეტა და შეცნობა“.

ისინი თავიანთი ძიების ტრაგიკულ არსსაც დიდი სიმძაფრით განიცდიდნენ; ეს მათ აღმოაჩინეს „სულიერი შეცნობა“, როგორც მაღალი ჰარმონიის წვდომის გზა; მათი ტერმინია — „ვნებიანი, ვნებამოცული სევდა“, რაც უზარმაზარი სულიერი ენერჯის სტილურ თვისებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეცნობის მეღანქოლიას გამოხატავს; მათ თქვეს პირველად „ეთიკის რღვევის“ თაობაზე და იგი ტრადიციის დაკარგვასა და თვით ცივილიზაციის ფარგლებში ნონასწორობის რღვევას დაუკავშირეს; შეუთანხმეს ერთმანეთს აზრის „ჰარმონია“ და „მელოდია“, რაც ცხადყოფს იმ გრძნობებსა და იდეებს, მეცნიერებასა და ხელოვნებას რომ აახლოვებს, სულიერი ცხოვრების ერთ სფეროში ათავსებს.

...შესამული კონიაკია ჩემი ფიქრების მეხრე.

მე ვხედავ ბრუნოს თბილსა და, ცოტა არ იყოს, დამცინავ ღიმილს. და მაინც, პონტეკორვო ჩემთვის ლეგენდიდან მოსული კაცია, ისევე, როგორც ჭაბუა ჩემთვის ლეგენდიდან მოსული კაცი (ალბათ, ამიტომ არასოდეს მაინტერესებდა მისი ყოველდღიური ცხოვრება, ყოფა, კონკრეტული საქციელი. არ მქონდა მუდმივი პირადი ურთიერთობის მოთხოვნილება; ჩემთვის იგი ყოფისეულ წვრილმანთა მიღმა დგას და სწორედ ეს მშველის ხელშეუხებლად შევინარჩუნო მისდამი პირველქმნილი სიყვარული).

... — ცხოვრობდა ერთი თავადი პონტეკორვო. — ვეუბნები ბრუნოს, — მარშალი ბერნადოტი, მერე შევედების მეფე.

— მე არა ვარ თავადთა ნაშიერი, მოხელის ოჯახში დავიბადე, — იცინის ბრუნო, — ეს ჭაბუა თავადიშვილი.

ოთახი მრავალხმიან ჰიმნს დაემსგავსა: დათა თუთაშხია; ბრუნო პონტეკორვო; ჭაბუას მეუღლე, სათნოებით აღსავსე პოეტი ქალი თამარ ჯავახიშვილი; ის მაღალი და ლამაზი ქალბატონი, როდამ ამირეჯიბი, რომლის შეხედვისას მხოლოდ ერთი სიტყვა მახსენდება, ისევე ის სიტყვა, დღეს რომ არაერთგზის ახმიანდა — „მაღალი ჰარმონია“.

თუ ჭეშმარიტებაა, რომ „მატერია, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით და ყოველი საგანი ჩვენს ირგვლივ არ არის მყარი და ურღვევი, რომ იგი, პირიქით, მერყევია და ფეთქებადი“, მაშინ მყარი და ურღვევია მშვენიერება და იმ დღეს ისე მკვეთრად ვგრძნობდი მშვენიერების სიმყარესა და მარადიულობას, როგორც თითქმის არასოდეს. რაც შეეხება მუდმივ ღირებულებას... ყოველთვის მაბნევედა გამოთქმა: „ახალი პროზა“. ჩემთვის, უბირი

კაცისთვის, უფრო გასაგები იყო გამოთქმა — „ახალი ქვანტური მექანიკა“, ვიდრე „ახალი პროზა“, იქნებ იმის გამო იყო გასაგები, რომ ახალი მექანიკა კონკრეტულად და გასაგებად უპირისპირდებოდა კლასიკურს, კიდევ, თურმე „კლასიკური მექანიკის პრეტენზია მოვლენათა დეტერმინირებული ახსნისა გაუმართლებელია (ატომის დონეზე), რადგან იგი დაფუძნებულია იმ აბსურდულ ვარაუდზე, რომ აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს თითქოსდა ფიზიკური არსი (არსება) ჰქონდეს“ (მაქს ბორნი).

არ ვიცი, აქვთ თუ არა აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს ფიზიკური „არსება“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს“ არა აქვს ლიტერატურული არსი და შესაძლოა იმას, რასაც ჩვენ „ახალ პროზას“ ვუწოდებთ, სწორედ ამგვარი „ზუსტი მონაცემებისკენ“ მისწრაფება განასხვავებს „ძველისგან“ (სხვათა შორის, მხატვრობის შესუსტების ხარჯზე).

„დათა თუთაშხია“ არ უპირისპირდება „ძველს“ — მას ძველი ღირსება და ძველი ნაკლი ახასიათებს. ვგონებ, ამით მის „სიახლეს“ დიდი არაფერი დაკლებია.

... თამბაქოს კვამლი ჰაერში უცნაურ მაქმანს ქსოვს, ნელა ირწევა ოთახი, თუმცა არა, ეს მე ვირწევი, თანდათან ვიძირები ქარვისფერ ნისლში.

— ქართველებს გყავდათ საერთაშორისო მნიშვნელობის ფიზიკოსი-ექსპერიმენტატორი ჩიქოვანი, — გვეუბნება ბრუნო, — გახდებოდა თუ არა დოქტორი, ჩვენ მას მაშინვე

ავირჩევდით საკავშირო აკადემიაში. სამუნხაროდ, ადრე გარდაიცვალა.


მე ვიცნობდი ჩიქოვანს, ერთი ასაკისანი ვიყავით. თურმე ბრძენი ხელები ჰქონდა, როგორც რილკე წერს — „ხელების მთელ ტომს ფლობდა“.

ცხოვრობდა ძნელი, მოუნყობელი ცხოვრებით, ღამეებს ტეხდა, გულს ებრძოდა...

მერე ვეთხოვები მასპინძლებს. გარეთ ჭუჭყიანი თოვლი და გათოშილი, ქარიანი საღამო მელოდება.

მივბიჯებ დიდ ქალაქის ორომტრიალში ჩაკარგული ქვიშის ნამცეცი და მანვალებს ფიქრი. ხომ სცადა ბახტინმა აინშტაინის ფარდობითობის თეორიის ლიტერატურაში გადმონერგვა და ქრონოტოპი — დროსივრცე დაარქვა. დროისა და სივრცის, ენერჯის, მასისა და სიჩქარის ერთიანობა, უფრო სწორად, „ერთიდაგივე რეალობის განსხვავებული გამოვლინება“. მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზი, დარღვეული პროპორციების აღდგენის სურვილი. მართალია, მან ქრონოტოპს მხოლოდ მეტაფორა უწოდა, მერე რა, იყოს მეტაფორა. ეს არ არის ლიტერატურისმცოდნეობა ყველასთვის, საქმე ისაა, რომ ეს ცივილიზაციის ფარგლებში წონასწორობის დამყარების გმირული ცდაა. და მეჩვენება — იქ, მაღლა, ყინულის ჩარჩოში ჩასმულ ბინაში მდუმარედ სხედან ჭაბუა ამირეჯიბი და ბრუნო პონტეკორვო და ჩუმად, თავისთვის სწორედ ამ წონასწორობაზე, ამ ჰარმონიის გამო ფიქრობენ.





იოჰან ბოიერი

(1872-1959)

ნორვეგიელი მწერალი იოჰან ბოიერი ცნობილია, როგორც რომანისტი. იგი ძირითადად დაინტერესებული იყო უბრალო ხალხის ყოფიერების აღწერით და იდეური მწერლობით. მან სახელი სწორედ ასეთ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების დასურათებით გაითქვა. მწერალი უზადო ოსტატობით გვიხატავს უბრალო ადამიანთა ტიპაჟებს, რომლებიც საკუთარ თავს ყოველდღიური ტკივლებისა და ბედისწერით მიყენებული წინააღმდეგობებისაგან გატყვევის უფლებას არ აძლევენ. მოთხრობა „მარტოსულები“ სწორედ ამ მოტივზეა შექმნილი.

მახოსჯები

იგი ჩია ტანის, ქერა კაცი გახლდათ. სოფელში საკმაოდ მარტოსულად ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ოცი წლის წინათ ჩამოსულიყო. კაცი მოხუცთა თავშესაფარში ხელის მუშად მსახურობდა. თვალსაც აკლდა და ყურსაც, ამიტომაც ყველას მალევე ბეზრდებოდა მასთან საუბრისას გამუდმებული ყვირილი. მხოლოდ თავშესაფრის გამგე და

სხვა მსახურები თუ დაავალებდნენ რამეს და დიდიდან საღამომდე ყურში ჩაჰყვიროდნენ. „ფოსტა ამოიტანე, სიმენ!“, „სარდაფში ჩადი და ღუმელს შეუკეთე... დღეს ერთი მოხუცი მიემგზავრება და სადგურამდე მისი ჩემოდანი უნდა ზიდო...“ კაცი სამზარეულოში, სადილის თევშთანაც რომ მჯდარიყო, ბრძანების მიღებისთანავე, ფეხზე უნდა წამომხტარიყო. მისი დღე საათებისა და წუთებისაგან კი არ შედგებოდა, არამედ გაუთავებელი დავალებებისაგან... წინ და უკან უნდა ევლო, ზემოთ უნდა ასულიყო, ანდა ქვემოთ ჩაერბინა... შობის საღამოსაც კი, დღესასწაულზე, როდესაც დარბაზები სანთლის შუქით ბრწყინავდა, შეიძლებოდა, რომ იგი მოულოდნელად სადგურზე, რაიმეს მოსატანად გაეგზავნათ. და როდესაც იგი, ბოლოს და ბოლოს, თავის პანანინა ოთახში განმარტოვდებოდა, აღარაფრის გაკეთების თავი აღარ ჰქონდა. იგი მხოლოდ უსიტყვოდ იჯდა და იატაკს დაჰყურებდა მანამ, სანამ ლოგინში შეძვრებოდა დასაძინებლად. მოსაგონრად მხოლოდ ახალგაზრდობის წლები შემორჩენოდა — თავის მშობლიურ მხარეში გატარებული წლები, ზღვა, გოგონები, თოლიები, ჰაერში ჭყვივით რომ დასრიალებდნენ... ახსენდებოდა თავისი პატარა ქოხი და და-ძმა... მაშინ მას არც სმენა აკლდა და არც მხედველობა. იმ დროს ხომ ის ახალგაზრდა იყო.

გზად მიმავალი, ფრთხილად მიუყვებოდა გზის შიდა ნაპირს, რადგან უკნიდან მომავალი მანქანების ხმაურის გაგონება არ შეეძლო. მარცხენა ხელს იქნევდა და ჩუმად ღიღინებდა. გახუნებული ქუდი გვერდზე მოეგდო, ტანთ გაცვეთილი სამოსი ეცვა, ცხვირზე დასკუპებული სათვალისაგან აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. სამოცი წლის იყო თუ უფრო მეტის? ამის შესახებ არავინ არაფერს ეკითხებოდა. რისთვის წამოვიდა და დასახლდა ამ მხარეში, ესეც მხოლოდ მან იცოდა.

ერთი საუკეთესო რამ წამდვილად ნახა მოხუცთა თავშესაფარში. რა? რა და სულ ცოტა ხანში იგი ნეფე უნდა გამხდარიყო.

მისი რჩეული დიდი ტანის, მსხვილი დედაკაცი გახლდათ დანაოჭებული სახითა და გაჭალარავებული თმით. ქალი სხვადასხვა ოჯახებში მსახურობდა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა სულ პატარა გოგონა იყო. მას მემკვიდრეც შესძენოდა... მაგრამ ეს ამბავი უკვე აღარავის ახსოვდა, რადგან გამხდარა თუ არა ბიჭი სრულწლოვანი, ამერიკაში გამგზავრებულა, რამოდენიმე წლის წინ. ყველასგან დაზინყებული ქალი სულ მარტო დადიოდა და ხვალინდელი დღისგან ბევრს არაფერს

ელოდა. ყოველდღე იგივე მეორდებოდა — იგი ემსახურებოდა და ემსახურებოდა უცხო ოჯახებს. ამგვარად, ერთი-ორი კაპიკიც კი მოეგროვებინა შავი დღისთვის. ერთ მშვენიერ დღესაც მოსამსახურეობას თავი გაანება და ერთ ფერდობზე პატარა ნაცრისფერი ოთახი შეიძინა. ქალს შეეძლო, რომ მთელი თავისუფალი დღე აქ გაეტარებინა, თუ მას ამისი სურვილი ჰქონდა. თუ არადა, შეეძლო აქეთ-იქით ევლოდროგორც თავისუფალ მოსამსახურეს, პატარ-პატარა საქმეები აეღო. ხმელა პურს აცხობდა, რეცხავდა, ანდა ქორწილებსა და გასვენებებში სადილებს ამზადებდა. ქალს სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა ხოლმე იმის გაფიქრებაზე, რომ მეორე დღეს თუ მოისურვებდა, თავისუფალი იქნებოდა. იმ მარტოხელა ჩია კაცისთვის კი, კარგა ხანია თვალი დაედგა და დიდი სურვილი ჰქონდა ამ კაცზე ზრუნვა თავის თავზე აეღო.

ერთ დღეს ქალი მას გზაზე შეხვდა. კაცი სადგურიდან მოდიოდა და ჩემოდანს მოათრევდა.

„გამარჯობა. მიცანი?“

„რა სთქვი?“

ქალი უფრო ახლოს მივიდა და დაიყვირა: „გკითხე, თუ მიცანი — მეთქი.“

„ჰო...ვიცი ვინც ხარ.“

„ერთი ეს მითხარი... თავისუფალი დრო არასოდეს გაქვს?“

„როგორ არა... ღამლამობით.“ და კაცს გაეცინა.

„გინდა, ჩემთან ამოხვიდე ერთ ჭიქა ყავაზე?“

„სასიამოვნო იქნებოდა“

„ჰოდა, თუ ასეა, ამოდი.“

თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამონყობილი, ახლად დაბანილი კაცი მალევე ესტუმრა ქალს. იგი ზღურბლთან შეჩერდა, აქეთ-იქით მიმოიხედა და ჩაიქირქილა. ქალს ოთახი საგულდაგულოდ დაეღაგებინა, იატაკზე ყვავილები მოეზინა და ირგვლივ სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა.

„მყუდროდ ცხოვრობ.“ — მიუგო კაცმა.

შემდეგ ისინი გავარვარებულ შეშის ღუმელს მიუსხდნენ. იქვე, პატარა მაგიდაზე ქალს წინასწარ მომზადებული ყავა დაედგა ჭურჭლით. ორივე კარგად გრძნობდა თავს.

ქალი კაცისკენ გადაიხარა და ყურში ჩაჰყვირა: „ნუთუ არ მოგებზრდა აქეთ-იქით წონილი?!“

„როგორ არა.“

„თავი გაანებე იქ მსახურს და მაშინ იმუშავე, როცა შენ მოგესურვება...“

„კი... მაგრამ, მაშინ იქ, სადაც ეხლა ვცხოვ-

რობ, ველარ ვიცხოვრებ.“

„შეგიძლია სხვა ოთახიც მონახო.“

კაცმა თავი გაიქნია. „ნახვა ადვილი არ არის.“

„შეგიძლია, ჩემთან გადმოხვიდე საცხოვრებლად!“

„რა სთქვი?“

„ის, რომ შენ შეგიძლია, ჩემთან ერთად იცხოვრო... მე ხომ სულ მარტო ვარ.“

კაცმა თავი გადაიქნია და ჩაიქირქილა. შემდეგ მათ ერთმანეთს შეხედეს და კარგა ხანს ასე იყვნენ.

„მართლა შემიძლია?“

„ჰო, ეს ოთახი მე მეკუთვნის.“

ამის შემდეგ კაცი ქალს რამოდენიმეჯერ კიდევ ეწვია და ქალი კვლავ თავისთან გადასვლას სთავაზობდა. როგორც ჩანს, ქალისთვის მარტო ყოფნა და თავისუფლება საკმარისი არ იყო და უნდოდა, რომ გვერდით ჰყოლოდა ვინმე, ვისზეც იზრუნებდა.

ეს ყოველივე კი მათი, ორივეს თანხმობით და ეკლესიაში, მღვდელთან მისვლით დასრულდა.

ქორწილი არ ყოფილა, მაგრამ როდესაც ახლად დაქორწილებულები შინ დაბრუნდნენ და გემრიელი სადილით განყობილ პატარა სუფრას მიუსხდნენ, კაცმა კვლავ თავი გადაიქნია და ჩაიქირქილა.

„მართლა გასაოცარია.“ — წარმოსთქვა მან.

„გასაოცარია? რა?“ — ხმამაღლა გაიმეორა ქალმა.

„ის, რომ ხვალ თავისუფალი ვარ.“

„მეც ასევე...“

„შემიძლია, რაც მსურს, ის ვაკეთო...“

„მეც ასევე...“

ქალმა კაცს ხელი გაუნოდა და ასე, უხმოდ იყვნენ კარგა ხანს. ისინი კმაყოფილი სახეებით ისხდნენ ოთახში და ორივემ იცოდა, რომ მეორე დღეს თავისუფლები იყვნენ.

კაცი მამულის მოვლაში ეხმარებოდა ხალხს, მღვდლისთვის და მოსამართლისთვის შეშას ჩეხდა, მაგრამ მუშაობის სურვილი როცა არ ჰქონდა, შინ რჩებოდა და ოჯახური მყუდროებით ტკბებოდა. ქალიც ამგვარადვე მუშაობდა, ანდა სახლში იჯდა, ხელთათმანებს და წინდებს კერავდა, შემდეგ კი გადამყიდველს აბარებდა და ცოტაოდენ ფულს იღებდა. გარდა ამისა, ქალი სიმენს პერანგებს და საცვლებს უკერებდა.

თუ კაცი გასული იყო, ქალი მას ყოველთვის აკითხავდა საღამომობით, როდესაც იგი შინ უნდა დაბრუნებულიყო, რადგან კაცს არც სმენა ჰქონდა წესრიგში და არც მხედვე-

ლობა, ამიტომ სულ ადვილად შეიძლებოდა მანქანა დასჯახებოდა. ქალს იგი ხელჩაკიდებული მიჰყავდა გზის ნაპირზე... და ასე, ერთად მიუყვებოდნენ ისინი შინისაკენ მიმავალ გზას.

კვირაობით ქალი ეკლესიაში სიარულს იყო მიჩვეული, მაგრამ მის ქმარს, რადგან არც ზარების რეკვა ესმოდა და არც მღვდლის ქადაგებანი, ისიც შინ მასთან ერთად დარჩენას ამჯობინებდა. ზოგჯერ ქალი წიგნს ფურცლავდა და ზედმეტად მაღალ ხმაზე რაღაცას უკითხავდა ქმარს, ისიც ქალისკენ ისრებოდა და ცოტ-ცოტას გაჭირვებით იგებდა.

კაცს თავისი პატარა გატაცებაც ჰქონდა. ლანგარზე ნამცეცებს ყრიდა და ფანჯრის რაფაზე დგამდა. მალე ლანგარზე ციცქნა ჩიტუნები იკრიბებოდნენ და გამალებით კენკავდნენ ნამცეცებს. ამ სანახაობით ორივენი ერთობოდნენ. მოშორებით ორი ჩხიკვიც ჯდებოდა, მაგრამ კედელთან მოსვლა ვერ გაეზებდათ და შურით შეჰყურებდნენ ციცქნა ჩიტებს. ცოლ-ქმარი ამ სანახაობითაც კარგად ხალისობდა.

ორივენი ფიქრობდნენ, რომ რაღაც მაინც აკლდათ. და სულ მალე, პატარა ნაცრისფერი გოშიაც მოიყვანეს სახლში. ისინი თავს ევლებოდნენ, ქალი ძალს კალთაშიც ჩაისვამდა ხოლმე, თითქოს პატარა ბავშვი იყო, კაცი კი მათ შეჰყურებდა, თავს იქნევდა და ქირქილებდა.

სამუშაოზე წასვლისას, ძალლიც უკან აედევნებოდათ ხოლმე და როდესაც მათი გზები უნდა გაყრილიყო, ძალლი ჩერდებოდა და ფიქრობდა, რომელს გაჰყოლოდა, არჩევანს ბოლოს მაინც ქალზე შეაჩერებდა. დღე საკმაოდ გრძელი იყო და ქალს აუარება საქმე ჰქონდა ოჯახებში მუშაობისას, მაგრამ გოშია თავის გასართობს ყოველთვის პოულობდა, გზაზე გარბოდა და გამვლელებს უყეფდა, ყვავებს დასდევდა, ანდა პატარებს ეთამაშებოდა, შუადღეზე კი ქალი გამოდიოდა მასთან და მცირეოდენი საკვები გამოჰქონდა. გოშია კუდის ქიცინს იწყებდა და გახარებული წკავ-წკავებდა.

წელი წელს მისდევდა. შეხვედრისას ხალხი ამჩნევდა სიმენის გაბრწყინებულ სახეს. ცოლი კი მის დედას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოლს და ეს იმიტომ, რომ ქალი საოცარ მზრუნველობას იჩენდა კაცის მიმართ.

ერთ დღეს კი რაღაც მოხდა. ქალმა ფეხზე წამოდგომა ვეღარ შესძლო და ცოტა ხანში გარდაიცვალა კიდეც.

გზად მიმავალი ხალხი ადრე ყოველთვის ხედავდა ბორცვზე მდებარე ციცქნა ოთახის

საკვამურიდან ჰაერში ამავალ კვამლს. ქალის სიკვდილის შემდეგ, კაცმა ყველაფრის ხალისი დაკარგა. იგი მხოლოდ ღუმელის გვერდით იჯდა და იატაკს დაჰყურებდა. კაცი კვლავ მოგონებებში ჩაიძირა. ამჯერად მისი ფიქრები გარდაცვლილ ცოლს დასტრიალებდა.

ძალლი გამუდმებით გარეთ მიიწევდა, მაგრამ ქალს რომ ვერ პოულობდა, ისევ უკან ბრუნდებოდა.

ხანდახან სიმენიც გავიდოდა და სასაფლაოსკენ მიმავალ გზას დაუყვებოდა. ერთ დღეს თან პატარა სკამიც გაიყოლა დასაჯდომად. კაცი კაი ხანს იჯდა და საფლავის ფილას დასცქეროდა. ეს ფილა მისი ნაყიდი იყო. ძალლიც აქვე იყო და კაცს კითხვით აღსავსე სახით აჰყურებდა. ეხლა იგი ლამლამობით სიმენთან იძინებდა და ხანდახან წამოიწკნავლებდა ხოლმე თუ სიზმრად თავისი გარდაცვლილი პატრონი მოევლინებოდა.

მალე გაზაფხულიც დადგა და საფლავზე სულ უფრო მეტი ხალხი მიდიოდა, ყვავილებს რგავდა. არემარე უამრავი ფერით ბრწყინავდა. სასაფლაო უზარმაზარ, მდიდრულ, სურნელოვან ბაღს დაემსგავსა. ყვავილები სიმენსაც ხომ უნდა დაერგო ცოლის საფლავის მოსართავად... ჰოდა, აქ სკამზე ჯდომა მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო გახდა. ასე მოვიდა შემოდგომა და შემდეგ ზამთარიც. როცა ძალიან არ ციოდა, კაცი კვლავ აკითხავდა ცოლის საფლავს, ძალლიც მუდამ თან ახლდა და გვერდიდან არ სცილდებოდა.

ისევ დადგა გაზაფხული, ჰაერში მცენარეების სურნელი დატრიალდა. მალე კაცმა ერთი ადამიანიც შეამჩნია, რომელიც მასავით ხშირად მოდიოდა სხვა საფლავთან. ეს იყო ერთი მანდილოსანი, რომელიც იქვე, ქვაზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, იცრემლებოდა და საფლავს უხმოდ დაჰყურებდა. ისინი ყოველთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს და ერთ დღესაც კაცს მოეჩვენა, რომ ქალმა გაუღიმა. მერე მან ქალისთვისაც მიიტანა სკამი, რათა იგი უფრო მოხერხებულად დამჯდარიყო საფლავთან.

ქალს ძალიან ესიამოვნა. კაცს გუნებაში გაჰკრა, რომ ისინი დაახლოებით ერთი ხნისანი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ქალსაც მასავით ჭაღარა თმა და ნაოჭიანი სახე ჰქონდა.

„გმაღლობთ“ — მიუგო ქალმა — „ძალიან სასიამოვნოა!“

„რა სთქვი?“

„გმაღლობთ — მეთქი, თავაზიანობისთვის...“

„მე ისე ცუდად მესმის,“ წარმოთქვა კაცი.

„მეც...“ და ქალი უფრო მიუახლოვდა მას.
„თქვენი ქმარია, აქ რომ განისვენებს?“ —
იკითხა კაცმა.

„რა მითხარი?“

არა, ნუთუ ქალიც იგივე მდგომარეობაში
იყო. მაშინ კი კაცმა გაუღიმა მას და ხელი გა-
უწოდა, როგორც თავის თანაზიარს.

„მარტო ცხოვრობ?“ — ჰკითხა ქალმა საკ-
მაოდ ხმამაღლა.

„დიახ.“

„მეც მარტო ვარ.“

კაცი მცირე ხანს ქალის გვერდით იჯდა
სკამზე, შემდეგ კი ქალი მივიდა მასთან, მისი
ცოლის საფლავთან.

ბევრს არც ერთი მათგანი არ ამბობდა. ისი-
ნი მხოლოდ ერთმანეთს შეჰყურებდნენ და
კმაყოფილები ჩანდნენ.

ერთ დღეს კი, როდესაც კაცი ძალთან
ერთად ოთახში იჯდა და თვლემდა, მოულოდ-
ნელად ქალი სტუმრად ეწვია. მას ილღიაში პა-
ტარა ფუთა ამოეჩარა.

„ვიფიქრე, ერთი ჭიქა ყავა ესიამოვნება-
მეთქი...“, წარმოსთქვა მან და გაიღიმა. შემ-
დეგ პატარა მაგიდასთან მივიდა და ყავის ფუ-
თა გახსნა. „ჩაიდან თუ გაქვს?“

„როგორ არა. „კაცმა სამზარეულოში ჩაი-
დანი წყლით აავსო, მერე ოთახში გამოიტანა
და ღუმელზე შემოდგა. შემდეგ შეშას მოუკი-
და, ცეცხლი დაანთო და სულ მალე ისინი პა-
ნაწინა მაგიდას უსხდნენ, ყავას სვამდნენ და
თავს კარგად გრძნობდნენ.“

კაცმა ქალს სახელი ჰკითხა. მან კი სულ
სხვა რაღაც გაიგონა და სანაცვლოდ უპასუ-
ხა, რომ მისი ქმარი დურგალი იყო და შარშან
გარდაცვლილიყო. ეხლა კი ქალი თავს მარ-
ტოსულად გრძნობდა და სოფელში საერთო
ვერავისთან გამოენახა.

„ცუდად მესმის,“ — ყვიროდა იგი — „მაგ-
რამ თვალთ კარგად მიჭრის, ჰო... შორსმხედ-
ველი ვარ.“

„ჰმ,“ — წარმოსთქვა კაცმა და გაიღიმა.

მერე ქალმა მოუყვა, თუ როგორი უბად-
ლო მამაკაცი იყო მისი ქმარი. კაცმაც უამბო,
თუ რამდენს ნიშნავდა მისთვის ცოლი და
ორივენი თავს იტყუებდნენ, რომ ერთმანე-
თის მონაყოლი კარგად ესმოდათ.

ქალს არ შეეძლო, კაცი თავის სახლში მი-
ეყვანა, გამუდმებით თავად სტუმრობდა მას
და თან ყოველთვის რამე გემრიელი მოჰქონ-
და. მაგრამ მათ მალე მოზეზრდათ საუბრისას
ყვირილი, თანაც ქალს ერიდებოდა, უფრო

ახლოს მისვლა და ყურში ჩაყვირება, ამიტო-
მაც ერთ დღეს მან ქალადი და ფანქარი
მოიყოლა თან და მოსვლისთანავე დაუწერა
კაცს: „მცირე დანაზოგი მაქვს საბანკო ანგა-
რიშზე.“

კაცმა პასუხი იგივე ფურცელზე დაუწერა:
„მეც მაქვს.“

ქალმა ისევ დაწერა: „მოგნონს მარტო
ცხოვრება?“

„არა, პირიქით.“

„ჩემი ადგილი თუ არის აქ? შემიძლია ქი-
რაც გადავიხადო...“

„როგორ არ არის... როცა გენებოს, მაშინ
გადმოდი.“

ძალლი იქვე იჯდა. აქეთ-იქით იყურებოდა
და უკმაყოფილო ჩანდა. ერთ მშვენიერ დღე-
საც ქალი მოადგა მას თავისი ლოგინითა და
ჩემოდნით, რომელშიც ტანსაცმელი ჩაელა-
გებინა. მან თავის თავზე აიღო ოჯახის მოვ-
ლა, განსაკუთრებით კი კაცზე ზრუნავდა.

ქალს შეეძლო დაეწერა: „დღეს რას მიირ-
თმევ სადილად?“

კაციც ფანქარს იღებდა და პასუხობდა:
„იმასვე, რასაც შენ“. მერე შეხედავდნენ ერ-
თმანეთს და გაიცინებდნენ.

„საიდან ხარ?“ — წერდა ქალი ქალადზე.

„დასავლეთ ნაწილიდან.“

„მე აღმოსავლეთ ნაწილიდან ვარ და მარი-
ტი მქვია.“

მერე ისხდნენ ისინი გვიან საღამომდე,
სივრცეს გაჰყურებდნენ და თავ-თავიანთის
ფიქრობდნენ. ერთ დღეს კი კაცმა ფურცელ-
ზე დაწერა: „ღმერთის გწამს?“

„ჰმ“. კაცმა კვლავ სივრცეს გაჰხედა.

„ჩვენ, ალბათ, ცხოვრებაში სწორედ იმათ
ვხვდებით, ვინც გვაკლია და გვენატრება,
არა?“

კაცმა ჩაიქირქილა: „და მერე კი ოთხნი
ვხვდებით.“

დროთა განმავლობაში ქალი ისეთი მორი-
დებული აღარ იყო. უკვე ყურთან მიუტანდა
ხოლმე კაცს ტუჩებს და ჩაჰყვიროდა, როცა
რამის თქმა უნდოდა. კაციც მსგავსადვე იქ-
ცეოდა.

ეხლა ისინი სასაფლაოზეც ერთად დადი-
ოდნენ. ერთმანეთს ხელს ჩაჰკიდებდნენ და
გზის ნაპირს დაუყვებოდნენ...

ნორვეგიულიდან თარგმნა
თამარ კვიციანიძემ



მარინა ცვეცაიჭვა

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით,
მომწონს, რომ თქვენით არა ვარ ავად,
რომ ფეხქვეშ მინა მძიმე და სველი
არ გატოკდება სულისშემძრავად.
რომ სასაცილოდ თავისუფალი
არ ვთამაშობდე ყალბი სიტყვებით
და არ გავწითლდე, როცა უბრალოდ
ერთურთს თითებით ველაციცებით.

და კიდევ მომწონს, გიციქერით როცა
ეხვევით ვინმეს მოურიდებელივ
და არ მიგზავნით გეენას კოცონს,
მეც საკოცნელად რომ არ მინდებთ.
რომ ჩემს ხსენებას სათუთად თქვენში
არც დღით, არც ღამით არ გაუვლია,
რომ დიდი ტაძრის სიმყუდროვეში
არავინ გვეტყვის ალილუიას!...

მადლობას გიხდით გულით და ხელით,
გულით და სულით მადლობას გიხდით.
მადლობას გიხდით – გიყვარდით ისე,
რომ თქვენ თავადაც ვერაფერს მიხვდით.
მადლობას გიხდით ამ სიმშვიდისთვის
და იშვიათი შეხვედრებისთვის,
მთვარიან ღამით, დაბინდებისას
ჯერ არ შემდგარი პაემნებისთვის.
რომ თავს არ გვადგას გვირგვინის დარად
ჩვენ შარავანდი ცხელი და მწველი,
ვწუხვარ, რომ ჩემით არა ხართ ავად,
ვწუხვარ, რომ ავად არა ვარ თქვენით!

ფსიქა

1

მე შინ მოვედი! — არ ვარ თვითმარქვი.
პურისთვის გარჯაც არა მაქვს წესად.
ვნება ვარ შენი... და კვირის უქმე,
მეშვიდე დღე და მეშვიდე ზეცა.

იქ, იმ მიწაზე გროშის სანაცვლოდ
გულს ქვა მეკიდა, ვიყავ მსახური!
შმაგი სატრფო ვარ! — ნუთუ ვერა მცნობ, —
ფსიქა — მერცხლად გარდასახული!..

2

ჰა, მოალერსევ, ეს ჩემი ფლასი,
ადრე რომ ერქვა ნაზი სხეული,
მთლად გაიცრიცა ის სილამაზე,
მხოლოდ ორი ფრთა შემრჩა ჩვეული.

შემოსე შენი დიდებულებით,
გადამარჩინე, მადლი გაიღე...
ხოლო ძონძები ღარიბულები,
შესანირაგად — ტაძრად წაიღე!

თავს გადააგდებ ხანდახან უკან —
ამაყი ხარ და... ტყუილი ალბათ.
რა მხიარული მგზავრი მაჩუქა,
როგორ გამართო ამ თებერვალმა!

ააჩხრიალებ ხურდას ხელებით,
თამბაქოს კვამლი შებოლავს ტუჩებს,
ვით მოზეიმე უცხოელები,
ისე ჩავივლით მშობლიურ ქუჩებს.

წამწამებს, ასე ნატიფად ნაფენს
ეფერებოდა ვისი თითები?

ან შენი ბაგე როდის და რამდენს
დაუკოცნია — არ გეკითხები.
ამ ჩემმა სულმა — ხარბმა, მშიერმა,
უკვე დათრგუნა ყველა ოცნება
და ვხარობ, როცა შენგან ღვთიური
ათი წლის ბავშვის სუნთქვა მომწვდება.

ჩვენ შევჩერდებით მდინარის ახლოს,
ჭრელი ფარნების შუქი რიალებს.
ვნახავთ მოედანს, რომელსაც ახსოვს
ყრმა მეფეები მოხეტიალე...

ამოისტვინე დარდი ბავშვური,
გული მოთოკე, მკერდში ჩატიე...
ჩემო ცივისსხლავ, თავაშვებულო
ჩემო გიჟმაჟო, გთხოვ, მაპატიე!

ისევ ის სიყრმე, ადგილნი ცოდვის
და კოცონებით ღამე მდიდარი.
ჩემი ღვთიური ლირა, იცოდე,
ღვიძლი და არის შენი გიტარის.

ჩვენ ერთნაირად ვართ დანინდული,
რომ ქარბორბალა სულელებში ქროდეს.
- სულთა მძარცველი! — მეც ეს ტიტული,
მეც ეს ნოდება აკვნიდან მომდევს.

მენდე, ხელების ჯავრიან მტკრევით
შენ არ ხარ მარტო დღეთა ნისლელებში,
ვინაც ბოშური დულილით, გზნებით
ყმანვილ თავადებს ჭკუიდან შეშლის.

მარტო შენ როდი შეჰკიდებხარ
ალესილ დანას სისხლის ცხელებით...
ჩვენ სიყვარულშიც ნაღდი დები ვართ,
მაღალი გრძნობის ბინიერებით.

გაკოცე შუბლზე, ამგვარად მსურდა...
ალბათ ტუჩებში მეკოცნა უნდა!
და მაინც ისე, წინანდებურად
შენ, სიყვარულო, კარგი ხარ მუდამ!

სულ ცოტა ღვინო — გრძნობის მომრევი —
ქურქსაც მოვისვრი, დაუყოვნებლივ —
ღმერთო, რარიგად შეცბუნდებოდა
ეს ჩემი სისხლი ძველ მოგონებით!...

მაგრამ, ო, არა, ამნაირ წლებში
ქალს სიყვარულის არ ახლავს ეშხი,
თავად ვენერა სარდაფში შეშას
ჩეხს, ანაფოტებს — ნაჯახით ხელში.

ნატანჯი ყინვით და შავი ჭირით,
სასტიკ ზამთარზე ჯვარდანერილი.
ამურმა ფრთების სამაგიეროდ
თექის ჩექმები მოირგო თბილი.

სულო, აღვსილო მშვენიერებით!
დაგრიხე თოკი შენივე ნებით.
პატარა გოგოს თავსასთუმალთან
ჩამოუჯექი ძველ მოგონებით.

შორეულამდე ნახვამდის, გლოცავ!
ალბათ მანამდე მოგვინვეს მოცდა,
სანამ უბრალოდ შუბლზე კი არა,
თავდავინყებით ვისწავლით კოცნას.

თარგმნა ყუყუნა ხაჯიშვილმა

მარინა ცვიტაევას ნატილი ბორის პასტირნაკს

ძვირფასო ბორის! ყველაფერი მივაგდე და
გპასუხობ მაშინვე (ნახევრად ხმამაღლა, რო-
გორც, წერილის კითხვისას, თორემ ფიქრები
შორს გამიტაცებს).

ახლა შენს შესახებ: მართლაც შეუძლე-
ბელია შენი განსჯა, როგორც ადამიანისა...
მომკალი და ვერასოდეს ჩავწვდები, როგორ
შეიძლება, მატარებლით ჩაუარო დედას 12
წლის ლოდინის შემდეგ. დედაც ვერ მიხვდე-
ბა: ამას ნუ მოელი! აქ მთავრდება ჩემი გა-
გება. ადამიანური გაგება. ამ საკითხში შენი
მონინააღმდეგე ვარ. მე ზურგზე ავიკიდებ-
დი მატარებელს, ოღონდაც მენახა, (თუმცა,
შესაძლოა, ამის გამო მეშინოდეს და ცოტა
მიხაროდეს, კიდევ). აქ დროული იქნება ჩემი
ერთი დაკვირვება: ყველა ჩემი ახლობელი, —
ისინი ძალზე ცოტანი იყვნენ, ჩემზე გაცილე-
ბით ლბილნი ყოფილან. რილკემაც კი მომწე-
რა: Du bist recht, doch Du bist hart² — და ეს მე
მალონებდა. იმიტომ, რომ არ შემეძლო სხვაგ-

1. 1935 წელს, ზაფხულში ბ. პასტირნაკი იყო პარიზში, საერთაშორისო ანტიფაშისტურ კონგრესზე, კულ-ტურის დასაცავად. უკან დაბრუნებისას, გერმანიაში რომ გაიარა, ვერ შესძლო ჯანმრთელობის გამო მიუნხენში ჩასვლა და მშობლებთან შეხვედრა.
2. შენ მართალი ხარ, მაგრამ ხარ მკაცრი (გერმ.).

ვარი ვყოფილიყავი. ახლა შედეგს რომ ვამონ-
მებ, ვხვდები, ჩემი გამოგონილი სიმკაცრე
— მხოლოდ ფორმა იყო. ფაქტიურად კონტურ-
რი, აუცილებელი საზღვარი თვითდაცვისა
— თქვენი, რილკეს, მარსელ პრუსტის და
ბორის პასტერნაკის სილბილისაგან. რაკი-
ლა თქვენ ბოლო წუთში — ხელს იღებთ და
მტოვებთ დიდი ხნის გამოსულს ადამიანთა
ოჯახიდან, ჩემს ადამიანობასთან პირისპირ,
თქვენ, არაადამიანებს შორის მხოლოდ მე
ვიყავი ადამიანი. ვიცი, თქვენი სქესი უფრო
მაღალია, ვიდრე ჩემი. ბორის, დაიდეთ გულ-
ზე ხელი ნათქვამის გამო: — ო, თქვენ არა:
— ეს მე ვარ პროლეტარი³, — რილკე ისე მოკ-
ვდა, არ უხმო ცოლს, არც ქალიშვილს, არც
დედას, ყველას კი უყვარდა. ის შაქარლამა
იყო ხელისგულზე. როცა სიკვდილის პირას
ვიქნები, მასზე (ჩემთვის) გაფიქრებასაც ვერ
მოვასწრებ, რადგან მთლიანად დაკავებული
ვიქნები: მაძღრები თუ არიან ჩემი გამცილებ-
ლები, ხომ არ გაკოტრდნენ ახლობლები ჩემი
კონსილიუმის ხარჯების გამო და შესაძლოა,
უკეთეს ეგოისტურ შემთხვევაში: ხომ არ დაი-
ტაცეს ჩემი ხელნაწერები-მეთქი.

ჩუმად (სულით) დავანებული ვიყავი მხო-
ლოდ ჩემს რვეულებში და სულ მარტო გზებ-
ზე — იშვიათ გზებზე, რადგანაც მთელი
სიცოცხლე — ხელით დავატარებდი ჩვილს.
ურთიერთობაში ველარ ვამჟღავნებდი „სილ-
ბილეს“, მხოლოდ ურთიერთობისათვის: მსა-
ხური: ამაო თავგანწირვა. დედა — პელიკანი
მისივე შექმნილი კვების სისტემის გამო ძილ-
ში — ბრაზიანია, — აი, ეგრე.

თქვენს სილბილეზე: თქვენ მისით — ის-
ყიდებით, თქვენივე მყვირალა ყანყრატოთი
მიყენებულ ჭრილობათა ხვრელებს ავსებთ
ჰიდროსკოპიული ბამბით. ო, თქვენ კეთილი
ხართ, თქვენ შეხვედრისას არ ძალგიდთ წა-
მოდგეთ პირველი. დახველებაც კი არ შეგიძ-
ლიათ გამოსამშვიდობებელი ფრაზის წარმო-
სათქმელად, რომ „არ აწყენინოთ“. თქვენ „მი-
დიხართ პაპიროსისთვის“, იკარგებით სამუ-
დამოდ და აღმოჩნდებით მოსკოვში, ველხოვ-
კაზე, 14-ში⁴, ან კიდევ უფრო შორს. რობერტ
შუმანს დაავინყდა, რომ მას შვილები ჰყავდა,
დაავინყდა რიცხვი, დაავინყდა სახელები და,
დაავინყდა ფაქტი უფროს გოგონაზე: ისევ
ისეთი მშვენიერი ხმა აქვსო!

მაგრამ — ახლა თქვენ მართლდებით —
მხოლოდ ასეთები ქმნიან. თქვენი იყო გოე-
თეც, შილერთან გამოსამშვიდობებლად
რომ მივიდა, და ათი წელი დედის სანახავად
არ ჩასულა ფრანკფურტში — თავს ინახავ-
და მეორე ფაუსტისათვის — ან კიდევ რალა-
ცისთვის, მაგრამ (ფრთხილია)! 74 წლისამ
გაბედა შეყვარება და გადაავინყდა ქორნი-
ნება — აქ უკვე გულს (ფიზიკურად) არ მოფ-
რთხილებია, რადგან თქვენ მფლანგველები
ხართ... რადგან თქვენ ამას (მთლიანად თავს,
ამ საშინელებისაგან: ადამიანურს თავის
თავში, ღვთიურს თავის თავში...) ყველაზე
უბრალოდ — სიყვარულით კურნავთ...

მე თვითონ ამოვირჩიე სამყარო. არა ადა-
მიანებისა — რალად ვფორიაქობ?

ჩემი პროზა: გამიგე, ვითარცა საკვები
შემოსავლისათვის: კითხვა ხმამაღლა და
ა.შ... და ახსნა-განმარტებითი. ლექსები —
ჩემთვის, პროზა — ყველასათვის (რითმა,
„მონონება“). ჩემი ზრდილობა უფლებას არ
მაძლევს, ვიდგე და ვუკითხავდე ჩემს „უკა-
ნასკენელ ერთგულებს“, სავსებით გაუგებარი
ამბებია — მათივე ფულით. ერთი სიტყვით,
ნაწილი ჩემი ამოებისა (ის, რასაც შენ ეძახი
ანალიზს) — გამონვეულია ჩემი გულითადო-
ბით. მე ანგარიშს ვაბარებ. ბუნინი კი ჩემს
პროზას ეძახის „მშვენიერ პროზას“, მაგრამ
„საშინლად რთულს“.

...დედაშენი თუ გაპატიებს. — ის დედა,
შუა საუკუნეების ლექსიდან გეხსომება. ის
გარბოდა, დედის გული ხელიდან გაუვარდა
და იგი ნამოედო:

„Et voici que le coeur lui dit: T'es-tu fait mal,
mon petit“.⁵

აბა, იცოცხლე, კარგად იყავი, ნაკლები
იფიქრე შენზე. ალიას და სერიოფას⁶ გადავ-
ცემ, ისინი დიდი სინაზით გიგონებენ და გი-
სურვებენ — როგორც მე, ჯანმრთელობას,
წერას, სიმშვიდეს.

ნახავ ტიხონოვს⁷ — მომიკითხე.

თარგმნა ნანა კანდელაკმა

3. ბ. პასტერნაკის ლექსიდან: „მე შემეძლო დამევიწყა
ისინი ახლობლებზე მეტად?“ წიგნიდან — „თემები
და ვარიაციები“.

4. ბ. პასტერნაკის მისამართი მოსკოვში.

5. „გულმა კი უთხრა მას: ხომ არაფერი იტკინე, პატა-
რავ?“ (ფრნგ.).

6. მ. ცვეტაევის ქალიშვილი და ქმარი.

7. პოეტი ნ. ტიხონოვი.



ლოლა
ხარხეიანი

მე სიმარტოვეს მოვუღებ ბოლოს
და სიკვდილს შიშის ნიღაბს ჩამოვხსნი...
მე ახლა ვგავარ იმ შეშლილ პოეტს,
რომ ეშინია სასაფლაოსი.

განწყობილება

ფიქრი, უსაზღვროდ მძიმე და ნერვიული...
ლოდინი... შეგრძნება, რომ რაღაც არასწო-
რად გააკეთე.

გარეთ სუსხია, რაც განწყობილებას ამ-
ძაფრებს. ნერვიულად ზიხარ და დაძაბული
ელოდები ზარს. დაახლოებით იცი, რაც ხდე-
ბა.

იმედგაცრუება და უამრავ სისულელეზე
ფიქრი... გეშინია სიმარტოვის... მოელი —

ადამიანს, რომელიც გიშველის, შენ კი მისგან
მაქსიმალურს მიიღებ და მერე უსარგებლო
ნივთივით მიაგდებ.

გული ნელ-ნელა წყნარდება ...

ნერვიულმა დაძაბულობამ შესამჩნევად
იკლო ...

შემზარავი სიმშვიდე ისადგურებს.

ერთი სიყვარულის სევდიანი აგავი

დამპირდი, ჩემს თავს გაჩუქებო და სიმარ-
ტოვე მაჩუქე;

დამპირდი, ბედნიერებას გაჩუქებო და
ცრემლი მაჩუქე;

დამპირდი, სიხარულს გაჩუქებო და ტკივი-
ლი მაჩუქე;

დამპირდი, ღიმბილს გაჩუქებო და ლოდინი
მაჩუქე;

დამპირდი, სიყვარულს გაჩუქებო და გან-
შორება მაჩუქე;

დაგპირდი, შენს გვერდით ვიქნები-თქო
და უფლებაც არ მომეცი.

სამწუხაროა, რომ ასე დაგკარგე...

მარტოობაშიც არის რაღაც, რაც მიგიზი-
დავს და ველარ მოიშორებ.

გათენახისას

ღამე ცრემლებით გამოეთხოვა განთი-
ადს...

ცამ ფიქრიანად გამოიღვიძა, ნაცრისფერი
ღრუბლები პირქუშ იერს აძლევდა და გაურ-
კვეველ შიშს ბადებდა.

ნისლი ნელა ადიოდა მთებიდან, მერე
ორად გაიყო და ტყის ლურჯი ზოლი გამოჩ-
ნდა.

შევებით ამოისუნთქეს ხეებმა, ფოთლების
ლალი შრიალი ჩამესმოდა ყურში და მიხარო-
და...

ბალახს ღამისეული ცრემლი შერჩენოდა,
მონყენით დაეხარა თავი.

ცამ ნელ-ნელა შეძლო გახსნა...

დედამინა, სასოებით ელოდა მზეს.

ღუმილი

უკანასკნელი ძარღვი მშვიდად შეტოკდა
და უნამუსოდ მიიხურა ნამუსის კარი.

შენ ნერვიულად ენეოდი სიგარეტს და შე-
დეგზე ფიქრობდი, ადამიანობა უკვე უცხო
იყო.

დრო კი საოცარი სისწრაფით გარბოდა...
გრძნობდი ყველაფერზე წამსვლელი იყავი: საკუთარი თავის რწმენა დაკარგე და ღმერთს სთხოვდი შევლას. სასოებით შესცქეროდი საათის ისრებს და მზად იყავი ყველაფერი დაგესრულებინა.

სიცოცხლე მიდიოდა ნელ-ნელა, წამებით. სამაგიეროდ, სიკვდილი მოდიოდა სწრაფად და დაუღალავად. ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება დუმილს ხვდა წილად.

ტკივილმა სახე ჩამომიკანრა,
თითქოს ქარიშხალს ზღვაც კი დანებდა...
ვიდექი კლდის პირს,
მერე ზღვას — ტალღა
ჩამოუშალეს უცხო ქარებმა.

ნაჭირისუფალ ფიქრთაგან

ამოუხსნელის ამოხსნა ვცადე და დავმარცხდი...

მათხოვარივით სიყვარულს, სიხარულს და ბევრ სიცილს ვითხოვ. მე და სიკვდილი ვზივართ და კითხვის ნიშანივით მორკალულ სიცოცხლეს ვუყურებთ, სადაცაა სიცილი აგვიტყდება. სიცოცხლემ ამაყად გაშალა მხრები და მედიდური ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. მე და სიკვდილს მუცლები ხელით გვეჭირა და სიცილისგან იატაკზე ცოცხალი ლეშებივით ვეყარეთ. სიკვდილს მხრები უცახცახებდა და ხელით სისხლიან ცრემლს ინმენდდა, ალბათ ღმერთმა დასაჯა ასე, რათა შეევგნო საკუთარი ცოდვები.

ოთახში შემოსული სიცოცხლე მიხვდა, რომ ახლა ჩვენთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა და ლოდინთან ერთად სახეტილოდ წავი-

და. სიკვდილს ყავა გავუმზადე და დასაძინებლად გავედი. მისი სევდიანი მზერა მაფიქრებდა. ის კი არაფერს მეუბნებოდა, რადგან დრო არ იყო. ვერ მოვისვენე, მასთან დაგებრუნდი. ყავა ხელუხლებელი დამხვდა, ცივდებოდა. ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა, ჩემი შემოსვლა ვერც შეამჩნია. მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანზე ფიქრობდა, ხელი აღარ შეეშალე. სკამზე მიფენილი შავი მოსასხამი გავუსწორე...

ჭირის დღესავით ეზარებოდა მოსასხამის ტარება, მაგრამ ასეთი იყო უზენაესის ნება. სტუმრად ვაპირებდი წასვლას, ვერ გადამეწყვიტა წავსულიყავი თუ არა. მისი სიჩუმე მაფიქრებდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ...

მოულოდნელად შემოტრიალდა და ტრავიკული სახით შემომომცინა, ნათელ სახეზე უკვე ბინდი გადაკვროდა და თვალებიც ავის მომასწავებლად უელავდა. მივხვდი, რაღაც საშინელს აპირებდა, შეშლილივით გავარდა სახლიდან, თანაც მოსასხამის გარეშე. იქვე წამოვწექი და ადამიანის ხელი ამოვიდე სასთუმლად. როცა გამომეღვიძა, შებნელებული იყო, თავის ქალაში ჩარჩენილი სანთლის ნამწვავი ავანთე. ვფიქრობდი, იმაზე თუ რა სიტყვა იქნებოდა უკანასკნელი, ადამიანის ბაგედან გადმოსული უფლის გასაგონად, ვიდრე სული სხეულის ჩამოშლილ კედლებს განუსხეულდება.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ სიცოცხლე შემოვიდა, მზერა მაშინვე იქით გაექცა, სადაც სიკვდილი ეგულებოდა. ასეა, დასაბამიდან ისინი ხომ ერთმანეთს ავსებენ, ერთის გავლით მეორის ყოფნა იწყება.

დაღლილს და ნაჭირისუფალს იქვე ჩაეძინა.

ღმერთო, რა ძნელი ყოფილა სიცოცხლედ ყოფნა...





სოსო სიკუა

ბანახაიონი
და ტიციანი

დაღუპვის წინათგრაჰოზა

სიკვდილი უცნობია ცხოველთა და ფრინველთა სამყაროსათვის. მას აღიქვამს და განიცდის მხოლოდ ადამიანი, რომელიც ვერ ეგუება სიცოცხლის შეწყვეტას და მინად ქცევას.

ამიტომ შიშის დასაძლევად ოცნებაში თხზავს გარდასახვის, სხვად ყოფნის მითს: სული ქარონს გადაჰყავს წყალგალმა, ჩადის მიწისქვეშეთში, ცად მიფრინავს უხილავი ფრთებით, გაივლის სხვადასხვა გარსს სამოთხესა თუ ჯოჯოხეთში.

ზეცაში იწყება ხორცისგან გაძრცულ სულთა მარადიული ცხოვრება, მინაზე კი რჩება სხეული, რომელიც იხრწნება და ქრება.

შდრ. — ორი პოზიცია — ათეისტური და თეისტური:

გრიგოლ აბაშიძე:

„არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები“.

შოთა ნიშნიანიძე:

„იქ დიდი საქართველოა,
იქ აღარავინ ვკვდებით“.

ადამიანს არ სურს დაიჯეროს არყოფნა, მას ცვლის სხვად და სხვაგან ყოფნად. ასე შემსუბუქდება სიკვდილის მტანჯველი შიში.

ამ ოცნებაში გვარწმუნებენ პოეტები და თეოლოგები.

ბერძნულმა მითოლოგიამ სიკვდილს თანატოსი უწოდა. იგი ღამის შვილია, ისევე როგორც ეროსი, ჰიპნოსის (ძილი) ტყუპისცალი, შავად შემოსილი ფრთოსანი და მიმქრალჩირაღდოსანი.

თანატოსი იყო ერთადერთი ღვთაება, რომლის მოსყიდვა არ შეიძლებოდა!

გალაკტიონი და ტიციანი ბიძაშვილები იყვნენ, ჰქონდათ „გაუყოფელი ეზო, სახლი და კარი“. როგორც თითქმის თანატოლები, ერთად გაიზარდნენ.

ლექსების წერაც ერთდროულად დაიწყეს.

სიყმანვილის შემდეგ მათი გზები გაიყარა — გალაკტიონი საქართველოში დარჩა, ტიციანი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. ისინი ზაფხულობით ხვდებოდნენ ერთმანეთს და ტიციანი მოსკოვურ ამბებს უყვებოდა, გალაკტიონი — აქაურს.

მოგვხსენებათ, ქართულ მწერლობას მოდერნიზტული ორიენტაცია მისცა გრიგოლ რობაქიძემ. ხოლო ტიციან ტაბიძემ დააკონკრეტა და „ცისფერი ყანწები“ სიმბოლიზმის არეალში მოაქცია.

მანვე წარმართა გალაკტიონის მზერა სიმბოლიზმისკენ.

შემდეგ, 1916 წლიდან, „ცისფერი ყანწების“ შექმნისთანავე, მათი მეგობრობა დასრულდა, თუმცა ტიციანს სულ ახალი დანერვილი ჰქონდა „მარტოობის ორდენის კავალერი“.

ობლობაში გაზრდილი გალაკტიონი მელანქოლიკი და მარტოსული იყო, მღვდლის შვილი ტიციანი — სანგვინიკი და კომუნიკაბელური.

გალაკტიონი საზოგადოებას უფრთხოდა, ტიციანს ხალხი და მეგობრები იზიდავდა.

ერთი სიკვდილს ჩაჰყურებდა სულის უფსკრულში და იქ შორეული, ზეციური ქვეყანა ელანდებოდა, მეორე სიცოცხლეს შეჰხაროდა, ძმობისა და მეგობრობის ტრუბადური იყო. ამ სიყვარულის სახელით სიცოცხლესაც გასწირავდა.

ბიძაშვილების გათიშვის მიზეზი ტემპერამენტი და ხასიათი იყო, თორემ ლიტერატურულად ერთნაირი მრწამსი და კურსი

ჰქონდათ:

„ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი“, — მიმართავდა 1927 წელს ტიცინი გალაკტიონს.

გალაკტიონის სულის ნერვიული კრთომა და თრთოლვა სიტყვის მელოდიად ცხადდებოდა, ტიცინის სტრიქონები დაუდევარი სისხლის ამბოხი იყო.

მაგრამ ჰქონდათ საერთო, ნათესაური ნიშან-თვისებაც, რაც გენეტიკურად აღმოჩნდა განსაზღვრული. ეს იყო სიკვდილის კულტი და თვითმკვლელობა, რაც ცენტრალურ ნერვად იქცა მათ სიმბოლისტურ ლირიკაში. მათ გარშემო განლაგდა ისტორიული ასოციაციები, დრამატული სახეები, მელანქოლიური და დეპრესიული, ჰეროიკული განწყობილებანი.

სიკვდილის კულტი ქრისტიანობიდან იღებდა სათავეს. მაგრამ ქრისტიანობა თვითმკვლელობას კრძალავდა.

გალაკტიონის ოცნება და ფიქრი, გასაგნებული შმაგ ლურჯა ცხენებად, ეფემერულად თავს ევლებოდა დედამიწას, იჭრებოდა ცის უდაბნოში, სულთა საუფლოში და უკანვე ბრუნდებოდა. მიღმური ქვეყანა — ეს იყო **„უცხო სიმსუბუქე“**, **„სხვა სიცოცხლე“**, **„სამუდამო მხარე“**, სადაც ანათებს **„ცისფერი ვარდების“**, **„ნაცნობი ყვავილის“** მკრთალი შუქი.

როცა სევდა მსუბუქი და ნათელი იყო, წერდა იმპრესიონისტულ ლექსებს, სადაც ლანდების თამაში, მზისა და მთვარის შუქი, შორეული საგნები და სახელები წყნარ მელოდიად ახმიანებდა ცნობიერებას:

**„ავვისტო. თბილი სამხრეთის ქარი
შენს ლაჟვარდოვან მანდილში ჰქროდა,
ისმოდა შორით „რაშო-და შოდა“
და კრიალებდა მზიანი დარი,
როგორც ოცნება უშორეს დროთა.
თითქოს ქალწულმა პირველად სცოდა
და სინანულის დაგუბდა ღვარი...
ზღვა იყო წყნარი“.**

**„დგება თეთრი დღეები,
რიდეების სეზონი,
გაჩნდნენ ორხიდეები
ყოვლად უმიზეზონი“.**

ხოლო სიმბოლისტურ ფანტაზმებს დეპრესია ინვევდა, სასონარკვეთა და ძრწოლა. მაშინ ხილვებში ჩნდებოდა სასაფლაო, თოვლი და ქარიშხალი, ფიქრი-ობობა, კუბო უმიზნოდ მცურავი ქარში, მკვდარი ფოთლები.

კუბო შავი იყო, ჩალაც — შავი, ბავშვი — შავი, ლეჩაქიც შავი და სამოსელიც. ისფერი თოვლიც შავდებოდა, დაისი შხამს ჰგავდა, სახლი დაწყვეტილ სამარეს. თვითონ კი იყო უთვისტომო და გარენარი.

გულისმომკვლელი ნაღველით ავსილს ეჩვენებოდა, რომ სინდისი მოშხამულია, წარსული შხამიანი, ლანდიც — შხამიანი, მსუბუქი ოხვრა — მკვლელი ნეტარებაა, ხელები — ბოროტად დაღალული, ღიმილი — უბოროტესი, ოცნება — ფერმიხდილი, ღამე — საზარი, აჩრდილი — ხელეზისისხლიანი; გზებზე მკვდრები მიდიან, პალმა ცხედრითაა შემკობილი, ჩხავიან ყორნები, ის კი მარტოდმარტოა, როგორც მთის ეკლესია, ახრჩობს მარტოობის უნდობარი ცრემლი, სულში ავობს ლუციფერი, სულში ჭკნება ათასი ვარდი, არ უყვარს მეგობრები, არ ჰყავს არავინ, თოვლია მისი სამშობლო და სული კვდება, როგორც პეპელა...

სიკვდილის გზა თუ ადრე **„ვარდისფერ გზად“** ეზმანებოდა, ახლა წინ შავი ბურუსი ედგა და ამიტომ აღმოხდებოდა:

**„მე გზა არ ვიცი: უახლოესი
ერთადერთი გზა არის სიკვდილი“**

დეპრესიის მოძალემა გულს უკლავდა, სასონარკვეთა უსპობდა სიცოცხლის ხალისს და ტრაგიკული აღსასრულიც ახლოს იყო:

**„გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს,
ანდა რევოლვერს დავიცილი გულში“.**

გალაკტიონს მთელი სიცოცხლე სდევდა მელანქოლია, დეპრესია, თვითმკვლელობის მანია. ჯერ კიდევ მაშინ გამოვლინდა **„სიკვდილისადმი სიმპათია“**, როცა სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. წიგნს გულს ვერ უდებდა და ორიანებს უწერდნენ, მასწავლებლები **„სულით ავადმყოფს“** ეძახდნენ (**ნოდარ ტაბიძე**).

კლასში რომ ჩატოვებს, კარბოლმჟავა დალია და თავი მოინამლა, ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს.

შემდეგაც არაერთხელ სცადა თავის მოკვლა. თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილებას, რასაც არაერთხელ აღნიშნავს თავის უბის წიგნაკებში, ხან ანელებდა, ხანაც აძლიერებდა ალკოჰოლი და სასტიკი ჟამი, ოჯახის ტრაგედიები (ცოლის დაპატიმრება, ცოლისძმების დახვრეტა და ა.შ.)

ლექსის თხზვა იყო ფსიქოთერაპია, რომელმაც შორს გადასწია თვითმკვლელობის ზღვარი.

სიმბოლისტური ფანტაზმების მოძალეების ჟამს, როცა ფერები ბგერებად ცხადდებოდა, პოეტის საყვარელი დრო იყო ღამე და შემოდგომა, რეალობა — სიზმარი, ფიქრი და მოგონება, სული — **„შემლილი და ბედნიერი“**, დაღლილი და ნაღვლიანი.

სევდასა და კაეშანს, დეპრესიებს იცილებდა ლექსითა და ცრემლით. **„მწარე“**, **„წრფელ“** და **„ციურ ცრემლებს“** მიჰქონდა გულისმომკვლელი სევდა და სული იბრუნებდა სიხარულსა და სიმსუბუქეს.

„ღვინით ჭიქები ისევ ივსება,
ისევ მევსება დარდით თვალები“;
ამბობს ერთგან.

ღვინო იწვევს დარდისა და ცრემლის ასო-
ციაცციას, რადგან ღვინო მშობლიური ვაზის
ცრემლია, რომელმაც შეცვალა სისხლი.
ცრემლი — ეს იგივე სულის სისხლია, რომ-
ლის ამბობი და განგაში არყევს პიროვნებას.
ამიტომ მათი არაცნობიერი იგივეობა და შეხ-
ვედრა ანუ თრობა შვებისა და ექსტაზის მომ-
ტანია. მაგრამ თრობა მხოლოდ ღვინით, არა
სხვა რომელიმე ალკოჰოლური სასმელით —
არყით, ლუდით ან კონიაკით.

მათ არ ახლავთ ასეთი ინტიმი, რადგან
სიტყვა ღვინო დატვირთულია ქართული
ასოციაციებით, მამისა და მამულის მოგონე-
ბით და უჩინრად იწვევს შთაგონების მსგავსი
თრობის მოახლოებას.

ეს თვისება არა აქვთ არაყს, ლუდს ან ვის-
კის. მათ არც ახსენებს პოეტი, რომელსაც
სადაც უნდა შეიაროს, სწორედ ღვინოს დააძა-
ლებენ. საყვარელი არსებაც ღვინისფერი მდი-
ნარეა, რადგან ქართულში არსებობს სიტყვა
ღვინისფერი და არა არყის ან ლუდისფერი.

სული სტიროდა ცისფერ ღვინოებს, ხოლო
თავისი ცხოვრება უანკარეს ღვინის ფერად
წარმოედგინა. სხვა პოეტებიც „ცისფერ ყან-
ნებს“ არქმევდნენ თავიანთ საქმოს და ასე
აქართულებდნენ შორეულ ბინდში მოციმცი-
მე ცისფერ ყვავილს.

ღვინო ერთვის ცრემლს. ორივე კი სულის
არაცნობიერ, არქაულ წრეში სისხლს უკავ-
შირდება (ღვინო — ყურძნის სისხლი, ცრემ-
ლი — სულის სისხლი), რაც სიტყვათა ტალ-
ღებით სევდასა და კაეშანს ღამის ჩრდილე-
ბად, ყვავილებად, შემოდგომის ფოთლებად,
შორეული ქალის ლანდებად ახმიანებს.

* * *

განსხვავებით გალაკტიონისაგან, რომ-
ლის ცნობიერი და არაცნობიერი მელანქო-
ლიითა და დეპრესიით იყო დაქსელილი, ტი-
ციანი არ იყო სევდის პოეტი.

მისი ლირიზმი ტრაგედიის ფინალური ჰე-
როიკა იყო და მკერდმელენილ გლადიატორს
ჰგავდა, როცა სისხლის ნაკადებად ისროდა
ლექსის სტრიქონებს:

„დარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყურჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები“.

მაგრამ სიცოცხლის წყურვილი, სიყვარუ-
ლი და ერთგულება თავგანწირვად წარმოედ-
გინა (როგორც ბერძნული საბრძოლო ელეგი-
ის გამირს), რაც სიკვდილს ესაზღვრება:

„სჯობს აღარ გვექონდეს სულაც
სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი“.

სიჭაბუკეში თავის დრამატულ განცდებს
დანაცრებულ ქალდას ქალაქებს და მიცვა-
ლებული მღვდელი მამის სახეს ახვევდა,
შემდეგ დამარცხებულებს — სარგის ჯაყელ-
სა და ცოტნე დადიანს, შამილსა და ბატონიშ-
ვილ ალექსანდრეს: მარტო ერთი აცხადებდა
ჰაზავათს; გემი „ილიჩი“ ახალ არგოს აგონებ-
და, რომელმაც კოლხეთს ოქროს სანძისი
მოსტაცა.

თანამედროვე სამყარო კი „დანყევლილ
და შხამიან“ ბალად ეჩვენებოდა, ქიშერიის
აღით დამწვარი მწუხარე წერილს სწერდა
მეგობარს, წერდა ვადაში გადატეხილ ხმალ-
ზე, რომ გატყდებოდა, მაგრამ არ მოიღუ-
ნებოდა, რომ პოეზიით დაიღუპებოდა, ე.ი.
ჰეროიკით ებრძოდა მოძალებულ უსახო ში-
შებს.

როცა სერგეი ესენინმა თავი ჩამოიხრჩო,
თითქოს საკუთარი აღსასრული იხილა, ისე
მძაფრად განიცადა. 1924 წლის აჯანყების
დათრგუნვით შეძრწუნებულს, გული გას-
ტეხვოდა ბოლშევიკებზე, ადრე რომ ძმობასა
და თანადგომას უცხადებდა:

„აღარ მომკვდარა ხომ პოეზია,
მუზეები ცისკრის კარებს აღებენ,
მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვენია,
აღბათ ჩვენც სადმე ჩაგვაძაღლებენ“;
„ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს“...

ამიტომ მოგვესმის ასე ხშირად „თვით-
მკვლელობის იავნანური“:

„თავისმკვლელობის თავზე
დაგვფრენს იგივე დემონი,
მე ვხედავ იმ მორგს,
მონამლული სადაც დავწვებით“.

თრობის სიხარული, სუფრა, ღვინო და არ-
ღანი, წრეგადასული აღტკინება სასიკვდილო
თავგამეტებას იწვევდა:

„მუხრანის ხიდზე დასახრჩობად
კიდევ დავდგებით,
საქართველოში ცხოვრება ხომ
თვითმკვლელობაა“.

გახლებული სიყვარული სიკვდილს აგო-
ნებდა, როგორც ეროსი თანატოსს:

„მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს
ბრალი“.

თითქოს წინასწარ ხედავდა საშინელ აღ-
სასრულს:

„თორმეტმა მღვდელმა მამა
გასუდრეს,
მე ერთი მღვდელიც არ ამიგებს წესს“.

ამ გულისმომკვლელ წინათგრძნობას ქა-
ლიშვილსაც უმხელდა:

**„მე ასე გინერ, შვილო, ოთხ აპრილს,
რა ვიცი კიდევ რამდენი დამრჩა“**

ამასვე გრძნობდა პაოლო იაშვილი, როცა ტანიტი ტაბიძეს მიმართავდა:

**„იქნება მამა სულ გაიპაროს,
ტიროდეს დედა ფშანის ნაპირზე“.**

ფრიდრიხ ნიცშესათვის „სიყვარული და სიკვდილი ერთმანეთს ემთხვევა გაჩენის დღიდან. გიყვარდეს — ეს იგივეა, სიკვდილისათვის იყო მზად“.

კონსტანტინე გამსახურდიას არსაკიდე ამბობს: **„ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცდია, მას უგემნია თავად სიკვდილი“.**

ასე რომ — ზეალმტაცი სიყვარული სიკვდილს ესაზღვრება, როგორც გმირული მზადყოფნა თავის გასაწირად.

თავის მხრივ — სიკვდილის სიახლოვე ამდაფრებს სიცოცხლის გრძნობას:

ძველ ეგვიპტელებს ქეიფის დროს, როცა სასმელი მოეძალებოდათ, ადამიანის თავის ქალა შემოჰქონდათ სუფრაზე!

სიკვდილის სიახლოვე უფრო მეტად ალაგზნებდათ და გიჟურ სიხარულს აღუძრავდათ თანამეინახეებს.

სენეკა, რომელმაც თავი მოიკლა, წერდა **„თვითმკვლელობის აპოლოგიას“** და ასე შენატროდა მარადიულ თავისუფლებას.

ტიციანი თავისთავს ეძახდა ჯერ **„ყელნაჭრილ და ცოცხალმკვდარ“** გედს, შემდეგ — **„მსუქან გომბეშოს“**, **„პატარა ძაღლს“**, თბილისს რომ იცავს. ოცნება კი იყო — **„რომ არ ამოშრეს ხალხში ნაღველი ბატონიშვილის ალექსანდრესი“**. ე.ი. ფიქრი სამშობლოს თავისუფლებაზე. მაგრამ ეს იყო 1930 წლამდე, ვიდრე ბოლშევიკების აპოლოგეტი გახდებოდა, ვიდრე საზარელი წინათგრძნობა აფრჟოლებდა.

თვითმკვლელობა და სიკვდილის კულტი, როგორც გალაკტიონის, ისე ტიციანის ლირიკაში, ევროპული და რუსული პოეზიიდან მოდიოდა, რომანტიკოსებისა და მოდერნისტებისაგან. მაგრამ შორეული ქარის ქროლვა ძლიერ კვალს ვერ დატოვებდა, თუ გენეტიკურად და ბიოგრაფიულად უცხო იქნებოდა, თუ სული მზად არ აღმოჩნდებოდა ასეთი განცდების აღსაბეჭდად.

მათი ფსიქიკა და ხასიათი კი ჩამოყალიბდა ციებანი და ხაშმიანი ორპირის ფშანებში, რიონის პირას, სადაც, ტიციანის სიტყვით, მოდიოდა წარღვნილი წვიმები, ისმოდა ბაყაყების გაუთავებელი ორკესტრი, სოველი ჭინკების ზარი, სისხლს აყვითლებდა მალა-რია, ყანჩები იტაცებდნენ მკვდარ თევზებს, დამპალ ყავარზე ჩამოდიოდა წვიმა, რიონი ტბორავდა ეზოებს.

არა მხოლოდ ლექსებში, ტიციანი ესსეებშიც აღწერდა ორპირის აპოკალიფსურ სუ-

რათს:

„ადიდებულ მდინარეს თან მოჰქონდა დანგრეული სახლები, აკვნები, გარღვეული საფლავებიდან წამოღებული კუბოები“;
„ჩემს თვალწინ ციებისაგან იჟლიტებოდა მთელი სოფლები, წყევლა-კრულვით სტოვებდა ხალხი შეჩვეულ ადგილებს. ამ ამბის ხილვა მაგონებდა ფრანგი პოეტის ლოტრეამონის ლექსებს. გომბეშოს მონოლოგი „მალდარორის სიმღერებიდან“ ეს იგივე ორპირის ბაყაყების ყოველდღიური ორკესტრი, იგივე გადაგვარების სიმღერა იყო“.

ასე მოდიოდა **„ჭალების სული მცურავი“**, ასე სტიროდა ჭაობიანი კოლხეთი ათასეული წლების მანძილზე წინაპართა სულშიც.

ამ **„დაწყველილ კუთხეში“** ერთადღებოდა მათი **„მამების კუბოს ფიცარი“** და ორი **„მხრებში მოხრილი“** ქვრივი დედა აცხობდა საკურთხს...

1924 წელს გალაკტიონის მელანქოლიადებრესია და ტიციანის ხაშმიანი ორპირი დემნა შენგელაიამ სანავარდოს კომმარულ, დაცემის მითად აქცია, რომელსაც წარეცხავს აპოკალიფსური **„ნითელი უჟმური“**.

ორპირისა და წარღვნილი მდინარის საშინელი სურათები ჩარჩათ მეხსიერებაში, როგორც თრთოლვა და ჟრუანტელი. იგი იწვევდა სიკვდილის შიშს, ამასთანავე მისი დაძლევის გარდაუვალ განცდასა და სურვილს (გვარი ტაბიძე უკავშირდება წყალს, კერძოდ — ტბას (ტაბა — ტობა), ტბა კი — უძველეს ქართველურ ტომს თაბალს (შდრ. — ტიბარენი და ტობანიერი).

მელანქოლიური ტემპერამენტის გალაკტიონისათვის მას ერთვოდა ობლობა — მამის სახე, რომელიც არ უნახავს. ამიტომ გალაკტიონის ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკა ბავშვობიდანვე იყო ტრავმირებული, დატვირთული თანატოსის ლანდებით, რაც აღვიძებდა არქაულ შიშებს.

ტიციანის სანგვინიკური ტემპერამენტი კი სიცოცხლეს შეჰხაროდა, მაგრამ არაცნობიერი ფსიქიკის სიღრმიდან ჟონავდა შიში, გამოხმობილი ბავშვობის აპოკალიფსური სურათებით, რომლის ძლევა სიტყვას დრამატულ და პეროიკულ ჟღერას ანიჭებდა, რაც პოეტს ცხოვრებაში რომაელ პატრიციუსს, ხოლო პოეზიაში გლადიატორს ამგვანებდა.

ორივენი მუდმივად გრძნობდნენ, რომ ბუნებრივი, წყნარი, უსისხლო სიკვდილი არ ეწერათ, რაც უფრო მეტი დრამატიზმით და გულის მომკვლელი ლირიზმით მუხტავდა მათ სიტყვას.

ეს შიში და დრამატული მოლოდინი იყო ფსიქიკის სიღრმიდან ამოსული, მეხსიერებაში ნაშლილი ღმერთებისათვის კაცთმეწიროვის უძველესი სურათი, სამხვერპლო განცდა.



გალაკტიონ ტაბიძე

კოორკი
 ლორთქიფანიძე

**"...ბაქაჯიონის ნიბნი მთაძ
 საუჩანაბს ბაქასწონიძა"**

მე დავიბადე 1930 წელს, ქ. თბილისში, მწერლის, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, დიდი მწერლის კონსტანტინე ლორთქიფანიძის ოჯახში. ჩემმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ გაიარა ისეთი დიდებული პიროვნებების გარემოცვაში, როგორებიც იყვნენ გალაქტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, ილო მოსაშვილი, დემნა შენგელაია, მარიამ გარიყული, ნინო ნაკაშიძე, მარიკა ბარათაშვილი, ლეო ქიჩელი, ელიზბარ ზედგენიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ქუჩიშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ალექსანდრე ქუთათელი და მრავალი სხვა. ერთნი მამაჩემის უახლოესი მეგობრები იყვნენ, ხოლო მეორეთა შვილებთან მე თითონ მაკავშირებდა პირადი მეგობრობა.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი მწერლის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ მრავალი წერილი

და გამოკვლევა არის გამოქვეყნებული, რა თქმა უნდა სხვა და სხვა დონის და სხვა და სხვა ფორმატის, დაინერა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, გამოიცა მეტნაკლებად სქელტანიანი წიგნები, შეიქმნა ახალი სამეცნიერო დარგი „გალაქტიონოლოგია“. მე ამ ნაშრომების ავტორიანობის და სამართლიანობის გარჩევას არ ვაპირებ, რადგან აღნიშნული პიროვნებების უმრავლესობა ნამდვილად ღირსია ასეთი (თუ მეტი არა) აღიარებისა. მე უბრალოდ მინდა ქართველ საზოგადოებას შევთავაზო რამოდენიმე მოგონება ამ ადამიანებზე, მათი ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სურათები, დანახული სულ სხვა კუთხით, მეზობლის ბავშვის მიერ, თუ როგორები იყვნენ ისინი ოჯახში, მეზობლებში, ახალგაზრდებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში. ვინაიდან ამ მოგონებებში ერთერთი მთავარი მოქმედი პირი მე თვითონ ვარ, ამიტომ შეიძლება ხანდახან კალამი გამექცეს და ჩემი პირადული ამბები უფრო მეტად წარმოვარჩინო ვიდრე საჭიროა, რისთვისაც მკითხველებს წინასწარ ვთხოვ პატივებს.

გალაქტიონი

„ქვეყანაზე ისეთი სასწორი რომ იყოს, ჯამზე დაიტოს და ასწონოს, თუ რამდენი ნუგეში, იმედი, მხნეობა, სიხარული და ხანდახან სიხარულზე უფრო საჭირო — სულის გამწმენდი დარდი და ტკივილი მოუტანია კაცისათვის პოეტის სიტყვას, მაშინ გალაქტიონის წიგნი მთელ საუკუნეს გადასწონიდა“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

როგორც ზემოთ აღვნიშნე, დავიბადე 1930 წელს, მაშინ მამაჩემი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა არაგვის ქუჩაზე. სახლი ორსართულიანი იყო, კვადრატული, იტალიური ეზოთი. იმ დროინდელი მოგონებებიდან ორი რამე დამრჩა მეხსიერებაში: ეზოს შუაგულში მოწყობილი ქვის შადრევანი, რომელშიც წყალი არასოდეს მოდიოდა და სახლის მეორე სართულის გასწვრივ მდებარე ხის რიკულებიანი ფართო აივანი, რომელზედაც სამთვლიან ველოსიპედს დავაგეღვებდი და ერთხელ მოაჯირის რიკულებს ისე დავეჯახე, რომ დიდდა მთელი კვირა ცივ საფენებს მადებდა, შუბლზე ამოსული კოპების დასაცხრომად.

30-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფო ბანკმა, ოთხსართულიანი სახლი ააშენა მარჯანიშვილის ქუჩაზე, თურქეთის საკონსულოს გვერდით. საქართველოს მთავრობამ 12 ბინა მწერალთა კავშირს



გამოუყო უბინაო მწერლების დასაკმაყოფილებლად და სხვებთან ერთად, ამ სახლში, 1936 წელს ჩვენც მივიღეთ სამოთახიანი ბინა. ასევე სამოთახიანი ბინა გამოუყვეს გალაკტიონ ტაბიძეს და მას შემდეგ, თითქმის ოცი წელიწადი ჩვენ მეზობლები ვიყავით.

პირველად „გალაკტიონ ბაბუს“ (ასე ვეძახდი მე მას წლების მანძილზე, სანამ ცოტა არ წამოვიზარდე და „ბაბუ გალაკტიონი“ „ბიძია გალაკტიონით“ არ შეეცვალა) შევხვდი 1936 წლის გვიან შემოდგომაზე. ნანვიმარი დღე იყო, ჩემი დიდედა სახლის წინ, პატარა სკვერში მასეირნებდა. უეცრად ჩვენსკენ წამოვიდა, მაღალი, ქარმაგი, თმააბურძენული უცხო მამაკაცი, რომელსაც მუქი ფერის, კალთებზე ტალახის შხეფებიანი პალტო ეცვა. მე შემეშინდა, ტირილი დავიწყე და დიდედას ამოვეფარე. მამაკაცი მოტრიალდა და ოდნავი ბარბაცით სადარბაზოსკენ გაემართა. გავიდა რამოდენიმე დღე და ერთ საღამოს ის „საშიში“ მამაკაცი ჩვენთან მოვიდა სტუმრად და თან დიდი პარკით ტკბილეული მომიტანა, ძირითადად ნუგა და ე.წ. „პადუშკა“ კამფეტები. ახალი გაპარსული და დავარცხნილი იყო, ისე სუფთად და კოპნადა ეცვა, რომ მეც, პატარა ბავშვმაც აღვიქვი მისი არაამქვეყნიური ემზი და სილამაზე. კამფეტებთან ერთად კუბიკებიანი ანბანი მომიტანა, მაგრამ რატომღაც რუსული. ამ კუბიკებით დავიწყე რუსული ენის შესწავლა, ქართულის პარალელურად. ამიტომ, 1937 წელს, როდესაც სკოლაში შემიყვანეს, მე თითქმის თანაბრად ვფლობდი ქართულ და რუსულ ენებს. ამის შემდეგ, როდესაც კი შევხვდებოდი „ბაბუ გალაკტიონს“, ფხიზელი იყო ის თუ ნასვამი, სიხარულით გავრბოდი მისკენ, შემოვხვებოდი მუხლებზე და ისიც ალერსით რამოდენიმეჯერ გადამისვამდა ხელს თავზე და აუცილებლად მომანოდებდა რამე საცუცნავს. და აი დადგა 1937 წელი, გალაკტიონისათვის ყველაზე მძიმე პერიოდი, რადგან ამ წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს მისი საყვარელი მეუღლე ოლია ოკუჯავა. ჩემი ღრმა რწმენით ეს უბედურება მისთვის ყველაზე მძიმე და მწვავე უბედურება იყო. (მაშინ რა მესმოდა, მაგრამ შემდეგი წლების განმავლობაში ნიგნების საშუალებით, მშობლების ნაამბობით და საკუთარი ანალიზის შედეგად მივედი ამ დასკვნამდე). დებრესიას განიცდიდა, სმასმოუმატა (არა რაოდენობას, არამედ სიხშირეს). ისედაც მარტობას მიჩვეული სულ განმარტოვდა, აღარავის სტუმრობდა, თუმცა დიდი მეზობლობა-მეგობრობით არც მანამდე გამოირჩეოდა. ჩვენს სახლში 12 მწერალი ცხოვრობდა, მაგრამ მხოლოდ გიორგი ქუჩიშვილთან მეგობრობდა. სტუმრად ქუჩიშვილებთან და ძალზე იშვიათად — ჩვენთან დადიოდა. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ყდერდეს, ეს მისი პირადული ცხოვრებისათ-

ვის მძიმე წელიწადი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ფრიად დატვირთული იყო. ამ წელს გამოდის მისი თხზულებათა პირველი ტომი, ლექსების ცალკე კრებული, მოსკოვის გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელი“ აქვეყნებს რჩეულ ლექსებს, ირჩევენ პუშკინის საიუბილეო კომისიის და სხვადასხვა კომისიების წევრად, რის გამოც ხშირად უხდება მოსკოვში, საქართველოს, რუსეთის, უკრაინის და სხვა რესპუბლიკების ქალაქებში ჩასვლა და ხანგრძლივი ცხოვრება. ისე რომ იმ წელიწადს „ბაბუ გალაკტიონს“ არ შევხვდებოდი, მაგრამ ჩემთვის ამ დროს უქმად არ ჩაუვლია — დედანემი, სისტემატურად მიკითხავდა მის ლექსებს, შეძლებისდაგვარად მიხსნიდა მათ შინაარსს, სიდიადეს და იმდენად შემეყვარა გალაკტიონის პოეზია, რომ 7-8 წლის ბავშვმა უპირად ვისწავლე რამოდენიმე ლექსი, როგორც ქართულ ისე რუსულ ენებზე.

1936 წლის შემოდგომაზე, სახლის წინ მდებარე პატარა სკვერში, გალაკტიონმა, ილო მოსაშვილმა, მამაჩემმა და კიდეც რამოდენიმე მეზობელმა (ყველას ვინაობას ვერ ვიხსენებ), აკაციის, ფიჭვის და ვერცხლისფერი ნაძვის ხეები დარგეს. „ბაბუ გალაკტიონს“ ძალიან უყვარდა, ზაფხულის ცხელ დღეებში, ამ ხეების ძირში ჯდომა და თუ ცოტა ნასვამი იყო — მხართედობე წამოწოლაც კი. და აი, 1938 წლის პირველი ივნისის თბილი საღამოა. ეზოში ჩავდივარ სათამაშოდ და ვხედავ „ბაბუ“ ხის ძირში ჩამომჯდარა და ფიქრებს მისცემია. გამიხარდა, მივუახლოვდი და მივესალმე, არაფერი მიპასუხა. შორიახლოს დავდექი და გავეყჩვი, უცებ თითქოს რაღაცამ მიბიძგაო, დავიწყე „მერი“-ს კითხვა. ჯერ ირონიული ლიმილით შემომხედა, მერე თანდათან ირონია ცნობისმოყვარეობამ შეცვალა და როდესაც ლექსი დავასრულე, მთელი სერიოზულობით მთხოვა „აბა ერთხელ კიდეც“. ნამით შევყოვნდი და რუსულად წამოვიწყე „მე და ღამე“. მთელი ჩემი ბავშვური მონდომება, ცოდნა და თუ ოდნავ ნიჭი გამაჩნდა ამ ლექსის კითხვაში ჩავაქსოვე, როდესაც ბოლო ტაეპი დავიწყე, აღელვებული წამოვდგი. მე კი გატაცებით და მთელი ხმით დავამთავრე ჩემი საყვარელი სტრიქონები.

„Ночь знает о пути тернистом,
которым мне идти невмочь.
Теперь нас двое в мире мгlistом,
нас двое в мире: я и ночь.“

თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცბად მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ წავიდა. შევცბი, მენწყინა, მეტიც — გული მეტკინა, ეზოში აღარ დავრჩენილვარ — სახლში ავედი. არ გასულა ნახევარი საათი, რომ სადარბაზოს კარებზე დააკაკუნეს. დედამ კარები გააღო — შემოვიდა გალაკტიონი, მიესალმა ჩემს მშობლებს, ოთახში შესვლაზე

უარი განაცხადა და მამაჩემს ჩემი მოყვანა სთხოვა. როდესაც გამოვედი, გულში ჩამიკრა, ორივე ლოყაზე მაკოცა და საჩუქრად გადმომცა რჩეული ლექსების რუსული გამოცემა წარწერით „გოგის გალაკტიონისაგან“ 1.06.1938 წელი.

ამ დღიდან მოყოლებული „ბაბუ გალაკტიონი“ პერიოდულად მეძახდა თავისთან სახლში, მაკითხებდა ლექსებს და ყოველთვის ჩაით და ტკბილესულით მიმასპინძლდებოდა. მეც მოუთმენლად ველოდი ამ იშვიათ შეხვედრებს, სპეციალურად ვემზადებოდი მათთვის, ვსწავლობდი ახალ ლექსებს, როგორც ქართულად ისე რუსულად, რომ უფრო მეტი ქება დამემსახურებინა. ასე გაიარა სამმა ბედნიერმა წელიწადმა და ... დადგა 1941 წელი.

მე ომის საშინელებებზე, შიმშილზე, სიცივეზე, უშუქობაზე და სხვა გაჭირვებებზე არაფერს ვიტყვი — ამაზე ისედაც უკვე ბევრი იტყვა და დაინერა. გავიხსენებ მხოლოდ კიდევ ერთ ეპიზოდს „გალაკტიონ ბაბუს“ ცხოვრებიდან, შეიძლება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს და ღირსეულს, რომელიც საგვებით განსხვავებულად წარმოგვიჩენს გენიალურ პოეტს და რომლის შესახებაც ჯერ არავის, არსად, არაფერი დაუწერია.

1942 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირისათვის ყველაზე მძიმე წელი იყო, მთავრობამ, მეცნიერული და კულტურული ფონდის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად დაანესა ასეთი კატეგორიის პიროვნებებისათვის დამატებითი მომარაგება. გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, კულტურის სხვა მოღვაწეები მიმაგრებული იყვნენ დახურულ სასაბჭოებზე, სადაც მათ შეეძლოთ ყოველ დღე ესადილათ და მალაზიებზე, საიდანაც თვეში ერთხელ შეეძლოთ სხვა და სხვა სახის პროდუქტების მიღება. (მათი დასახლება და რაოდენობა უკვე აღარ მახსოვს) და თითქმის ყოველი თვის ბოლოს, ე.წ. „პაიოკი“-ს მიღების დღეს „ბაბუ გალაკტიონი“ ეზოს ბავშვებისათვის დღესასწაულს მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ მას ისევე უჭირდა, როგორც ძირითადად ყველა თბილისელს და თავისი ხასიათისა და მარტოსულობის გამო — შეიძლება უფრო მეტადაც, ამ დღეს შეკრება ეზოს ბავშვებს და მოტანილ სანოვაგეს უნანილებდა, დაჭრიდა ფუმფულა თეთრი პურის „ბუხანკას“ დიდ ნაჭრებად, ზოგზე შედედებულ რძეს, ზოგზე მანდარინის ჯემს წაუსვამდა, მიუწყობდა შაქრის 2-3 ნატეხს ან კამფეტებს და გვირიტებდა. იყო ერთი ჟრიაბული და უნდა გენახათ თვითონაც როგორ უხაროდა, თითქოს ახალი წიგნი გამოუცეს ან საიუბილეო საღამო გაუმართესო. და თუ გალაკტიონ ტაბიძეს რაიმე ცოდვა ჰქონდა ამ ქვეყანაზე, დარწმუნებული ვარ იმ ბავშვების გახარებისთვის (ჩემს თავსაც ვგულისხმობ) უფალი ყველაფერს შეუნდობდა.

ჩემი მოგონების დასასრულს კიდევ ერთ გარემოებას მინდა შევეხო. შეიძლება ეს მხოლოდ ვარაუდი იყოს, არავითარი მტკიცებულება მე არ მომეპოვება, მაგრამ მაინც მინდა ჩემი ეჭვები საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო. იმ პერიოდში მე ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ ეხლა დროის გადასახედიდან, როდესაც ჩვენი ურთიერთობის ზოგიერთ ნიუანსს ვაანალიზებ, რატომღაც მგონია, რომ „გალაკტიონ ბაბუ“ მე უფრო მეტ ყურადღებას მითმობდა, ვიდრე ეზოს სხვა ბავშვებს. ასევე განსაკუთრებულ სიბოძოს და მოკრძალებას გამოხატავდა დედაჩემის მიმართაც. ხანდახან, მართალია ძალიან იშვიათად, უყვარდა ზამთრის თოვლიან საღამოებით ჩვენთან ამოსვლა, მამასთან ერთად თითო ჭიქა ღვინის ან ჩაის დაღვევა, დედაჩემის სიმღერების თანხლებით. განსაკუთრებით უყვარდა მეგრული ნანას და ესენინის ლექსის „წერილი დედას“ სიტყვებზე შექმნილი რუსული რომანსის მოსმენა. და ეხლა ვფიქრობ, ხომ არ ასოცირდებოდა გალაკტიონის გონებაში მშვენიერი მერი შერვაშიძის პიროვნება, ასევე მომხიბვლელი ქალბატონის, მერი ნიჟარაძის პიროვნებასთან.

გავიდა წლები, ჩემი თაობა და მეც მასთან ერთად გავიზარდეთ, გაფართოვდა ჩვენი ინტერესების სფეროც: სპორტი, თეატრი, მუსიკა, პაემნებზე სიარული, გამოცდებისათვის მზადება, სტუდენტური საღამოები, საზოგადოებრივი საქმიანობა, დაოჯახება, შვილები... და „ბიძია გალაკტიონთან“ გატარებული საღამოები მივინწყებას მიეცა. თვითონაც შეწყვიტა ჩვენთან სტუმრობა და დედაჩემის სიმღერების მოსმენა. შემთხვევით თუ შევხვდებოდი ქუჩაში ან სადარბაზოსთან, (ისიც ძალიან იშვიათად) მოვიკითხავდი ერთმანეთს (როგორ ხარ ბიძიკო?) და დავშორდებოდი. ბოლოს 1956 წლის ზაფხულში ვნახე როდესაც ვუთხარი, რომ მეტალურგიული მქონდა დამთავრებული და სამუშაოდ აზერბაიჯანში მივდიოდი, გაკვირვებით მხრები აიჩეჩა და მხოლოდ ეს მითხრა: „ინჟინერი? მე კი მეგონა მსახიობი გამოხვიდოდი“. არ დამემშვიდობა ისე წავიდა.

გალაკტიონ ტაბიძის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი ტელეფონით შემატყობინა დედაჩემმა. რა თქმა უნდა, ძალიან განვიცადე მისი ასე ნაადრევი წასვლა, ნუგეშად ის რელიქვია დამრჩა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი ათეული ავტოგრაფიანი წიგნი უჩუქებიათ ჩემთვის მაგრამ „გალაკტიონ ბაბუს“ ნაჩუქარ წიგნზე უფრო ძვირფასი ჩემს ოჯახში არაფერი მოიძებნება. და არა მარტო ჩემს ოჯახში, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში არ არსებობს სხვა 8 წლის ბავშვი, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძემ თავის ავტოგრაფიანი წიგნი უსახსოვრა.

ესაა ნენ და
პი კახაიძე
ბატონი,
ესაა ნენ და
პი კახაიძე
ბატონი...
მეორესთვის
ესაა ნენ და
პი კახაიძე
ბატონი -
იუხუე ესაა
ნენ და
პი კახაიძე
ბატონი.



ისებ ნენდა

საქართველო
ქვეყნის

"ფანჯანი"

ბატონ იოსებ ნონეშვილთან ჩემი „ნაცნობობა“ სკოლის პერიოდში დაიწყო. ჩვენმა ქართული ენის მასწავლებელმა კლასში მოიტანა ი. ნონეშვილის მაშინ ძალზე გახმაურებული ლექსი „ზოია რუხაძე“ და მისი შესწავლა დაგვავალა. მგონი სადღესასწაულო კონცერტისათვის გვამზადებდა. ვინც კარგად და გამოთქმით ისწავლიდა, ამ ლექს ნაიკითხავდა.

მონდომებით შევუდექი საქმეს, რადგან ლექსები ძალიან მიყვარდა, და მისი ხმამაღლა და გამოთქმით კითხვა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

დათქმულ დღეს კლასის წინაშე წარვდექი. ლექსი, ჩანს ემოციურად წავიკითხე და გავიმარჯვე კიდევ.

მეორედ ბატონ იოსებს 1956 წლის მარტის ბობოქარ დღეებში „შევხვდი“. სკოლებში

სწავლა არ მიმდინარეობდა, ამიტომ ყოველ დღე სანაპიროს ბაღში, სტალინის ძეგლთან ვიკრიბებოდით, დაღამებამდე იქ ვტრიალებდით, ზოგი ლამითაც კი რჩებოდა. „გაფრინდი შავო მერცხალოს“ ვმღეროდით, მატარებლით გორამდე უბილეთოდ ვმგზავრობდით...

ერთხელ „საპატიო ყარაულში“ დგომისას ხალხში ჩოჩქოლი ატყდა: „იოსებ ნონეშვილი, იოსებ ნონეშვილი!“ მე ყური ვცქვიტე თუმცა „პოსტზე“ გაჭიმული ვიდექი, მაინც მოვახერხე ჩემი საყვარელი პოეტის დანახვა.

ბატონმა იოსებმა „მამავ ძვირფასო“ წაიკითხა. როგორც კი დაამთავრა, ტაშმა იგრილა. ბატონ იოსების კითხვის მანერა ვისაც ერთხელ უნახავს, არასოდეს დაავიწყდება; მთელი არსებით კითხულობდა ლექსს, გულსა და სულს შიგ ატანდა და ძალაუნებურად მისი განცდის თანაზიარი ხდებოდი.

მას შემდეგ ბევრმა წელმა ჩაიარა. ბევრი პოეტი პირადად გავიცანი, ლიტერატურულ სამყაროს უფრო დავუახლოვდი, ცოტ-ცოტას ვბეჭდავდი კიდევ, ლიტერატურულ საღამოებზე ლექსებს ვკითხულობდი. მრავალი ლიტერატურული წრე მოვიარე, სხვადასხვა ლიტერატურულ წრეებზე ვიკრიბებოდით: მე, ვაჟა ყუბუსიძე, ბელა შავლაშვილი, ლია ჭავჭავაძე, ტარიელ ხარხელაური, გიგა მახვილაძე და ბევრი სხვა.

უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, თბილისს ესტუმრა და ინსტიტუტში მოიყვანეს პოლონელი კლასიკოსი პოეტი, ტადეუშ რუჟევიჩი. რა თქმა უნდა, მისი მასპინძელი ბატონი იოსები გახლდათ. მას ყველა ქვეყანაში იცნობდნენ. შემდგომში, როცა მე ხშირად მიხდებოდა პოლონეთის მწერალთა კავშირის მიწვევით ვარშავაში და სხვა ქალაქებში ყოფნა, ბატონი იოსების სახელის ხსენება ყველას სიამოვნებას ჰგვრიდა.

ინსტიტუტში პოლონურ ენას ბატონი სტანისლავ რავიჩი გვასწავლიდა.

საპატიო სტუმრის წასვლის შემდეგ, ბატონ იოსებს დირექციაში უთხოვია, იქნებ ვინმემ თარგმნოს რუჟევიჩის რამდენიმე ლექსი, მომიტანოს დასაბეჭდადო.

ბატონმა რავიჩმა ლექსების თარგმნა მე დამავალა. გახარებული ვიყავი, რადგან საშუალება მეძლეოდა პირადად მენახა ბატონი იოსები, დავლაპარაკებოდი ჩემს საყვარელ პოეტს, თუმცა ლექსების თარგმნა ოდნავ მაშინებდა.

კაბინეტში ბატონმა იოსებმა ღიმილით მიმილო, ლექსები წაიკითხა, მომიწონა და მათ დაბეჭდვასაც დამპირდა.

მაღე ეს დაპირება ბატონმა იოსებმა შეასრულა. ჩემმა თარგმანმა ბევრის ყურადღება

მიიპყრო, გავთამამდი, მით უმეტეს, რომ მაშინ ქართულად რუჟევიჩს არავინ იცნობდა. მას შემდეგ მისი უამრავი ლექსი ვთარგმნე, რამდენიმე პიესაც, ხოლო პიესა „კარტოთეკა“ მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა.

ბატონი იოსები ახალგაზრდობას ძალიან ეხმარებოდა, ერთი სიტყვით, ჩვენი უფროსი მეგობარი იყო. ერთხელ ვკითხე: „ბატონო იოსებ, თქვენ ასე გვეხმარებით ახალგაზრდებს, ჩვენ რომ ამის „გადამხდელნი“ არ ვართ... მეთქი?.

ბატონმა იოსებმა მომიგო: „ჯემალ, მე გიორგი ლეონიძემ ეხმარებოდა, მე თქვენ გეხმარებით, თქვენ კი სხვებს დაეხმარებით“-ო.

არ მეგულება ჩემს თაობაში ადამიანი, ვისაც მისთვის მიუმართავს დახმარებისთვის და უარით გამოესტუმრებინოს.

ერთხელ, შუა ლექციიდან, ინსტიტუტის რექტორის თხოვნით გამოგვიყვანეს მე და ჩემი ინგლისური ენის ლექტორი, ქალბატონი ლულუ ფალავა. ქალბატონმა ლულუმ მეტად გაკვირვებულმა მკითხა: „ჯემალ, ხომ არ იცი, რაშია საქმე?“, — არა-მეთქი, ვუპასუხე თვითონაც გაოცებულმა.

ბატონი ირაკლი შენგელია ახალი დანიშნული იყო და მანამდე, არავითარი შეხება არ მქონდა მასთან...

რექტორმა შემომხედა... შემდეგ ქალბატონ ლულუს მიმართა: „გთხოვთ, ამ ყმანვილს ყურადღება მიაქციოთ, თუ საჭიროა დაეხმარეთ კიდეც, თუმცა, დახმარებაში დაუმსახურებლად ნიშნების წერა არ მიგულისხმია... ახლახან ბატონი იოსები იყო ჩემთან, ამ ახალგაზრდის შესახებ მელაპარაკა... ჩვენი კადრიაო, მითხრა“...

გაოცებულმა და თანაც ძალზე გახარებულმა დავტოვე რექტორის კაბინეტი. ისიც გაგონილი მქონდა, რომ ბატონი ირაკლი დიდად განათლებული პიროვნება და ძალზე პატივცემული ადამიანი გახლდათ. რაც შეეხება ქალბატონ ლულუ ფალავას მიმართ ის გაფრთხილება ზედმეტად მომეჩვენა, რად-

გან ქალბატონი ლულუ უაღრესად მცოდნე, განათლებული და დახვეწილი პიროვნება გახლავთ. მისი ხმამალალი სიტყვა არავის გაუგია, სტუდენტებს როგორც თანატოლებს, ისე გვეპყრობოდა, თუმცა ურთიერთობის ზღვარი არც ერთ მხარეს არ დაურღვევია. ერთი სიტყვით, ჩვენი საყვარელი პედაგოგი იყო. ერთხელ, რალაც გაუგებრობის გამო გაგვინაწყენდა, ჩვენც ძალიან შეწუხებულები ვიყავით.

დაძაბულობის გასანეიტრალებლად, ექსპრომტად ერთი სტროფი დავუნერე და მაგიდაზე დავუდე:

„ვაი ჯგუფო სანყალო,
დალდასმული რალა ვართ,
ალარც ღმერთი არ გვწყალობს,
ალარც ლულუ ფალავა“.

ასე „შემოვირიგეთ“ ქალბატონი ლულუ...

ბატონ იოსების ნახვა და მასთან დარეკვა ყველას შეგვეძლო, იგი ბარიერს არასდროს გვიქმნიდა, უხერხულ მდგომარეობაშიც არასდროს გვაყენებდა. დახმარებაზე ხომ, ლაპარაკიც ზედმეტია. ახლაც მაქვს შენახული მისი „რეკომენდაციები“. ისე მაქებდა (მარტო მე კი არა, ყველას), რომ წაკითხვისას ცოტა მრცხვენოდა კიდეც, რასაც, სხვის თვალში, ჩემი ავტორიტეტის ასამაღლებლად აკეთებდა.

ფალავანს მეძახდა, როცა დასახმარებლად მასთან მივდიოდი, მეტყოდა:

„... აბა, რა, შენ ჩემი ფალავანი ხარ! აუცილებლად დაგეხმარები“.

„ფალავნობის“ შესახებ კრინტს არავისთან ვძრავდი, ან როგორ უნდა მეთქვა, ბატონი იოსები ასეთი დიდი წარმოდგენის არის ჩემზე-მეთქი.

გავიდა ხანი. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ ბატონი იოსები, „შენ ჩემი ფალავანი ხარ“, — სხვა ახალგაზრდებსაც მიმართავდა, თუმცა ამას არავინ ამხელდა. ამ სანუკვარ სიტყვას ყველა გულში სათუთად ინახავდა.

მედეა ჩახავა



მანანა გუგუჩაშვილი

სვილით დაყოლი მსახიობი

ასე უნოდა მას გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა, მიხეილ თუმანიშვილმა, რომლის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული მედეა ჩახავას აქტიორული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიღწევები. დღეს იგი ღვანლმოსილი მსახიობია, ქართული სცენის უნიჭიერესი ოსტატი, რომლის შემოქმედებაც, აგერ უკვე 64 წელია რუსთაველის თეატრთანაა დაკავშირებული. ეს კავშირი მჭიდრო და განუყოფელია. სრულიად წარმოუდგენელია ამ თეატრის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდი — გასული საუკუნის 50-80-იანი წლები — მედეა ჩახავას აქტიორული შემოქმედების გარეშე.

შესანიშნავი მსახიობი, თეატრისა და კინოს პოპულარული არტისტი, მაყურებლისთვის საყვარელი და პატივსაცემი ქალბატონი

ვარდობის თვეში დაიბადა. მისი შემოქმედების დიდი ნაწილი მართლაც ია-ვარდით იყო მოფენილი, საინტერესო როლებითა და წარმატებებით აღსავსე. თუმცა არც „ეკალბარდი“, ტკივილი და იმედგაცრუება აკლდა. უკანასკნელი 15 წელი — პენსიონერია. ამ ხნის მანძილზე, მისმა მშობლიურმა, რუსთაველის თეატრმა მხოლოდ ერთხელ მიიწვია რეზო კლდიაშვილის „შორაპნელ ქალბატონებში“ (რეჟისორი მედეა კუჭუხიძე) სათამაშოდ. არა და, მედეა ჩახავამ სულ ახლახანს დაამტკიცა, რომ მისი ასაკის მსახიობისათვის არაჩვეულებრივ შემოქმედებით ფორმაშია. მან შესანიშნავად განასახიერა მოხუცი ქალბატონი სამეფო უზნის თეატრის სპექტაკლში „აქ, ამ სავანეში“. თავის პარტნიორ თამარ სხირტლაძესთან ერთად საქართველოს სახელმწიფო და თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრემიები დაიმსახურა. ივნისის დასაწყისში რუსთაველის თეატრის წინ მედეა ჩახავას ვარსკვლავი იხსნება.

... მონაფეოზისას ბალეტით იყო გატაცებული. ვახტანგ ჭაბუკიანის სტუდიაშიც ჩაირიცხა, თუმცა იქ სწავლა არ გაუგრძელებია. შემდეგ უნივერსიტეტში ჩააბარა უცხო ენების ფაკულტეტზე. ერეკლე ტატიშვილის ხელმძღვანელობით ინგლისურს ეუფლებოდა. პედაგოგებში თავიდანვე გაუმართლა. I კურსი რომ დაასრულა, თბილისში თეატრალური ინსტიტუტი გაიხსნა. მედეა ჩახავამ მსახიობობა გადაწყვიტა, მაგრამ მისაღები გამოცდები დამთავრებული იყო. მამამისის, ცნობილი ექიმის, ვასო ჩახავას მეგობარმა, ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა, აკაკი ხორავამ მიმღები კომისია ხელახლა შეკრიბა. გამოცდაზე, რატომღაც იროდიონ ევდოშვილის ლექსი „განკიცხული“ წაიკითხა. უცნაური არჩევანია ახალგაზრდა, მომხიბვლელი გოგონასათვის. მეძვე ქალზე დაწერილი ლექსი თითქოს სრულიად არ შეესაბამებოდა პატარა, ნაწნავებიანი ქალიშვილის ბუნებას. იქნებ ამ არჩევანმა თავიდანვე ნათელი გახადა, რომ მედეა ჩახავას გარდასახვის, მისგან განსხვავებული ადამიანის განსახიერების სურვილი აქვს? ლექსის კითხვა ძალიან ჩუმად დაიწყო, ძლივს ამოიჩურჩულა პირველი სიტყვები, შემდეგ გაჩუმდა. კვლავ სცადა გაგრძელება, მით უმეტეს, რომ მისდამი კეთილად განწყობილი კომისიის წევრები ეხმარებოდნენ, ამხნევებდნენ. მაგრამ — ამოდ. ლექსის კითხვა ვერ დაასრულა. იდგა ასე გაფითრებული, დარცხვენილი და თვალცრემლიანი. გადაწყვიტა, რომ სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა თავის დიდ ოცნებას. არადა, რამდენი იბრძოლა იმისათვის, რომ ოჯახის წევრებისგან თეატრალურ ინსტიტუტში

შესვლის ნებართვა აეღო. მაგრამ, როგორც ჩანს, კომისიის წევრებმა დაინახეს, რაოდენ სათნო, მომხიბვლელი, უშუალო და ემოციური ადამიანი იდგა მათ წინაშე. ასე მიიღეს მედეა ჩახავა თეატრალურ ინსტიტუტში.

შესანიშნავი გარეგნული მონაცემებითა და მრავალმხრივი სამსახიობო ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტს იმ დროს ინსტიტუტში მოღვაწე პედაგოგთა ბრწყინვალე „თანავარსკვლავედი“ ასწავლიდა: მეტყველებას — მალიკო მრეველიშვილი, ქართულ ლიტერატურას — გრიგოლ კიკნაძე, თეატრის ისტორიას — დიმიტრი ჯანელიძე, ფსიქოლოგიას — რევაზ ნათაძე, რუსულ ლიტერატურას — რუსუდან მიქელაძე, სახვითი ხელოვნების ისტორიას — ვახტანგ ბერიძე, მსახიობის ოსტატობას კი — მაშინ სრულიად ახალგაზრდა, უნიჭიერესი რეჟისორი და პედაგოგი, შემდგომ კი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი თეატრალური მოღვაწე — გიორგი ტოვსტონოგოვი. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა მრავალი წელი და გ.ტოვსტონოგოვის გარდაცვალების შემდეგ, მისი სახელობის სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი მედეა ჩახავას შვილი, თემურ ჩხეიძე გახდებოდა!

მაგრამ მოდით, წარსულს დავუბრუნდეთ. 1943 წლის 17 მაისს თეატრალურ ინსტიტუტს ესტუმრნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის დიდი მსახიობები — ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. კაჩალოვი, ი. მოსკვინი, ო. კნიპერ-ჩეხოვა და სხვები. ა.ბრუშტინის „ცისფერსა და ვარდისფერში“ მედეა ჩახავას ბლიუმა შაპიროს ნახვის შემდეგ ვ. კაჩალოვმა თქვა: „ეს გოგონა პირდაპირ სასწაულია! გაუფრთხილდით მას!“ ამ დღიდან, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, მედეა ჩახავას აქტიური სამსახიობო შემოქმედება ქართული თეატრალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

მისი დებიუტი პროფესიულ სცენაზე ბიჭის როლით შედგა რუსთაველის თეატრის სპექტაკლში კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით“. მაგრამ მედეა ჩახავას სამსახიობო ინდივიდუალობა, ყველაზე მკვეთრად 1947 წელს გამოვლინდა ჯენევა ლენგდონის როლში ჯ. გოუს და ა. დიუსოს პიესაში „ღრმა ფესვები“, რომელიც რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ დადგა. აქ გამოვლინდა არტისტის უნარი, არა მარტო ძლიერი და მართალი სცენური განცდით დაატყვევოს მაყურებელი, არამედ — გულწრფელად უყვარდეს. იგულისხმება არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარული, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენა და მის საფუძველზე აღმოცენებული სიცოცხლის ტრფიალი — მისი ლიდა პლახას

(იულიუს ფუჩიკი „ადამიანებო, იყავით ფხიზ-ლაღ!“ რეჟისორი მ. თუმანიშვილი) ცხოვრებისეული მრწამსი, არამედ მამაკაცის სიყვარული, რომელსაც თავგანწირვამდე მიჰყავს ქალი. ასე უყვარდა ლიდა მატისოვას (პაველ კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“ რეჟისორი მ. თუმანიშვილი). ტრაგიკული ბედის მქონე ამ სცენური გმირის ხორცშესხმის პროცესი ერთ თავისებურ, შეიძლება ითქვას, კურიოზულ ამბავს უკავშირდება. მედეა ჩახავა იხსენებს: „ჩემი ლიდა მატისოვა, ქორნილის წინა დღეს თავის ყოფილ შეყვარებულს, უკვე ცოლიან პეტრი პეტრუსს ხვდებოდა და მასთან ატარებდა ღამეს იმიტომ, რომ უყვარდა. ამის გამო გაკიცხა იგი საზოგადოებამ. მ. თუმანიშვილმა მითხრა: „თუ გინდა ეს ეპიზოდი მთელი სიღრმით ითამაშო, წუმპეში უნდა ჩაწე და იგრძნო, რას განიცდის ადამიანი, როცა შეურაცხყოფილია, როცა ჭუჭყითაა განუნული. წვიმიანი დღე იყო. ღამით მართლა ჩავნექი ეზოს გუბეში. მიშა თურმე თავისი ფანჯრიდან მითვალთვალებდა (მაშინ მ. თუ-



მანიშვილი და მედეა ჩახავა მეზობლები იყვნენ). ვერ წარმოიდგენთ, როგორ დამეხმარა ეს არა მარტო განწყობილების შექმნაში, არამედ ფიზიკური მოქმედების მიგნებაშიც. ამ ეპიზოდში სცენაზე მართლაც მხრებში თავჩარგული ვიდექი, თითქოს ტალახიანი წყალი ტანზე წურწურით ჩამომდიოდა“. რამდენადაც ცნობილია, დიდი წარმატებით დაგვირგვინებული ამგვარი „შემოქმედებითი ექსპერიმენტი“ მედეა ჩახავას ბიოგრაფიაში აღარ

განმეორებულა.

სინაზით, ლირიზმით, ქალური მომხიბვლელობით გამორჩეულმა მსახიობმა შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე გადანყვიტა, ამპლუას ჩარჩოებით არ შემოფარგლულიყო და განსხვავებული ხასიათის პერსონაჟები განესახიერებინა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში. უფრო სწორად, რეჟისორებმა შენიშნეს მასში ეს მრავალფეროვნება, მკვეთრი გარდასახვისკენ სწრაფვა და აქტიორული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება მისცეს. ამაშიც ბედმა გაუღლიდა. მის რეპერტუარში სიცოცხლის მოყ-



ლიდა ფლახა

ვარულ, რომანტიკული სიყვარულისთვის დაბადებულ ამარანტას (ჯონ ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“, რეჟისორი მ. თუმანიშვილი) გვერდით გაჩნდნენ მკვეთრად სახასიათო, კომიკურ-ვოდევილური გმირები: ფაშფაშა სომეხი ფეფელა (გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“, რეჟისორი დ. ალექსიძე) — ჭყეტელა სტაფილოსფერ, უგემოვნოდ შეკერილ კაბაში გადაბმული შავი წარბები და დიდი შავი ხალი „უმშვენებდა“ სახეს, თუმცა მაინც თავისებურად მომხიბლავი იყო. ხელებზე ბეჭდები და სამაჯურები ჰქონდა აჩონჩხილი, ყველანაირად გვაჩვენებდა თავის სიმდიდრეს. ფარშევანგივით დაგოგმანებდა სცენაზე, გაბრაზებული — კატასავით დაიჩხავლებდა, მაგრამ თუ უნდოდა მოხუცი ქმრისთვის რაღაც დაეტყუებინა, მთელ თავის ქალურობასა და ეშხს ამ საქმეს უყენებდა სამსახურად, ცეკვა-სიმღერით, ყალბი ხვევნა-აღერსით

აჯადოებდა მეუღლეს, თან — ახალგაზრდა მოსამსახურე სამსონს ეკეკლუცებოდა. ალბათ, გახსოვთ მედეა ჩახავასა და ე. მანჯგალაძის არაჩვეულებრივი აქტიორული დუეტი ამ სპექტაკლიდან ისევე, როგორც მსახიობის კოლორიტული პერსონაჟი — ქურთი სარე — ფილმიდან „მანანა“. მედეა ჩახავამ იგი ჯერ რუსთაველის თეატრის სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლია“ (რეჟისორი გურამ პატარაია) ითამაშა. დრამატურგმა კიტაბუაჩიძემ ეს როლი საგანგებოდ ქალბატონ მადეასთვის დანერგა — ტიპიური თბილისელი ქურთი მეეზოვე, მკვეთრად სახასიათო სცენური სახე, ყველასათვის ნაცნობი, ტიპიური თვისებებით, მეტყველებითა და შესტიკულაციით. სათნო და მოსიყვარულე იყო გვადისთან ტკბილად, მოფერებით მოუბარი მარიამი (ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, რეჟისორი მ. თუმანიშვილი). მის საუბარში ქალური სინაზეც იგრძნობოდა, შებრალებაც, თანადგომის სურვილიც და კიდევ ბევრი სხვა რამ. ლ. ქიაჩელი წერს: „მარიამს ტკბილი ბგერებით სავსე, სანდო და მოალერსე ხმა აქვს“. ასეთივე ხმა აქვს მედეა ჩახავასაც. მისი მეტყველება ინტონაციურად საოცრად მრავალფეროვანია. რად ღირს თუნდაც მელას (გიგა ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, რეჟისორი მ. თუმანიშვილი) ეშმაკურად შემპარავი საუბრის მანერა. ქართული თეატრის ისტორიაში ძნელად მოიძებნება ისეთი სპექტაკლი, სადაც ამდენი უბრწყინვალესი სახე შექმნილიყოს — რამაზ ჩხიკვაძის ქოსა-მრჩეველი, სერგო ზაქარიაძის დევი, კარლო საკანდელიძის ჭინჭრაქა, ბელა მირიანაშვილის მზია და ცხოველთა შეუდარებელი ოთხეული: დათვი (ეროსი მანჯგალაძე), მგელი (გოგი გეგეჭკორი), ტურა (ზინა კვერენჩხილაძე) და მელა (მედეა ჩახავა). მსახიობმა, პარტნიორებთან ერთად, სცენაზე ცხოველის განსახიერების რთული პრობლემა გადაჭრა. იგი თამაშობდა მოწითალო კაბაში გამოწყობილ ქალს, მელიის კუდით მორთული საყულოთი, მსხვილი ყელსაბამითა და საყურეებით. ცბიერ, გაიძვერა, მოხერხებულ, ჭორიკანა, ამავე დროს — კეკლუც ქალბატონს, რომელიც მელას მოგვაგონებდა, ამ ცხოველის ასოციაციას ბადებდა ჩვენს წარმოსახვაში. მართლაც, ზოგი ადამიანი კატას ჰგავს, ზოგი — ქათამს, ზოგი — სპილოს. მედეა ჩახავას პერსონაჟი კი მელას ჰგავდა, მელასავით ქალი იყო. თეატრალური ტერმინოლოგიით ეს როლის მარცვალია. მას სწორად „ჩაავლო“ მედეა ჩახავამ და იქიდან არაჩვეულებრივად საინტერესო სცენური სახე „ამოზარდა“.

რეჟისორ თემურ ჩხეიძის დედა შვილისგან როლებით მაინცდამაინც განებივრებული არ იყო. თუმცა პირველი, ე.წ. „ასაკოვა-

ნი“ როლი სწორედ მისგან მიიღო — მოხუცი მარია ხოსეფა ფედერიკო გარსია ლორკას პიესაში „ბერნარდა ალბას სახლი“. თითქოს თოჯინას წააგავდა. თოჯინითაც დადიოდა. ჭკუიდან შეშლილი გაიძახოდა, ეს ჩემი შვილიაო. გიჟი მარია ხოსეფა ერთადერთი თავისუფალი ადამიანი იყო ბერნარდა ალბას ციხე-სახლში. მხოლოდ იგი ამბობდა სიმართლეს, რომელიც ფსიქიურად დაავადებული ადამიანის ბოძვად კი არა, შინაგანად თავისუფალი ქალის მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებად აღიქმებოდა.

რადგან დედა-შვილის შემოქმედებით ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, ერთი სასაცილო ამბავი მინდა გავიხსენო, თუმცა მაშინ მის მონაწილეებს ამაზე სრულიად არ ეცინებოდათ. თ ჩხეიძე რუსთაველის თეატრში მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთს“ დგამდა. სპექტაკლში ქეთევან ახატნელს სამი შემსრულებელი ჰყავდა — მარინა ჯანაშია, თათული დოლიძე და მედეა ჩახავა. რეპეტიციების დროს ქალბატონი მედეა ავად გახდა, თეატრში ვერ დადიოდა, მაგრამ სახლში მუშაობდა. შემდეგ მივიდა გენერალურ რეპეტიციაზე, რომელსაც რობერტ სტურუა ესწრებოდა. რეპეტიციის შემდეგ რეჟისორები დიდხანს ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. ქალბატონმა მედეამ იგრძნო, რომ რაღაც არ მოეწონათ და შვილს შესთავაზა, მისი როლი საერთოდ ამოეღო სპექტაკლიდან. უარი მიიღო. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. საღამოს კი რეჟისორმა შეატყობინა, რომ მისი როლი სპექტაკლიდან ამოღებულია. მართალია, თავდაპირველად ეს წინადადება თვითონ მსახიობმა შესთავაზა, მაგრამ ფაქტის წინაშე რომ დადგა, თემურ ჩხეიძის საქციელი მისი როლიდან მოხსნად ჩათვალა და ძალიან განიცადა. დედა-შვილის კონფლიქტი მცირე ხანში მოგვარდა, მსახიობმა რუსლან მიქაბერიძემ კი ამ ამბავს შესანიშნავი ფუნაგორია უძღვნა:

თემურ ჩხეიძეს!

სწორია, ჯანაშიასთან
მედიკო ჩანდა მომსხვილო,
რა პრინციპული ყოფილხარ,
როლიდან დედამოხსნილო!

მრავალმა პოეტმა უძღვნა მედეა ჩახავას სიყვარულით, აღფრთოვანებითა და მოწინებით აღსავსე ლექსები, შემოქმედებითი ცხოვრების მეორე ნახევარში კი იგი რ. მიქაბერიძის „ფუნაგორიულ“ მუზადაც იქცა.

მედეა ჩახავას ზაბლონას (ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ რეჟისორი რობერტ სტურუა) შემხედვარე, უმაღ

გახსენდება დიდი რუსი რეჟისორის, კონსტანტინე სტანისლავსკის უკვდავი გამოთქმა: „ არ არსებობს დიდი და პატარა როლი, არსებობს დიდი და პატარა მსახიობი!“ სიცივისაგან შალში გახვეული, კალოშებზე წინდებნამოცმული (ალბათ იმიტომ, რომ ყინულზე ფეხი არ დაუსხლტეს), გათოშულ-აკანკალებული, გურიის ომისდროინდელი სკოლის რუსულის მასწავლებელი, მძიმე, მარტოხელა, გაუხარელი ქალური ცხოვრებით დაღლილი, თავმოებზრებული, ყველაფრისადმი ინდიფერენტული ზაბლონა, ძალიან სასაცილოდ რომ ცდილობს „დიქტანტის“ პროცესში მიანიშნოს მოსწავლეებს, სად დაიწყო წერა



დიდი ასოთი, სად წერტილია, სად მძიმე და ა.შ. ამ სპექტაკლის ხსენებისას, ყველას, პირველ რიგში, მედეა ჩახავას ზაბლონა მასწავლებელი ახსენდება.

გასულ წელს, ხანგრძლივი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ, ქართული სცენის ოსტატის, მედეა ჩახავას აქტიორული ტალანტი სრულიად ახალი კუთხით გამოვლინდა სამეფო უზნის თეატრის სპექტაკლში „აქ, ამ სავანეში“. წარმოდგენა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის

უმადლესი სარეჟისორო კურსის ასპირანტების (ხელმძღვანელი თემურ ჩხეიძე) ოთხი ერთობიანად მიმდინარეობდა. მედია ჩახავა და თამარ სხირტლაძე რეჟისორ მამუკა ტყემალაძის მიერ დადგმულ თამარ ბართაიას პიესა „სარკეში“ თამაშობენ. ორი მოხუცი ქალი სახლიდან იპარება. დაღლილები პარკში სკამზე ჩამოსხდებიან იმ იმედით, რომ შვილები მალე შეამჩნევენ მათ გაუჩინარებას და ძებნას დაუწყებენ. მაგრამ — ამაოდ. ორი შესანიშნავი მსახიობი, არაჩვეულებრივი ოსტატობით თამაშობს ტრაგიკომიკურის სახიფათო ზღვარზე. ბუნებრივად, საოცარი ფსიქოლოგიური სიზუსტით წარმოაჩენენ თავიანთ სცენურ გმირთა შინაგან მდგომარეობას. თან გეცოდება სიბერისგან გამოჩურჩულებული მოხუცები, რომლებიც არავის სჭირდება და რომელთა გაუჩინარება არავის ადარდებს, მათ არავინ ეძებს. თან, ყოველივე ეს კომიკურიცაა. ასაკობრივი „თავისებურებანი“, რომლებმაც, რბილად რომ ვთქვათ, დიდი დალი დაასვა მათ ფსიქიკას, უფრო მკვეთრი გამოთქმა რომ ვიხმა-

აქვთ — მარტოობა. მათი ბედი არავის აღელვებს, ოჯახის წევრებსაც კი. სამწუხაროდ, ეს ბევრი მოხუცის ტრაგედიაა, ოღონდ არა მედია ჩახავასი. იგი 3 შვილის — თემურის, მაკას და ივიკოს — დედა, 7 შვილიშვილის ბებია და 7 შვილთაშვილის დიდი ბებიაა. ერთხელ, რუსთაველის თეატრის მაშინდელი დირექტორის მოადგილე, ბატონი ნოდარ მარგველაშვილი მედია ჩახავას ეძებდა. დარეკა ივიკოსთან, მან უთხრა, დედა ჩემთან არ არის, მაკასთან მოიკითხეთო. დარეკა მაკასთან, ქალბატონი მედია არც იქ აღმოჩნდა. მაკამ ურჩია, თემურთან დარეკეთ, იქ უნდა იყოსო. თემურმა კი უთხრა, ჩემგან ახლახან გავიდა, მგონი მაკასთან უნდა წასულიყო. იმედგაცრუებულმა ნოდარ მარგველაშვილმა წამოიძახა: „რავა მეფე ღირვით დაიარება ეს მედიკო!“ შესაძლოა შექსპირის რომელიმე გმირის პრობლემები კიდევ აღელვებდეს მედია ჩახავას, ოღონდ არა მეფე ღირისა. იგი ხომ მოსიყვარულე, სტუმართმოყვარე ოჯახის დიდი ქალბატონი და ქართული თეატრის გამორჩეული მსახიობია. მისი შემოქმედებისადმი მოკრძალებით მიძღვნილი ეს წერილი იმ ადამიანის სიტყვებით მინდა დავასრულო, რომელთანაც დაკავშირებულია მედია ჩახავას შემოქმედების საუკეთესო ხანა.

„გავიდა მრავალი წელი და მედია ჩახავას სახელი ჩემთვის იქცა თეატრალური სიყმანვილის ძვირფას, საყვარელ მოგონებად. ბევრი რამ, რასაც რუსთაველის თეატრში ვაკეთებდი, უშუალოდ დაკავშირებული იყო მედიას სახელთან. ჩვენ თანამოაზრენი, მეგობრები ვიყავით, ჩვენ ვიყავით თანაავტორები ბევრი დაუვინყარი (რალა თქმა უნდა, ჩვენთვის) ნამუშევრისა. ერთად მუშაობა გვეადვილებოდა და დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა.

მედია ჩახავა ცვილივით დამყოლი და ელასტიური, აღსავსე ღირიზმით, იუმორითა და უსაზღვრო ქალურობით, ხორცს ასხამდა ჩანაფიქრს. ძალიან მიყვარს მედიკო, როგორც მსახიობი, და შესაძლოა, სუბიექტური ვარ, მაგრამ მგონია, რომ ბევრი რამ, რაც მან სცენისთვის გამოძერწა, იყო ნამდვილი ხელოვნება.


მრავალი რეპეტიცია, საუბარი, კამათი, წყენა განუყრელად ახლდა ჩვენს შემოქმედებით პროცესს. ბევრი საინტერესო და ბედნიერი წუთი მაგონდება, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებად შემომჩნა, მაგრამ ეს იყო ლამაზი, მშვენიერი დრო ნამდვილი ტალანტის გაფურჩქვნისა. მისი ქალურობა აჯადოებდა მაყურებელს, აიძულებდა აღფრთოვანებულიყო და განეცადა.

ეს დიდი ნიჭია — უმღერო სიყვარულს!“ (მიხეილ თუმანიშვილი).



სარე

როთ — გაქანებული სკლეროზი, სასაცილო სიტუაციების აღმოცენების საფუძველი ხდება. თამარ სხირტლაძის აქტიური, შემტევი, ენერგიული პერსონაჟი და მედია ჩახავას ფლეგმატური, ღირიკული გმირი — ორი განსხვავებული ხასიათია, პრობლემა კი საერთო



ირაკლი ფარჯიანი

ქეთევან

წინწყურაძვილი

აბსტრაქცია - დაშლილი სამყაროს აწყობის სდა

ირაკლი ფარჯიანის მხატვრობა, მთელი მისი არსით, ფილოსოფიით პოსტმოდერნისტული ხანის ნაყოფია. ის 1991 წელს გარდაიცვალა სულ 41 წლისა. მისი შემოქმედება მთელი ძალით 1970-80-იან წლებში გაიშალა და სწორედ ამ პერიოდის ეპოქალური მახასიათებლების გამომხატველია. სიცოცხლის ბოლო წლებში მან შექმნა აბსტრაქტული კომპოზიციები, რომლებშიც აირეკლა მხატვარში სიკვდილის მოახლოებით აშლილი ფიქრები და სამყაროს სიღრმისეული განცდით, უმთავრეს კითხვებზე პასუხის დაჟინებული ძიებით გახსნილი გზები. ეს კომპოზიციები ძალიან ღრმად, მრავლისმთქმელ ნიშანთა შემცველი.

აბსტრაქცია ფარჯიანის შემოქმედებაში

ისევე ორგანულად აღმოცენდა, როგორც ყველაფერი დანარჩენი. ის არასოდეს აკეთებდა რაიმეს ნაძალადევადად ან ფუჭი ინტერესით. მის შემოქმედებაში ყოველი ხერხი მხატვრულ ძიებას მოყვება, რომელიც მუდამ ფიქრის შედეგია, ფიქრთან და განსჯასთან ერთად პოვნებს განვითარებას. თანაც ეს განსჯა ფარჯიანთან ჩუმია, დიალოგი მიმდინარეობს საკუთარ თავთან, მისტიურში ინდივიდუალურად წვდომის პროცესში, გარეგნული ხმაურის გარეშე. ის მისდევს ფიქრს, ეძიებს და იღებს მხატვრულ შედეგს, რომელიც, სწორედ ღრმა ფიქრის გამო, არასოდეს არის ზედაპირული ან ერთნიშნა. და თუ მაინც ვცდილობთ განვმარტოთ ზოგიერთი ნიშანი, არა მისი შინაარსის გასამარტივებლად, არამედ სწორედ სირთულის, პოსტმოდერნისტული აზროვნების გამოსავლენად. ნიშანი თავისთავად ბადებს სემანტიკური კვლევის მოთხოვნილებას.

“სწორად“ არის თუ არა ამოხსნილი ესა თუ ის ნიშანი, სამწუხაროდ, ამას ახლა ველარავინ გვეტყვის. მაგრამ პოსტმოდერნისტული ნაწარმოები, როგორც თავად არ ექვემდებარება დადგენილ წესებს, ასევე დასაშვებს ხდის მის თავისუფალ ინტერპრეტაციას. მითი შეიძლება მრავალგვარად განვმარტოთ. მთავარია მივსდით გარკვეულ ლოგიკას და ქაოტურობისგან ვიყოთ დაზღვეული.

აბსტრაქტული ნამუშევარი უმთავრესად განიხილება როგორც ფორმალისტური, ფორმის თვალსაზრისით ჩანვდომის ღირსი. არადა მთელი მისი ისტორია გვიჩვენებს, რომ აბსტრაქცია ხელოვნებაში - ეს დიდი ფილოსოფიაა და მას, უპირველეს ყოვლისა, აზრი ქმნის. სხვაგვარად მხატვრული შედეგი არ მიიღება. დიდი აბსტრაქციონისტები დიდი ფილოსოფოსები არიან. ირაკლი ფარჯიანიც ფილოსოფოსი მხატვარია და აბსტრაქციასთან ფილოსოფიურმა განსჯამ მიიყვანა. მრავალფენიანობა, მრავალშრიანობა ირაკლის ნამუშევრების ერთ-ერთი ღირსებაა. ეს შრეები სწორედ აზრის სიღრმიდან აღმოცენდება. ირაკლი აფიქსირებს ფიქრით განვლილ გზას, რომელიც მრავალნახანაგოვანია, არ არის ერთნიშნა და, შესაბამისად, ფენებში, ხაზებში, ნიშნებში, მონასმებში ფიქსირდება.

ხელოვნების ნიმუში მუდამ თავად გვეკარნახობს კვლევის გზას. ის თავად აღძრავს გარკვეულ პრობლემას და თავად მიმართავს ჩვენს ყურადღებას იმაზე, რაც ყველაზე არსებითია მასში. ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ სტრუქტურალისტური მოდელები არ იყო ჩემთვის ამოსავალი წერტილი ფარჯი-

ანის აბსტრაქციებთან მიმართებაში. ფარჯიანის ნამუშევრებმა თავად მოიხრგეს კვლევის ამგვარი გზა და საშუალებები, რადგან თავად არიან იგივე კონტექსტის შემცველნი. ეს არის სწორედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. როდესაც ირაკლი ფარჯიანისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში (პროგრამა „არტ - ექსპრესი“, საქართველოს ტელევიზიის 1 არხი, 2000) შევნიშნე, რომ ირაკლი ფარჯიანი მსოფლიო მასშტაბით ქმნის ახალ ხარისხს აბსტრაქტულ მხატვრობაში, მაშინ მხოლოდ ნაწილობრივ მქონდა გაცნობიერებული, თუ რას ვგულისხმობდი ამაში. მხატვრული ნაწარმოები ჯერ მთავარს დაგვანახებს, შემდეგ კი თავად გკარნახობს მისი კვლევის გზას და შესაბამის ენასაც კი. ამ შემთხვევაში მე მივმართავ დეკონსტრუქციის — პარადოქსული ნაკითხვის მეთოდს, რომლის მიხედვით თითქმის ყველაფერი შესაძლებელია ნავიკითხვით ტექსტის მსგავსად.

ირაკლი ფარჯიანის სურათების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება დავახასიათოთ როგორც სამყაროს პოსტმოდერნისტული ანარეკლები, თანამედროვე მითები, მით უმეტეს, რომ პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიაში სიკვდილის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (შეიძლება გავიხსენოთ სიკვდილის ნიჭი დერიდასთან).

1957 წელს, ნაშრომში — „მითი დღეს“ როლანდ ბართი წერდა, რომ მითი, როგორც მესიჯი, კომუნიკაციის სისტემა, საზოგადოებისათვის მისაღები ნებისმიერი ფორმით შეიძლება იყოს მონოდებული. ფოტოგრაფია, კინო, რეპორტაჟი, სპორტი, შოუ, პუბლიკაცია, — ყველაფერი შეიძლება ემსახუროს მითურ საუბარს, რადგან ნებისმიერი მასალა შეიძლება შევავსოთ აზრით (Art in Theory, ed. Ch. Harrison, P. Wood; Blackwell, 1994, p. 688). სწორედ ამ კუთხით, ირაკლი ფარჯიანის ზეითი და პანდით შესრულებული აბსტრაქციები წარმოადგენენ მითებს, აზრით დამუხტულ გზავნილებს.

როდესაც მის მხატვრობასთან მიმართებაში სვანეთის თემას შევვხვებ, ირაკლიმ მითხრა, რომ თუკი რაიმე აკავშირებდა სვანეთთან, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი ტკივილი. ტკივილი, რომელსაც ის მთელი სიცოცხლე თან ატარებდა, დედის ნაადრევი გარდაცვალებით იყო გამოწვეული. ეს ტკივილი ასაზრდოებდა მის მხატვრობას. ასე რომ, მისი მხატვრული ხილვები მუდამ დაკავშირებული იყო სიკვდილის თემასთან, საიდუმლოებასთან. ირაკლი ფარჯიანი თავადაც სიკვდილის პირისპირ დადგა. ამ განსაცდელმა კიდევ

უფრო დიდი ფიქრით და აზრით დატვირთა მისი შემოქმედება. ამ ფიქრებმა და აზრებმა გამოსავალი ახალ ნიშნობრივ სისტემაში ჰპოვა, რომელიც მის აბსტრაქტულ მხატვრობაში დაფიქსირდა. როდესაც ნიშნის „ამოხსნას“ ცდილობ, მუდამ გეშინია თხრობითობის, გამარტივების. მაგრამ ხანდახან ისე გითრევს ეს შინაარსი, გგონია ამოხსნას მიაგენი. მერე ისევ გისხლტება მიგნებული და მიუღწეველი (ან ჩაუღწეველი) გეჩვენება (არის კიდევ). ბევრ ნიშანს შეიძლება ვერც ვამჩნევთ ან მომავალში შევამჩნევთ.

რა ნიშნებზეა საუბარი? სამკუთხედებზე, ისრებზე, კვადრატებზე, რომლებიც გვხვდება ირაკლის აბსტრაქციებში და არაფრით წარმოადგენენ უბრალოდ ხელს მოყოლილ გამოსახულებებს, ფიქრს მოყოლილნი კი არიან ანაღბათ. და კიდევ, რიტმს მოყოლილნი, რადგან ადამიანს აქვს შინაგანი რიტმი, რომელიც შეიძლება ყველაზე მეტად განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების ინდივიდუალობას და მხატვრის სტილს. ბართის განმარტებით, სტილი პიროვნული მეხსიერების უღრმეს საცავებშია ჩაძირული, თვით მისი შეუვალობა სხეულის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან აღმოცენდება. სტილის საიდუმლოება — ეს არის ის, რაც თვით მწერლის სხეულს ახსოვს (Post-Modernizm, Минск, 2001, c. 409). ამგვარად, სტილი სხეულის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ამოიზრდება. ირაკლი ფარჯიანი საკუთარ გამოცდილებას დაუსრულებლად სწავლობდა. ის უღრმავდებოდა ყველაფერს, რათა უმთავრეს კითხვებზე ეპოვა პასუხი. და ამ ძიებისათვის ღრმა რწმენით დაჯილდოვდა. ამიტომაც ჰქონდა რელიგიურ სცენებში ღვთაებრივი შუქის ჩაღვრის და მისტიკურის, იდუმალის სახვითი სახეებით ასახვის სრულიად განსაკუთრებული უნარი.

სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანის ფიქრი ყოფნა-არყოფნის, წუთიერის და მარადიულის მუდმივ თემას უტრიალებს, რომელიც ამოუწურავია და განუმარტავი, საიდუმლოებით მოცული. ირაკლი ფარჯიანს არასოდეს აკმაყოფილებდა ერთნიშნა, გახსნილი თემები. მთელი მისი შემოქმედება — ეს არის სწორედ იდუმალისათვის „გასაღების მორგების“ ცდა. თავის პირველ მონუმენტურ კომპოზიციაში — „ქალი ძალღი“ (იგივე „ოთახი“, 1978), მისი მიზანი იყო ფარდების გადახსნისა წარმოდგენილი საიდუმლოს ჩვენება. სურათში — „ქალი ინტერიერში“ (იგივე „ქალი კლავესინთან“, 1982), რომელიც ვერმეერის ტილოსთან ინვეს ასოციაციას, მან კლავესინის ხმის ასახვა დაისახა მიზნად.

„ხარების“ უსასრულო ვარიაციებში ის მისტიურ შინაარსს უღრმავდებოდა.

ხარების სასწაული — ეს არის ღმერთის ადამიანად მოვლენის საწყისი წამი, კაცობრიობის ცოდვებისგან განწმენდის დასაწყისი, როდესაც „ახალი ევა“ — მარიამის სახით, გამოიხატის პირველი ევას დანაშაულს. ირაკლი ფარჯიანი დაუსრულებლად უბრუნდებოდა და უღრმავდებოდა ამ სიუჟეტს სწორედ ამ შინაარსით. მეგობრისადმი მიწერილ ერთ წერილში იგი წერს: „ეს თემა ისე არ მოთავდება, სულ გავიძახი, მორჩა, აწი აღარ გავაკეთებ — მეთქი და ხელი ისევ მიდის. ჩემთვის ეს თემა და მასზე მუშაობა უკვე ნამდვილ მედიტაციურ ხასიათს იღებს. გინდა-არ გინდა, სხვა კონცენტრაცია ხდება“ (ირ. ფარჯიანი, პირადი წერილებიდან, — „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1, 2002, გ 160). მან უამრავი ვარიაცია შექმნა ამ თემაზე. სიცოცხლის ბოლოს კი, როგორც ჩანს, ცდილობდა სიუჟეტიდან ტილოზე დაეტოვებინა ამ სასწაულში ჩაღვრილი უზარმაზარი ენერჯია. ამიტომაც, ბოლოს „ხარება“ და „ჯვარცმა“, მან თითქმის მთლიანად თეთრით გადაფარა. ამასთან, იმავე პერიოდში მან შექმნა არაფიგურული კომპოზიცია, სადაც აბსტრაქტული ხაზებით მხოლოდ მინიშნებულია მარიამის და მთვარანგელოზის ადგილები. ამგვარად, მისთვის უმთავრესმა თემამ, მისი შემოქმედების გზაზე, სრული აბსტრაქტირება განიცადა.

1982 წელს, სტატიაში — „რა არის პოსტმოდერნიზმი?“ — ჟან-ფრანსუა ლიოტარი წერდა: „მე ვუნოდებ მოდერნულს იმ ხელოვნებას, რომელიც თავის მცირე ტექნიკურ გამოცდილებას, დიდროს სიტყვებით, იმ ფაქტის საჩვენებლად იყენებს, რომ არსებობს ის, რისი ჩვენებაც შეუძლებელია. ცდილობს ხილული გახადოს აზრი (ხაზი ჩემია-ქ.კ.), რომ არის რაღაც, რაც შეიძლება აღვიქვათ და რაც ჩანს და ვერც ვუჩვენებთ. ეს არის ის, რაც მოდერნული მხატვრობის ქვაკუთხედი.“

პოსტმოდერნული არის ის, რაც წინ წამოსწევს იმას, რისი ჩვენებაც შეუძლებელია, თვით ჩვენებით. ის, რაც უკუაგდება კარგი ფორმით ტკობას, გემოვნების კონსენსუსს, რომელიც შესაძლებელს ხდის კოლექტიურად განაწილებულ იქნას მიუწვდომელის ნოსტალგია, რომელიც ჩვენების ახალ გზებს ეძებს არა მათ მოსაწონად, არამედ უფრო ძლიერად წარმოსაჩენად იმის, რისი ჩვენებაც შეუძლებელია“ (Art in Theory... p.101).

რას ნიშნავს ეს სამკუთხედები, კვადრატები, ისრები, მიმართულებები ფარჯიანის აბსტრაქციებში?! სამკუთხედები ამ კომპოზი-

ციებში თითქოს გარკვეულ მიმართულებას იძლევიან და მიანიშნებენ ძალიან რთულ და მრავლისმთქმელ ბილიკებს, საიდუმლოებით მოცულთ და ისეთივე მისტიურთ, როგორც ფარჯიანის ფიგურული — ფიგურების შემცველი ნამუშევრებია. თუმცა, ეს ლაბირინთები არ არის. გზა, რომელსაც მხატვარი მიანიშნებს, ლაკონიურია, მაგრამ დანიშნულების ადგილი რთულად ამოსაცნობია. როდესაც ვუღრმავდებით, ხანდახან ზღაპრული გზაჯვარედინებიც კი გვაგონდება — არ იცი, თუ საით უნდა წახვიდე, ან გზა სად მიგიყვანს. ეს მხოლოდ ირაკლიმ იცოდა და შეიძლება, არც იცოდა. მაგრამ რაღაცას უსათუოდ გულისხმობდა და აფიქსირებდა.

ირაკლი თავის რამდენიმე აბსტრაქციას, შავი ოთხკუთხედის გამოსახულებით, კონკრეტული საგნის მიმნიშნებელ სახელწოდებას აძლევს — „შავი სკივრი“. აქ მთელი მისი ფიქრები შავ სკივრშია მოქცეული და სრული საიდუმლოებით არის მოცული. შავ მოცულობაში ჩაკეტილი საიდუმლო!.. პოსტმოდერნისტული სურათობრივი მითები...

ფაქტია, რომ ეს აბსტრაქციები მარადიული თემების დამუშავების საფუძველზე იშვა (იგულისხმება ხარება, ჯვარცმა, უდაბნოში განმარტობა, საიდუმლო სერობა და სხვა სიუჟეტები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ფარჯიანის შემოქმედებაში). და კიდევ, ისინი ირაკლის ავადმყოფობით გამოწვეული მძიმე სულიერი მდგომარეობის ამსახველია. მათში სიკვდილის მოახლოებით, სამუდამო სასუფეველზე ფიქრით მარტო სვლის გზა აღბეჭდილი — მხატვრის, რომელმაც აღნიშნული თემები არაერთგზის გაიაზრა, და შესატყვისი სიღრმით ასახა.

1985 წელს, ირაკლიმ აბასთუმანში წყლის ფერიის მონოქრომული გამოსახულება შექმნა. ეს მისტიკური არსება წინა პლანზეა გამოსახული, გამოგონილი პეიზაჟის ფონზე, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი უკან არის, სურათის ზედა ნაწილში, სადაც საოცარი სიღრმე ვითარდება და სურათის სულ ზედა ნაწილში, მის სიღრმეში, ცენტრში, რაღაც კოსმიურ სივრცეში, მცირე ზომის თეთრი სამკუთხედი ჩანს. ეს ჩემთვის ნაცნობი ყველაზე ადრეული ნამუშევარია ირაკლის შემოქმედებიდან, სადაც სამკუთხედი ჩნდება. ის იქით, დედამიწის, მატერიალური სამყაროს მიღმა მიანიშნებს გზას, უკიდევანო სივრცეში, სიღრმეში მიგვმართავს...

იმავე პერიოდში, სწორედ აბასთუმნიდან, ირაკლი ერთ წერილში მეგობარს წერდა: „ადამიანი, რაც უფრო ახლოსაა დედამიწის

სფეროსა და მის მიწიერ კანონებთან, მაგნეტიზმთან, ჟანგბადთან და ა.შ., მით უფრო შეფუთულია მასში ღრმად სულიერი უნარები, — როგორც კი დედამიწურ პირობებს ცდები, ცხადია, შედიხარ სულიერ სფეროში, სადაც შენ ხელს არაფერი გიშლის იმდენად და შენ უბრალოდ უფრო სენსეტიური ხდები სულიერისადმი და ხედავ სულიერ არსება — მოვლენებს. ეს ყველაფერი აქ ცხვირწინ არის, მაგრამ აქ დაჯავშნულები ვართ და გვიჭირს ეს“ (ირ. ფარჯიანი, პირადი წერილებიდან, .. გვ. 144).

1980-იანი წლების ბოლოს, გერმანიაში ყოფნის დროს, ირაკლი ქმნის მეტაფიზიკურ ლანდშაფტებს, რომლებიც ამ „წყლის ფერი-ის“ ზედა ნაწილის გადიდებულ ვარიანტებს ჰგავს. მან პირველად აბასთუმანში დაინახა ეს ლანდშაფტი, გერმანიაში კი, მის ფატალურ აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე, თითქოს ამ განუსაზღვრელი სივრცის არსს ჩანვდა.

1988 წელს, ირაკლი ფარჯიანმა შექმნა ერთი აბსტრაქტული კომპოზიცია მისტიკური შინაარსის მქონე წარწერით — „ვარსკვლავიდან ახლად ჩამოსულ გიორგის“. ამგვარად, მან სიტყვიერი „ახსნა“ დაურთო ნამუშევარს. ეს არის მინიმალისტური აბსტრაქცია, ძალიან დიდი მხატვრული ენერგეტიკის მატარებელი. აქ გვაქვს სამი ვერტიკალური ზონა — ნათელი, შემდეგ მუქი (ვინრო), რომელიც ზედა ნაწილში ცისფერში გადადის და კვლავ ნათელი, რომელზეც რაღაც ფიგურის მსგავსი გამჭვირვალე ლაქა შორს მიმავალ გზას მიუყვება, რომელიც უსასრულობისკენ მიემართება. ეს თეთრი ფიგურა თეთრი ხაზით დაკავშირებულია პირველ ნათელ ზონაში ჩამოსახულ ვარსკვლავთან (ვარსკვლავიდან ჩამოსული ადამიანი...). ვარსკვლავი პირველ მონაკვეთშია მოქცეული — ადამიანის მიწიერი ცხოვრების წინა ზონაში, შემდგომ შავი ზოლია — მიწიერი ცხოვრება, რომელსაც კვეთს ვარსკვლავიდან ჩამოსული თეთრი ზოლი და ეს ზოლი იმ ფიგურას უკავშირდება, რომელიც მესამე ზონაში, სადღაც, უსასრულობისკენ მიაბიჯებს. შუა ზონა — ფერით შავი, ცისფრით ზედა ნაწილში (მინა და ცა?), — დანარჩენ ორ, ნათელ ზონასთან შედარებით ვინროა. ის ეპიზოდურია და წარმავალი, თანაც გარკვეული საზღვრებით შემოფარგლული. მარცხენა გამჭვირვალე სივრცე უსასრულობიდან მოდის და მარჯვენა გამჭვირვალე სივრცე უსაზღვროებაში გადაიზრდება.

ირაკლის აინტერესებდა, თუ სად მიდის ადამიანი სხეულის გარეშე, სად არის უსასრულობა. მისი აბსტრაქციები სწორედ ამ

კითხვაზე პასუხის ძიების და პასუხის მიკვლევის პროცესს აფიქსირებენ.

ირაკლის შედარებით ადრეულ ნამუშევრებში, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის ნატიურმორტი და პეიზაჟი, ხშირად ვხვდებით ადამიანის პატარა გამოსახულებას, რომელიც სადღაც უსასრულობისაკენ მიემართება. უფრო გვიანდელ ნამუშევრებში (როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევაში) იგი სანთლის მსგავს ერთიან ფიგურად გადაიქცევა, ხოლო ბოლო აბსტრაქციებში, მის ადგილს სამკუთხედი იჭერს. ეს სამკუთხედები იკავებენ იმ ადგილს, რომელიც უდაბნოდ გასულ ქრისტეს ან სივრცეში მიმავალ ფიგურას უჭირავს მის ადრეულ კომპოზიციებში. იგივეა რიტმი, მუსიკა (ეს თავად მხატვარი მოძრაობს ამ გზებზე). ზოგჯერ ეს სამკუთხედები, შინაგანი ექსპრესიით, ენერგეტიკით, ხარების კომპოზიციებში შეჭრილ მტრედთან ინვევს ასოციაციას. ასეთივე აბსტრაქტიზებას განიცდის ფარჯიანის შემოქმედებაში ნავი — გადარჩენის სიმბოლო. ჯერ სრულიად რეალისტურად აღიქმება, შემდგომ გეომეტრიზირებულ ფორმად გადაიქცევა. ასე ჩნდება ნიშნები ფარჯიანის მხატვრობაში.

სემიოზისის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში, ფარჯიანისთვის ადამიანის არსებობა თითქოს რეალურად გაიყო სამ ზონად: თეთრი ზოლი — ადამიანის მოვლენამდე; მუქი, უფრო ხშირად შავი, თანაც მრავალი პლასტის შემცველი მონაკვეთი — ამქვეყნიური არსებობა (შავი სკივრი?!); და მთლიანად თეთრით მოცული დიდი სივრცე — სამარადისო სასუფეველი. აი, რატომ გადაფარა მხატვარმა საკრალური თეთრით „ხარების“ და „ჯვარცმის“ ბოლო კომპოზიციები და რას მიაწინებს ისრად მიმართული თეთრი სამკუთხედი, ან რას გამოხატავს თეთრი სივრცეები მის აბსტრაქციებში. ეს შეფარული, არაერთაზროვანი შინაარსი უდიდეს მხატვრულ მუხტს ქმნის და ენერგიით ალაგებს ამ სურათებს.


მის ერთ-ერთ მეტაფიზიკურ ლანდშაფტზე, ნათელში ჩანერილია პლუსი, ხოლო მუქ მონაკვეთში — მინუსი. ნათელი ხომ დადებითი მუხტის მატარებელი არეა.

ერთ-ერთ აბსტრაქციაში მუქი კვადრადიდან „გამოდის“ თეთრი სამკუთხედი და მიემართება ზემოთ. სხვაგან თეთრ ზოლს ცვლის მუქი სივრცე, საიდანაც თეთრ სამკუთხედს თეთრში მივყავართ... სამკუთხედების და წრფეების, მრუდეების რთული ტრაექტორიები განსულიერების, ზოგჯერ კი, თითქოს მცდარი მოძრაობის ამსახველი ნიშნებია.

ფარჯიანის თითოეული აბსტრაქტული კომპოზიცია ინახავს მრავალ შრეს — როგორც ფორმალური თვალსაზრისით, ისე მხატვრის სულიერი მდგომარეობის ასახვის მხრივ. ყველაზე მინიმალისტურ აბსტრაქციაშიც კი, სადაც მხოლოდ რამდენიმე, თითქმის ნეიტრალური ფერადოვანი მონაკვეთია, ფაქტურის წყალობით მიიღწევა მრავალშრიანობის შეგრძნება. მის „სკივრებში“ შავი იძენს იშვიათ სიღრმეს. ეს თითქოს მინიერი ცხოვრების ჩაკეტილი ყუთებია, — დახშული სივრცე, რომელიც ყოველი მხრიდან შემოფარგლულია.

ირაკლი ფარჯიანი უზარმაზარ ინფორმა-

ციას ფლობდა და ატარებდა. უკვე მისი „ქალი კლავესინთან“ (ქ.კინწურაშვილი, „ქალი ინტერიერში“ — „ხელოვნება“, 4, 1991). ინტერტექსტუალური შინაარსის კომპოზიციაა. აქ არაერთ მხატვრულ ეპოქასთან ან კონკრეტულ მხატვართან მოიძებნება შორეული პარალელი. ფარჯიანი ყველაფერს საკუთარ ენაზე გაიაზრებდა. ხოლო მის აბსტრაქციებში აკუმულირებულია მისი შემოქმედებითი აზროვნების მთელი სიღრმე. ეს არის ფიქრი მიკროსამყაროს (ადამიანის) და მაკროსამყაროს ურთიერთკავშირზე, ამქვეყნიური არსებობის, მისივე თქმით, „მიზეზ-მისიაზე“ (პირადი წერილებიდან, .. 158). და ამ ფიქრებთან



ერთად, მათში, პალიმფსესტის მსგავსად, ფიქსირდება მრავალი კულტურული შრე.

ირაკლიმ დაძლია ტრაექტორია — მინიერი ცხოვრების წინა ზონიდან სინამდვილის (მინიერი ცხოვრების) გავლით უსასრულობაში, რომელიც სულიერი ცხოვრების სფეროა. ის ჩანვდა მარადიულობის არსს და თითქოს ეჩქარებოდა კიდეც მასში მოხვედრა. იმდენად მიუახლოვდა, რომ თითქოს იქ საკუთარი თავი თავად დაამკვიდრა.

სიკვდილის უღრმესი განცდა, ტკივილი ფარჯიანთან მხატვრულ სახეებში ტრანსფორმირდება და მაყურებელს „ტკივილით შობილ სიამოვნებას“ (კანტი) ანიჭებს.

პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიაში ტექსტი არის არა ნიშანთა ერთობლიობა, აღსავსე აზრით, რომელიც შეიძლება აღვადგინოთ, არამედ სივრცე, რომელშიც გახაზულია აზრობრივი მოძრაობის გზები. ამიტომაც მოგვევლინა ფარჯიანი თავის აბსტრაქციებში ავტორის იმ ტიპად, რასაც პოსტმოდერნისტული ფილოსოფია კოდს, ანონიმს, არა — პიროვნებას უწოდებს. შესაძლებელია, ირაკლი ფარჯიანს თვადაც არ ჰქონდა ამ ნიშნების ზუსტი ახსნა. გვაქვს არა ნიშანი, რაიმე წინასწარ მოფიქრებული მნიშვნელობით, არამედ ნიშანთა სისტემა, მათი შექმნის პროცესში აღმოცენებული შინაარსით, ან შინაარ-

სის გაჩენის პროცესში შექმნილი სისტემა. ამ თვალსაზრისით, ფარჯიანი პოსტმოდერნისტი სკრიპტორია (ის, ვინც წერს), რომელიც აფიქსირებს ხილვებს და ქმნის ტექსტს. შესაბამისად, ჩვენი წერილიც მხოლოდ ნიშნის ინერპრეტაციის პროცესს წარმოაჩენს და არ წარმოადგენს შინაარსის დადგენის ცდას.

პოსტმოდერნიზმი განთავისუფლდა აღმნიშვნელის და აღნიშნულის კავშირ-ურთიერთობის აუცილებლობიდან. აქ ნიშანი აღარ არის სუფთა და მარტივი კავშირი იმასა, რაც აღნიშნავს და იმას, რაც აღინიშნება, შორის, არამედ ეს „მნიშვნელობაა, შეერთებაა იმის, რაც აღნიშნავს და იმის, რაც აღინიშნება. ეს არც ფორმაა, არც შინაარსი, არამედ მათი დამაკავშირებელი პროცესია“ (Post-Modernizm..., c. 641).

ფილოსოფოსთა მიერ ასახული სურათით, რეფერენციის იდეაზე თანდათანობით, პროგრამულად ითქვა უარი. ჯერ იყო კლასიკის რეალიზმი, რომელიც მატერიალისტურ დეტერმინიზმს ეფუძნება და მნიშვნელობათა ურყევე იერარქია გააჩნია. მერე ვითარდება სიმბოლიზმი, რომელიც პირველ ნაბიჯს დგამს მნიშვნელობათა დეონტოლოგიზაციის გზაზე, თუმცა, სიმბოლოთა მკაცრ ესთეტიკურ იერარქიას ეყრდნობა. მოდერნიზმი აბსოლუტური ონტოლოგიის პარადიგმას პიპოთეტიური წესრიგის და დროითი აზრის პარადიგმით ცვლის. აქ სუბიექტურ გამოცდილებას განსაკუთრებული როლი ეკისრება, თუმცა, გარკვეული ონტოლოგიური ფესვები შენარჩუნებულია. პოსტმოდერნიზმი საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს სამყაროს მოდელის კონსტრუირების შესაძლებლობას და უარს ამბობს რაიმეგვარ ონტოლოგიაზე.

ამ კონტექსტში, შემთხვევითად არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ ფარჯიანი აბსტრაქციას დაშლილი სამყაროს რეკონსტრუქციის ცდად თვლის (მისი სიტყვები იხ: ნ. ლაღანიძე. მხატვრული ესთეტიკა და ტრადიცია ირ. ფარჯიანის შემოქმედებაში, „ქართული ხელოვნების ნარკვევები“, 2002, გ 44) —



ავტოპორტრეტი

არა შესაძლებლობად, არამედ ცდად. აქ ხომ არ იმალება ფარჯიანის „შავი სკივრ(ებ)ის“ პოსტმოდერნისტული სიახლე მოდერნიზმის სიმბოლოდ ქცეულ „შავ კვადრატთან“ მიმართებაში?! როდესაც მალევიჩმა თავისი შავი კვადრატი შექმნა, მან გეომეტრიულ ფიგურაში არამატერიალურის იდეა განახეულა. თეთრი კვადრატით თეთრ ფონზე ეს იდეა კიდევ უფრო განარიდა რეალობას და უსაზღვროების იდეას შეუკავშირა. ფარჯიანი შავ სკივრებში ან თეთრი კონტურით შემოხაზულ კვადრატში, ან კიდევ, სამკუთხედში ისეთ აზრებს აქსოვს, რომლებსაც სიტყვით ვერ დააკონკრეტებ, ვერ განმარტავ. თვითონაც ვერ (და არც) განმარტავდა, რადგან ეს ტრანსცენდენტური ემპირიზმის ნიმუშებია. მაგრამ ამ მეტაფიზიკურ ლანდშაფტებზე (და მათში) დაუსრულებლად შეიძლება პასუხების საძიებლად მოძრაობა.



სამუელ ჩავლეიშვილი

მარინა
 ცვიჟინაძე

სისოსხეაშვი
 ლახანაძე ქაჯი ჯასი

გურიაში ვერ შეხვდებით ძველი თუ ახალი თაობის მომღერალს ან თუნდაც სიმღერის მოტრფიალეს, ხალხურ მუსიკაზე საუბრისას გურული სიმღერის ჯადოქარი, სამუელ ჩავლეიშვილი რომ არ ახსენოს. უფრო მეტიც, ხალხური სიმღერის და საგუნდო ხელოვნების განვითარებას თვალს თუ მივადევნებთ, დავინახავთ, რომ მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, გურიაში არსებული თითქმის ყველა საგუნდო კოლექტივი და ცნობილი მომღერალი სამუელ ჩავლეიშვილის სიმღერის უშუალო გავლენას განიცდის.

„სამწუხაროა, რომ ამ უანგარო მოღვაწის შესახებ დღემდე ერთი პატარა ნარკვევიც არ გამოქვეყნებულა“, — წერდა პროფ. ვანო შილაკაძე 1961 წელს. — „გაივლის კიდევ რამდე-

ნიმე ხანი და ჩვენ აღარც კი შეგვეძლება რაიმე ცნობების შეგროვება იმ დიდ ხელოვანზე, რომელსაც სამუელ ჩავლეიშვილის სახელით ვიცნობთ“.

ეს წინასწარმეტყველება გამართლდა: დღეს სამუელ ჩავლეიშვილზე, მის შემოქმედებაზე საუბარი კიდევ უფრო ძნელია, რადგანაც აღარ არიან ისინი, ვინც პირადად იცნობდა „გურიის ბულბულად“ წოდებულ მომღერალს. მწირია აუდიო ჩანაწერები და მხოლოდ ხალხის მეხსიერებაში, ხალხის ნამღერ სიმღერებში, ხალხურ ლექსში ცოცხლობს სამუელ ჩავლეიშვილის სახელი.

ეს კი მის უკვდავებას ნიშნავს.

სამუელ დავითის ძე ჩავლეიშვილი დაიბადა 1857 წელს ოზურგეთის მაზრის, ასკანის თემის, სოფელ ოქროსქედში. ჩავლეიშვილების გვარში ყველას დავითი ან სამსონი ჰქვამდნენ — ასეთი იყო ოჯახის ტრადიცია. მხოლოდ დიდი მომღერალი გახდა გამონაკლისი. ჩავლეიშვილები თავად სამუელ მაქსიმელაშვილის ყმები იყვნენ. თავადი გურული სიმღერის მოტრფიალე და ზედმინევი მცოდნე ყოფილა. გადმოცემით, სწორედ მან დაანათლა თავისი სახელი ნიჭიერ ბავშვს.

სამუელ მაქსიმელაშვილს სოფელ ბაღდადში დიდი სასახლე ჰქონდა, სადაც თავს იყრიდნენ სიმღერის მცოდნეცა და შესწავლის მსურველებიც. თავადი თვითონ ამეცადინებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, შემდეგ კი ცნობილ მომღერალ-მგალობელს, დათა გუგუნავას უგზავნიდა „დასაოსტატებლად“. გურიელების მოურავი დათა გუგუნავა „თამარიანის“ ცნობილი გამლექსავის, სიმონ გუგუნავას მამა ყოფილა. მაქსიმელაშვილსა და გუგუნავას თავიანთი მეთოდით არაერთი მომღერალი გამოუზრდიათ, დაუოსტატებიათ და გზაზე დაუსყენებიათ. ამ მეცენატთა სახლები მომღერალთა სამჭედლოდ იქცა.

მართლაც რომ ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილა გლეხის შვილი. სიმღერის შესწავლა თავადის სახლში დაიწყო, სიმღერა-საგალობლებს გურიელების მოურავთან ეზიარა, საბოლოო სრულყოფილებას კი ცნობილ მგალობელ ანტონ დუმბაძესთან მიაღწია. სწავლის დასრულების შემდეგ სამუელ ჩავლეიშვილი დაბრუნდა მაქსიმელაშვილის სასახლეში, სადაც მას, არაჩვეულებრივ მომღერალს, ოჯახის წევრებით ეპყრობდნენ. ცოლიც თავადის ოჯახიდან შერთეს, მაქსიმელაშვილების მოსამსახურე გოგო. ჩავლეიშვილების ამ შტოში სულ დედისერთები იყვნენ. სამუელსაც ერთი შვილი ეყოლა — სამსონი, რომელიც ახალგაზრდობაშივე ტრა-

გიკულად დაილუბა. შვილიშვილის — პატარა დავითის აღზრდა სამუელმა იკისრა...

ახლა ჩავლიეშვილის ანსამბლის შექმნის ისტორიას გავეცნოთ.

მას შემდეგ, რაც სიმღერაში დაოსტატებული და განსწავლული სამუელი მაქსიმელაშვილის სახლში დაბრუნდა, თავადმა ანსამბლის ჩამოყალიბება თხოვა. თავდაპირველად სამუელს სამიოდე მომღერალი მიუყვანია მაქსიმელაშვილების ოჯახში: თავისი ბიძაშვილი ილარიონ ჩავლიეშვილი, ბესარიონ (ბესონიე) ინწკირველი და ვლადიმერ (ლადიკო) დოლიძე. რამდენიმე წლის შემდეგ მათ შეუერთდნენ სამუელ ჩხიკვიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, სამსონ ურუშაძე, შალვა სიამაშვილი. „ეს ჯგუფი ერთად ვმღეროდით სამუელ ჩავლიეშვილის გარდაცვალებამდე“, — წერდა სამუელ ჩხიკვიშვილი.

სამუელ ჩავლიეშვილის ანსამბლში არა რიგითი მომღერლები, არამედ ნამდვილი ოსტატები გაერთიანდნენ. მათ სიმღერის სწავლა კი არ ჭირდებოდათ, არამედ იმ სკოლის გავლა, რაც ჩავლიეშვილს დიდოსტატებისაგან ჰქონდა მიღებული. მათგან ბევრი შემდგომში სახელმწიფოებრივი ლობჯიანი გახდა, ზოგმა — მაგალითად, ვარლამ სიმონიშვილმა — მთელი ცხოვრებაც კი შესწირა ამ საქმეს. ვისაც საკუთარი გუნდი არ ჰყავდა, სხვა გამოჩენილ მომღერლებს ემეგობრებოდა და ამ მეგობრობით, ერთად გამღერებოდა ბუნებრივად და ძალდაუტანებლად გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა სხვათა სასიმღერო სტილზე. ასეთი რჩეული მომღერლების განვრთნითა და სხვადასხვა ადგილებში მათი გაგზავნით შეძლო ჩავლიეშვილმა თავისი სასიმღერო სტილის მთელ გურიაში გავრცელება, მაგრამ ეს არ ყოფილა მისი თვითმიზანი. სამუელი თვითონ სიმღერით ცოცხლობდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტისთვის გადაეცა თავისი ცოდნა. უანგაროდ ასწავლიდა მსურველებს, ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ამგვარად ინვრთნებოდნენ საუკეთესო მომღერლები სამუელ ჩავლიეშვილის ყაიდაზე, ასე ვრცელდებოდა მისი ნამღერი — ჭემმარითად ხალხური პროფესიონალიზმი, ასე გახდა ის სიმღერის აღიარებული დიდოსტატი, ასე ჩამოყალიბდა ჩავლიეშვილისეული სკოლა. მას მარტო გურიაში როდი აღიარებდნენ! უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა მას ძუკუ ლოლუასთან, კავსაძეებთან, რემა შელეგასთან, კირილე პაჭკორიასთან, მიხა ჯილაურთან, კინი გეგეჭკორთან. სამუელმა მათ ბევრი სიმღერა ასწავლა.

მაგრამ ეს იყო შემდეგ. თავიდან კი, 900-იან წლებში, ჩავლიეშვილის ანსამბლი ოფიციალურ კონცერტებს არ მართავდა, თუმცა

გურიაში არავითარი მხიარულება არ ჩატარდებოდა ამ მომღერლების გარეშე. გამუდმებით ინვედნენ ძველი ფეოდალები, შეძლებული გურულები, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი თითქმის სულ მაქსიმელაშვილებისას იყო, სადაც კვირაობით რჩებოდნენ და ღბინობდნენ.

ცხადია, ყოველი მათგანი რალაც საქმიანობას ეწეოდა და ოჯახს იმით ინახავდა, მაგრამ როგორც კი ჩავლიეშვილი იხმობდა, ყველანი თავს მოიყრიდნენ. რამდენიმე ხანს ფოთში, ჩავლიეშვილის მიერ გახსნილ სამიკიტნოშიც მღეროდნენ, სადაც მთელი გურიიდან ხალხი მათ მოსასმენად ჩადიოდა. ეს სამიკიტნო თავისი ფუნქციით ყველასათვის მისაწვდომ საკონცერტო დარბაზს უფრო წარმოადგენდა, სადაც არა მარტო დასწრება, არამედ სიმღერაში მონაწილეობაც იყო შესაძლებელი. ვინ გიშლიდა, გემღერა თუ თვითონ გაბედავდი, მაგრამ ვინ შებედავდა ამ დიდოსტატებთან გატოლებას სიმღერაში!



ცოტა მოგვიანებით ანსამბლმა კონცერტების გამართვაც დაიწყო — ოზურგეთში, ჭიათურაში, ქუთაისში, თბილისში. თუმცა ძველებურად მხოლოდ ენთუზიაზმზე იყო დამყარებული.

1908 წელს ჩავლიეშვილის ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო სხვიტორში გამართულ აკაკი წერეთლის იუბილეზე. გამოსვლას მოჰყვა ანსამბლის პირველი ჩანერა გრამფირფიტაზე, რაც აკაკი წერეთლის ინიციატივით მომხდარა.

ჩავლიეშვილის ანსამბლის ისტორიაში ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია. იმ პერიოდში ანსამბლის გამოსვლები შემთხვევით და სპონტანურ ხასიათს ატარებდა. ანსამბლის

*. I რიგში მარცხნიდან: ვარლამ სიმონიშვილი, ბესარიონ ინწკირველი, სამუელ ჩავლიეშვილი, ნოე სიხარულიძე, ერმალო სიხარულიძე, დათა მამაკაიშვილი. II რიგში: ნიჟა ლომინაძე, ... ვაშალომიძე, სამსონ ურუშაძე. III რიგში მარცხნიდან მეორე ილია პატარავა, ვახტანგ სიხარულიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი.

მოსმენა ამა თუ იმ ნადიმზე, ან რაიმე ღონისძიებაზე შეიძლებოდა, რომელთა შესახებ წინასწარ განცხადებები არ კეთდებოდა, ამიტომაც ბევრისთვის მიუწვდომელი იყო. მოთხოვნილება კი იმდენად დიდი იყო, რომ სამუელ ჩავლეიშვილზე ხალხი ლეგენდებს თხზავდა.

ის პირველი ჩანაწერი 1909 წლით თარიღდება და დღესაც გვანცვიფრებს მომღერლების საშემსრულებლო ტექნიკის სირთულითა და მხატვრული სრულყოფილებით.

სამწუხაროდ, სამუელ ჩავლეიშვილის ანსამბლის საკონცერტო მოღვაწეობის შესახებ იმ პერიოდის გაზეთებში ძალზე მწირი ცნობებია შემორჩენილი: 1912 წელს უმღერიანთ ჩოხატაურში, 1913 წელს — ვაჟა-ფშაველას საღამოზე თბილისში, 1914 წელს — სხვიტორში გამართულ აკაკი წერეთლის იუბილეზე.

1917 წლიდან ანსამბლის ბიოგრაფიაში ახალი ეტაპი იწყება: თბილისელმა კომერ-



სანტმა ნოე სიხარულიძემ ანსამბლის მეურვეობა ითავა: ჩამოიყვანა ანსამბლი თბილისში, დააბინავა თავის სასტუმრო „ნოეში“ და „საპატრონოდ“ პროფესიონალ მუსიკოსს კოტე ფოცხვერაშვილს ჩააბარა — მას უნდა უზრუნველყო ანსამბლის გამოსვლა სხვადასხვა თეატრებში. როგორც ირკვევა კოტე ფოცხვერაშვილს ამ საქმისათვის თავი კარგად გაურთმევია. ამაზე მეტყველებს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ დაბეჭდილი სურათი და პუბლიკაცია. სურათს ახლავს წარწერა — „ნოე სიხარულიძის გურულთა გუნდი“, საიდანაც ჩანს, რომ ნოე სიხარულიძე გუნდის მეურვეობას ოფიციალურ დონეზე აწარმოებდა. მისივე ხელშეწყობით გუნდმა არნახული საკონცერტო ტურნე მოაწყო ქუთაისს, ფოთსა და ბათუმში. თუმცა გამოცდილი კომერსანტი პირად მოგებაზეც ზრუნავდა და ხალხის მოსაზიდად ანსამბლის

„კონცერტებს“ საკუთარი სასტუმროს რესტორანშიც მართავდა.

მართალია, ნოე სიხარულიძე გუნდს ინახავდა და ყოველგვარად ხელს უწყობდა მის პოპულარიზაციას, მაგრამ სამუელი ცდილობდა გუნდის ოფიციალური აღიარებისათვის მიეღწია, რათა მომღერლები მოწყალების ამარა არ ყოფილიყვნენ, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწია. მთავრობას ხალხური სიმღერისათვის არ ეცალა.

მოგვიანებით, 1921 წელს ვარლამ სიმონიშვილმა განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭის წყალობით შესძლო სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღება და „ოზურგეთის რაიონულ საბჭოსთან არსებული გურულ მომღერალთა გუნდის“ დაარსება. ის დამოუკიდებლად უძღვებოდა ამ საქმეს და გარშემო ახალი ძალები შემოიკრიბა.

„ჩავლეიშვილები“ კი ძველებურად აგრძელებდნენ მოღვაწეობას: საჭიროების შემთხვევაში შეიკრიბებოდნენ, სხვა დროს — ცალკე მუშაობდნენ. სამუელი მოსწავლეებს წვრთნის, თვითონ ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს და თავისთან მიჰყავს. სხვადასხვა დროს მის ოჯახში თვეობით ცხოვრობდნენ და სიმღერას ენაფებოდნენ: ვლადიმერ ბერძენიშვილი, კალისტო რამიშვილი, ვახტანგ სიხარულიძე, გიორგი თალაკვაძე, აკაკი ბასილაშვილი და სხვები. ამ საქმეში ისეთივე უანგაროა, როგორც მისი გამზრდელი თავადები — მაქსიმელაშვილი და გუგენავა იყვნენ, იმ განსხვავებით, რომ სხვაზე ზრუნვა მისთვის, გლეხისათვის უფრო ძნელი იყო.

სამუელ ჩავლეიშვილზე მხოლოდ მომღერალი ან ლოტბარი როდი ითქმის. ის იყო ნამდვილი შემოქმედი, რეჟორმატორი, რომელიც ყოველი შესრულებისას ძველ სიმღერას ახლებურად მღეროდა, ახალ-ახალ ვარიანტებს ქმნიდა, შემოქმედებითად ავითარებდა. გენიალური ვარლამ სიმონიშვილის აზრით „სამუელმა მეორეხარისხოვანი სიმღერები შეალამაზა და გახადა პირველხარისხოვნად“. ცნობილი ლოტბარი ვასილ მახარაძე აღნიშნავდა: „ჩავლეიშვილმა გადატრიალება მოახდინა გურულ სიმღერაში. ყოველგვარ მანამდე არსებულ სასიმღერო კანონებს გადაუხვია და შემოიღო ე. წ. თავისუფალი სიმღერა. განვითარების უმაღლეს დონეზე აიყვანა პირველი ხმა (სხვა ხმას იგი არ იმღერებდა). მის მიერ დამუშავებული ვარიანტები მისაბაძი იყო ყველა გურული-სათვის. ყველა მას ბაძავდა, ის კი ახალ ვარიანტებს იგონებდა. ყველას აჯადოებდა შესრულების ოსტატობით და განუმეორებელი ტემპრით. ამიტომაც „გურიის ბულბული“ შეარქვეს და დღემდე რჩება, როგორც პირველი ხმის საუკეთესო შემსრულებელი“.

პროფესორ იური სიხარულიძის აზრით; „როგორც გალაკტიონმა აიყვანა ერთბაშად ამ სიმალღებზე ქართული პოეზია, ასევე სამუელმა ახალი ჰორიზონტი გაუხსნა ქართულ ხალხურ სიმღერას. სამუელი გალაკტიონია ხალხურ მუსიკაში“.

ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან გურული სიმღერის განვითარებაში ახალი, რეფორმატორული ეტაპი იწყება, რაც მანამდე არსებული სასიმღერო კანონების შეცვლაში გამოიხატება. გურული ხმები კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას იძენენ, ჩნდება ძველი სიმღერების ახალი „გამშვენიერებული“ ვარიანტები. ცხადია, ეს პროცესი ერთბაშად ვერ დაიწყებოდა და ერთ პიროვნებაზე ვერ იქნებოდა დამოკიდებული, მაგრამ თუ ვინმე ამ პროცესში ჩაერთო და მას ბოლომდე უერთგულა, მათ შორის უპირველესი სამუელ ჩავლიეშვილია. ეს მისი გუნდის და პირველ რიგში მისი დამსახურებაა. მან მისცა იმპულსი გურულ სიმღერაში თავისუფალი სტილის დანერგვას, რაც სიამოვნებით აიტაცეს ბუნებით თავისუფლების მოყვარულმა გურულებმა.

XX საუკუნის 20-იანი წლები ამ რეფორმატორული პერიოდის გაფურჩქვნის, აღზევების ხანაა. ამ დროს მოღვაწეობს გურული სიმღერის დიდოსტატთა მთელი პლეადა, რომლის ნაწილი ახლებური შესრულების სტილურ ნიშნებს ქმნის, ნაწილი კი ამ სიახლეს სხვადასხვა კოლექტივების ლოტბარობის გზით ავრცელებს. ასე იწერებოდა შესრულების ახალი სტილი — თავისუფალი სიმღერა მთელ დასავლეთ საქართველოში.

სამუელ ჩავლიეშვილს იმპროვიზირების საოცარი ნიჭი გააჩნდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მინდა შემოგთავაზოთ, რომელიც გურული სიმღერის დიდოსტატოთარ ბერძენიშვილისგან გამიგია.

ერთხელ ვლადიმერ ბერძენიშვილი (ბატონ ოთარის მამა) დილაადრიან ესტუმრა სამუელს. შევიდა ეზოში და რას ხედავს: ზის სამუელი ხეივანში, ჩიტების ჭიკჭიკს ყურს უგდებს და სხვადასხვა ზომის სასტვენებში ჩაბერვით მელოდიას ბაძავს. „დოუგდე ჩიტებს ყური, იქ ჩხართი გალობს, აქ შაშვი, იქით იადონის ხმა ისმის, გეყურება იგი? შენ რაც ჩემს სიმღერაში მოგნონს ის ჯიბეში კი არ მინყვია? ასეთნაირად დავექებ“. აუხსნა თავისი საქციელი გაკვირვებულ სტუმარს სამუელმა.

ასე იქმნებოდა მუსიკალური შედეგები.

უსაზღვრო იყო სამუელ ჩავლიეშვილისადმი ხალხის სიყვარული და პატივისცემა. მას ეთაყვანებოდნენ, მასთან ნაცნობობით

ამაყოფდნენ, მას ბაძავდნენ, მასზე ლექსებს წერდნენ.

გურიაში მასზე ლეგენდებს ყვებოდნენ...

ლეგენდის თანახმად ყრმა სამუელი ზეციდან ანგელოზს ოქროს გიღლით გადმოუშვია. მინამ გურული სიცქვიტე მისცა ყრმას და მან მაშინვე „რაშა-რერა“ შეიკრიმანჭულა. ყანაში, იქვე მომუშავე გლეხებს მოსწონებიათ ქოჩორა ყმანვილი და „ვისი შვილი ხარო?“ — ჰკითხეს. სამუელმა ამქვეყნიური ლაპარაკი არ იცოდა და სიმღერით უპასუხა:

„ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე, ვარსკვლავებსა დავენახე,

მთვარემ კაცი მომიგზავნა, აქ თუ იყავ, რად არ მნახე?“

გლეხებმა ყმანვილი სახლში წაიყვანეს, იშვილეს, იძმეს. მერე გაეჩვია თუ არა ყრმა ამქვეყნიურ ცხოვრებას, ენის ამოდგმისთანავე თქვა: „სა ვიყავი და სა მოელო?“ ვითომ და სად მოვედიო და მას შემდეგ სამუელი უწოდეს.

დასასრულს, უხუცესი მომღერლის ივანე ჩხაიძის სიტყვები მინდა მოვიყვანო:

„სამუელის დაღლა არ იყო. სამი დღე ქეიფით და სიმღერით გადაუბია ერთმანეთზე, ხმას ბზარიც არ დატყობია, სიმღერას ორჯერ არ გაიმეორებდა. ავად რომ გახდა, სანახავად მივედიო. სამუელმა სუფრასთან მისვლა მოითხოვა. დაჯდა ჩვენთან ეს მომაკვდავი კაცი, ახალუხის გახსილი საყელო შეიკრა, სუფრაზე არ იკადრა ისე დაჯდომა, თვითონ წამოგვინყო სიმღერები. ხმა ისე უფლერდა, როგორც ახალგაზრდას. დილადაც არ გაგვიშვა. იმის მერე ცოცხალი აღარ გვინახავს. თავისივე ეზოში დაასაფლავეს. სამი დღის შემდეგ ავედით საფლავზე და ვუმღერეთ ცრემლნარევი ხმით. ასე დაგვიბარა სამუელმა“.

სამუელ ჩავლიეშვილი 1932 წელს გარდაიცვალა. გარდაცვალების დღეს ვარლამ სიმონიშვილმა მგალობლების მცირე ჯგუფით სიმღერა-ტირილი შეასრულა, რომელიც საგანგებოდ იმ დღისათვის შექმნა. ის ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა:

„პატივისცემით გემშვიდობებით საუკუნისა დაუვინყარო“. შემდგომში ამ სიმღერას განსაკუთრებით პატივსაცემ პიროვნებებს უმღეროდნენ და „ზარისეულს“ ეძახდნენ.

სამუელ ჩავლიეშვილი...

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული კაცი. კაცი, რომელმაც ხალხური სიმღერა ღმერთთან აიყვანა.

კაცი, რომელიც ხალხმა ციოთ მოვლენილ სასწაულად აღიარა,

რამეთუ არამქვეყნიური იყო სიმღერა მისი...



ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი და ოტია პაჭკორია ნოდარ ჩხეიძის ხსოვნის საღამოზე.



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge





ირაკლი ფარჯიანი



ირაკლი ფარჯიანი

2006 - 283

ნ 3004 / 2



[Handwritten signature]